

რუსთველოლოგიური რჩეული ლიტერატურა

III

შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა და შენიშვნები დაურთო
იოსებ მეგრელიძემ

კრებული შეიცავს იუსტ. აბულაძის, ს. კაკაბაძის, ივ. ჯავახიშვილის, სილ. ზუნდაძის, მ. ჯანაშვილის, მ. წერეთლის და ხომალელის მიერ 1909—1925 წლებში ქართულ ენაზე გამოქვეყნებულ რუსთველოლოგიურ რჩეულ ნაშრომებს მოკლე კომენტარებითა და შენიშვნებით.

კრებული შედგენილია იმავე პრინციპებით, როგორც ამავე სერიის I და II წიგნები (იხ. I, გვ. 144). აქაც საკითხების ისტორიის წარმოსადგენად დატოვებულია ზოგი უკვე უარყოფილი მოსაზრება; განმეორებითი აზრების, თემიდან გადახვევებისა და აშკარა ლათსუსების მიმართ დაშვებულია კუპიურა.

წიგნი, რუსთველოლოგებს გარდა, გამოადგებათ ქართული მწერლობისა და კულტურის ისტორიის საკითხებით დაინტერესებულ პირებსა და მკითხველთა უფრო ფართო წრეებსაც.

რედაქტორი პროფ. სარგის ცაიშვილი

XII საუკუნის ქართული მწერლობის ხასიათი და რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“

არცერთი ლიტერატურული ნაწარმოები ისე პატივცემული არ ყოფილა ჩვენში, როგორც რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“. ქართულ მწერლობას იგი მიაჩნდა ქართული კულტურის უძვირფასეს სამკაულად. ლიტერატურის აღორძინების ხანიდან დღემდე გაიხმის ამ წიგნისა და მისი ავტორის ქება-დიდება, და, რა თქმა უნდა, ლიტერატურის თეორიის განვითარებასთან ერთად, უნდა აღძრულიყო მისი შესწავლის ინტერესი, უნდა აწონ-დაწონილიყო და დაფასებულიყო ეს ქართველი ერის სიამაყეც.

მართლაც, იგი შეიქმნა ერთ ფრიად საინტერესო მსჯელობის საგნად როგორც ჩვენში, ისე სხვაგან; მაგრამ, გამოირკვა თუ არა ამით ქვემარტება, გვაქვს თუ არა ჭერჯერობით, მისი მკვლევარების წყალობით, სწორი და უტყუარი აზრი ამ ნაწარმოებსა და მის ავტორზე? სრულიადაც არა. პირიქით, რუსთაველისა და მისი „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ კითხვა ჭერ ისევ ნორჩია, ავტორის ვინაობა ისევ ბურუსშია გახვეული, მისი და მისი შრომის შესახებ კითხვები დღემდის წყვილიადში განისვენებს. რა არის ამის მიზეზი?

ერთი, — ეს კერძოდ ქართველობაზე უნდა ითქვას, ჩვენის აზრით, — უნდა იყოს გაზვიადებული და ცრუპატრიოტიზმი; მეორე, ჭეროვანი ფრუდიციის უქონლობა, რომელიც უნდა ითქვას საზოგადოდ, თუ სახეში მივიღებთ, როგორც ქართველ, ისე უცხოელ მის მკვლევარებს.

ქართველი მკვლევარები იმ აზრისა იყვნენ¹, რომ ავტორის პოემა ორიგინალურია, პოემის ქება-დიდების საგანი თამარ მეფეა, მაშასადამე, ქართული ცხოვრების უტყუარი ფაქტებია მოთხრობილი ამ პოემაში და საკუთარი, როგორც გმირებისა, ისე ქვეყნების სახელები ალეგორიულია და მათი გაგება და ახსნა შესაძლებელია მხოლოდ თამარის დროის ისტორიის შესწავლა-

¹ ვახტანგ VI, დავ. ჩუბინაშვილი, აკაკი და გ. წერეთელი, დი. ყიფიანი, სვიმონ ქვარანი, მ. ჯანაშვილი და სხვანი.

განხილვით, რადგან იმ დროის ისტორიის ამბები აქვს ამ ნაწარმოებს სარჩულად დადებულიო.

აქედან ის დასკვნა გამოჰყავდათ, რომ პოემაში არც სპარსული, არც სხვა უცხო ქვეყნისა არაფერია, ყველაფერს ქართული აზრი და მნიშვნელობა უნდა მიეცესო².

ამგვარი აზრი, ვიმეორებ, დაბადა ცრუმ და გაზვიადებულმა მამულის სიყვარულმა და ჭეროვანი ერუდიციის უქონლობამ. მარტო სამშობლოს სიყვარული და ქართული ლაპარაკის ცოდნა ვერ მისცემს საკმაო ძალას ადამიანს, გადაწყვიტოს ისეთი საკითხი, რომელიც შეეხება ერთი ლიტერატურის მეორეზე გავლენას, ჩემის აზრით, არაფერი ამ შემთხვევაში ისეთი საჭირო არ არის, როგორც იმ ერის ენისა და ლიტერატურის შესწავლა, რომელსაც თამარის დროის ლიტერატურის ზრდა-განვითარებაზე დიდი გავლენა უნდა ჰქონებოდა.

პირველ მეცნიერად, რომელმაც დაუდვა საფუძველი „ვეფხისტყაოსნის“ სერიოზულ მეცნიერულ კრიტიკას, უნდა ჩაითვალოს პროფ. ნ. მარი, რომელიც წინაღუდგა მის დრომდე გაბატონებულ შემეცდარ აზრებს ამ ნაწარმოების შესახებ; მაგრამ ჭერ სტუდენტად მყოფი და ზომიანე მეტად გაბატონებული სპარსული გავლენით XII საუკუნის ქართულ საერო მწერლობაზე, ნ. მარი აჩქარდა, გამოეთქვა თავისი აზრი ამ პოემის წარმოშობის შესახებ, რის გამოც იგი ჩავარდა მეორე უკიდურესობაში.

კამათის დროს იმ პირებთან, რომლებიც უტყვეროდნენ ამ საკითხს მარტოდენ ქართული ნაციონალური თვალსაზრისით, ახალგაზრდა მეცნიერმა დაიწყო თავგამოდებით „ვეფხისტყაოსნის“ სპარსეთიდან წარმოშობის აზრის მტკიცება და კიდევ დაასახელა მისი ორიგინალის ადგილსამყოფელი. იგი ფიქრობდა, რომ ამ ნაწარმოების ორიგინალი ბრიტანიის მუზეუმში არსებობს და რომ რუსთაველს ეკუთვნის მის დრომდე პროზით ნაწერი სპარსული რომანის ლექსად გადაკეთების სახელით; მხოლოდ ამ ბოლო დროს ნ. მარმა შეასწორა თავისი შეცდომა და თავის ერთ შრომაში (Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, VI, პეტერბურგი, 1902) იგი ამბობს: „ადილი შესამძლებელია, „ვეფხისტყაოსნის“ ყურადღებით შესწავლამ აღმოაჩინოს ამ ლექსად გადაკეთებულ სპარსულ რომანში შეგნებული დასურათხატება ქართველი ავტორის ნაცნობი ტიპებისა და მოვლენებისა პოეტური იგავგაკვრით, რომელიც განსაკუთრებით აშკარა იქნებოდა თანამედროვეთათვის. ეს იგავგაკვრითი პოეზია დღესაც რამდენადმე გამოსჭვირსოა“³.

² ამ მხრით ყველაზე უფრო ტიპური ხასიათი აქვს ბ-ნი სიმონ ქვარაიის შრომა: „მოთარუსთაველი და მისი პოემა“, რომელიც მოთავსებულია 1903 წ. „გოამბის“ მე-7 და მე-8 ნომრებში.

³ იხ. Н. М а р р, Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, IV, პეტერბურგი, 1902, გვ. 55—56. უღრ. მისივე, История Грузии, პეტერბურგი, 1906, გვ. 33.

ეს ორი უკიდურესობა შედეგია იმისი, რომ არც ერთს რუსთაველის შესახებ დამწერს ჯერ არ შეესწავლა ამ ავტორის ენა იმდენად, რომ შესძლებოდა ტექსტის წაითხვა და პირუთენელი მსჯელობის გამოთქმა⁴. პირიქით, თითოეული მათგანი ცდილობდა გაეყვანა თავისი ერთხელვე დაყინებული აზრი, გაეტანა ერთხელვე გულში ამოკრილი სურვილი; ბევრს მათგანს, თუმცა კი ესმოდა ალაგ-ალაგ პოემის სიტყვები, მაგრამ ან ხსნიდნენ ალეგორიულად და ცდილობდნენ მათი სურვილისდაგვარად აეხსნათ პოემის ადგილები, ანდა ზოგიც, მათი მოწინააღმდეგე, ცდილობდა ეთქვა, ყველაფერი სპარსულია და ერთი სიტყვა არც თაპარის, არც ქართველების შესახებ ამ წარმოდგენაში არ მოიპოვებათ.

ამნაირად ერთიმეორის შუღლი და მტრობა იმდენად აბრმავებდათ, რომ ისედაც ნორჩ კითხვას კიდევ უფრო აზნელებდნენ, მაშინ როდესაც პოემას შინაარსის კეთილსინდისიერსა და პირუთენელ განხილვას შეეძლო მიეყვანა ადამიანი სწორსა და ნათელ დასკვნამდის.

მაგრამ, სამწუხაროდ, რუსთაველის შესახებ არცერთი დამწერი ერთი სიტყვითაც არ შენებია პოემის შინაარსს, ყოველი მისი მკვლევარი ათავებდა თავის მუშაობას წინასიტყვაობის განხილვით.. თუმცა არც წინასიტყვაობაა დღემდე საკმაოდ შესწავლილი და განხილული.

მიუხედავად მთელი ლიტერატურისა ამ საგნის შესახებ, „ვეფხისტყაოსნის“ მოვლინება XII საუკუნეში დღემდე გამოცანად რჩება. გამეფებული აზრი, ვითომც „ვეფხისტყაოსნის“ ამბავი წარმოადგენდეს XII საუკუნის ისტორიულ შემთხვევათა ალეგორიულ გამოხატულებას, ჩვენ მიგვაჩნია ყოველ საფუძველს მოკლებულად; ერთი რამ არის ჭეშმარიტად საწმენო, სახელდობრ ის, რომ პოემა საკარო მწერლობის მიმართულების ჭეშმარიტი გამოხატულებაა.

ამ წერილით ჩვენ გვსურს აღვნიშნოთ და შეძლებისდაგვარად გამოვარკვიოთ ტიპი იმ სადღევგმირო მოთხრობისა, რომელიც დაედვა საფუძვლად რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“. ამ საკითხის გამოსარკვევად ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნდა, ერთი მხრით, XII საუკ. მწერლობაში გაბატონებული მიმართულების გათვალისწინება, მეორე მხრით, იმ წყაროს გაცნობა, საიდანაც იკრებნ

⁴ პატრიისაცემია ბ-ნი ა. სარაქიშვილის შრომა: „ვეფხისტყაოსნი“ ყალბი ადგილები“, (იხ. „შობაძე“, 1895, 96, 97, 98, 99 წლებისა). „ვეფხისტყაოსანი“ შეცნიერულად გამოსცა დ. ჩუბი-წაშვილმა ორჯერ — 1846 და 1860 წწ. სანკტ-პეტერბურგს. ზოგიერთი შეცდომების მიუხედავად, ეს გამოცემა დღემდის საუკეთესო სახელმძღვანელოა პოემის შესასწავლად.

⁵ „სადღევგმიროს“ ჩვენ ვუწოდებთ აღმოსავლეთურ საუბიკო ამბებს, სადაც მოქმედ პირებად, აღამიანებთან ერთად, გამოყვანილი არიან სხვდასხვა მკვლე სულები, დევები, და ქაჯები.

ძალ-ღონეს და მასალას იმდროინდელი ქართული კარის მწერლობა. იმ უცხო ლიტერატურული მიმართულების გაცნობა, რომელსაც თვალსაჩინო გავლენა ჰქონდა XII საუკუნის ქართული საერო ლიტერატურის აღორძინებაზე, ავტორის ნაწარმოების შინაარსისა და მის დამახასიეთებელ თვისებათა შესწავლასთან ერთად, გახლავთ ის ერთადერთი გზა, რომელიც ჩვენ ავირჩიეთ ამ საგნის კვლევის დროს.

II

თამარის ციურმა სახემ, მისმა საოცნებო მშვენიერებამ და სამეფო ჭკუამ მეტისმეტად აამაღლა მეფის უზენაესი უფლება და შეუწყო ხელი მისი პიროვნების გაღმერთებას. მისმა ჰაეროვნებამ და სანდომიანმა სახემ ზეშთაავონა თანამედროვე მელექსეთა მუზა, რამაც გამოიწვია კარის ლიტერატურის განვითარება.

ამ გარემოებას უნდა გამოეწვია ლიტერატურული მოძრაობა სპარსეთის ურთიერთობის ნიადაგზე აღზრდილსა და დავით აღმაშენებლის მიერ პოლიტიკურად გაძლიერებულსა და სწავლა-ცოდნით აყვავებულ საქართველოში.

თამარის დროის ქართული ლიტერატურის საუცხოო აყვავებას, რასაკვირველია, ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ იმდროინდელ ქართველს აღარ შეეძლო დარჩენილიყო მარტოდენ სასულიერო მწერლობის ქრისტიანული ასკეტიზმის ვიწრო ფარგალში, რასაც აშკარად ვამჩნევთ მეზობელ სომხურ სასულიერო ხასიათის მწერლობაში. იმდროინდელი ქართული აზროვნების ინტერესები თხოულობდნენ უფრო მეტს: ხანგრძლივმა რაინდულმა ბრძოლამ სახელმწიფოებრივობის შესაქმნელად მომამზადებელ ხანაში და საბერძნეთის და აღმოსავლეთის ცივილიზაციის დაახლოებით გაცნობამ, ადრე გაათავისუფლა ქართველობა სარწმუნოებრივი ასკეტიზმის გავლენისაგან. ამიტომაც ქართველები მწყურვალეობით დაეწაფნენ სპარსულ ლიტერატურას და იწყეს სპარსული ეპოსის ნიმუშებით სარგებლობა.

მაშინდელი სპარსული ლიტერატურა, რომლის გამომხატველია ფირდოუსის „შაჰნამე“, და გაზნის სულთნის მაჰმუდის კარის ლიტერატურა, შინაარსით ყველაზე უფრო შეეფერებოდა თამარის ბრწყინვალე ეპოქის სულსა და მიმართულებას.

მაგრამ, რომ უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ, თუ რამდენად ბუნებრივი იყო იმდროინდელ მწერალთა სპარსული ლიტერატურის ნიმუშებით გატაცება, საჭიროა გადავავლოთ თვალი სპარსული მწერლობის სახელდობრ იმ ხანას, რომელმაც დიდი და განსაკუთრებული გავლენა იქონია ჩვენს იმდროინდელ მწერლობაზე.

სპარსული ლიტერატურის აყვავებასა და განვითარებას X-I საუკუნის პირველ ნახევარში ხელი შეუწყო გაზნის სულთნის მაჰმუდის კარზე საკარო ლიტერატურის განვითარებამ და მასთან ისეთი კლასიკური ნაწარმოების გაჩენამ, როგორც არის უკვლავი ფირდოუსის „შაჰნამე“. ამ ნაწარმოებში მეტად ძლიერი გავლენა იქონია მთელ სპარსულ ლიტერატურაზე. ეს გავლენა უმთავრესად იმაში გამოიხატა, რომ ფირდოუსის შემდეგი მგოსნები სიუჟეტად ლებულობენ ზალხურ თქმულებებს, რომლებიც ფირდოუსთან არ გვხვდება. ამგვარი მიზნად-ველები ყოველთვის მოგვიტბრობენ რომელიმე როსტომის საგვარეულოდან გამოსულ გმირზე: ზოგი მათგანი აქებს როსტომის შვილის გმირობას, ზოგიც ვისმე შის ჩამომავალს.

ანაირად იჩინა თავი მიმბაძველი მგოსნების მთელმა დასმა,—რომელმაც შექმნა ეპოს-ჩაინდული ლიტერატურა, რისთვისაც მოლეულ იქნა მთელი ირანის ლეგენდარულ-ისტორიული მასალა; ეს მასალაც რომ შემოელიათ, პოეტებმა მიმართეს ნამდვილ ისტორიულ ამბებსა და იქიდან საჩვენებლად ისეთი შემთხვევებით, რომელთაც ლეგენდარული ზასიათი ჰქონდათ, თუმცა რომ უფრო გასართობი ყოფილიყო, მათი ნაწარმოებნი, ისინი მათში ვრცელ ადგილს უთმობდნენ თავის საკუთარ ფანტაზიას, ასე ამნაირად, ეპოსი თანდათან იცვლება: ჯერ საეპიკო-სადრევიკო ამბებად, შემდეგ კი ზღაპრად. შემდეგში მგოსნებმა აირჩიეს ორი გზა: ერთი წყება თავისი ნაწარმოების სიუჟეტად იღებს არაბულ ზეპირგადმოცემებს, მეორე კი, უშეტესი ნაწილი, არჩევს ისტორიული პირების საგმირო საქმეებს.

მაგრამ ფირდოუსის გავლენა სპარსულ ლიტერატურაზე როდი განისაზღვრება მხოლოდ საეპიკო ლიტერატურის ფარგალში. იგი იჩენს თავს აგრეთვე რომანულ პოეზიაშიც. მისი „იუსუფ-ვუ-ზულეიხა“ („იოსებზილიხანანი“) თუმცა მოკლებული იყო მალალ პოეტურ ღირსებებს, მაგრამ ამ ნაწარმოებშიც მას გაჟოლჩნდა მრავალი მიმბაძველი (სპარსულის ნაციონალური ეპოსისა და ფირდოუსის შესახებ იხ. Th. Nöldeke, Das iranische Nationalepos. 5. folg. ფირდოუსის მიმბაძველობის შესახებ იხ. წინასიტყვაობა Le Livre des rois Jules Mohl).

ფირდოუსის „იუსუფ-ვუ-ზულეიხა“-სთან საჭიროა დავასახელოთ ორი სხვა რომანული შინააქის ნაწარმოებიც: ერთი ეკუთვნის ფირდოუსის თანამედროვე უნსურის კალამს: ეს უნსურიც ფირდოუსთან ერთად ცხოვრობდა გაზნის სულთნის მაჰმუდის კარზე, იყო მფარველი ფირდოუსისა და ყველა კარის მწერლისა, და დაწერა რომანი „ვამეყ-ვუ-აზრა“, რომლის გაცნობა შეიძლება დღეს მხოლოდ თურქულ ენაზე გადმოღებული იმავე სიუჟეტის ნაწარმოებით; ამ ნაწარმოების ავტორს უსარგებლია სპარსული ვერსიით.

მეორე იმ ნაწარმოებთაგანი, რომელიც ჩვენთვის ფრიად საინტერესოა—რომანი „ვის-უ-რამინი“—გადმოკეთებულია ახალ სპარსულად ფალაური ორი-

გინალიდან, რომელიც შემთხვევით გადარჩენია არაბების შემოსევას, შეეხება იგი უძველეს დროს⁶.

ამნაირად ჩვენთვის საინტერესო სპარსული ლიტერატურის პერიოდში ჩვენ ვხედავთ ორნარი ნაწარმოებს: ეპოსს, ანუ სადევგმირო პოემებს, რომლებიც ბოლოს და ბოლოს ლებულობენ ზღაპრის ჩასიათს, და რომანულ პოემას, რომლის ნიმუშად შეგვიძლია დავასახელოთ ქართულ ენაზე ცნობილი „ვისრამიანი“. კარის მწერლებს შორის საპატიო ადგილი ეკრათ აგრეთვე მებოტბეებს, რომელთა მიზანი იყო წყეთთა შემოკობა, შექება.

ახლა ვეკითხოთ: რას წარმოადგენს XII საუკუნის ქართული მწელობა? აქაც, როგორც სპარსულ ლიტერატურაში, ჩვენ ვხედავთ იმგვარივე სადევგმირო მოთხრობებს, როგორც „ამირანდარეჯანიანი“, რომანტიული შინაარსის ნაწარმოებს, როგორც „ვისრამიანი“ და ხოტბებს ანუ შესხმითს ქებას, მინაართლს თამარისა და მისი მეუღლის დავით სოსლანისადმი.

ჩვენი ისტორიის მთელი წარსული წინდა ჩაინდული გახლდათ; ბუნებრივობა და გოლიათობა, როგორც ამას მოწმობს ჩვენი მატეანის მოთხრობები ისტორიული გმირების შესახებ, ძალიან მოწონებული უნდა ყოფილიყო იმდროინდელ საქართველოში.

ანტიომ სწულიად ბუნებრივად უნდა ჩაითვალოს ისეთი ამბებით გატაცება, როგორცაც მოგვიტხრობს ფირდოუსის „შაჰნამე“, რომლისაგან გადმოღებულ ცალკე წიგნებს დიდი მოწონება ჰქონია ჩვენში, როგორც ამას მოწმობს ქართული „როსტომიანის“, „ბეჟანიანის“ და სხვების თარგმანები⁷. ამგვარი გატაცებით აიხსნება ჩვენს მწერლობაში ისეთი საგმირო ზღაპრის აჩვენებაც, როგორც არის „ბარამიანი“, რომელიც ძლიერ გავრცელებული ყოფილა ჩვენში, რასაც მოწმობს მრავალი ხელნაწერი საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში (იხ. „ქართული მწერლობა XIII—XIV საუკ.“ ზ. კიკინაძე, თბ., 1885).

ამგვარივე გატაცებით აიხსნება ისეთი სადევგმირო მოთხრობის აჩვენებაც XII საუკუნეში, როგორც არის „ამირანდარეჯანიანი“, ამოღებული, პროფ. მარის გამოკვლევით, სპარსული რომანებისა და მოთხრობების კრებულიდან „ვისაიპანზა“ (Журн. Мин. нар. просвещения, 1895, № 10, გვ. 328. Н. Мафр, Из книги Царевича Баграта.—Изв. АН, X, № 2, გვ. 245).

⁶ ჩვენი „ვისრამიანი“, როგორც თარგმანის წინასიტყვაობაც ვეჩვენებს, არის ამ სპარსულის ორგინალის თარგმანი; ქართულ თარგმანში ბევრი ადგილი თითქმის სიტყვისიტყვით ეთანხმებო-
ორგინალს, მაგრამ ზოგიერთი მისი ადგილი უფრო ვრცლად არის გადმოცემული, ზოგი შემოკლე-
ბულია ან სრულიად გამოტოვებული, ან განზრახ შეცვლილი...

⁷ პროფ. მარის გამოკვლევით, „შაჰნამეს“, ანუ მეფეთა წიგნს, მშვენივრად იცნობდნენ ქარ-
თველები კერ კიდევ XI—XII საუკ. (იხ. მისი წერილი: „ორიოდე სიტყვა შაჰნამეს ქართული თარ-
გმანის შესახებ“. გაზ. „ივერია“ №№ 132, 133, 135; 1891 წ.), „როსტომიანის“ და „ბეჟანიანის“
რედაქციების შესახებ ვრცელი ბიბლიოგრაფიული ცნობები მოყვანილი აქვს ბ. ექვთ. თაყაიშვილს
თავის «Описание рукописей Общ. распр. грам. среди груз. населения, I, вып. II, გვ. 375.

სადევგმირო მოთხრობების არსებობა XII საუკ. მწერლობაში შეგვიძლია გავამართლოთ იმ მოსაზრებითაც, რომ საკარო ლიტერატურის შინაარსად, მეფეების ხოტბებს გარდა, უნდა განხილავთ აგრეთვე ხელმწიფეების შესახებ საგმირო ამბები, რადგან ეს უკანასკნელები წარმოადგენდნენ თავისი შინაარსით სამეფოდ მოწოდებული პირების საგმირო საქმეებს.

ამ სამეფოდ მოწოდებული პირების საგმირო საქმეებს, გარდა იმისა, რომ სასიამოვნო საკითხავი იყო მეფეთა და დიდებულთათვის, ჰქონდა აგრეთვე დიდი აღმზრდელი მნიშვნელობაც. სახელდობრ, ამავე ამბების მიზანი იყო აღეზარდათ იმდროინდელი ქართველის გულში მეფის უზენაესი უფლებისადმი ერთგულებისა და პატივისცემის გრძობა. მართლაც, ამ ამბებში უმთავრესი გმირი განსაკუთრებულის პატივისცემით უცქერის და ეპყრობა მეფეს. მოვიყვანოთ მაგალითები „ვეფხისტყაოსნიდან“ და „ვისამიანიდან“.

როდესაც როსტევეან მეფემ მოისურვა წყლის პირს მკდარი მტირალი მოყმის ამბის გაგება, ჯერ მონები გაგზავნა მის მოსაყვანად, მაგრამ ვეფხისტყაოსანმა ყურადღების ღირსიც კი არ გახადა იანი; შეკდა ცხენზე და გაუდგა თავის გზას; მონებმა დააპირეს მისი შეპყრობა, მაგრამ მან ისინი ისე მოაქცია, რომ მტერსაც კი შეებრალებოდა; ვისაც კი გადაჰკრა მათრახი, ყველა მკერდამდე გააბო. „რაზომნიცა მიეწივნეს, ყოვლნი მკვდართა დაასახნა; კაცი კაცსა შემოსტყორცნა“. როსტევეანი ძლიერ შესწუხდა და ავთანდილთან ერთად, გამოიწოთ ცხენით ტარიელს, რომ დასწოდა. როგორ იქცევა ამის მხილველი ტარიელი?

„რა სცანა მეფე მოვიდაო, ჰკრა მათრახი მისა ცხენსა,
მასვე წამსა დაიკარგა...“

აი, როგორ უხსნის ტარიელი შემდეგში ამ თავის საქციელს ავთანდილს თავის თავგადასაცლის თხრობის დროს ქვაბში:

„მოვიხდე, მომეწა. რა პატრონი შენი ენახე.
ხელმწიფობით შემებრალნეს. ამაღ ხელი არ შევახე,
თვალთა წინა გამოვექეცე, მეტი არა შეუზრახე“.

[„ვეფხ. ტყ.“, ხანა 294.]

ამას გარდა ეს ამბები ყოველთვის იდეალურად ხატავენ მეფეს: როსტევეან არაბთა მეფე იყო „ღვთისაგან სვიანი, მკდალი, უხვი, მდაბალი, მოსამართლე, მოწყალე“, შეუღარებელი მეომარი და მოუბარი წყლიანი („ვეფხ. ტყ.“, ხანა 32).

გახელმწიფებული რამინი ამგვარ აღქმას სდებს ღვთის წინაშე: „ვირე ცოცხალ ვიყო, შენს ბრძანებასა არა გარდავიდე, მოსამართლე, მდაბალი, ღმრთის მოშიში, მართლისმეტყველი, სიმართლის მძებნელი, გლახაკთა დაუჭირველი და მოწყალე, შენთა დამდაბლებულთა და მონათა მეშველი ვიყო“ (იხ. „ვისრ.“, გვ. 448, სტრ. 11).

ოღონდაც რომ მეფის იდეალთა განხორციელებანი გახლავან, არაბთა მეფე როსტეკანი, ფრიდონ მაღალი, სვესრული, მეფეთმეფე, რომელსაც პოეტი ამკობს ეპითეტებით: „მზე შუქ-მოიფე“, „მტერთა სისხლისა მჩქეფე, მოვლენილი, მორჰნული“ და სხვა.

ეს ამბები ასწავლიდნენ აგრეთვე მეფისათვის თავდადებას: ცბიერი რამაზ მეფის საომრად გამზადებული ტარიელი, სხვათა შორის, ეუბნება თავის ჭარხ:

„ინცა მოკვდეს მეფეთათვის, სულნი მათნი ზეცას რბიან“-ო

(ჩუბ., 436, ტაეპ. 3. წ.—კ., 425=440)

რა თქმა უნდა, ამგვარი ხასიათის ამბები დიდ პატივს მოიპოვებდნენ მეფეთა თვალში და მათი გამლექსავნი გახდებოდნენ მეფეთა მფარველობის საგნად.

ანაირად, ერთი მხრით, გაზნის სულთნის მაჰმუდის კარზე სპარსული საკარო მწერლობის განვითარებას (ეს მწერლობა წარმოადგენდა ხოტბებს, ქებათა ქებას, მიმართულს მეფის უზენაესის პიროვნებისადმი), მეორეს მხრით, სადევგმირო მოთხოვნებს, როგორც არიან ირანისა და, საზოგადოდ, აღმოსავლეთის ქვეყნებისა და ხელმწიფეების შესახები თქმულებები, უნდა შეეწყოს ხელი იმდროინდელი ქართული მწერლობის სპარსული ლიტერატურის გვეგმაზე გამოწყობისათვის; ამას კი, თავისი მხრით, ხელს უწყობდა საქართველოს პოლიტიკურად გაძლიერება და კულტურული ცხოვრების აყვავება, თამარის მეფობის დროს.

მაშასადამე, რუსთაველი, როგორც თავისი წრისა და ეპოქის ნამდვილი შვილი, უნდა დაინტერესებულიყო უცხოთა ხელმწიფეთა ამბებით, თვითონ პოეტიც ხომ გულახდილად აღიარებს პოემის დასასრულში მოთავსებული ტაეპით (ჩუბ., 1591=1667).

„ესე ამბავნი უცხონი, უცხოთა ხელმწიფეთანი,
პირველ ზენი და საქმენი, ქებანი მათ მეფეთანი,
ეპოვე და ლექსად გარდავსქვენ, ამითა ვილაყბეთანი“...

ეს ადგილი საკმაოდ გვეხმარება აეხსნათ ის ძნელი გამოცანა, რომელსაც წარმოადგენს რუსთაველის ქნარი: ამ ადგილიდან აშკარად ჩანს, რომ რუსთაველს ეს უფრო ხელმწიფეების შესახები ამბები უნახავს და ლექსად გარდაუთქვამს.

მართლდა, რა გასაკვირველია, ყოფილიყო გავრცელებული „ვეფხისტყაოსნისებური“ ზღაპრული ამბები იმდროინდელ საქართველოში, სადაც სპარსელების გავლენას ისე მაგრად ეკიდა ფეხი, და სადაც, როგორც სუყველგან,

აღმოსავლეთის ხალხებიდან შემოდის და ვრცელდებოდა უძველესი ზღაპრები და მოთხრობები ინდოეთისა და არაბეთის შესახებ, თან ზეპირგადმოცემით, თან ლიტერატურის საშუალებით? იმდროინდელი სპარსული ლიტერატურა იყო მთელი აღმოსავლეთის ფანტაზიის და ოცნების ნამდვილი სალარი: უამრავი მოთხრობა ზღაპრული ანუ რომანული შინაარსისა, ტარიელისა და აეთანდლისებური საგმირო საქმეები, რომლებიც მოწონებული იყო მთელს აღმოსავლეთში და ნამეტურ ღიდ ირანში, და რომლებიც დიდის სისწრაფით ვრცელდებოდა მთელს მსოფლიო ლიტერატურაში, რა თქმა უნდა, გავრცელდებოდა და ჩამყნებოდა ისეთს გმირულსა, საოცნებო და საზღაპრო ქვეყანაში, როგორც უნდა ყოფილიყო თამარის დროის საქართველო, რომლის კულტურული ცხოვრება მკიდროდ იყო დაკავშირებული სპარსეთთან? ამას გარდა, მაშინდელ ისტორიულსა და სასახლის სცენების დროს, რომელიც ხასიათდებოდა იმგვარი რაინდობით, როგორითაც ყველა წარჩინებული და რუსთაველივით თამართან დაახლოებული და შოტრფიალე პირი, რა გასაკვირველია, მოწონებული ყოფილიყო ისეთი ზღაპრული გმირობაც, როგორსაც წარმოადგენდა მთელი „ვეფხისტყაოსნის“ ცხოვრება.

ამიტომ ეს უცხო ხელმწიფეების შესახები ამბები, ანუ პოეტის თქმისა არ იყოს, ეს „პირველზნენი და საქმენი, ქებანი მათი შეფეთანი“ შეიქმნებოდა საუკეთესო კანვა, რომელშიაც უნდა გამოქარგულიყო უღრმესად გრძობიერისა და ხელქმნილი პოეტის სულისა და გულის მოძრაობის სურათები.

მაშასადამე, ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის ამბავი, იქამდის „ამბად ნათქვამი“, იმ დროიდან უნდა გამხდარიყო „წყობილი მარგალიტი“. ეს ის დრო იყო, როდესაც პოეტის „თვალთა მისგან (თამარისაგან) უნათლოთა ენატარმცა ახლად ჩენა“, როდესაც მგოსნის გამიჯნურებულ გულს მოელოდა იგივე, რაც ყოველს გულის ბრმად მიმყოლი აღმოსავლეთის მიჯნურის გულსა, და ტარიელიც ხომ ამგვარი მიჯნურის ნამდვილი ტიპი იყო? ცხადია, პოეტის ფანტაზიას ყველაზე უფრო ვრცელ ადგილს უთმობდა „ვეფხისტყაოსნის“ მოთხრობა.

მაგრამ, იმის გამოსაკვლევად, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ამბავი, რომელიც დაედვა საფუძვლად მის დიდებულ ნაწარმოებს, საჭიროა გავიცნოთ იგი შინაარსისა და გარეგანი ფორმის მხრით.

III.

შინაარსის მხრით ეს ნაწარმოები არაფერს განსხვავებულს არ წარმოადგენს სხვა იმდროინდელ სალიტერატურო ნიმუშებთან შედარებით: როგორც მათი, ისე „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსი ერთი სიტყვითაც არ ეხება ქართველ-

ლებს: ავთანდილი არაბია, არაბეთის მეფის როსტევეანის კარზე გაზრდილი, საწიშარ გზას სანამ გაუღებოდეს (ტარიელის საბებრად), მიგზითას შედის და იქ ლოცულობს; ლოცვა მისი წამდელი მაჰმადიანის ლოცვაა; ეპიტეტები, რომლებითაც ის მიმართავს ღმერთს, ჩვეულებრივი საღვთისმეტყველო ეპიტეტებია ნუსულმანების სჯულში: „მაღალო ღმერთო“, „ხმელთა და ცათაო, უფალო უფლებათაო (შეადარეთ სპარსული: „ხუდოვენდო, ხუდოვენდი ჯაჰან, ხუდოვენდი ზემინუ ოსემან“⁸). „უფალო უფლებათაო, უფალო ხმელთა და ცათაო (ცისა და ქვეყნისაო), მოვლენილო, მორკმელო, მფლობელო გულის თქმათაო“ და სხვა, ხშირად იხმარება მაჰმადიანისაგან ლოცვაში და, საზოგადოდ, ღვთის მიმართ წარმოთქმულ სიტყვაში.

ავთანდილის ანდერძი წამდელი ანდერძია, წამეტურ ყურადღების ღირსია. ამ მხრით ეს ტაეპი.

„მაქეს საქონელი ურიცხვი, ვერვისგან ანაწონები,
მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათვისუფლე მონები,
შენ დაამდირე ყოველი, ობოლი, არას მქონები;
მიღწვიან, მომიგონებენ, დამლოცვენ, მოვეგონები“.

მაჰმადის სწავლის უმთავრესი პრინციპებია გლახაკებზე ქონების გაცემით სულს გაწმენდა და მონების დათავისუფლება; უამისოდ შეუძძლებელია, მაჰმადიანის წარმოდგენით, საწითხეში შესვლა. მაჰმადის სჯულის ამგვარმა პრინციპებმა ისე ძლიერი გავლენა იქონია, რომ მისი მოძღვრება განსაკვიფრებელი სისწრაფით მოედვა მთელს აღმოსავლეთს, სადაც მონები მეტად შევიწროებულნი იყვნენ; ამიტომაც ავთანდილი, როგორც არაბი, იბარებს: ეინიცობაა, მოკვედი და ცოცხალი ველარ დავბრუნდი, ჩემის სჯლისათვის ეს სამადლო საქნე ქენით: ჩემი საჭურჭლე გლახაკებს მიეცით და ჩემი მონები დაათავისუფლეთო⁹.

ეს გლახაკების დამდირება გუხვდება აგრეთვე „ვისარამიანში“, რომელიც ცეცხლის მსახურების დროს გამომხატველი ფაქალური მოთხრობაა: „წაუალ, ყოვლისა ცოდვისაგან გავიბანები, ღმერთსა შევეხვეწეწები, გლახათაზედა საქონელსა გავსცემ, ნუთუ ღმერთმა შემიწყალოს...“¹⁰ და ეს კი არღვევს

⁸ იხ. Сказки Папугая, изд. В. Жуковского, Петербург, 1904, სპარს. ტექსტი, (გვ. 7) „ვისორამინის“ წინასიტყვაობა, სპარს. ტექსტი, გვ. 1—2.

⁹ იხ. ყურანი, თავი II, 40, 76, 77, 79, 104, 147, 172, 255, 277; თავი III, 15, 180; თავი IV, 79, 160; V, 15, 60; VIII 5; IX, 18, 72, 104, 105; XIV, 32; XIX, 32, 56; XXI, 73; XXII, 42, 78; XXIII, 4, 62; XXIV, 37 55 და სხვა.

¹⁰ იხ. „ვისარ“, სპარს. ტექსტ. გვ. 253; სტრ. 15—16. ქართ. ტ. გვ. 12—14. სიტყვისიტყვით სპარსული ასეა: „უნდა განვიბანო ყოველი ცოდვისაგან, ჩემთვის ღვთისაგან საშუალება ვითხოვო, ღმრთისგან მიესცე, რაც მაბაღია...“

იმათ მოსაზრებას, ვინც ფიქრობს, ვითომც გლახაკებზე ქონების გაცემა, როგორც ცოლვისაგან განმათავისუფლებელი საშუალება, მიღებულია მხოლოდ ქრისტეს მოძღვრებაში.

ტარეილიც ავრეთვე უცხო ქვეყნის ინდოეთის მეფის შვილია, ნესტან-და-რეჯანიც ინდოეთის მეფის ქალია, ფრიდონ, ფატმან, უსენ და სხვები სუყველა აღმოსავლეთის ხალხებს ეკუთვნიან, მნათობების სახელები: ოტარიდი, მუშთარი, ასპიროზ, მარინი, ზუალი, ყველა ის შვიდი ვარსკვლავი, რომლებიც მოწმედ ჰყვებიან ავთანდილს, მისი სულიერის ტანჯვების დროს, ჩვეულებრივია სპარსულ ნაწერებში; მოთხრობის სული და ძირითადი თვისებები, თვით ამბავი, მოქმედების ასპარეზები — არაბეთი, ინდოეთი, ჩინეთი, მულაზხარი¹¹, ზღვათა სამეფო, გულანშარო, ხვარაზმა და სხვა, სუყველა უძველესი აღმოსავლეთის ქვეყნებია, ყველაფერი, მამასადამე, მათ შესახებ უძველეს ამბებს წარმოადგენს. მამასადამე, კითხვა მხოლოდ იმაშია, თუ საიდან არის შემოსული ჩვენში „ვეფხისტყაოსანი“?

როგორც ზეწორე მოვიხსენიეთ, სპარსული ლიტერატურის ბრწყინვალე განვითარება დაიწყო იაზნის სულთნის მამულის კარზე „შაჰნამეს“ დაწერი ღირდოუსის მოვლინებით. ამ გენიოსმა პოეტმა თავისი პოეტური მიზნის განსახორციელებლად აიღო უძველესი სპარსეთის მეფეთა შესახებ თქმულებები; მაგრამ, ვინ იტყვის, რომ ირანის საეპიკო ამბები და ფირდოუსის უკვდავი პოეზია ერთი არის?!

პოეტმა ერთი ძაფით, ერთი იდეით შეაერთა მთელი სპარსეთის ეპოსი, მთელ ნაწარმოებში ერთი იდეა, ზოროტის კეთილთან, სინათლის ჰიბნელესთან ბრძოლა გამოიყვანა და, თავისი გენიოსობა და ქაღოსნური ლექსების ძალით, შექმნა მსოფლიო ლიტერატურის უბიძგაფასესი საუნჯე.

აგრევე მოიქცა „ვის-ო-რამინის“ გამლექსავი, ჯორჯანელი პოეტი ფახრუდინი, რომელმაც თავისი ნაწარმოების შინაარსად გამოიყვანა უძველესის დროის შესახები ფალაური მოთხრობა, რომელიც მან მზაზხარეული აიღო და, ცოტა რამ ცვლილების შეტანით, გალექსა.

აგრევე მოიქცა პოეტთა მეფე უნსურიც, რომელმაც შექმნა პირველი რომანტიკული ნაწარმოები „ვაზიყ და აზრა“, რომელსაც ბევრი მიმბაძველი გამოუჩნდა¹². უნსურმაც თავისი ნაწარმოების ჰილექტად აირჩია ერთი ძველად გალექსილი ამბავი¹³.

¹¹ [მულაზხარი] ამ სიტყვის შესახებ იხ. ქვეწორე.

¹² უნსურის ნაწარმოები გამოიყვანა სიუჟეტად ექვსმა სახელოვანმა პოეტმა, რომელთა სახელებია: 1) ფაზიხი ჭურჯანი, 2) ქამალ-უდდინ ჰუსაინ დამირი, 3) შუაბი კუშყანელი, 4) მულანა მუჰამედ ალი ასტრბადელი, 5) მირზა მუჰამედ სადიყ ნამი აღმურავი და 6) ხაყი მუჰამად ჰუსან შირაზი.

¹³ H. Ethé, Neupersische Literatur, 240.

შემდეგი დროის და რუსთაველის თანამედროვე სპარსელი მწერლებიც აგრევე იქცევიან: ისინიც, წინაპრებივით, სარგებლობენ უკვე შეკრებილი მასალით, რომელიც ორგვარი იყო: ან საეპიკო, სადევგმირო, ანდა — რომანტიკული. ესა თუ ის პოეტი თავისი ნაწარმოების სიუჟეტად იღებდა ისეთ მოთხრობას, რომელიც უფრო შეეფერებოდა მის სურვილსა და მიზანს.

რუსთაველის თანამედროვემ, გამოჩენილმა რომანტიკოსმა ნიზამმა თავისი ნაწარმოების „ისკანდერნამე-ს“ შინააქსად გამოიყენა ალექსანდრე მაკედონელის შესახები ყველა თქმულება, რომლებიც მის დრომდღე ვრცელდებოდა აღმოსავლეთში. ამავე ნიზამმა თავისი დიდებული რომანის „ხოსრაუ-შირინის“ შინააქსად აიღო ძველი ლეგენდა. რომელიც შეეხება სასანიდის დინასტიის შთაგრის „შაჰ-ხოსრაუს“ სომეხთა თავადის ასულის შირინისთვის გამიჯნურობას (ხსენებული ლეგენდა მხოლოდ ჩონჩხია ნიზამის „ხოსრაუ-შირინთან“ შედარებით, რომელიც უშესანიშნავესი ქმნილებაა რომანტიკული პოეზიის ფარგალში, მოქმედ პირთა ფსიქოლოგიური დასურათბატებით და ორი შეყვარებულის მწუხარება-სიხარულის მხატვრული აღწერით).

მანვე თავისი პოემის „ლეილა და მეჯნუნის“ სიუჟეტად აიღო არაბული ლეგენდა ბედუნების ცხოვრებიდან, რომელიც წარმოადგენდა ლეილა და კაისის მიჯნურობის ამბავს. (კაისი პოეტმა მონათლა „მეჯნუნის“ ანუ „შმაგის“ სახელით). აგრეთვე თავისი უკანასკნელი ნაწარმოების „ჰაფთ-ფაიქარისთვის“ ნიზამმა ისარგებლა ძველი სპარსული ლექსებით სასანიდის დინასტიის მეფის ბაქრამ გურის¹⁴ შესახებ.

ამნაირად ჩვენ დავინახეთ, რომ სპარსელი პოეტები თავიანთი ნაწერების სიუჟეტად იღებენ ან ირანულ სადევგმირო ამბებსა, სასანიდის დროის მეფეთა შესახებ მოთხრობებს. ან აღმოსავლეთში გავრცელებულს საეპიკო ამბებს. ან კიდევ არაბულ თქმულებებს.

ესლა ვიკითხოთ, რას წარმოადგენს რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი?“

იგი, ჩვენი აზრით, არის ერთი სპარსეთში შემუშავებული არაბულთქმულებათაგანი აღმოსავლეთის ხელმწიფეთა შესახებ.

ამისი უტყუარი საბუთია, უპირველესად ყოვლისა, თვით შინაარსი, რომელშიც ყველანზე საპატიო ადგილი უჭირავს არაბთა მეფეს როსტევეანსა და მისი ასულის თინათინისა და გაზრდილი ავთანდილის მიჯნურობის რომანს.

შინაარსი, როგორც ჩვენ უკვე მოვისხენიეთ, ერთი სიტყვითაც არ ეხება ქართველებს, მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. აქ ნათლად იხედება წმინდა მუსულმანურ-არაბული ტენდენცია. ავთანდილი ხომ არაბია და არაბი, თვით ტარიელიც

¹⁴ ეს ბაქრამ გური ცნობილია ისტორიაში თავისი სამიჯნურო თავდადასავალით. ნიზამის „ჰაფთ-ფაიქარში“ გამოყვანილა ეს ბაქრამ გური, რომელმაც დაინახა 7 მზეთუნახავის (ბერძენის, თათრის, რუსის, სომხის, ინდოელის, ჩინელის, და სხვა) სურათი, შეიყვარა ყველა ერთბაშად და მოაღწია მათთან შეერთებას.

კი თავისი გულის სატრფოს ერთგულობის დასამტკიცებლად შეჰფიცებს მუსაფს (მუსაფი—ყორანი; იხ. „ვეფ. ტყ.“, ხ. 514-530). ამას გარდა ყველა, ვინც კი არის პოემაში მოქმედი პირი, გარდა ბნელ ძალთა და მავნე სულთა, და, საზოგადოდ, პოეტის საყვარელი გმირების მოპირდაპირეთა, სააწმუნოებით მუსულმანი არაბია. მუსყრნი და მულომნი, რომელნიც გააჩნ უვლიან გულწასულ მიჯნურს ტარიელს, მუსაფის ძალით ცდილობენ მის სიკვდილისაგან დახსნას (იხ. ხ. 339—351). ერთ ფრიალ საგულისხმო შენთხვევაში ერთად გვხვდება „მუსაფი“ და „მაქა“ (მაჰმადიანთა წმინდა ქალაქი).

როგორც ვიცით, ფატმანმა ჩანოართვა ფიცი უსენს, რომ მას არ გაეცა მისი საიდუმლო მეფის სასახლეში, მზეთუნახავის ნესტანის მისას ყოფნის შესახებ. მაგრამ უსენმა გასტეხა ფიცი („სიმტკიცე სჯულისა“): ღვინით დამთვრალმა და მეფის წასპინძლობით მოხიბლულმა უამბო მეფეს „პოენა ქალისა, მჭერტთაგან მზედ სახულდა“.

აი, რა სიტყვებით აღწერს პოეტი უსენის მხრით ფიცის გატებას:

რა მეფემან უსენს წინა სვა მრავალი ღოსტაქანი,
კვლავ შესვეს და კვლავ აივსეს სხვა ფარხნი და სხვა ჭიქანი,
დაეიწყუდა იგი ფიცი, რა მუსაფნი, რა მაქანი!

(1906-1166)

ამნაირად პოეტი აღნიშნავს მაჰმადიანის მხრით შეუნდობელ ცოდვას, ე. ი. მიგვიითითებს უსენზე, რომელიც, როგორც მაჰმადიანი, ფიცის გატებით, არღვევს ყორანსა და მაქას¹⁵, უარყოფს რჯულსა და მცნებას.

აქ რასაკვირველია, არ არის სახეში მისაღები უცხო სიტყვათა სიმრავლე, რაც შეიძლება ახსნილი იქნასა საუყუნეთა განმავლობაში არსებული მეზობელი სახელმწიფოების კულტურული გავლენითაც. ანას მსურველი დაინახავს იმ ლექსიკონიდანაც, რომელიც დართული აქვს ამ შრომას, სადაც მოთავსებულია მრავალი სპარსული, არაბული და სხვა უცხო ენიდან ნასესხები სიტყვა, რომელთაც გაუმდიდრებიათ ქართული სალიტერატურო ენა XII საუკუნეზე ბევრად ადრე.

აქ ჩვენს ყურადღებას იპყრობს ის გარეგნობა, რომ უცხო სიტყვათა უმეტესობა ან წმინდა სპარსული, ანდა გასპარსულებული არაბულია.

სპარსული ტექსტის მამხილებელია, ჩვენი აზრით, ქართული ფონეტიკის მოთხოვნილებისამებრ შეცვლილი სპარსული სიტყვა „ჩ ა შ ნ ა გ ი რ ი“, ქართ, ჩაჩნავირი, რომელიც ნიშნავს მექანნიკეს, ჯანშინჯველს, დამფაებელს. ეს სი-

¹⁵ აქ საპიროდ ვრატხ აღნიშნო, რომ სიტყვა „მაქას“ ნაცლად ბ. კარიკაშვილს შეცდომით აქვს ნაჩვენები „ვეფხისტარაისის“ სიტყვების განმარტებაში ამ სიტყვის მრავლობითი რიცხვი „მაქანი“, რომელიც პოეტს ლექსისთვის აქვს ნახმარი. იხ. „ვეფხ. ტყ.“ გვ. 200.

ტყვა იმდენად შეუფერებელია ქართული ტექსტისათვის, რომ დღემდის სრულად უსაფუძვლოდ ითვლებოდა საკუთარ სახელად¹⁶, რადგან მისი მნიშვნელობა ტექსტში არ ესმოდათ (იხ. ხანა 1183-1189: „ისი კაცი ჩაჩნაგირი დარბაზს იყო მეტად ხასი“).

სპარსული ტექსტის მამხილებელია აგრეთვე ისეთი იშვიათი სიტყვები, როგორცაა: „ლ ა დ ა რ ი“ — დაუნდობელი, ცბიერი, მოღალატე; ეს სიტყვა რომ უჩვეულოა ქართული ენისათვის, ამას მოწმობს ის გარემოება, რომ იგი „ვისრამიანს“ მთარგმნელს გადმოუცია ქართული სიტყვით (იხ. სპარს. ტექსტი, გვ. 60, სტრ. 11 — ქართული ტექსტი, გვ. 56, სტრ. 16).

„ლ ა ზ ო“ (140)—„ლაზი“ („ლაზო“ ლაზის მაგიერად შეგვიძლია ავხსნათ რითმის საჭიროებით). [ა. შ. მოტანილია მაგალითები, გვ. 90—93. რ ე დ.].

მოყვანილი ფაქტებიც, ჩვენი აზრით, საკმაოდ ცხადყოფს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტს შემოუნახავს ჩვენთვის ისეთი სიტყვები, რომლებიც ამხილებს პოეტს, რომელსაც უსარგებელია „ქართულად ნათარგმანები“ სპარსული ამბით.

ამნაირად „ვეფხისტყაოსნის“ როგორც შინაარსი, ისე მისი გარეგანი მხარე, ვეაძლევს უტყუარ საბუთს ვალიაროთ ამ ნაწარმოების სიუჟეტი მაკმადიანურის, სახელდობრ სპარსული მოთხრობის ნაშთად. ბევრი იშვიათი არაბულ-სპარსული სიტყვა და საკუთარი სახელები (ჩაწნაგირი, მუსაფი, მაქა, მულლაზარი, დულარდუბტ), რომელთა უმეტესობა შეიძლება ახსნილ იქნეს მხოლოდ სპარსული ენის ცოდნით და რომელნიც სრულიად ეუცხოება ქართულ ტექსტს, ამკარად მოწმობს ქართული ტექსტის დამოკიდებულებას დედანზე¹⁷.

დასასრულ, გარდა იმისა, რომ მოთხრობის შინაარსი ერთი სიტყვითაც არ ეხება ქართველებს და მათს ჩვეულებას (პირიქით, წმინდა მუსულმანურ-არაბულ-სპარსული ტენდენციით არის გააღენთილი), იგი წარმოადგენს სპარსული სადევგმირო ამბის ნიმუშს. აქაც, როგორც ფირდოუსის უკუდავ ქმნილებაში, პირისპირ დგანან: ერთი მხრით, წმიდა საღმრთო იდეისთვის მებრძოლნი: ტა-

¹⁶ განსვენებული პროფესორის ჩუბინაშვილის ლექსიკონშიაც სამართლიანად არის ეს სიტყვა ნაჩვენები საზოგადო სახელად.

¹⁷ ეველა ზემორეთქმულის შემდეგ თამამად შეგვიძლია ვალიაროთ უსაფუძვლობა იმ აზრისა, რომელიც ამ რამდენსავე წლის წინათ გამოთქვა ალ. ხახანაშვილმა, რომლითაც „არაკი ტარიღო სასაქართველოში“ უნდა ეუფთვნოდეს იმ ციკლთა ნაწარმოებს რომლებიც აწვენებულნი არიან ესრედ წოდებულს მოსიარულე სიუჟეტზედ; ვითომც ზეპირად მოთხრობილი, ტარიღლის ამბავი უფროსია ხელოვნურად შექმნილს პოემაზედ; ვითომც პოემის შინაარსი ქართველი ხალხის გულიდან იყოს ამოღებული და სხვა (იხ. ა. ხახანაშვილი, ქარ. სიტყ. ისტ., 372—379, 374).

რაც შეეხება ხალხურ „ვეფხისტყაოსნს“, რომლის პოემის სიუჟეტთან შედარებითს შესწავლავთ მყარებს თავის აზრს პრ. ხახანაშვილი, იგი, ჩვენი აზრით, საინტერესოა იმ მხრით, თუ რამდენად რუსთაველის გაღქსილმა პოემამ პოემა თავის ამოძახილი ხალხის ფანტაზიაში; ეს ლექსები ხალხის ფანტაზიით გაღმამხიწებული რუსთაველის ლექსების უაზრო გაღმოდება, სხვა არაფერია.

რიელ, ავთანდილ, ფრიდონ, ხოლო, მეორე მხრით, მათნი მოპირდაპირენი: ცბიერი რამაზ ზეფე და სხვადასხვა მიაწე სულუბი, როგორც მეკობრენი, ქაჯნი (გრძნეულნი, ჯადონი) და დეენი; უკანასკნელუბის დამარცხება, მოსპობა პირველთა მიერ მოასწავებს კეთილის ბოროტზე გამარჯვებას; აკი ავთანდილის პირით გვაწენებს პოეტის: „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“-ო (იხ. ხანა 1337-1361).

IV

რომ „ვეფხისტყაოსანსა“ და დანარჩენს სპარსულიდან ნათარგმნს ქართული ლიტერატურის ნიმუშებს შორის, შინაარსის მხრით, არ არსებობს არავითარი თვალსაჩინო განსხვავება, ამას ჩვენ კიდევ უფრო აშკარად დავინახავთ, თუ მას შევეუდარებთ ორს უნთავრესს ნიმუშს: „ვისრამიანსა“ და „ბარამიანს. ორივე დასახელებული ნიმუში სპარსული ენიდან არის თარგმნილი, და, მაშასადამე, მათი შედარება „ვეფხისტყაოსანთან“ რაოდენადმე ნათელს მოპფენს იმ კითხვას, თუ რა მსგავსება არსებობს რუსთაველის უკვდავ პოემასა და ქართულ ენაზე გავრცელებულ სპარსულ ნიმუშებს შორის. ეამ დავიწყით „ბარამიანთან“ შედარებით¹⁸.

„ბარამიანი“ და „ვეფხისტყაოსანი“ ორივე ერთი ტიპის ზღაპრული მოთხრობაა: იგივე ნადირობა და უცნაური შემთხვევა: „ბარამიანში“ ბარამის ქურციკზე ნადირობა, ქურციკის დაკოდეა, ბარამის მიერ გაქცეულის ქურციკის დადევნება და დაკარგვა მისი, „ვეფხისტყაოსანში“ როსტევეანის ნადირობა, უცხო ყმის შეხედრა, მასთან ომი და ვეფხისტყაოსნის „კვალწმინდად წარხდომა“; ბარამისაგან „გულანდაის“ სურათის ნახვა და მისი გულანდამისთვის გამიჯნურება, მისი გულანდაის გულისათვის ქვეყნიდან ქვეყნად სიარული და ომი ქაჯებთან, დევებთან და სხვა; ავთანდილია და ტარიელის სამიჯნურო თავგადასავალი, ქვეყნიდან ქვეყნად მათი ხეტიალი, ომი ქაჯებსა და დევებთან; დასასრულ, წადილის მიღწევა ბარამისაგან, მისი გახელმწიფება და გამორკმულება; ტარიელის და ავთანდილის საწადელის გასრულება და მათი გახელმწიფება და გამორკმულება — ყველაფერი ნოწმობს, რომ ერთი ტიპის სადეკამირო ზღაპარია ორივე ეს მოთხრობა. ამას გარდა, როგორც ავთანდილი, ისე ბა-

¹⁸ ბარამიანის შესახებ დაწერილებითი ბიბლიოგრაფიული ცნობები და მოთხრობის ვრცელი შინაარსი იხ. ექვთ. თაყაიშვილის შრომაში: 521—542, 547—562. ე. თაყაიშვილი სრულად სამართლიანად აღიარებს (იქვე — 558): „ონანა მდივანს იმ დროს არსებული და უკვე გამოცემული პროზითი თარგმანი კი არ გაუღეჭია, არამედ სხვა ჯერ ჩვენთვის უცნობია“.

ჩვენი აზრით, ეს უცნობი ბარამიანი უნდა იყოს იგივე პროზითი ონანას საყუთარ გეოზე გადაკეთული და გაღეჭილი, „ბარამიანი“, რასაც მოწმობს ის გარემოება, რომ სპარსული „ბარამიანი“ უდრის პროზაიულ რედაქციებს და არა გაღეჭილს...

რამი. დღე და ღამე დაუყოვნებლივ მოგზაურობენ თავიანთის მიზნის მისაღწევად: როცა მოშივდებათ, ისრით ნადირს მოკლავენ, ცეცხლს დაანთებენ და ნადირებისაგან მწვადს წვავენ; ბარამისაგან სინდიდრით სავსე ჭურღმულში აფრადღევის მოკვლა და ზოელი მისი ხაზინის სიფორისათვის ჩუქება, ტარიელისაგან დევებს დახოცვა და საჭურჭლით სავსე გამოქებაულის ხელში ჩაგდება ერთნაირი ინტერესის ამბებს წარმოადგენს; ბარამისაგან ჩინეთის საზღვარზე მოქარავენ ვაჭრების შეხვედრა, მათი გაძლოლა და ნიანგის ისრით მოკვლა გვაგონებს მსგავსავე შემთხვევას „ვეფხისტყაოსანში“...

მაგრამ „ვეფხისტყაოსანსა“ და „ბარამიანს“ შორის განსხვავებაც დიდია: პირველში თითქოს შეერთებულა რომანულისა და დევგმირული ნაწარმოების თვისებები; იგი, ერთი მხრით, წარმოადგენს სამიჯნურო წიგნს, სადაც გაღმერთებულა უმაღლეს წატილადი განვითარებული ქალ-ვაჟის სიყვარული; მეორე მხრით — გმირული ბრძოლა დევებსა და ქაჯებთან; თუ, როგორც ზღაპრული სადევგმირო ამბავი, ის ჩვენ შევეუდარეთ „ბარამიანს“, — როგორც სამიჯნურო წიგნი, უნდა შევეუდაროთ „ვისრამიანს“, რომ უფრო ნათლად გამოეატყვიოთ რუსთაველის ქანის ორიგინალობა და სიძლიერე.

„ვისრამიანში“ ისე, როგორც „ვეფხისტყაოსანში“, გაღმერთებულია ქალ-ვაჟის სიყვარული, მაგრამ „ვეფხისტყაოსანის“ რომანი ძლიერ აჩსებითად განიჩნევა „ვისრამიანის“ რომანისაგან და ეს გარემოება ძლიერ აჩსილებს „ვეფხისტყაოსანის“ დამწერის მიზანს.

„ვეფხისტყაოსანის“ დამწერს წინდაწინვე ჰქონია განსაზოორციელებელი თავისი საკუთარი მიზანი. მას, თითქოს, ჰქონია გადაწყვეტილი დაეწერა ისეთი თხზულება, რომელშიაც შეიძლებოდა წრფელი რაინდული სიყვარულის დახატვა: ავტორი მშვენიერად იცნობს „ვისრამიანს“, რომელშიაც ხშირად იგონებს თავის წიგნში: მას არ მოსწონს „ვისრამიანში“ დახატული სიყვარული, რომელიც განიჩნატება მხოლოდ სულიერს ტანჯვაში, უნაყოფო სისხლის ცრემლების ღვრამი და თავდება კი ცბიერი დაღატოთ: პირუმტიციობა, სიცრუე და გაუტანალობა სიყვარულში საერთო თვისებაა „ვისრამიანის“ მოქმედ პირთათვის.

რუსთაველი, თითქოს ცდილობსო დახატოს „ვისრამიანში“ გამოყვანილი სიყვარულისაგან განსხვავებული სიყვარული.

„ბედითი ბნედა, სიკვდილი, რა მიჯნურობა გგონია? სჯობს საყვარელსა უჩვენო საქმენი საგმირონიაო“, სწერს ნესტან-დარეჯანი თავის საყვარელს. ნუ იტანჯები ცუდად, ნუ იჭრი გულს უბრალოდ, ნუ მოკვდები, შენი ვარ, მაგრამ ცუდი ბნედა ნუზარებო; საგმირო საქმეები დამანახვე და დამამტიციე ამით, რომ წრფელი, მიღავრისიყვარულის გრძნობა გაქვსო. აი, როგორი სიყვარული მიაჩნდა რუსთაველს ნამდვილ მიჯნურობად: ცუდი ბნედა და სიკვდილი რა მიჯნურობაა? საქმეები, გმირობა — აი, რა არის ნამდვილი მიჯნურობის დამამტიციეებელიო.

ავთანდილისადმი ფატმანის სიყვარულს კი სულ სხვანაირი თვალთ უცქერის ავტორი: ის ამგვარ სიყვარულს ამსგავსებს ვისის სიყვარულს. ერთხელ, როდესაც ავთანდილმა გაიზიარა ფატმანის ცხედარი და ამით უღალატა ნამდვილი მიჯნურის იდეალს („კარგი მიჯნური იგია, ვინც იქს სოფლისა თმობასა“), რუსთაველი ამბობს:

„ფატმანს ჰკლავდა უმისობა (უავთანდილობა),
რამინისა ვითა ვისსა [1080, 4].

ცხადია, აქ რუსთაველს სახეში აქვს ის ლაღატი, რომელიც ჩაიღინა რამინმა ვისის მიძარა, როდესაც იგი მოიხიზლა გულის სიღამაზით და გატაცებულმა მისი სიყვარულით, ზრულიად დაივიწყა თავისი პირველი საჭარფო ვისი, ტანტზე ასული თინათინი და ავთანდილი კი, ავტორის აზრით,

„უნახვასა და ნახულსა სჯობს ყოველსა სანახავისსა,
ნუ ექვ მიჯნურად მათებრსა, ნუშტა თუ რამინს და ვისსა.

[1543]

არათუ რამინისა და ვისისაგან, ნურავისაგან ნუ ელი ამგვარ სიყვარულსო.
[1543,4]

ერთი სიტყვით, რუსთაველი თითქოს გასჭიბრებოდეს სპარსელ მწერალს სიყვარულის დახატვაში, თითქოს სურდეს გვითხრას: ეს რა სიყვარულია, რომელიც იმან დახატაო? აი მესმის სიყვარული, ჩემ გმირებს რომ ანოქნედებს, ერთს მეორეს უმონებსო და კიდევ ეგ არის წრფელი და მძლავრი სიყვარული, რომელსაც სარჩულად გმირობა და ვაყვაცობა უღვესო.

ჩვენს ყურადღებას იპყრობს აგრეთვე ამ ორი ნაწარმოების საოცარი მსგავსება გარეგანი ფორმის მხრით. ხშირად, ვისრამიანისა და „ვეფხისტყაოსნის“ აფორიზმებს შორის ძლიერი მსგავსება არსებობს. აი, მაგალითები:

1. „ვეფხ. ტყ.“, 208 [-211]

„კაცსა მოხედეს საწადელი, რას ეძებდეს უნდა პოვნა,
მაშინ მისგან აღარა მხამს გარდასრულთა კირთა ხსოვნა“.

„ვეისრ“, 232:

„ასეთია გული ადამის ტომთა, რომე გარდასრულსა
კირისა ლხინსა შიგან დამვიწყებლა“.

2. „ვეფხ. ტყ.“, [1603,4]

„შიში ვერ იხსნის სიყვდილსა, ცუდია დარჩევილობა“...

იქვე, 776[-795]:

„არას ვარგებს სიმძიმელი უსარგებლო ცრემლთა დენა“.

„ვისრ.“, 217:

„უსარგებლოა ცუდი დაღრეჯა“.

3. „ვეფხ. ტყ.“, 50

„სმა -კმა—დიდათ შესარგი. დება რა სავარგულია!
რასაცა ვასცემ შენია, რას არა, დაკარგულია“.

„ვისრ.“, 55:

„შევონება“ — გაიხარენ, სვი და კამე, გაეც, რომელ სახელი დაგრჩეს“.

4. „ვეფხ. ტყ.“, 857 [-877]:

„ვის არ უნახვას პატყენი, ვისთვის ვინ არა ბნლდებიან“...
არ იცი, ვარდნი უეკლოდ არაუის მოუყრებინა!“

იქვე, 858 [-878]:

„ვარდსა ჰკითხეს: „ვეზომ ტურუა რამან შეგქმნა ტანად, პირად.
მივირის, რად ხარ ეკლანი? პოენა შენი რად არს კირად?“

იქვე, 859:

„რადგან ვარდი ამას იტყვის უსულო და უასაკო,
მაშა ლხინსა ვინ მოიმყის პირველ კირთა უმუშაკო?“

„ვისრ“ . 238:

„ვინცა ვარდსა დასთესავს და მოჰკრებს, ხელსა ეკალიცა დაესობის“ .

იქვე, 299:

„შენ გულო, მეწალკოტესა არა უარესხარ, არცა იგი შენი საგონებელი ვარ-
დისა ხესა უარეა; მას ხედაე, თუ რა დარგოს, რა ზომსა კირსა ნახავს მოკრეფამდინ?“

იქვე 441:

„საწუთროსა რადონწყერცა გამოსციდი, მიწყით, ასერა, რომელ ლხინი მისი უქი-
როდ არ იქნების, ვარდი მისი ეკლანი და ლხინი კირანი, მიყნურობა ფათერაკია და სარგებელი
მისი ზიანია“.

რამდენადმე წააგავს ერთმანეთსა შემდეგი ადგილებიც:

5. „ვისრ.“, 293

„სადაცა ვარდასა ეპოვებ, მოვკოცნო, ლაწეთა შენთა სახეობათვის, რა ნივმან იისა და ვარდის
სული მომართვის, ამით მოვილხენ, რომელ ეგრე ვიტყვი: ნუთუ ჩემი საყვარელი მოვა, და მისი
სული მეცემის“, იქვე—გვ. 68. სტრ. 11—12.

„ვეფხ. ტყ.“ [1329]

„ვარდთა აკოცა ბავითა, მითუ ვარდისა დარითა;
უბრძანა: „გვიკურე თვალითა, გულ-ტკბილად შემეხედვარიითა,
მისაღ სანაცლოდ მოვილხენ თქვენთანა საუბარითა“.

6. „ვისრ.“, 49: „რა გაუნათლდეს მოაბადს თვალნი ვისის წაყვანიითა, გზა-
გზა მიმავალი მოაბად მხიარულოზდა და ყოველი ქირი, რაც ენახა, დაავიწყდა“.
„ვეფხ.ტყ.“, 1555:

„ტარიელს და ცოლსა მისსა მიხვდა მისი საწაღელი..
მთ პატიყთა დაავიწყებს ლხინი ესე აწინდელი“.

7. „ვიპარ.“, 451:

„უბოში ოქრო და საქონელი ვასცა (რამინმან), რომე ძვირთა სახელი ამოხოცა, ყოველსა
შეყვანასა დაავიწყდა პირველი ქირი და უსამართლობა, ყოველნი გალხინიანდეს მთხოვენლნი გამ-
დიდრდეს, ცხვარნი მგელთა თანა ძოვდეს“.

იქვე, 255:

„იგრე უშიშრად გახდა გურგანი, ცხვარნი და მგელნი ერთად იყენიან და ცხვართა მგელნი-
უჩიონობდნან“ (სპ. ჩობან — შწყემსი)

„ვეფხ. ტყ.“, 1570 [-1664]:

„ყოელთა სწორად წყალობასა ვითა თოვლსა მოათოვდეს,
ობოლ-ქერიენი დაამდიდრეს და გლახკანი არ ითხოვდეს,
ავის მქნელნი დაამინნეს, კრავნი ცხვართა ვერ უწოვდეს,
შიგან მათთა საბრძანითა თხა და მველი ერთვან სძოვდეს“.

აგრეთვე ძლიერ გვაგონებს ერთი მეორეს რამინის, როსტევეანის და ტულ-
ლურ-ბეგ ხულთანის ეპითეტები:

8. „ვისრ.“, 1:

„იყო დიდი მაღალი სულტანი ტულლურბეგ ქუყანასა ხვარასნიასა და აღრებადვანისა,
ლაშქარმრავალი, მოვლენილი, მორკმული და აღარულმბული ყოველსა სპარსეთსა ზედა“

იქვე, 418:

„გახელმწიფებული რამინი აძლევს ღმერთს აღთქმას, რომ იგი იქნება „მოსამართლე, მდაბალი,
ღმერთის მოშიში, მართლის მეტყველი, სიმაართლის მძებნელი, გლახაკთა დაუქირველი და მოწყა-
ლე“.

„ვეფხ. ტყ.“, 32:

„იყო არაბეთს როსტევეან, მეფე ლეთისაგან სვიანი,
მაღალი, უხვი, მდაბალი, ლაშქარმრავალი, ყმიანი,
მოსამართლე და მოწყალე, მორკმული, განგებანი,
თვით მეომარი უებრო, კვლავ მოუბარი წყლიანი“.

ძალიან ჰგავს ერთმანეთს შემდეგი ფრაზებიც:

9. „ვეფხ. ტყ.“, 73:

„ზეიმი და ზარი იყო, სპანი ველთა დაფარვიდეს“.

„ვისრ“., 199:

„სინარულითა ერთობ ცათა გასწვდებოდა მისი ზარი და ზეიმი, მიწა მისთა ლაშქართა სიმრავლესა ვერ იტველა.“

10. „ვისრ.“, 59, სტრ. 10—11:

„შევგონება“ ღმრთისა განგებასა ნუეინ ემკლავების, ამით რომელ მოწვენადსა ვერვინ შეაქცევს“.

„ვეფხ. ტყ.“, 189, 4[190]

„განგებასა ვერვინ შეეცლის, არ საქმნელი არ იქმნების“.

11. „ვისრ.“, გვ. 93, სტრ. 4:

„მოწურსა ტირილი გამოახადებს და ავად მოუხდების; ცხადსა მოწურსა და ფათერაკი სლევს“
„ვეფხ. ტყ.“, 895, ტ. 1:

„სლევს მოწურსა ფათერაკი, საწუთროსა დაანაღვლებს“.

12. „ვისრ.“, გვ. 80, სტრ. 1:

(„ლონთა) კერელოთან გუელსა გამოიყვანებენ, შელოცვითა დაამშენებენ“.

„ვეფხ. ტყ.“, 881,4[-901]

„გველსა ხერელთ აღმოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი“.

13. „ვისრ.“, ქ. ტ. 80, სტრ. 11-სპ. ტ. გვ. 279, სტრ. 5:

„ლოქისა ოღენი წყალი ვგრეცა გარდმოვიღის შენთა თვალთაგან“.

„ვეფხ. ტყ.“, 830, 3[850]:

„ლოქლადცა კმარის, მას რომე თვალთაგან ცრემლი სღენია“.

იქვე, 813, 2[832].

14. ამას გარდა ძალიან ჰგავს რუსთაველის „შედარებას“, ვისრამიანის“ ორიგინალის შემდეგი ადგილები (ერთი მათგანი სრულიად გადაუსხვადფერებია მთარგმნელს. იხ. შენიშვნა „ვისრამიანის“ ტექსტის შესახებ): სპარს. ტექ., გვ. 116. სტრ. 2=ქართ., გვ. 124, სტრ. 18.:

„ეს სიტყვა უთხრა ვირომ დასა. ვისმა თვალისა მარგალიტი სწვიმა“.

იქვე, სპარს. ტ. გვ. 350, სტრ. 1=ქართ., გვ. 392. სტრ.: 2:

„მოვიდა რამინის წინა, თვალთაგან მარგალიტსა ჰყრიდა, ვითა ცა თოვლსა“.

„ვეფხ. ტყ.“, ხანანი: 159, ტ. 2; 140. ტ. 2; 1154, ტ. 1. შეუღ: ამათ „ვისრ.“, სპარ. ტექ., გვ. 54, სტრ. 14 = ქართ. გვ. 48, სტრ. 14. იქვე, ქართ. ტ.; გვ. 190 სტრ. 10 = სპარ. ტ., გვ. 176. სტრ. 2.

დასასრულ, პოეტური ფიგურები და სიმბოლიკა სრულიად ერთი და იგივეა ორივე მწერლის ენაში.

ეს მსგავსება გარეგანის ფორმის მხრით¹⁹ უტყუარი ფაქტია „ვისრამიანის“ ძლიერი გავლენისა „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის პოეზიაზე; ალბათ, რუსთაველი ძლიერ გაცნობილი ყოფილა ამ ნაწარმოებთან, რასაც, სხვათა შორის, ანტიციტებს ნის მიერ ამ ნაწარმოების მოქმედ პირთა ხშირი მოგონება.

ამნიარად „ვეფხისტყაოსნის“ შედარება „ვისრამიანთან“ და „ბარამიანთან“ გვაძლევს საბუთს ვიფიქროთ, რომ აღმოსავლეთს ქვეყნებისა და ხელმწიფეების შესახებმა ირანის ზღაპრულმა ანებებმა, ერთი მხრით, და „ვისრამიანის“ რომანით გატაცებამ, მეორე მხრით, გამოიწვია ჩვენს რუსთაველში „ვეფხისტყაოსნის“ დაწერის აზრი.

ამ ორი ნიმუშის გაცნობა და მათი შედარება „ვეფხისტყაოსანთან“ რამდენადმე ნათელს ატენს რუსთაველის შემოქმედებითს ნიჟსა. ამ შედარებიდან ჩვენ დავინახეთ, რომ, ერთი მხრით, „ვეფხისტყაოსანი“, თავისი სიუჟეტით, ძლიერ წააგავს „ბარამიანს“, გარეგანის ფორმით — კი უახლოვდება „ვისრამიანს“. მაგრამ „ვეფხისტყაოსანსა და დასახელებულნი მუშებს შორის მათი დიდი განსხვავებაა. [ხაზი ჩვენია, რედ.]

V

აქ, „ვეფხისტყაოსანში“, თქვენს ყურადღებას იპყრობს განსაკუთრებელი სიმეტრია, რომელიც დატულია შინაარსის ინტერესთა თანდათანობით ზრდაში. უცნაური გმირის „კვალმწინდად წარხლომა (ჯაცისა, ვითა დევისა)“, აეთანდროლისა და თინათინის რომანი, როგორც ტარიელისა და აეთანდროლის საუკუნო მეგობრული კავშირის ნამდვილი მიზეზი, დასასრულ — კერძოდ ვეფხისტყაოსნის ამბავი, ყველაფერი იქვე ოსტატურად აჩის მოთხრობილი და ისეთის ინტერესის გამოაწვევი სიმეტრიით შეწყობილი, რომ საკმაოა პოეტის აღმაფრენასთან

¹⁹ აქვე საჭიროდ ვრაცხ შევნიშნო, რომ ეს საოცარი მსგავსება, გარეგანი ფორმის მხრით, შეიძლება ახსნილ იქმნას გადაშორებულთა სურვილითაც, დაეახლოვებინათ, როგორც გარეგანი ფორმის, ისე ზოგიერთი ადგილებისა და ხშირად მთელი ეპიზოდების მხრითაც. ესა თუ ის ნაწარმოებები, ვისაც რომელი მოსწონდა, რუსთაველის „ვეფხისტყაოსნისათვის“. ამას მოწმობს ისიც, რომ „ვისრამიანის“ სწორედ ის ადგილები, რომლებიც ორიგინალს არ ეთანხმება, წარმოადგენენ „ვეფხისტყაოსნის“ ადგილების განმეორებას. ამგვარადვე, რასაკვირველია, შეიძლება, ახსნილ იქნას ის საოცარი მსგავსებაც, რომელიც არსებობს „ვეფხისტყაოსნისა“ და XII საუკუნის სხვა ავტორთა ამა თუ იმ ადგილს შორის.

და მის უნაღლეს წერტილამდე განვითარებულს მხატვრულ რითმასთან ერთად, რომ გაფანტოს ყოველი ეგვი ამ ნაწარმოების ორიგინალობის შესახებ. „ვეფხისტყაოსანს“ რომ გამოვყავოთ უმაღლეს წერტილამდე განვითარებული რომანული სიყვარული, პოეტური აღფრთოვანება, მხატვრული რითმა, მოქმედი პირების ფსიქოლოგიური დასურათება, მაშინ ჩვენ იგი გვეჩვენება „ბარამიანის“ მსგავს სადევგმბრო მოთხრობად. „ბარამიანში“ ჩვენ ვხედავთ უსიცოცხლო და უფერულ აღმოსავლეთის ზღაპრულ გმირებს. „ვეფხისტყაოსანში“ კი ეს გმირები ხორცშესხმულია. სცენაზეა გამოსული სამოქმედლოდ; აპიტომაც, ერთი შეხედვით, „ვეფხისტყაოსანი“ სრულიად ჰკარგავს ზღაპრის ელფერს, მაგრამ, თუ ღრმად ჩაუვყვირდებით, მის შინაარსს, ჩვენ დავინახავთ, რომ ამ ნაწარმოებში იპარება ბევრი რამ, რაც ამხილებს ავტორის მიზანს, შესცვალოს თავის გემოზე ზღაპრული მოთხრობა, გადააყეთოს და გადაჰოაქართულოს, სურვილისამებრ, ფაბულა. ავიღოთ, მაგალითისათვის, ქაჯების შესახები თქმულება.

ქართულში ხმარებული სიტყვა „ქაჯი“ ნიშნავს ავს, მავნე სულს, რომელიც თავისი სილამაზით ხიბლავს და აცთუნებს ადამიანს. როგორ არის დახასიათებული სიტყვა „ქაჯი“ „ვეფხისტყაოსანში“! ამას აშკარად დავინახავთ ავთანდილისა და ფატმანის ერთი საუბრიდან ამ საგნის შესახებ.

ფატმანი რომ დაასრულებს ნესტან-დარეჯნის ქაჯთაგან მოტაცების ამბავს, ქაჯების ვინაობით დაინტერესებულ ავთანდილსა და ფატმანს შორის გაიმართება დიალოგი.

ავთანდილი:

„ფატმანს უთხრა: „საყვარლო, ემა ხარ ჩემთვის სასურველად, მე ამბავი სანატრელი მომასმინე არ პირბუნელად, მავრა საქმე ქაჯეთისა გამაგონე კუფრო მრთელად, ქაჯი ყველა უხორცოა, რამან შექმნა ხორციულად?“

ფატმან უთხრა:

„...მომსმინე, მათლად გხედავ მანდა მკრთალსა, არ ქაჯნია, კაცნიაო, მინდობიან კლდესა სალსა“...
ქაჯნი სახელად მათ ჰქვიან, არიან ერთად კრებულნი
ყაჯნი გრძნებისა მცოდნენი, ზედან ვახელოვნებულნი,
ყოველთა კაცთა მვენებნი, იგი ვერვისგან ვნებულნი;
მათნი მემბეღნი წამოვლენ დამბრმალნი, დაწბილებულნი.
„იქმნენ რასმე საყვირველსა, მტერსა თვალსა დაუბრმობენ,
ქართა აღძვრენ საშინელთა, ნაესა ზღვა-ზღვა დაამხოვენ,
ვითა ხმელსა გაირბენენ, წყალსა წმინდად დააშრობენ,
მსწადღესთ — ღღესა ბნელად იქმენ, მსწადღეს — ბნელსა ანათობენ“.
„ამისთვის ქაჯად უხმობენ გარეშემონი ყველანი,
თვარა იგიცა კაცნია ჩვენებრვე ხორციულანი“.

ამ ადგილიდან ცხადია, რომ ქაჯი, პოეტის წარმოდგენით, არ არის ფანტასტიკური. იგი თვითონვე გვარწმუნებს, რომ ისინი ქაჯები კი არ არიან, კაცები.

აქ აშკარად ჩანს, პოეტს შეუცვლია მოთხრობის ხასიათი: აღმოსავლეთის გმირების საქმეები ყოველთვის წარმოდგენენ დევებთან, ავსულებთან ბრძოლას; მაგრამ ეგ ხომ ზღაპრული და სრულსა და ცხოველს ინტერესს მოკლებული ამბავი იქნებოდა; ამიტომ, ავტორი თვითონვე გვაფრთხილებს, ქაჯები როდია ისინი, კაცები, ქაჯებს რომ ეძახიან, იმიტომ ეძახიან, რომ საკვირველი არიან მათის მოხერხებითა და გამკრიახობით, გრძნეულობითა და ომის ცეცხლის ცოდნითა²⁰.

ამგვარი გაფრთხილება ავტორის მხრივ და სურვილი მისი, მისცეს ამ ზღაპრულ მოთხრობას უფრო სარწმუნო და არაფანტასტიკური ხასიათი, მით უფრო საყურადღებოა, რომ მას უყურადღებოდ დაუტოვებია ისეთი ადგილები, რომლებიც ამხილებს ავტორის სრულიად ზღაპრულ წარმოდგენას ქაჯების შესახებ. მას, თითქოს მისდაუნებურად, გამოპაროდეს ისეთი ზღაპრული ადგილი, სადაც ფაქტის გრძნეული წონა „გადაფრინდება“ ქაჯეთს თვალმხილვანზელად. აგრეთვე ზღაპრულია ადგილი, სადაც ფრიდონისკენ მიმავალი ავთანდილის სიმღერაზე მულღაზარში ქვეყნის ყოველი სულდგმულნი: „ზღვით ნიანგნი, ტყით ნადირნი, ცით ფრინველნი“ იყრიან თავს და სმენად იქცევიან; არაბეთიდან, საბერძნეთიდან, საფრანგეთიდან, ერთი სიტყვით — ქვეყნის ყოველი კუთხიდან იწყებს დენა აღამიანებმა და ავთანდილის გალობას მოისმენდნენ. აგრეთვე ზღაპრულია ადგილი, სადაც ტარიელი დახოცავს დევთა დასებს²¹ და წაართმევს მათ გამოქვაბულს, რომელიც სავსეა ყოველგვარი სიმდიდრით:

„პოეეს საჭურკლე უსახო კელავ უნახვი თვალისა,
მუნ იღვა რიყე თვალისა, ხელმწინდად განათალისა,
ჩნდის მარგალიტი ოდენი ბურთისა საბურთალისა,
ვინმეა ჰქმნა რიყხეი ოქროსა, ვერვისგან დანათვალისა?!”.

[1366]

ორმოცი სახლი გატენილი იყო ქონებით, აბჯარი ყოველგვარი.

„ასრე იღვა, ვითა მწნილი“ აქვე იყო ერთი კიდობანი, რომელზედაც ეწერა:

²⁰ ჩვენს ხალხურ ზღაპრებს თითქმის უმეტესობას ეტყობა აღმოსავლეთური ზღაპრების გავლენა, რის გამო ხშირად ხდება მათში კაცს დევებისა და ქაჯების შესახებ მოთხრობები; აღმოსავლეთში ქაქს წარმოდგენენ, როგორც მზეთუნახავს, მომჯადოებელ არსებას; ჩვენში ამ აზრით ხმარობენ სიტყვას „ალქაჯი“, რომელიც თავისი სიღამაზით ხობლავს და აცთუნებს აღამიანს. რუსულ ზღაპრებში *волшебница* ანუ *вародеица* ნამდვილს ქაჯების როლს თამაშობს.

²¹ დევთა დასები — სპარს. სიფოჰი დღე, სიფოჰი ჯადუეონ (შეადარე „ეისრამიანის“ სპარს. ტექ. გვ. 75, სტრ. 4). დევთა: გრძნეულთა ლაშქარნი, მოიგონეთ ამირან დარეჯანის ძე და ყმანი მისნი, რომლებიც ქაჯებს დახოცავენ, და ზღვთა მეფის ასულს ქაჯთა ტყეობიდან დაიხსნიან (იხ. „ამირან-დარეჯანის“, ტფილისი, 1897, გვ. 5).

„აქა ქმეს აბჯარი საკვირველი,
ქაქე-მუხარადი, აღმასი, ხმალი ბასრისა მკრელო,
თუ ქაქნი დეეთა შეებმნენ, იყოს დღე იგი ძნელი,
უმისჯამისოდ ვინც გახსნის, არის მეფეთა მკვლელო“.

[1368]

ამ წარწერაში ჩვენს ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ქაქები აქ დევების მოპირდაპირებულ არიან გამოყვანილნი. მაგრამ ქაქები თუ ხორციელი არიან, რატომ დევებიც ხორციელად არ გაგვაცნო ავტორმა?! იმისი გმირები ხომ დევებსაც ხშირად ებრძვიან, ხოცავენ და სიმღერით სავსე გამოქვაბულადაც კი ათმევენ?! ცხადია, ავტორმა ამ ადგილას ფაქტის პირით ქაქები კაცებად გავაცნო, იმიტომ რომ მას სურდა დაეინტერესებინა მკითხველი, მხოლოდ ისეთი აზრით, როგორც ნესტან-დარეჯანის ქაქთაგან მოტაცება: დანარჩენი ადგილი ქაქების შესახებ თქმულებიდან ისევ ზღაპრად დარჩა: თუმცა ავტორი ცდილობს დაგვარწმუნოს ქაქების ნამდვილ არსებობაში, მათი ვინაობა მაინც რაღაც საიდუმლოებით არის მოცული; ყოველი ამბავი მათ შესახებ ზღაპრულია: საოცარის სისწრაფით ხდება ნესტან-დარეჯანის მოტაცება, ანუ ფაქტის გრძნეული მონის თვალის დახამხამებაზე ქაქეთის ციხეში გადაფრენა; ქაქეთის ციხეში შესვლისათვისაც ხომ განსაკუთრებული გრძნეულების ცოდნა იყო საჭირო²². იხ. ხანანი: 1254, 1255; 1277, 1278 [= 260—261; 263—264].

სხვა დანარჩენ შემთხვევაში თვითონ რუსთაველი ქაქს ხმარობს ამ სიტყვის ნამდვილი წნიშვნელობით (იხ. წ. კ. გ. საზოგად. გამ. „ვეფხისტყაოსანი“, ტაბ. 290, 282, 92). აგრეთვე „ვისრამიანში“ ქაქი და „დევი“ ხმარებული არიან როგორც მვენე სულნი, უსხეულო არსებანი, ჯადონი (იხ. „ვისრ.“, 44, 65, 75, 73, 85, 97). ორიგინალში ქაქის მაგიერად ვხვდებით სიტყვებს: „დეი“, „დევი“, „ქაღუ“ (ჯადო), „ფერირუი“ (ქაქის ტურფა პირი), „ფერიზოდ“ (დევად ანუ ქაქად წობილი)²³.

ყურადღების ღირსია აგრეთვე შემდეგი ადგილები, რომლებიც მოწმობს, რომ ავტორს შეუცვლია საკუთარი მიზნებისათვის მოთხრობა.

ავთანდილი, გაბარვის დროს, საწან მიგზითას ილოცებოდეს, ანდერძს სწერს როსტევან მეფის მიმართ, და ეს მაჰმადიანი არაბი გვაოცებს თავისი ანდერძის შინაარსით: ნართლაც, რასა ჰგავს ეს ანდერძი?

ის არაბი, რომელიც თავისი რჯულის წესისამებრ იბარებს, რომ „მისცენ ჯლახაყებს საქურტლე და ათავისუფლონ ნონები“, რომელიც ასე გულმხუტვა-

²² სწორედ ამ სახითვე არიან დახატული ქაქები „ბარამიანშიც“, სადაც ყოველი მათი ბიჯი მოქმედება და გმირობა ზღაპრულია; მოიგონეთ შამსა და მისი ჯადოსნური ბალანი, რომელსაც ბარამი დაწვევას თუ არა, იმ წამსვე ქაქთა უძლეველი ლაშქრით მის წინაშე გაჩნდება და უზრუნველყოფს მის გამარჯვებას მოპირდაპირეზე.

²³ ამგვარადვე იხმარება ქაქი და დევი XII საუკ. საერო ლიტერატურის ნიმუშებში.

ლედ ლოცულობს მაჰმადის საკურთხეველში (მიზგიტას),—ქადაგებს წმინდა მოციქულების სწავლას სიყვარულის შესახებ „სიყვარული ავეამაღლებს, მოციქულების სიტყვითაო; თუ შენ არ გეწაინება, მათი სწავლა, უსწავლელი კაცები როგორღა უნდა დავაჭიროო“, — სწერს ავთანდილი როსტევანს თავის ანდერძში (იხ. ხანა 772); მას მოჰყავს ციტატები პლატონის სწავლიდანაც „სოცრულე და ორპირობა აენებს ხორცსა, მერმე სულსა“ (იხ. ხანა 770—771 = 789,790). ავთანდილის აზრით, საჭიროა ისე მოიქცეს ადამიანი, როგორც ფილოსოფოსები გვასწავლიან: ისე რომ არ მოვიქცეთ, როგორც ფილოსოფოსები გვასწავლიან, მაშინ მათი სიბრძნის სწავლა რაღა საჭიროა ჩვენთვისო?²⁴

ავთანდილი ანდერძში და საზოგადოდ, „ვეფხისტყაოსანში“, ნამდვილი მეცნიერი და ფილოსოფოსია; ის ფრთად სწავლული კაცია: იცის პლატონის ფილოსოფია, მოციქულების სწავლაც, ღვთისმეტყველება, მაგრამ ანაბნაანვე არაბია, მაჰმადიანია თავისი სულისკვეთებით და მისწრაფებით.

რით აიხსნება ამგვარი დიალოგია ავთანდილის ხასიათში, ამ ფილოსოფოს-რაინდის მუსულმანურ-ქრისტიანული ფილოსოფოსობა?

ცხადია, აქ ჩვენ გვაქვს საქმე პლატონის მოძღვრებასთან, რომელმაც თავისებური ელფერი მიიღო და გაერცვლა მთელს აღმოსავლეთში ნეოპლატონიზმის²⁵ სახელით. ეს ნეოპლატონიზმი, რომელიც, ჰეგელის თქმით, ხშირად აერთებდა თავისი მოძღვრებით სხვადასხვა ერთი მეორის წინააღმდეგ რწმენასა და შეხედულებას და ათანხმებდა ერთი მეორის მოპირდაპირე მუსულმანურ და ქრისტიანულ სწავლათა იდეალისტურ შეხედულებებს, წარმოადგენდა პლატონის ფილოსოფიის განყენებულ იდეათა სინაბოლს, ღვთაებრივი მშვენიერებისა და სიყვარულის შესახებ უმაღლეს წერტილადვე განვითარებას; მან, ნესიანიზმისა, ბუღიზმისა, ბრაჰმიზმისა და პარსიზმის შერევით, წარმოშვა იდეალისტური მოძღვრება, რომელმაც სამუდამოდ დაამარცხა ბერძნული ფილოსოფიის ანტროპომორფიზმი და განდევნა ანტიკური ფილოსოფიიდან ღვთაებობის ატრიბუტების შესახები სწავლა. ნეოპლატონიზმის ღრმა აზროვნება გამოიხატა სინაბოლის იდეის განვითარებაში.

ამ ნეოპლატონიზმს უნდა ჰქონოდა ყველაზე უფრო მდიდარი წილადგი საქართველოში, რომელიც, როგორც ვიცით, გადაიქცა ნამდვილ ბრძოლის ველად კულტურულის ბატონობისათვის ორ მეტოქეს — მუსულმანურ-სპარსეთ-არაბეთსა და ქრისტიანულ ბიზანტიას შორის; ამ მეტისმეტად საინტერესო მოძღვრებამ, რომელმაც ახალი სული ჩაუღდგა ლოკრატისა და პლატონის ანტიკურ ფილოსოფიას, ფრთად დიდი გავლენა იქონია მთელ ქრისტიანულ ფილოსოფიაზე და მასთან ერთად საქართველოს ფილოსოფიაზე, იმ საქართველოსი, რომელსაც

²⁴ ნეოპლატონიზმის შემქმნელი იყო ალექსანდრიელი სკაქასი, რომელიც გარდაიცვალა 242 წელს, მის საუკეთესო მოწაფედ ითვლება პლოტინო.

ისეთი მკიდრო კულტურული ურთიერთობა ჰქონდა ბიზანტიასთან, ამ ფილოსოფიის სამშობლოსთან, და ყველა განათლებული სახელმწიფოს კულტურათმცნველურ არაპუთთან. კულტურულ მიზნებში ბიზანტიასა და აღმოსავლეთთან ნეტოქეობამ და განათლების საქმის ჩინებულად მოწყობამ XII საუკუნეში საქართველოსთვის ოქროს ეპოქის შექმნელის დავით აღმაშენებლისა და თამარის მეფობაში, — ყველა ამან ის ნაყოფი გამოიღო, რომ საქართველო გადაიქცა მთელი იმდროინდელი ფილოსოფიის წამდვილ სალაროდ და, მასმასადამე, საუკეთესოდ შეითვისა ნეოპლატონიკური სწავლა-მოდერებატ.

მართლაც, ჩვენ ვამჩნევთ ამ ქართულს სწავლა-განათლების აყვავების ხანაში ნეოპლატონიზმის მიმდევართა მთელ წყებას.

ჩვენს წარსულს ამკობენ და ამშვენებენ ისეთი სახელები, როგორებიც არიან: იოანე პეტრიწი²⁵, თამარის თანამედროვე ფილოსოფოსი და სწავლული, რომელმაც დიდი დევნა აიტანა ბერძენთა და ქართველთაგან ნეოპლატონიზმის მიმდევარობისათვის²⁶, იოანეს მოწაფე, ეფრემ მცირე, რომელსაც ნიაწურენ დიონისი არეოპაგიტის თარგმანს, გიორგი ჭყონდიდელი, არსენ იყალთოელი და სხვები.

ამ სკოლას ფელთენის პოეტი ფილოსოფოსი, „ვეფხისტყაოსნის“ შემქმნელი, ჩვენი წოთა რუსთაველიც.

მკრამ აბუ ერთს იმ დროის ფილოსოფოსს არ დაუტოვებია ჩვენთვის ისეთი ძეგლი, როგორიც არის შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“. ეს წიკნი იმდროინდელი საქართველოს ნეოპლატონიკურ შეხედულებათა საუკეთესო გამოსახულებაა.

იმ საუკუნოთ აფორიზმებსა და პოეტურ ფიგურებს გარდა, რომლებიც გვაგონებს ანალოგიურ ადგილებს „ვისრამიანადან“, ჩვენ არა ერთგზის ვხვდებით მის უკვდავ ქმნილებაში პლატონის, დიონისის არეოპაგიტისა²⁷ და სხვა ფილოსოფოსების ბრძნულ აზრებს, ნეოპლატონიკური იდეებით გაყდენთილია ამ ნაწარმოების ყველა საუკეთესო ადგილი, საკმაოა, აღვნიშნოთ ავთანდილის ანდერძი, რომელმაც ავტორი ნეოპლატონიკურად აფილოსოფოსებს თავის გმირს ავთანდილს (იხ. ზემოციტ. ხანები: 770—774 და 778—779). ზოლო თვით გამოყვანილი სიყვარული, ამ დიდებული ნაწარმოების მთელი ჭახრაკის ამამობრავებული, განმაცოცხლებელ ჭველად მიმდინარე მთელი პოემის შინაარსში,

²⁵ იოანე მოქალაქობდა პეტრიწონს, ბოლგარეთში, რის გამო ეწოდა მას ეპიტეტი „პეტრიწონელი“.

²⁶ Н. Март, Из книги царевича Баграта, 1699, гл. 239.

²⁷ დიონისი არეოპაგეტი ძლიერ მოწონებული ყოფილა ქრისტიან ნეოპლატონიკთა შორის; მას ხშირად ახსენებენ XII საუკ. ქართველი მწერლები ერთს V საუკ. ცნობილის საეკლესიო მწერლის ენისის გვერდით; ეს ენისი იყო ნეოპლატონიკური სკოლიდან; იგი იყო აღუქსანდრიელ ნეოპლატონიკის პიეტოტლესის მოწაფე (იხ. Н. Март, ТР., IV, гл. 41).

ვველაზე მჭერმეტყველური საბჭოთი არ არის იმისა, რომ ჩვენი პოეტი ეკუთვნის ნეოპლატონიკურ სკოლას? მაშასადამე, ეს ფაქტიც, სხვათა შორის, გვიჩვენებს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ფაბულაში უნდა მომზდარიყო ძირითადი ცვლილებები, პოეტის მსოფლმხედველობის გავლენით, და პირვანდელი მისი ფაბულა — უფერული მოთხრობა ირანის ზღაპრულ გმირთა შესახებ უნდა გადატყუვიყო დიდი გენიის ქმნილებად, რომელიც შეიცავდა თანაქედროვე კულტურულ მიმდინარეობათა მთელ ნაყოფს; ამ აზრით, შოთა რუსთაველი უნდა ჩაითვალოს თავისი დროის საუკეთესო გამომხატველად, რომლის მიზანართულება ხასიათდება საქართველოს ისტორიის ოქროს ეპოქის ძველი რაინდული სულის იდეალისტური სწავლა-მოძღვრების სულთან შეერთებით.

ამნაირად პოემის სიუჟეტის განხილვა ცხადყოფს შემდეგს: იმ მიზნით რომ დაეხატა წარფელი რაინდული სიყვარული, რომელსაც სარჩულად გმირობა და ვაჟყაცობა ედგა, რუსთაველს აუღია რალაც უძველესი, „ბაპრანიანის“ ტიპის, აღმოსავლეთის ქვეყნებისა და ხელმწიფეების შესახებ სპარსული სადევგმირო ზღაპარი, რომელიც ფართო ადგილს აძლევდა პოეტის შემოქმედებითს ნიჭსა და განუსაზღვრელ გრძობას, და, აღუყვანია, თავისი საკუთარი გენიის წყალობით, მხატვრობის უმაღლეს ხარისხამდი. მან სავსებით მიადწია თავის მიზანს, და ეს უბრალო ზღაპარი, რომლის თავგადასავალი წარმოადგენდა დევებსა და ავსულებთან ბრძოლას, აქცია უკვდავ ნაწარმოებად, ნამდვილ ეპოპეად, რომელსაც საუკუნეების განმავლობაში ასე მწყურვალევიტ ეწაფებოდა ქართველი ერი.

ამით ვათავებთ ამ ჩვენს წერტილს, რომლის შინააზრის რეზიუმე ასე შეგვიძლია გამოვთქვათ:

ჩვენი XII საუკუნის საერო მწერლობა სპარსული ლიტერატურის პირმშო შეილია; იგი სპარსული საკართ ლიტერატურის გავლენით იყო გამოწვეული; სპარსული საკართ ლიტერატურა სრულიად შეესაბამებოდა თამარის საქართველოს ბრწყინვალე პოლიტიკურ მდგომარეობას და ძველი ქართველის რაინდულ მიმართულებას; ამ ლიტერატურის მიმართულების უძლიერესი გამოწვეველია რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“. თუმცა ამბავი უცხო ქვეყნებს და ხელმწიფეებს ეხებოდა, ავტორმა იმდენად შესცვალა და გადმოაქართულა ეს ზღაპრული მოთხრობა, რომ დღეს, თვალწინ რომ გვედგას ის უცხო ხელმწიფეების შესახები ამბები, რომლებიც მან ლექსად გარდათქვა, ჩვენ მსგავსებასაც ვერ ვპოვებდით მასში ისეთ დიდებულ ნაწარმოებთან, როგორიც არის „ვეფხისტყაოსანი“. ის იყო „ამბად ნათქვამი“ ეს კი „წყობილი მარგალიტია“, ის იყო ჩონჩხი ეს კი გენიის უმაღლესი და უმშვენიერესი ნაწარმოებია.

მასადამე, კითხვას რომ ვიძლევი იმის შესახებ, ორიგინალია თუ არა „ვეუხისტყაოსანი“, ისრულიად უსაფუძვლოდ ვაყენებთ ამ გვარს კითხვას; ჩვენი აზრით. უმჯობესი იქმნება და უფრო კემპარტ გზაზე დაგვაყენებს კითხვა. თუ რაჰდენად შეიძლო რუსთაველმა შეესწავლა და გადმოეჭარულებინა ის უცხო ფაბულა, რომელიც წარმოადგენდა უმნიშვნელო ზღაპარს, მის უკუდავ პოემასთან შედარებით.

3^ა დეკ. 1905 წელი,

ქ. თბილისი

კრებ. „ძველი საქართველო“, თბ., 1909, განყ. II, გვ. 69—112.

[„ვეფხისტყაოსნის 1913 წლის გამოცემის შესავალი წერილის“
დასკვნები

პირველი და საუკეთესო ნაწილი „ვეფხისტყაოსნისა“ დაწერილი უნდა იყოს სარგის თმოგველის მიერ 1250 წლის ახლოს. სარგის ამ თავისი ნაწარმოების დამთავრება ვერ მოუწერია. როდესაც თმოგველთა გვარი თმოგვიდან წასულა, ეს დაუმთავრებელი პოემა ხელში ჩაეარდნია შოთა რუსთაველს, რომელსაც ის წარუდგენია საქართველოს მეფის გიორგი VIII-ს შვილის დავით მეფისათვის. დავით მეფეს უბრძანებია პოემის დამთავრება თამარ აფხაზ-იმერეთის მეფის საქებ-სადიდებლად. ამ თამარზე თვით შოთაც გამიჯნურებული ყოფილა. შოთა უნდა ყოფილიყო დიდგვარიანი კაცი, მესხი, რომელიც ახლად დასამული უნდა ყოფილიყო რუსთველად. შესაძლებელია, ის იყო მხარგრძელების ერთ-ერთი შტოს, ეგებ თმოგველების წარმომადგენელი. სარგისის მიერ დატოვებული უკანასკნელი „ამბავი“ იწყებოდა ამ გამოცემის 1166 [= 1213] ტაეპიდან. რასაკვირველია, გადაქრით იმის თქმა, თუ სახელდობრ რომელ ადგილიდან იწყება შოთას ნაწარმოები, ჭერჯერობით ცნელია; ადვილად შესაძლებელია, რომ ამ ამბავის ცოტა ნაწილი სარგის თმოგველს ეკუთვნოდეს. ისიც შესაძლებელია, რომ შოთას სარგისის ნაწარმოებისათვისაც კალანი გაეკრას და შიგ ზოგი რამ რედაქციული ცვლილება შეეტანოს. ყველა ამის გამორკვევა ცალკე შრომას მოითხოვს. მთელ პოემას შოთამ წარუმიძღვარა წინასიტყვაობა, რომელშიაც გამოთქვა თავისი შეხედულება შაირობასა და მიჯნურობაზედ. შოთა ცხოვრობდა XV საუკუნის პირველ ნახევარში, თავისი შრომა, შეასრულა 1405—1412 წლებში, ხოლო 1435—1440 წლ. მანვე ჩაუნატა პოემას ზოგი რამ ტაეპები (მეორე რედაქცია). შენდევ XV საუკ. მეორე ნახევრისა, XVI და XVII საუკ. განმავლობაში „ვეფხისტყაოსანმა“ გაიარა რამდენიმე რედაქტორის კალმის ქვეშ და ამ რედაქტორების ჩანართმა ტაეპებმა დიდად განავრცეს პოემის ტექსტი.

„ვეფხისტყაოსნის“ პრობლემის გარეშემო

საკითხი „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ იმ ცნობილი მნიშვნელობის გამო, რო-
შელიც ეძლევა ამ პოემას არა მარტო წმინდა ლიტერატურული თვალსაზრი-
სით, არამედ საერთოდვე ქართველი ხალხის ისტორიულ-კულტურულ განვითა-
რების პროცესის გაგების მხრივ, არის და იქნება ჩვენს სამეცნიერო ლიტერა-
ტურაში მუდამ ახალ ძიებათა აღმძვრელი. მით უმეტეს ეხლანდელს პირობებ-
ში, საკითხის თანამედროვე განვითარებაში, როდესაც ძირითადი კითხვები პო-
ემის წარმოშობისა, მაგალითად დროის და ავტორის მიხედვით, ჯერ კიდევ არ
შეიძლება ჩაითვალოს გამოჩვეულად. ხოლო საკითხი პოემის წარმოშობისა
ეპოქის და ავტორობის მხრივ არის, რასაკვირველია, უდიდესი მნიშვნელობის.
მაგრამ რამდენად ეს საკითხი არის მნიშვნელოვანი, იმდენად მისი გარდაწყვე-
ტა საძნელოდ ხდება და ეს სიძნელე გამომდინარეობს არა მარტო პოემის წარ-
მოშობის შესახებ მტკიცე ცნობების უქონლობიდან, არამედ „ვეფხისტყაოს-
ნის“ მეცნიერულად ჯერ კიდევ ჯეროვნად შეუსწავლელობისა და ამასთანავე
ქართველი ერის საშუალო საუკუნეების სულიერი, ცხოვრების შესახებ მტკი-
ცე პერსპექტივის უქონლობიდან. ამით აიხსნება, რომ კერძოდ უკანასკნელ ხა-
ნებში საკითხმა „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ გამოიარა რამდენიმე საფეხურის
ცვალებადობა. ჯერ კიდევ 1911 წელს ჩემ მიერ საისტორიო და საეთნოგრაფიო
საზოგადოებაში წაკითხულ მოხსენებაში თემამზე „მოაღწია თუ არა ჩვენამდის
შვეთელის აბდულ-მესიამ“ (იხ. ანგარიში, „სახალხო გაზ.“, 13 მაისის 1911 წ.)
გამოთქმულ იქნა, წინააღმდეგ მიუღებელი აზრისა, მოსაზრება, რომ შოთა რუს-
თაველის „ვეფხისტყაოსანი“ შეიძლება დაწერილი იყოს მე-14 საუკუნეში და
სახელდობრ ამ საუკუნის მესამე მეოთხედში. ამის შემდეგ 1913 წ. მარტში თბი-
ლისის უმაღლეს კურსებთან არსებულ საისტორიო საზოგადოებაში ჩემ მიერ
წაკითხულ მოხსენებაში უკვე ვრცლად დასაბუთებული იყო დებულება შოთა
რუსთაველის ცხოვრების დროის შესახებ მე-15 საუკ. დასაწყისისათვის და თუმ-
ცა აქვე ნაჩვენები იყო „ვეფხისტყაოსნის“ მთავარი ნაწილის უფრო ადრინდე-

ლი და სხვა ავტორის ხელში წარმოშობა, მაგრამ უკანაქნელი მომენტი დასმული საკითხის გაწეშვებო ატეხილ ლიტერატურული დავის და საზოგადოდ დამდგარ არასასიამოვნო ატმოსფეროს გამო დაჩრდილულ იქმნა და მან ვერ პოვა საკმაოდ მკაფიო გამოხატულება, სხვათა შორის, დებულების ჯერ კიდევ საზოლოოდ ჩამოუყალიბლობის გამოც, იმავე წლის აპრილში ქართულად „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ წაკითხულ ლექციაში. პოემის გამოცემაში შემდეგ გამოთქმულ იქმნა ეგვევ მოსაზრება შოთა რუსთაველის ცხოვრების დროის მე-15 საუკ. პირველ ნახევრისათვის დაკავშირების შესახებ, ხოლო პირველი და საუკეთესო და ძირი ნაწილი „ვეფხისტყაოსნისა“ მიკუთვნებულ იქმნა სარკის თმოგველისთვის, რომელსაც პოემა შეიძლება დაეწერა 1250 წლ. ახლო ხანებში („ვეფხისტყაოსნის“ ს. კაკაბაძისეული გამოცემა, წერილი „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ).

სამწუხ. ზოდ, მუშაობა ამ გამოცემის დაშინადების დროს აჩვენებულ არა მარტო ნივთიერ დაპრკოლებათა, არანედ სხვა, მორალური ხასიათის — ეხლა თავისი სისასტიკით თითქმის გაუგებარ — სიძნელეთა გამო (იხ. იქვე, წინასიტყვევ., გვ. 3), ვერ წავიდა სასურველად და პოემის სრული ტექსტის გამოცემის პირველი ცდაც გამოდგა სუსტი. წიგნის ბეჭდვის დამთავრებისას ეს სისუსტე, დამოკიდებული აგრეთვე მუშაობის სირთულისაგანაც. გამსაკუთრებით ცხადი შეიქმნა, რის ვანო ჯანწარახელი იყო სრული ტექსტის ამ პირველ გამოცემას მოჰყოლოდა მეორე. ახლად დალაგებული და შესწორებული გამოცემა. მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ დაწყებულმა მსოფლიო ომმა შეუძლებლად გახადა ამ საქმის შესრულებაც.

მსოფლიო ომის წარმოების დროს ავად ნ. მარნა გამოაწვეყნა თავისი ახალი გამოკვლევა «Грузинская поэма «Витязь в шкурке» Шоты из Руставы и новая культурно-историческая проблемма» (ИАН, 1917, 415—506). ამ გამოკვლევაში, რომელშიაც ჩემი მოსაზრება შოთა რუსთაველის ცხოვრების დროის შესახებ, შემდეგ წარმოებულ ძიებათა მიხედვით რამდენადმე შეცვლილი — ალბათ პირადად ნ. მართან აზრის გაზიარების გამო, — გამოხატულია როგორც მე-14 საუკუნესთან დაკავშირებით. ცნობილი მეცნიერი ავითარებს, თუმცა არა გადაჭრით, ორს დებულებას: ერთი, რომ შოთა მართლაც შეიძლება იყოს მე-14 საუკუნის ავტორი და მეორე, რომ ის უნდა დაკავშირებული იყოს მუსულმანურ კულტურულ სამყაროსთან.

უკანასკნელ ხანში ჩვენში ასევე განცხობველდა ინტერესი „ვეფხისტყაოსნისადნის“. 1920 წ. გამოვიდა პოემის ტექსტი ვახტანგ VI-ის შემდეგ მომდინარე ტრადიციული მოცულობით დ. კარიჭანვილის რედაქტორობით. ტექსტი შეიცავს მცირეოდენ შესწორებას, ხოლო წინასიტყვაობაში რედაქტორი კვლავ აღად ტოვებს საკითხს პოემის ავტორის ვინაობის შესახებ. დ. კარიჭანვილი პო-

ემის მისი რედაქტორობით გამოსულ წინა გამოცემაში, როგორც ცნობილია, ადგა იმ აზრს, რომ წინასიტყვაობა, პემისა წარმოადგენს სრულიად დამოუკიდებელ ნაწარმოებს, რომელსაც პოემის შინააჩსთან არაერთგვაროვანი კავშირი არა აქვს.

განსაკუთრებით გაძლიერდა ინტერესი „ვეფხისტყაოსნისადმი“, როდესაც 1922 წელს თფილისში წაკითხულ იქმნა მთელი რიგი მოხსენებათა პროფ. ივ. ჯავახიშვილის, პ. ინგოროყვას, და ს. გორგაძის მიერ, პოემის პრობლემის გაშუქებასა და გარდაწყვეტასთან დაკავშირებული. ზსენებული პირნი თავის მოხსენებებში სხვადასხვა თვალთახედვით ამტკიცებდნენ შოთა რუსთაველის დიდი თამარ მეფის თანამედროვეობას და ამასთანავე ცდილობდნენ პოემის შინაგან თვისებათა გაგებასაც. 1923 წ. კიდევ გამოვიდა ი. აბულაძის წიგნი „მე 12-ს ქართული საერო მწერლობა და „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც ფაქტიურად წარმოადგენს ავტორის ძველი ნაწერების გამოცემას, მაგრამ შეიცავს ზოგიერთ ახალ გლოსებასაც. შოთა რუსთაველის პოემასთან დაკავშირებული საკითხები აწვავად ხელახლა და ეს იც აზარვეულმბრავი სიძლიერით წამოიჭრნენ და ეს გრემოება გეაძღლებს ჩვენც ამ პრობლემასთან დაკავშირებულ, უკვე დიდი ხანია დამზადებულ, მაგრამ ჭერ გამოუქვეყნებელ დაკვირებათ დავუბრუნდეთ. ჩვენ ამჟამად არ შეეცხებით პოემის პრობლემას მთლიანად. არამედ საკითხს განვსაზღვრავთ მხოლოდ გარკვეული ფარგლებით და ზოგიერთი ძირითადი საკითხის შეძლებისდაგვარად გაშუქებით.

პოემის გასაშუქებლად ისტორიული თვალსაზრისით, როგორც მისი დროის წარმომოზისა, ისე ავტორის ვინაობის მხრივ, უდიდესი მნიშვნელობა აქვს, როგორც ცნობილია, „ვეფხისტყაოსნის“ წინასიტყვაობაში დაცულ ცნობებს მგოსნის ვინაობის შესახებ (რუსთაველი), პოემის სიტუეტის სადაზრობისა („ესე ამბავი სპარსული ქართულად ნათაგრმანები... ვპოვე და ლექსად გარდავთქვი“...) და პოეტის შემოქმედების დაკავშირების შესახებ თამარ მეფის სახელთან. მაგრამ თუ საზოგადოდ პოემის ტექსტს ახასიათებს შემდეგდროინდელი რედაქტორების მიერ მრავალი ახალი ტაეპის გამოჩენა, კერძოდ წინასიტყვაობა, გარეშე ნათაულ ტაეპებისა, წარმოვეიდგენს ჩვენ ზოგიერთი რედაქციების სახით თვალსაჩინო და ხშირად ძირითად შინაგან ცვლილებებს. ამ ცვლილებებისათვის სეროიზულად ანგარიშის გაწევა, პოემის რედაქციების საერთო განვითარებასთან ერთად, აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, რადგან მხოლოდ გულდასმით და დეტალური შესწავლა ყველა არსებულ და ხელნაწერებში წარმოდგენილ რედაქციების მოგვეცემს ჩვენ საშუალებას, რამდენადმე მაინც გავცხრილოთ კერძოდ პოემის წინასიტყვაობა და წარმოვეიდგინოთ როგორც წინასიტყვაობის, ისე საერთოდ პოემის ტექსტის თანდათანობითი განვითარება შემდეგდროინდელი რედაქტორების ხელში. მაშინ შეგვეძლება პოემის თვითპირვანულ ტექსტსაც, რამდენადმე მაინც, დავუახლოვდეთ. ამას კი, რასაკვირვე-

ლია, უდიდესი მნიშვნელობა აქვს პოემის წინასიტყვაობაში დაცულ ისტორიულ-ლიტერატურულ ხასიათის გლოსათა შესაფასებლად.

სრული ტექსტი პოემის წინასიტყვაობისა ნართაულ ტაეპებითურთ შეიცავს 40 ტაეპს და შეიძლება გაყოფილ იქნეს შინაარსის მიხედვით სამ ნაწილად: შესავალი, შაირობისათვის და ნიჯნურობისათვის. ასეთი სიუჲციით წარმოდგენილია წინასიტყვაობა „ვეფხისტყაოსანი უერცელესს რედაქციებში“, რომელიც დატულია იოანე ავალიშვილის მიერ შესრულებულ ხელნაწერში და საისტორიო საზოგადოების ხელნაწერებში № 54 და 757. ამ ხელნაწერთაგან უკანასკნელი ორი თავისი მოცულობის მხრივ უკვე აღწერილია (ს. კაკაბაძისეული „ვეფხისტყაოსანის“ განოცემა).

იოანე ავალიშვილის მიერ შესრულებული ხელნაწერი კი, ამას წინათ მოსკოვიდან გადმოტანილი, მე განეხილე ვრცლად და მივედი იმ დასკვნამდე, რომ ხელნაწერი უნდა იყოს გადაწერილი იოანე, შუჲდევ მთავარეპისკოპოსის ავალიშვილის მიერ 1600 წლის აქლო ხანებში, უკეთ 1590—1600 წ. ხელნაწერი წარმოადგენს იშვიათ ძეგლს ქართული კალიგრაფიისას და თავის ძვირფას შემკულობათა მიხედვით ქართული საერო მნატვრობისასაც, რის გამოც იოანე ავალიშვილი. გვევლინება ჩვენ არა მარტო საუტსხოო ქართველ კალიგრაფად, არამედ იმავე დროს ერთ უდიდეს მხატვრადაც. ტექსტის მოცულობის მხრივ ეს ხელნაწერი მთლიანად, გაზდა მცირეოდენ, შემდეგ სხვა ხელით ჩამატებულ ადგილებსა, წარმოკვიდგება იცვარად, როგორც ამას ვხედავთ მეორე ძვირფასად შესრულებულ ეგრეოდებულ გიორგი მეფის ხელნაწერში (№ 54). მათ განასხვავებს ერთმანეთისაგან მხოლოდ მცირეოდენი ორთოგრაფიული ხასიათის ფაქტები. დაწერილებით ამ უძველესს ჩვენამდის მოღწეულ ხელნაწერს მე შეეჯებები სხვა ადგილას. ამჲამად კი ჩვენი მიზნისთვის საკმაო აღინიშნოს, რომ წინასიტყვაობა აქაც წარმოდგენილია უერცელესი რედაქციით (40 ტაეპი). ისე როგორც ხელნაწერებში № 54, 757. რაც შეეხება საერთო შედგენილობას პოემის ტექსტისას ამ ხელნაწერებში, ის შეიძლება წარმოდგენილ იქნნას ჩვენ მიერ განოცემულ „ვეფხისტყაოსანის“ მიხედვითაც. ამ რედაქციათაგან, როგორც თავის დროზე ნაჩვენები იყო № 54-ის ტექსტი, ესლა კიდევ resp. იოანე ავალიშვილის ხელნაწერის ტექსტი, წინაუსწრებს ხელნ. № 757-ის ტექსტს. ორივე ამ რედაქციას ახასიათებს ნართაული ტაეპები ი, ხოლო № 757-ის რედაქცია კიდევ უმატებს ტაეპებს ია. ავალიშვილისა და № 54-ის რედაქციას, ისე როგორც სხვა რედაქციებსაც, წინაუსწრებს საერთო შემადგენლობის მიხედვით ცალკე რედაქცია. წარმოდგენილი სტილისტური ურთიერთ შორის განსხვავებით ხელნაწერებში საისტორიო საზოგადოებისა № 599 (1646 წლისა) და წერაქითხვის საზოგადოებისა № 2829 (1688 წლისა). ამ ხელნაწერებს შორის მეორეში (№ 2829) წინასიტყვაობის ტექსტი დატულია საესებით, მხოლოდ შეიცავს ის სულ 27 ტაეპს. ხელნაწერი № 599 კი თავში დეფექტიანია, ასე რომ ტექსტი იწყება ტაეპიდან: „მეორე ლექსი ცოტაი ნაწილი მოშაირეთა“. № 2829 ხელ-

ნაწილად შედარებით აქ აკლია, მაშასადამე, 10 ტაეპი და, ვარდა ამისა, კიდევ სათაური. № 599 ხელნაწერში წარმოდგენილ წინასიტყვაობის თავნაწილის შემადგენლობის გასაჩვენებლად დიდი მნიშვნელობა აქვს იმას დადენას, თუ რამდენი ტაეპი უნდა აკლდეს თავში ამ ხელნაწერს...

ტაეპი. „საბერძნო სპიჯი“, თბ., 1924, გვ. 120—125.

...პოემის ავტორად, ამგვარად, მის გაგრძელებაში მოთავსებული ცნობის მიხედვით, ჩანს სარგის თმოგველი: თმოგველთა მიერ თმოგვის მიტოვების შემდეგ პოემის გაგრძელება დაუწერია ორსთველს. მას უნდა ეკუთვნოდეს პოემის წინასიტყვაობის ნართაული ტაეპები თამარ მეფის მოხსენიებით. ეს თამარი უნდა იყოს მე-14 საუკუნის პირველ მესამედში მცხოვრები პიროვნება, რომლის ვინაობა ზემოთ გარკვეული იყო.

რომ მართლაც პოემა მე-13 საუკუნის ნაწარმოებია და არა უადრესი ამ საუკუნის ნორე ნახევრისა, რომ ის დაწერილია კერძოდ დიდი თამარ მეფის ხანის შენდევ, ეს ცხადად მტკიცდება თვით პოემაში წარმოდგენილი რეალების მიხედვით. ეს რეალები თავის დროზე უკვე გარჩეული იყო („ვეფხისტყაოსნის“ ს. კაკაბაძე, წერილი) და მათი აღიარება ამ თვალსაზრისით საუბრით რჩება ივ. ჯავახიშვილის მიერ უარყოფითი კრიტიკის შემდეგაც (ქართ. ერ. ისტ., II, 662—666). ფრიად საინტერესოა, მაგალითად, „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა ჯდომის წესი. ისინი ჩვეულებრივ ჯდებიან სკაზე (ტ. 472, 721, 1016), ბალინზე (ტ. 376, 520, 1213). და მხოლოდ ერთხელ სელზე (ტ. 113). საკითხი აქ ისე კი არ დგას, თითქოს ქართული სალიტერატურო ენა მანადის არ იცნობდა სიტყვას სკაზე და ბალინს, — სკაში მოხსენებულია ჯერ კიდევ მე-XI საუკუნე, ანტიოქიის ახლოს დაწერილ გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებაში, ხოლო ბალინი ცნობილი იყო სპარსულშიც, კერძოდ, ჩინელებსა და მონაგოლებში მე-13—14 საუკუნეში ეს სიტყვა იხმარებოდა ფულის საანგარიშებლად და უდრიდა 6 დინარს. შესაძლებელია ეს სიტყვა ქართულშიც საკმაოდ ადრე იყო ცნობილი, თუმცა ლიტერატურულად მისი დამატება ყველაზე ადრე ხერხდება მხოლოდ „ვეფხისტყაოსანსა“ და დარბაზობის წესის განებაში, რომელიც მე-14 საუკუნეში უნდა იყოს შედგენილი. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც ცხადია, რომ მე-12 საუკუნის ყოველდღიური ცხოვრება ქართველებში არ იცნობდა არც ერთს და არც მეორე სიტყვას. ეს ცხადად ჩანს თამარ მეფის ეპოქის სამ მემკვიდრეთაგან მისი თანამედროვე ორი მემკვიდრის თხზულებიდან, რომლის მიხედვით მე-12-13 საუკუნის მიჯნაზე საქართველოში ჩვეულებრივ ჯდებოდნენ სელზე, სამეფო სასახლეში კიდევ ოქროქედის სელზე, ხოლო მღვდელმთავრნი — საყდარზე („ვეფხისტყაოსნის“ კაკაბაძისეული გამოც., წერილი, 52). ბალინის შესატყვისობას დიდი თამარ მეფის დროს კიდევ წარმოადგენს სასთაული (იქვე, 53). ეს გარემოება „ვეფხის-

ტყაოსანს“ ცხადდ უკავშირებს დიდი თამარის შექმნის შემდეგროინდელ ხანას, როდესაც მონგოლების ბატონობის დამკვიდრებამ დაბადა ახალი ურთიერთობანი ფრიად ვრცელ ტერიტორიაზე და ქართულ ლიტერატურულ ენაშიც, განსაკუთრებით სპეციალურ სიტუაციაზე აგებული პოემის საშუალებით, შესაძლებელი შეიქმნა ახალი ტერმინების შემოღება ანდა ძველი ტერმინების კვლავ განახლება. ქართულში ახლად შემოღებული და ისიც მონგოლების გაძლიერების დროიდან, როგორც თავის დროზე ნახევრები იყო (იქვე), უნდა იყოს სიტყვა ხანი და ხატათი (ტ. 387).

ამასთან დაკავშირებით ზედმეტი არ იქნება მოვიგონოთ, რომ მე-1240 წლებიდან ქართველნი დიდებულნი ხშირად იძულებული იყვნენ პოლიტიკური საქმეების განო შორეული აღმოსავლეთი მოეარათ. კერძოდ, 1246—1249 წლებში მათიანის სიტყვით მრავალნი წაჩინებულნი ქართველნი ორივე დავით ბატონიშვილის მეთაურობით „მრავალემ იყოფოდეს ხატათს და ყარაყურუმს“ („ქ. ცხ.“ I, 378). მაშასადამე, მაშინვე ქართველთ ამ დროს საშუალება ჰქონდათ თუქულ-მონღოლური ხალხების. ცხოვრებას ახლოს გაცნობოდნენ. ამასთან ერთად შესაძლებელია რელიგოზური მნიშვნელობას არ იყოს მოკლებული ერთი გამოთქმა პოემაში:

„ქე ამბაი მართალი ჩინა (ჩინეთს) ქუას ზედან სწერია:
ვინ მოუყარეს არ ეძებს, იგი თავისა მტერა“....

ეს გამოთქმა შეიძლება ლატერატურულ წყაროზე არ იყოს დამოკიდებული, როგორც ამას ფიქრობდა ნ. მარი (Грив. поема VIII. в нарц. шкуре. — ВАН, 1917, გვ. 420). საინტერესოა კიდევ პოემაში გამოთქმა—„ვერ გარდვიცი ცრემლთა მისთა, ჯონიცი თულთა მდინდეს“ (ტ. 710). რაც შესაძლებელია აგრეთვე წარმოადგენდეს არა მარტო ლიტერატურული ვზით შემოტანილ მეტაფორას, არამედ მე-13 საუკუნის ნახევრიდან შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობის გამო გეოგრაფიულ თვალთახედვას გაფართოების მონაგონარსაც.

იქვე, გვ. 153.

დასკვნა: „ვეფხისტყაოსნის“ სიტყვები წარმოშობილი უნდა იყოს ქართულ წინადადებაზე, როგორც ორიგინალური შემოქმედების ნაყოფი. ეს სიტყვები, პროზაული თხრობის სახით ჩაოყალიბებული, შეიძლება წარმონდგარიყოს, თუ მივიღებთ წმინდელობაში მასში ხუარამშობის შესახებ გლოსის ჩაქსოვის ფაქტს და აგრეთვე ნესტან-დარეჯანის შესახებ თხრობის განვითარებაში ულუ-დავითის ტრაგიკულ ბედთან პარალელიზმს, არა უადრეს მე-13 საუკუნის ნახევრისა, — 1250-1260 წლებსა. პროზაული თხრობა შემდეგ „პოემაში“ იქმნა და პოემისათვის გამოყენებული სარგის თმოგველთა მიერ დავით მეფის დროს. ამ დავით მეფის მიუძღვნა სარგისმა თავისი პოემა (დავითის ქართველთა მეფის, — ვარიანტი: „ქართველთა ლუთისა დავითის — ვის მზე შახურებს სა-

რებლად.. ესე ამავეი გავლექსე მე მათად საკამათებლად“). პროზაული სიუჟეტი გამოყენებული იყო იმდენად, რანდენადც ეს პოეტის მიერ მხატვრული მთლიანობის თვალსაზრისით საკვიროდ მიჩნეული იქმნა, ე. ი. ვიდრე ავთანდილის და თინათინის ქორწილის შესახებ ამბავის (ტ. 1528) და, გარდა ამისა, მოთხრობავამდის ტაჩიელის და ნესტან-დარეჯანის ქორწილის შესახებ (1582—1610).

თამარის მეფობის პოეზიის მშვენიება „მეფისტყაოსანი“

თამარის მეფობის ქართული პოეზიის მშვენიებას შოთა რუსთაველის უკუ-დავი „ვეფხისტყაოსანი“ შეადგენს. შოთას სწვა თხზულებებიც ჰქონია, განსაკუთრებით თამარ მეფის ხოტბანი, მაგრამ დიდებულს მგოსანს სახელი მაინც მისმა პოემამ მოუპოვა. თავის ნაწარმოების შესანიშნავ წინასიტყვაობაში რუსთაველს საგულისხმო აზრი აქვს გამოთქმული პოეზიისა და სიყვარულის შესახებ. შოთას სიტყვით.

„შაირობა პირველადე სიბრძნისა ერთი ღარგი,
საღმთო საღმრთოდ ჯასაგონი, მსმენელთათვის დიდად მარგი“;

[12]

მაგრამ ჩიხი გაგება ყველას არ შეუძლიან, საჭიროა რომ თვით მკითხველი ანუ წსმენელი, მომზადებული „კაცი ვარგი“ იყოს. ლექსი და შაირობა ინიტომაც არის კარგიო, რომ „გაბელი სიტყუა (ესე იგი, აზრი) მოკლედ ითქმის“.

შოთას სიტყვით, შოშირობა სამ დარჯად იყოფება: ერთს დარგს შეადგენს „ლექსი ცოტაი“, პატარა, მოკლე ნაწარმოებნი, რომელთაც „არ ძალუას სრულქმნა სიტყუათა, გულისა გასაგნირეთა“; მეორე დარგს ეკუთვნის „სანადიმოდ, სამღერელად, სააშოკოდ, სალალობოდ, ამხანაგთა სათრეველად“ დაწერილი მსუბუქი პოეზია „ჩუენ მათიცა გუიანები“-ო, ამბობს დიდებული მგოსანი, თუკი თავიანთი აზრი გამოთქვეს „ნათელად“. მესამე და ნაწილი შოშირობა არის სიბრძნის სამსახური, როდესაც მელექსეს დიდი პოეტური თხზულებების წერა შეუძლიან. „მელექსეთა კარგთა სწორი“ ის არის, თავის ლექსს „იტყუის ვინცა გრძლად“, როდესაც „მელექსესა საუბართა ტკბილთა ფრქუეთა“ შეუძლიან, მაგრამ კი რომ თანაც „არ შეაშოკლოს ქართულთ, არა ქმნას სიტყუა-მცირობა“. ასეთი ქვეშეარტი მგოსანი რუსთაველის სიტყვით, თავის ნიჭს და შემოქმედებას „ცუდად არ აბრკობდეს“, არამედ იგი ამასთანავე უნდა მიზნურიც იყოს ისე, რომ „ერთი უჩნდეს სამიჯნურო“ და „ყოვლსა მისთვის ხელოვნობდეს, მის აქებდეს, მას ამკობდეს... ყუელას მისთვის მუსიკობდეს“. ამ-

გვარად, შოთას აზრით, ნაძღვილი ბრძენი პოეტი იმავე დროს მიჯნური უნდა ყოფილიყო, სიყვარულით აღფრთოვანებული, და აქ შოთა უხსნის რკითხველს, თუ რა აზრს და როგორი უნდა იყოს ქვეშაირი მიჯნურობა. აკად. ნ. მარმა თავის შესანიშნავს გამოკვლევაში დაამტკიცა, რომ შოთა რუსთაველი რაინდობისა და რაინდულ სიყვარულის მქადაგებელი იყო (TP., XII).

შოთა ამბობს, რომ სიყვარული არის „ტურფა საცოდნელად მწელი გვარი“. ნაძღვილი მიჯნურობისათვის სატრფოს ერთგულება იყო საჭირო, რომ „თავია წინა იგონებდეს ნაღაგმცა“ და ჰქონდა „შორით კვდომა, შორით დაგვა, შორით ალვა“. მიჯნური უნდა ყოფილიყო სატრფოს ერთგული „ხანიერი“ თავანისწყნელი, „არ ნებავი ბილწი, მრუში“, მან უნდა თავის „გულსა ერთი დააჯეროს“. ამასთანავე რაინდს, მიჯნურს „თვალად სიტურფე კმართვეს“ და

„საბრქნე, სიმდიდრე, სიუხვე, სიყმე და მოცალოება,
ენა, გონება, დათიხა, მკლეთა მებრძოლთა მძლეობა“.

[384]

ყველა ეს თვისებები შეადგენდნენ „მიჯნურთა ზნეობის“ აუცილებელს კლავნილებას.

როგორც ნ. მარმა გამოაკვირა, აქ დასურათებულისა რაინდული სიყვარული და საყურადღებო ის არის, რომ სწორედ ამგვარი თვისებები იყო საჭირო რაინდული სიყვარულისათვის დასავლეთს ევროპაშიც (იქვე, გვ. VIII). რაინდული მიჯნურობა ისე, როგორც მას შოთა ჰქადაგებდა ნამდვილი პლატონური სიყვარული არის, განყენებული, მაღალი, და უანგარო და სწორედ ამგვარი სიყვარული არის დასურათებული თვით პოემაში. როგორც დაამტკიცა ნ. მარმა, რაინდული მიჯნურობა და ჯარგი წოყმობა, კაბუკობა და ძმანაფიცთა გმირული ქცევა-ზნეობის აღწერილი თვით „ვეფხისტყაოსანშიაც“ (იქვე VIII—XXXVII)...

შოთა ამბობს, ეს ნათარგმნი ამბავი „ეპოვე“-ო. რუსთაველს მოსწონდა ეს ამბავი და „ობოლ მარგალიტად“ თვლიდა, მაგრამ თავის თხზულების ღირსებისათვის ეს დამამყირებელ გარემოებად არ მიაჩნდა იმიტომ, რომ თავის თხზულება მაღალ ღირსებას კარგადა გრძნობდა. აკად. ნ. მარმა თავის ზემოაღნიშნულ შესანიშნავს შრომაში დაგვანახვა, თუ რა შინაარსი მისცა შოთამ თავის პოემას, რომ იგი მაღალ პლატონურ, რაინდული სიყვარულისა და ქალის თავანისციემის მქადაგებლად გამოვიდა.

უეპველია აგრეთვე რუსთაველს შემთხვევით არ ექმნება თავის ქმნილების არაკად ისეთი ამბავი აღებული, სადაც მოთხრობილია, რომ „სხვა ძე არ ესცა მეფესა მართოდ ენ მართას ული“ და სადაც შეიძლებოდა ნათქვამი ყოფილიყო და შოთამ თქვა კიდევ: „ლეკუი ლომისა სწორია, ძე იყოს თუნდაც ხვადია“-ო. XII ს., როდესაც საქარ-

თველოს სამეფო ტახტზეც გიორგი III-ის მხოლოდ შობილი ასული დიდებულ-
ლი თამარი იქდა, „ვეფხისტყაოსანის“ ეს გარემოება ყოველ ქართველის გულს
მოჰხვედებოდა.

რაცი განიხილეთ, რომ დიდებული შოთა ქალის თაყვანისცემისა და რაინ-
დული სიყვარულის მქადაგებელი იყო, საკითხი უნებლიედ იზადება, თუ რო-
გორ და რა ნიადაგზე უნდა აღმოცენებულყო ამგვარი ნობლერება. ცხადია,
რასაკვირველია, რომ ქალის სიყვარული „ტურფა“ და მძალად სათნობად ყო-
ფილიყო აღიარებული, ამისათვის აუცილებლად საჭირო იყო, რომ საქართვე-
ლოში ყმაწვილ ვაჟს უფლება ჰქონდა თავის გულის სატრფო საცოლოდ თვი-
თონ აერჩია, რომ ბლიჭი საცოლქმზო სიყვარული არსებულყო. სადაც ეს
ჭერ არ არსებობდა, რასაკვირველია, იქ შეუძლებელია თავისუფალს მიწნურობ-
ბას თავისთვის გზა იკავებოდა. ჩვენ ესლა შეგვიძლიან დავამტკიცოთ, რომ საქარ-
თველოში ერთიცა და მეორეც უკვე IX ს: აჩვენებდა: აი, მზაგ, მთავარი გი-
ორგი ჩორჩანელი, რომელიც თავისი საყვარელი ნეულის გარდაცვალების
შენიდეგ „ს ხ ვ ს ა მ ე უ ლ ლ ის ა შ ე ე რ თ ე ბ ა ი ა რ ლ ა ო დ ე ს ბ ა ვ ს ი დ-
გ ა“ და სიკვდილამდე მისი ერთგული დარჩა ან თუნდ გიორგი მთაწმინდელის
მამა, რომელიც ქალის სილამაზით და სათნობებით ნობილელი თავისთვის
საცოლოს თვისუფლად ირჩევს... (იხ. ჩენი „ქართული სანაართლის ინტორია“
1.). ამგვარ ნიადაგზე შეიძლება აღმოცენებულყო შოთა რუსთაველის
ქადაგებაც ქალის თაყვანისცემისა და მიწნურობაზე.

ქალ-ვაჟის სწორუფლებიანობის ის აზრი, რომელიც შოთა რუსთაველის
უკვდავს თსულებამში არის გამოთქმული, მეტად დამახასიათებელია XII საუკ-
ქართული აზროვნების მაღალგანვითარებისათვის. მაგრამ ის არის საყურადღე-
ბო, რომ ქალთა სწორუფლებიანობის აზრი ქართულს მწერლობაში წინათაც
ტრიალებდა; უკვე წმინდა ნინოს ცხოვრებაში ნათქვამია, ქართველთა განმანათ-
ლებელს თვათ ღვათებისაგან მოველანა ზეცეერა მოცაქული, რომელმაც ამ მცნე-
ბასავით დაწერილა „წიგნი“ მისცა; იქ. სხვათა შორის, ნათქვამი იყო: „არცა
მამაკაცებამა, არცა დედაკაცებამა, არამედ თქუენ ყოველნი
ერთ ხართ“-ო. (კელიმისეულა წმინდა ნინოს ცხოვრება, იხ. ე. თაყაიშვი-
ლის «Описание рукоп. Ош. распр. грамотн.» წ. II, გვ. 749). ხოლო ქარ-
თულს არქიპიერატაკონში სწერია: „წმინდა და ერთ-სწორ ჰყავი მა-
მაკაცი და დედაკაცი, ვითარცა სათნო გიჩნდა შენ არა
ხოლო თუ მამათა, არამედ დედათაცა მოეც მაღლი სულისა
შენისა წმინდისა“-ო (ე. კეკელიძის გამოცემა, გვ. 56).

მეთორმეტე საუკუნეში ხომ ზოგიერთი ქალი როგორც მაგ., ხუაშაქი ცო-
ქალი და კრავი ჯაყელი, საქართველოში სახელმწიფო საქმეებშიც კი მონაწი-
ლეობას იღებდნენ და ეს მონაწილეობა უშუდევო და უწინაყოფო არა ყოფილა.
პირიქით, ჩვენ მოგვეპოვება არაერთი საგულისხმეო ცნობა, რომელიც ნათ-

ლად ანტიციებს, რომ ქალთა გავლენას მამაკაცთა მკაცრი მოქმედება მოუზრბილებია და კეთილშობილური იერი მიუტცია. არაბი მემატიანე მოგვითხრობს, რომ 1162 წ., როდესაც ქართველებმა დვინში გაიმარჯვეს და ძლევა მოსილნი ნადავლითა და ტყვეებით დატვირთულნი შინ ბრუნდებოდნენ, მაჰმადიანი ტყვე მამაკაცები სააუგოდ სულ მთლად გააშიშვლეს და ისე წამოასხესო; მაგრამ ქართველმა ქალებმა ეს შეიტყვეს თუ არა, მაშინვე თავიანთ ქმრებს ეს საქციელი დაუწუნეს და უსაყვედურეს, რომ ისინი მაჰმადიანთ ასეთ ცუდს მაგალითს აძლევენ, რომელიც მათ შეიძლება ქართველებზე გამოიყენონ და ამ საქციელით ქართველ ქალთაც სირცხვილი აჰამონო. იბნ ალასირის სიტყვით, ქართველებმა ქალების იმ საყვედურის შემდგომ ტყვეებს თავიანთი ტანისამოსი დაუბრუნეს და ჩააცეს (დეფრემერი, Frag. 500). ქართველმა ქალებმა, მასადაამე, ის მაღალი ღმობიერება და სიბრელული გამოიჩინეს, რომელიც ასე საგრძნობელი და საჭიროა ომიანობის საშინელი სიმკაცრის დროს.

ამ მოკლე და მკრთალ საზოგადო მინოხილვითგანაც, რომლის დაწერაც ჩვენ შევქელით საქართველოს კულტურული მდგომარეობის შესახებ, XII ს., ნგონია ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, რომ საქართველო შაშინ მარტო სამხედრო უძლეველობით კი არა ყოფილა მოსილი, არამედ კულტურულადაც ძლიერი იყო და აყვავებული ცხოვრება, მდიდარი და მრავალმხრივი წყერლობა და დაწინაურებული ხელოვნება ამშვენებდა!..

„ვეფხისტყაოსნისა და შ. რუსთაველის დროის შესახებ ბ[ატონი]
კაპაბაძის ერთი ნაშრომის გამო“

ბ. ს. კაკაბაძე თავის „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემაში, შოთა რუსთაველის დროის შესახებ ძველი შეხედულების დარღვევას ლამობდა და ამტკიცებდა რომ დიდებული მგოსანი XV ს. ცხოვრობდა (იხ. გვ. 50). ის ვითომცდა საისტორიო საბუთები, უმეტეს შემთხვევაში, სრულებით საძიებელს საგანს არ ეხება და უმათერესად „ვეფხისტყაოსნის“ ყალბ ხანებზე არის დამყარებული, რომელთაც არავითარი ღირსება არა აქვთ, როგორც მაგ. ტაევი,

„ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსა,

ტარელ მისსა რუსთველსა მისთვის ცრემლდაუშრობელს.“

(იხ. გვ. 37).

საითგანაც ისე გამოდის, თითქოს ამირან დარეჯანის ძე ავტორის ზახელი და გვარი ყოფილიყოს, მოსე ხონელი კი მის თხზულების გმირი, და ტარიელი ავტორი, ხოლო რუსთველი მისი თხზულების გმირი ყოფილიყოს! * სრულებით გამოუცდელი მკითხველისათვისაც კი ცხადი იქნება, რომ ს. კაკაბაძის ისტორიულ საბუთებს არავითარი ფასი და მნიშვნელობა არა აქვს, ამიტომ მათ შესახებ ლაპარაკიც კი საჭირო არ არის. მის ნეოპენანიორ საბუთიანობამ კი შეიძლება ბევრი მკითხველი შეადიქრიანოს, ამიტომ სწორედ მათი ღირსების განიღვას უნდა შევლდეთ. მაგრამ, ვიდრე ამ საგანს მიეყოფდით ხელს, საჭიროდ მიმაჩნია აღენიშნო, რომ ს. კაკაბაძეს ზოგჯერ თავის წყაროს წინააზრტი სწორედ ვერ გაუგია და ამ თავის გაუგებრობაზე ამყარებს იმ დასკვნას, რომელიც მას შეუწყველად მიაჩნია. სხვათა შორის, თავისი აზრის დასამოწმებლად, რომ „შოთა არ შეიძლება თამარ მეფის დროის ნწერალი იყოს“ (გვ. 31), მას მოპყავს არჩილ მეფის თხზულებითგან მეფე თეიმურაზის შემდეგი სიტყვები:

„მეფე — ჩაბრუნებემ უწინ არ თქვა, რად იპარავ პირველთქმასა,
რას მიერჩი მას რიტორსა, არ ანაბებ მისსა მასა?!

* ასეა დედანში რ ელ.

ამაზე ს. კაკაბაძე დასძენს: „აქ არჩილ მეფე გადმოგვეცემს ცნობას იმის შესახებ, რომ ჩახრუხაძე „ქორანიკონით“ შოთაზე უფრო ადრინდელი მწერალი ყოფილა“. და შემდეგ ანტიციტებს, მაშასადამე, შოთა თამარის თანამედროვე არ იქმნებოდაო (გვ. 31).

მანდვილად კი ზემოთაღნიშნულთან არას გზით ამგვარი დასკვნის გამოყენაა არ შეიძლება: იქ ლაპარაკია მხოლოდ იმის შესახებ, თუ პირველად ვინა თქვა ლექსი და რუსთაველის სიტყვებზე „მე ვარ ძირი ლექსის თქმისა, მეღვინენი ჩემზედ შენობსო“. არჩილი უპასუხებს; არა, ჩახრუხაძემ შენზე „უწინ არ თქვა“, მაშასადამე „პირველთქმისა“ ტყუილად იჩემებო.

ამავალად აქ ცხოვრებანზე კი არა არის ლაპარაკი, არამედ იმაზე — პირველად ვინა თქვა, ჩახრუხაძესა და რუსთაველს არჩილი-თეიმურაზი ერთიერთმანეთისა და თამარის თანამედროვედა სთვლიდნენ, მხოლოდ ანტიციტებენ, რომ ჩახრუხაძემ ლექსი შოთაზე „უწინა“ თქვა და მეღვინეობის პირველობა მას ეკუთვნის, თავისი აზრის დასასაბუთებლად არჩილი „ქორანიკონს“ ასახელებს, რასაკვირველია, ჩახრუხაძეს და შოთას მხოლოდ თხზულებათა დაწერის თარიღებს და არა დახედებისა დაგარდაცვალების შესახებ ცნობებს!

მაშასადამე, რაკი ზოგების სხვა ადგილას არჩილ მეფეს ნათლად აქვს ნათქვამი, რომ შოთა თამარის თანამედროვე იყო, ამიტომ ამ თავის თეორიის გამაბათილებელი გასტუმრების გასაქარწყლებლად ბ. კაკაბაძე იძულებული იყო ეთქვა, რომ XVII საუკუნეში კიდევ ყოფილა ბუნდოვანად ცნობა დაჩვენილი იმის შესახებ, რომ შოთას თამარ მეფის შემდეგ უნდა ეცხოვრა. მაგრამ მხოლოდ ბუნდოვანად, ვინაითგან თვით არჩილი იმავე „გაბაასეზის“ სხვა ადგილას შოთა სთვლია თამარ მეფის თანამედროვედო (გვ. 31). ბ. კაკაბაძე რომ არჩილის სიტყვებს ჩაპყვირებოდა, დაინახავდა, რომ იქ ბუნდოვანი არაფერია და ნათელია, რომ არჩილს შოთა რუსთაველი მხოლოდ თამარის თანამედროვედ მიაჩნია.

ახლა დავუბრუნდეთ ბ. კაკაბაძის სხვაგვარ საბუთებს, რადგან სწორედ აქ არის შეგროვილი ისეთი მოსაზრებანი, რომელნიც შეიძლება ბევრს შეუფრყენელად ეჩვენოს. „ყოველდღიური ცხოვრების ნორმების განხილვითაც“ ბ. კაკაბაძეს სურს დაამტკიცოს თავისი აზრი, რომ „ვეფხისტყაოსანი“ XV ს. ნაწარმოებია და არა XII ს. შემდეგ იგი აკვირდება ჯღოშის წესს შოთას თხზულებაში და არკვევს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ გმირნი ჯდებიან „სკაზზე“ და „ბალიშზე“ (გვ. 51). მერე ბ. კაკაბაძე „ამირანდარეჯანიანს“ და თამარ მეფის ისტორიკოსის თხზულებას აკვირდება ამ მხრივ და შემდეგ ამბობს: „ამ ადგილებიდან ცხადად სჩანს, რომ XII საუკ. დასასრულს საქართველოში ჯდებოდნენ

სელზე, სასახლეში ოქროქედილ სელზე... „ამირანდარეჯანიანის“ გმირნიც სხედან ოქროქედილ სელზე და ოქროსქსოვილ საჯდომზე... „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა ჯღონის წესი მიეუბნება შემდეგდროინდელ ხანას... „ვეფხისტყაოსანში“ მოხსენებული „სკამი“ XII საუკ. დასასრულს და XIV ს. დასაწყისს. ამგვარად „ვეფხისტყაოსანში“ სკამის მოხსენება ცხადად გვიჩვენებს პოემის წარმოშობის შემდეგ XII საუკუნისა“-ო (გვ. 52).

ყოფა-ცხოვრების ანუ რეალების აღწერილობის მიხედვით დროის განსაზღვრა მეკეთრ სამეცნიერო მეთოდად მხოლოდ მაშინ გამოდგება, როდესაც ხელოვნებასა და შინაური ყოფა-ცხოვრების ისტორია კარგად არის შესწავლილი... კავაბაძეს ისე ჰგონია, თითქოს „სკამი“ საქართველოში და ქართულს წმერთობაში პირველად XIII—XIV ს. შემოსულიყოს, მაგრამ დიდად შეშეშებული არის; მას რომ მთელი ქართული მწერლობა გადაკითხული და ამ ნაბიჯი შესწავლილი ჰქონდეს, რასაკვირველია, ეცოდინებოდა, რომ „სკამი“ XIII—XIV ს. კი არ შემოვიდა არამედ ამაზე წინათაც დიდი ხანი არსებობდა ქართულს მწერლობაში, უკვე XI ს. იგი ჩვეულებრივი სიტყვაა და ეორობი მთაწმინდელი ხმარობს თავისი რხულებებაში: თვით თამარ მეფის ისტორიკოსსაც აქვს „სკამი“ ერთხელ ნახმარი; „მარიამ დედოფლის ქართლის ცხოვრებაში“ იმ ადგილას შევსდით, რომელიც უშეველია გადაწერის მოსვლია ქარაგნის გახსნას დროს. იქ სწერია, თამარ მეფემ სიზმარში ნახა, რომ სამოთხეში იდგა „შესწორებული საყდრები და სატკბლები პატიოსნად შეწყვლილი... იხილა ესე საჯდომები და საუკეთესოზე დაჯდომა მოიწადინაო (684, გვ. 478—479); ცხადია, აქ დედანში წერებულა „სკამები“ — სკამები და გადაწერის ქარაგმის გახსნის დროს „სარკმლებად“ წაღებოდა და უგუნდობა ჩადებოდა. ამას გარდა, მას ისიც ეცოდინებოდა, რომ სელი და სკამი ერთი და იგივე არ არის. არამედ თითოეულს თავისი განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. (ამის შესახებ საბუთები და ცნობები შეკრებილი მაქვს ჩემს „ქართული ხელოვნების ისტორიაში“)..

მოლარის შესახებ ბ. კავაბაძე ამტკიცებს, რომ „ეს ტერმინი უდრის ნექურტლეს. შოთამ იცის ტერმინი საქურტლე, ქურტელი, მაგრამ არ იცის ნექურტლე“. მაშინ, როდესაც „ამირანდარეჯანიანში“ პირიქით, მოლარე უცნობია და იხმარება ნექურტლე. მოლარე ნექურტლეს მაგიერად საქართველოში შემოდის დაახლოებით XII საუკუნედა... ეს გარემოება ერთხელ კიდევ იმის მაჩვენებელია, რომ „ვეფხისტყაოსანი“ XIII საუკუნეზე ადრინდელ დროს არ ეკუთვნის და დიდი თამარ მეფის შემდეგ არის დაწერილი“-ო. (გვ. 54).

აქაც ავტორს შეეცომა მოსდის თავისი ნაწიერი რომ ზებირად არ შეუთხზა და სხვათა აზრისთვისაც ყურადღება მიექცია და, თუ თვით საბუთები შესწავლილი არა აქვს, ჩემს გამოკვლევაში „საქართველოს ეკონომიურ ისტორიაში“ (I, 46) ჩაეხედნა, იქითგან მაინც ეცოდინებოდა, რომ „მოლარე“ საქართველოში XIII ს. კი არ შემოდის პირველად, არამედ უკვე X ს. იხმარებოდა ამას

ჯარდა, როდესაც ჩენი „ქართული სამართლის ისტორია“ გამოვა, ბ. კაკაბაძე დაწმუნდება, რომ მოლარე და მეჭურჭლე სრულებით ერთი და იგივე არ არის, როგორც იგი თავის წიგნში ამტკიცებს.

ს. კაკაბაძეს ჰგონია, რომ სიტყვა „ხანი“ უფლებას აძლევდეს შემდეგ დასკვნას დაადგეს: „რომ „ვეფხისტყაოსანი“, ყოველ შემთხვევაში, თათრების ეპოქას არ წინაუწროებს, ეს ჩანს, სხვათა შორის, სხვადასხვა თურქულ-თათრულ სიტყვებისაგან, რომელიც ჩვენში მხოლოდ XIII საუკ. მეორე ნახევრიდან ხდება ცნობილი. ასეთია, მაგალითად, ტერმინი ხანი: 387, 2 „რამაზის კაცი მემთხვია, ვინ ხატეთის ხანია“ (გვ. 55). ბ. კაკაბაძეს რომ დაემტკიცებინა, რომ „ვეფხისტყაოსანში“ ხანი ჩვეულებრივ სიტყვა არის, კიდევ შეიძლებოდა ამ გარემოებას დიდი საბუთის მნიშვნელობა მიჰნიჭებოდა. მაგრამ მან იცის, რომ ეს სიტყვა ამ თხზულებაში ერთის მეტად ნახმარი არ არის...

ამ შემთხვევაში ხანი სრულებით თანამდებობას არ ნიშნავს, არამედ მხოლოდ—თურქს. პროფ. ნ. მარის გამოკვლევიდან ნ. კაკაბაძემ უნდა იცოდეს, რომ სიტყვა „ხანი“ „ამირანდარეჯანიანში“ ჩვეულებრივ თურქის აღსანიშნავად იხმარება (იხ. Дрегнегруз. одописцы, წ. IV, გვ. 32, შნშ. 7, 4). აქაც შოთას ქმნილებაშიც ხატეთის თურქზეა ლაპარაკი, რომლისათვისაც ხატეთის მეფეს, ვითარცა მოციქულისათვის, წერილი გაუტანებია, თვით ხატეთის მბრძანებელი ხანად კი არა, მეფედ არის წოდებული, მაგრამ თუნდ რომ წარმოვადგინოთ კიდევ, რომ აქ ხანი მმართველსა ნიშნავს და არა თურქს, მაშინაც ქრონოლოგიურ საბუთად ბ. კაკაბაძეს ეს სიტყვა ვერ გამოადგებოდა იმიტომ, რომ მერე ვითარცა განსაკუთრებული და არაჩვეულებრივი სამოხელეო ტერმინი, სიტყვა ხანი კანტიკუნტად მონღოლებზე წინათაც იხმარებოდა, მაგ., თურქისტანში XI—XII ს. ცნობილნი იყვნენ „ილეკ-ხანები“ (იხ. ლენ-ბულ. Мусльм. династии, 110—112).

ზენოზოყვანილი მაგალითებიდან, გგონია, ნათელი უნდა იყოს, რომ ბ. კაკაბაძემ ვერ შესძლო იმის დასაბუთება რის დამტკიცებაც სურდა: „ვეფხისტყაოსანში“, რასაკვირველია დიდებულ თანაზ მეფის ხანას ეკუთვნის, მხოლოდ ამ დროს შესაძლებელი იყო, რომ წარმოშობილიყო ეგოდენ მაღალი აზრებითა და გრძნობით გამსჭვალული, ხელოვნების უმწვერვალესი განვითარების გამონაბუნკელი და უკუდავი პოეტური ქმნილება. ვისაც თამარ მეფის ისტორიკოსის თხზულება გულდასმით გადაუკითხავს, ის უკუეულია შეამჩნევდა, რომ თვით ეს საისტორიო თხზულებაც კი გამსჭვალულია იმ აზრებით სიყვარულზე და ჰაბუტობაზე, რომლის უებრო მეოსნადაც შოთა ყოფილა; იმდენად ძლიერი და საყოველთაო ყოფილა მაშინ ეს ორი საკითხი, რასაკვირველია, ჯერ კიდევ ბებრი დრო და გამოკვლევა არის საჭირო, სანამ „ვეფხისტყაოსანი“ ღირსეულად და სასურველი სისრულით იქმნება შესწავლილი, და ყველასათვის ცხადია, ამ შესწავლის დროს ზველევარს თავისუფალი მსჯელობის სრული უფლება უნდა ჰქონდეს მინიჭებული...

„ქართული ერის ისტორია“, თბ., 1914, გვ. 662—666.

რუსთველი და მისი „ვეფხისტყაოსანი“

შესავალი

რაც მეტს ვკითხულობთ „ვეფხისტყაოსანს“, მით უფრო ვიძსკვალებით საკვირველების გრძობით მისი დანწერის გენიოსობისა და იშვიათის პოეტური შემოქმედებისადმი, მისი დაუღველი სიბრძნისადმი. იგია სიბრძნის ზღვა, ზღვასავეთ ღრმა და განუზომელი, იგია შემოქმედების სული, პოეტურის ზემთაგონების უზენაესი ძალა. იგი, თვით ძლიერი სულით, სხვასაც ანიჭებს ძლიერებას; უნათებს სულს საღმრთო ცეცხლით. იგია ლამპარი, რომელიც საუკუნეთა განწავლობაში წინ უძღოდა და დღესაც ასევე უძღვის ქართულ პოეტურ შემოქმედებას..¹

საწართლიანად ამბობს დ. გურამიშვილი:

„ლესი რუსთულიებრ ნათქვამი მე სხვისა ვერ ენახეოლა.“

რუსთაველის პიროვნება დღემდის საკვირველების გრძობას იწვევს ჩვენში, იგი უცნაურია და საკვირველი სწორედ ისე, როგორც მისი პოეტური ჰანგები....

შვიდმა საუკუნემ გავლო მას შემდეგ, რაც ქართველი ერის გენიამ ჰპოვა თავისი გამოხატულება მის უკვდავ ქმნილებაში, და ჩვენ დღემდის გვაინტერესებს. და გვამოძრავებს იგი ისე, როგორც თანამედროვე: ყველგან, ყოველ წრესა და სეზონადობაში გაისმის მისი ქმნილების ქება-დიდება. განათლებული ქვეყნები საპიროდ თვლიან მის გადათარგმნას, რომ მათაც გაიზიარონ ის აღტაცება და სიამოვნება, რომელსაც იწვევს მისი ნაწარმოების გაცნობა.

ის ზიზღავს ყველას, ვისაც აინტერესებს ადამიანის ბუნების არსებითი მხარე და ამოძრავებს ადამიანის ბუნების ცოდნის სურვილი..

¹ იხ. ქვემოთ „კომენტარები და შენიშვნები“, 1. რ ე დ.

პოპტის პიროვნებას შესახებ ცნობების უმონლობა

რუსთაველის პიროვნებისა და მისი ნაწარმოების შესახები ცნობების შესწავლად ჩვეულებრივი კრიტიკული მეთოდი არ გამოდგება.

კერ ერთი, იგი არ არის თანამედროვე, რომლის შემოქმედებასა და პიროვნებაზე საჭირო ცნობები მოიპოვებოდეს ან ისეთი მწერალი, რომლის შესახებ რამე ავტობიოგრაფიული, თვით ავტორისაგან დატოვებული ცნობები იყოს სადმე დაცული, ან რაიმე, ისტორიული საბუთი მოიპოვებოდეს მისი სახელით...

არ ვიცით, არც ის, თუ რა მიზნით ან ვისთვის დაწერა მან ეს ნაწარმოები. დასასრულ, აღორძინების ხანამდე, არც ერთი ჩვენამდე მოღწეულ წერილობით საბუთებში მისი სახელისა და გვარის ხსენებაც კი არსად არის.

ყველაფერი ეს აიხსნება იმით, რომ ავტორი და მისი ნაწარმოები შორეულ წარსულს ეკუთვნის. და რომ მის დროსა და აღორძინების ხანას შუა ზღვარად ძვეს მთელი ოთხი საუკუნე, — ეს დაცემისა და სულიერი და ნივთიერი კულტურის განადგურების ხანა. ამასთან კავშირი აქვს შემდეგ გარემოებასაც, რომელიც კიდევ უფრო აძნელებს პოეტის ენისა და ნაწარმოების კრიტიკულად შესწავლას, სახელდობრ, ჩვენ არ მოგვეძევა არც ერთი ძველი ხელნაწერი, რომელიც XVII საუკუნე შუა წლებს უსწრებდეს, არა გვაქვს არც პოემის ტექსტის სარწმუნო ვარიანტი.

II

წარმოები ბიოგრაფიის შესაღვენად

მეგრამ, მეორე მხრით, მკვლევარს აქვს საშუალება შეადგინოს დაახლოებით მაინც პოეტის პიროვნებისა და მისი ცხოვრების შესახები სწორი წარმოდგენა. ჩვენ მოგვეპოვება ისეთი საბუთები, როგორც არის ძველი ქართული საერო მწერლობის ნიმუშები, თვით პოეტის მიერ მის ნაწარმოებში გაკვრით ნაჩვენები ცნობები მის თანამედროვე მწერალთა ნაწარმოების შესახებ, მისივე შრომა, სადაც წარმოდგენილია პოეტისავე მსოფლმხედველობა, და პოემაში დაცული რეალიები, რომლების მიხედვით, შესაძლებელია პოეტის დროის შესახებ აზრის შედგენა.

ეს ფაქტები შეგვიძლია შევავსოთ ზეპირგადმოცემით და თვით პოემის შესავალში დაცული ცნობებით, რომლებიც პოეტსაც რომ არ ეკუთვნოდეს, მაინც ძველისძველი ლიტერატურული ცნობების შემცველია.

პირველხარისხოვანი მნიშვნელობისა პოეტის ვინაობის საკითხები, თუ რა იყო პოეტის სახელი და გვარი, ვინ იყო და როდის ცხოვრობდა იგი.

III

სახელწოდება რუსთველი

პოეტის შესახები უძველესი ცნობა დაცულია თვით „ვეფხისტყაოსნის“ შესავალში. იქ შესავლის VII და VIII ხანებში პოეტი თავის თავს რუსთაველს უწოდებს. ამ შესავლის ხანების სიძველეს ადასტურებს ის ფაქტი, რომ მათ უკვე კიახულობდნენ მათ დროს არსებულ ხელნაწერებში აღოჩინების პირველი ხანების პოეტები². როგორცაა: ერთი „იოსებ ზილიხანიანის“ უცნობი მთარგმნელი³. მეორეც, „იოსებზილიხანიანე“ მთარგმნელი თეიმურაზ პირველი. ორივე ეს პოეტი „იოსებზილიხანიანის“ თარგმანების შესავალში ადასტურებენ სიტყვებს: „დავჲე, რუსთველმან გავლექსე“ და „მე რუსთველი ხელობითა ვიქმ საქმესა...“

ამას გარდა, კახეთის ნეფის თეიმურაზ პირველის „იოსებზილიხანიანის“ შესავალი პირდაპირ ამტკიცებს, რომ თამარისა და დავით სოსლანის შესახები ხანები იმ ხელნაწერებში, რომლებიც მას ხელთა ჰქონია, უკვე არსებობდა. აი, ზოგიერთი საყურადღებო ადგილები ამ ხანებიდან:

„ესენი შოთა რუსთველმან შეამკო არსთა მკობითა,
თვით მინდობილმან სიბრძნისა, მერმე თამარის ხმობითა.
იტყვის: „ეპოეო ამბავი პირველს სპარსთავან მბობითა“,
...წვეულა სახილი უმრეტი პირმზისა თამარ მეფისა....
...მეფეს ებრძანა სპარსული თქმად ქართულისა ენითა,
ლექსად თქმა მწადსო, ებრძანა დადმან ბრძანდ შუქთა ფენითა.
ნიკი აღუთქო უზომო, მოაჲე ვარ მოქენითა
მიჯნური მიჯნურთ საქებრად დაჲდა გლახ ცრემლთა დენითა“.

აი, აქედან აშკარად ჩანს, რომ თეიმურაზ პირველს, რომლის მოღვაწეობა XVII საუკ. პირველ ნახევარს ეკუთვნის, ხელთ ჰქონია ისეთი ხელნაწერი, რომლის შესავალში მოთავსებული ყოფილა №№ 599 და 2829 ხელნაწერებით უარყოფილი II—VII ხანები, რაც თავისი მხრით ამტკიცებს, რომ ეს ხანები პოეტის შესახები უძველესი ცნობის შემცველია⁴.

² Н. Марр, ТР., IV, გვ. 57, შენიშვნა 3.

³ ამის შესახებ იხ. А. Такайшвили, Описание рукоп. 274.

⁴ Н. Марр, ТР., IV, გვ. 57 შგვ. 3.

ამასთანავე თეიმურაზ პირველი თავის შესავალში, მოხსენებულ რუსთველს გარდა, გვაცნობს მის სახელსაც შოთას, რასაც არც პოემის შესავალი, არც ზემორედსახელბუღი „იოსებზილიხანიანის“ უცნობი მთარგმნელი არ იხსენიებენ.

ამნირად „ვეფხისტყაოსნის“ შესავალი და აღორძინების პირველი ხანის პოეტები ადასტურებენ ზეპირგადმოცემის ცნობას იმის შესახებ, რომ პოეტის გვარი ყოფილა რუსთველი, რასაც, თეიმურაზ პირველი თავისი მხრით, უმატებს ზეპირგადმოცემის ცნობას, რომლითაც პოეტის სახელი შოთა ყოფილა.

მაგრამ, საქმე ის არის, რომ არსად ისტორიულ საბუთებში შოთა რუსთველი არ იხსენიება. ამას გარდა, არც ერთი აღსკუთული ვარიანტის ბოლომინაწერის ცნობა არ ეთანხმება შესავალის იმ ცნობას, რომ პოეტის სახელწოდება რუსთველია, პირიქით, ყველა ხელნაწერი, გარდა №№ 599 (1646 წლისა) და 4988, ასე კითხულობს დასასრული ხანების ცნობილ ადგილს: „ვწერ ვინმე მესხი მელქსე მე რუსთველისად ამისა“⁵, რაც ჩვენი აზრით, შენდევნი დროის პოეტი-ბიბლიოგრაფის მინაწერია და ნიშნავს: ვწერ ვინმე მესხი, ამისი მელქსე რუსთველისად ე. ი. რუსთაველისთვის.

საგულგებელია, რომ ეს სიტყვები ეკუთვნის იმ მელქსეს, რომელსაც დიდი შრომა დასჭირებია, რომ შეევსო თავისი ლექსებით ტექსტის დაღუპული ადგილები, რასაც იგი აღნიშნავს ზემომოტანილი სიტყვებით, ეს მელქსე, შესაძლებელია, მართლაც, მესხი ყოფილიყოს (ამ ვინმე მესხის შესახებ, იხ. ქვემოთ).

შესაძლებელია ისიც, რომ ვინმე მესხმა, რომელიც სამცხეში მდებარე დაბა რუსთაველიდან იყო, რომ გაეცრელებინა თავისი ვითომდა მახლობლობა რუსთაველთან, ამ ბოლო მინაწერით აღნიშნა, რომ იგი რუსთაველის თემისაგან ან დაპირდა არის.

მაშასადამე, ზემოხსენებული საბუთების მიხედვით, ვიცით მხოლოდ სახელწოდება რუსთაველი და ამასთან ზეპირგადმოცემით, პოეტის სახელი შოთა. მაშასადამე, ყველაზე უფრო საკითხავია, თუ საიდან წარმოადგა პოეტის სახელწოდება რუსთველი — რუსთაველი?

ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ძველ სახელოვან ისტორიულ პირთა გვარები, რომლებსაც იცავს „ქართლის ცხოვრება“ და სხვა ისტორიული საბუთები, ყოველთვის ატარებენ იმ ადგილთა სახელებს, რომელთა მფლობელი ან უფროსი ისინი ან მათი წინაპარნი ყოფილან. ამასთან ეს ადგილები ცნობილი არიან როგორც შესანიშნავი სტრატეგიული პუნქტი ან ისტორიულად რითიმე განაქმნული. ამისდა მიხედვით აიხსნება ისეთი გვარის მაჩვენებელი სახელწოდება

⁵ 1646 წლის ვარიანტით „მე რუსთველისა თემისა“. იხ. ხელნაწერი № 599.

დება, როგორცაა: ზონელი, ფანასკერტელი, თმოგველი და სხვა, რომელთა გვარების წარმოშობას კავშირი აქვს ამა თუ იმ ადგილის ან ციხის მფლობელობასთან⁶. სწორედ აგრეთვე უნდა აიხსნას სახელწოდება რუსთველი, რომელსაც აშკარა კავშირი აქვს რუსთავთან.

ხოლო რუსთავი ოპია: ერთი—დაბა რუსთავი სამცხეში, მესხეთში, ხოლო მეორე ქალაქი რუსთავი, რომელიც XII საუკუნეზე ბევრად ადრე ცნობილია „ქართლის ცხოვრებაში“.

თუ სახეში მივიღებთ ზემორემოტანილ მოსაზრებას, მაშინ უფრო საგულვებელია, საგვარჯულო სახელწოდება რუსთაველი. წარმოშობილი იყოს იმ რუსთავისაგან, რომელსაც მეტი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა, და ამგვარი კი იყო, „ქართლის ცხოვრების“ ცნობებით, ტფილისის მანრაში მდებარე ძველი ჰერეთის ქალაქი რუსთავი⁷.

იგი „ქართლის ცხოვრებაში“ ცნობილია ძალიან ადრე ბოტანქალაქის სახელით. „ქართლის ცხოვრებაში“ ნათქვამია, რომ ქართლის საეკლესიო შენაგე „ცოლმან მისნან აღაშენა ბოტან-ქალაქი, რომელსა აწ ჰქვიან რუსთავი“ („ქ. ცხ-ბა“, 22, ზ. კიკინაძის გამოცემა).

მანვე „უტხოოს მისცა ბოტანქალაქი, რომელსაც აწ ჰქვიან რუსთავი“.

გიორგი IV შესახებ ნატიანე მოგვითხრობს, რომ მან „უბოძა იოანეს სამშვილდე და ბესა იოანესა ლიპარიტს ნისცა ლოწობანი ნაცელად რუსთავისა, რომელ მიეცა კახთა“ („ქ. ცხოვრება“, 1, 235).

მეორე ადგილას რუსთავი მოხსენებულია მატიაზეში, როგორც შესანიშნავი ქალაქი, რომელიც XI საუკ., დავ. აღმანერბელის მეფობის დანაწიების, თურქების ხელში ყოფილა, დავით აღმაშენებლის შემატიაზე აჩსენი მოგვითხრობს:

„ვიდრე ამაღ ყამამდე ქალაქი ტფილისი, რუსთავი, სომხითი და ყოველი საწვილდე და აგარანი თურქთა აქენდეს“ („ქ. ცხ-ბა“, 1, 244).

წარიღო ჰყონდიდელმან რუსთავიცა შეფის მუხნანს ყოფასა, ქორონიკონი იყო 355, რომლისათვისცა დიდად წყენა შეექმნა თურქთა და რიღობა საზანთართა ადგილთა დგომისა“ („ქ. ცხ-ბა“, 1, 245).

ამნაირად, შემატიაზის მოწმობით, რუსთავი შესანიშნავი ქალაქი ყოფილა, მის დაკარგვას თურქები ძალიან შეუწუხებია.

თამარ მეფის შემატიაზის მოწმობით, ზაქარია მხარგრძელს, აპირაპასალარობასთან ერთად, „მოუშინატეს ქალაქიცა რუსთავი მოყმესა ღირსსა სპასუეტობისსა“ („ქ. ცხ-ბა“, 297).

⁶ იხ. ს. კავთაძე, თმოგველი გვარის ისტორია, ტფილისი, 1913.

⁷ ამ აზრს ადასტურებს თეიმურაზ ბატონიშვილიც: იხ. მისი „განმარტება ვედნისტაოსნისა“, 1843 წ. რუსთაველი იყო „მოთარი რუსთავისა და თმარის მეჭურჭლეთუხუცესი“; შეად. იერუსალიმის ჯვარის მონასტრის აღაპბენი, H. Mapp Bibl. arm.-georg., III, XXVIII, 49; ამვე მონასტრის კედელზე დახატული ყოფილა სურათიც მინაწერით „რუსთველი“.

ამას გარდა, 1722 წ. „ღვთაების გუჯარში“⁸ პირდაპირ ნათქვამია, რომ „ბოსტან ქალაქი საწყისოდ და სამარეველოდ მღვთაებისა საყდრისა“ ყოფილა შეწარული დიდისა და ღვთივ ბრწყინვალისა მეფის თაჰარის მიერ, და რომ „რუსთველად ამის მიზეზისათვის უწოდებიათ რუსთველისათვის, რომე რუსთავ ანა ქალაქს უწმობენ“.

აქედან პირდაპირ ჩანს, რომ რუსთველი ამიტომ უწოდებიათ რუსთველი-სათვის...

ცნობა, რომელიც დაცულია „ღვთაების გუჯარში“, იმით არის საინტერესო, რომ გუჯარის დანწერს უსარგებლია „ძველთა შონახელთა მოხელეთაგან“, ე. ი. ძველი საბუთების მცოდნე მოხელეთა ცნობებით და მეფეების გუჯარებით, სადაც, სხვათა შორის, დაცული ყოფილა ცნობა იმის შესახებ, რომ რუსთველი ამის მიზეზისათვის უწოდებიათ რუსთველსათვის, რომ „რუსთავ ამა აღავს უწმობენ“.

მანასადაჲ, ეს საბუთი, რომელიც უპველესი ძეგლების მიხედვით ყოფილა შედგენილი, ადასტურებს იმ აზრს, რომ სახელწოდება რუსთველი წარმომდგარია ქალაქ რუსთავისაგან. რომელიც თამარ მეფის დროს დიდი საეპისკოპოსო ქალაქი ყოფილა, სადაც რუსთველ ეპისკოპოსს 67 კომლი გლეხი ჰყოლია.

ამნაირად, ზემოდსახელებული წყაროების მიხედვით, პოეტის სახელწოდება რუსთველი შეკავშირებული უნდა იყოს ქალაქ რუსთავთან, რომლის ნთავარი, გაჲგე ან მესაქუთარე, იყო პოეტი.

რომ, სახელდობრ, ეს ტფილისის ახლო მდებარე ქალაქი უნდა ყოფილიყო პოეტის ადგილსამყოფელი, ამას რამდენადმე გვაფიქრებინებს შემდეგი შედარება „ვეფხისტყაოსანში“.

„აღაფობდეს საჭურჭლესა მისსა, ვიჟა ნათურქალსა“.

,1=55]

პოეტის სახელი

IV

პოეტის სახელი ზეპირგადმოცემით შოთა იყო. სახელი შოთა პირველად გვხვდება თამარ მეფის ერთ სიგელში⁹. რომელიც 1896 წელს გამოაქვეყნა თ. ყორღანიამ.

სიგელი ხელმოწერილია თამარის დროის ისტორიულ პირთაგან: კიბე-

⁸ ტექსტი იხ. ს. კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, 1, 34.

⁹ იხ. ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა, თბ., 1896.

არის, შოთასა, თვედორე კათალიკოზისა და სხვათაგან. ამ მოხსენებულ შოთას გარდა, ჩვენს ისტორიულ საბუთებში იხსენიება კიდევ ერთი შოთა: ერთი ართავაჩოს ძე, 1177 წ. დასჯილი, როგორც გიორგი მეფის შინა გამცემი (იხ. „ქ. ცხ-ბა“, 273), ხოლო მეორე რუსულდანის თანაწოდროვე შოთა კუპრი (იქვე: 326, 364, 375 და შუად. „მარიამ დედოფლის ვარიანტი“, 605 634)

ძნელი დასაჯებელია, რომ გიორგი მეფის გამცემი შოთა ართავაჩოს ძე ყოფილიყოს „ვეფხისტყაოსნის“ დამწერი. იმდროის საერთო მწერლობაზე არავითარი ცნობა არა გვაქვს. ამასთან რაღა მოალატე და საქვეყნოდ დასჯილი უნდა ყოფილიყო ღირსშესანიშნავი პიროვნება!

არც მეორე, ე. ი. რუსულდანის თანაწოდროვე შოთა კუპრი შეიძლება მიღებულ იქნეს შესანიშნავ პიროვნებად, რადგან იგი მატიანეში მოხსენებულია ისეთ ამაღაში, სადაც სარგის თმოგველი დაბასიათებულია, როგორც „კაცი სწავლული, ფილასოფოსი და მრავალღონე“ და სრულიადაც არაფერია ნათქვამი შოთა კუპრის სწავლულობაზე.

მამასადაზე, ერთადერთი შოთა, რომელიც ისიც მართოდღენ სახელის მიხედვით, მისაღებია სახელოვან მგოსნად და „ვეფხისტყაოსნის“ შექმნელად, არის შოთა, რომელიც, სხვა წარჩინებულ პირებთან ერთად, აწერს ზელს თამარ მეფის სიგელს.

სამწუხაროდ, იქ ნათქვამია მხოლოდ: „ქ. მე შოთაი ჩენს ეინოვნის ქონებესაც შიგა ანას ვამტყუებ, ვითა ანასა შიგა სწერია“.

ეს ერთადერთი ყრუ ცნობა მოგვეპოვება მხოლოდ სახელ შოთას შესახებ. ანაზარად, პოეტის სახელის¹⁰ გამოსარკვევად იძულებული ვართ ვიხელომდგვანელოთ ცნობილი ლიტერატურული ტრადიციებით და თეორიულად მინც დავსკვნათ რაიმე ამ საკითხის შესახებ.

ჩვენი აზრით, შეუძლებელია, ლიტერატურულ გადმოცემებს ჩვენი პოეტის შესახებ არავითარი საფუძველი არა ჰქონდეს: სახელისა და გვარის სრულიად უსაფუძვლოდ შეთხზვა შეუძლებელია. ისეთი სახელოვანი მელექსე, როგორც არის შოთა რუსთაველი — რუსთაველი, ასე თუ ისე უნდა აღბეჭდილიყო შთამომავლობის ხსოვნაში.

ამიტომ „ვეფხისტყაოსნის“ უკანასკნელი ტაეპის ცნობა:

„ტარიელ მისსა რუსთველსა, მისთვის ცრემლშეუშრობელსა“¹¹, სრულიად უსაფუძვლოდ ვერ ჩაითვლება. მით უნეტეს, რომ მას აშოწმებენ აღორძინების პირველი ხანების შესანიშნავი მელექსენი.

¹⁰ თემურაზ ბატონიშვილის ცნობას შოთას მექურქლეთუხუცესობის შესახებ ადასტურებს იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპები: H. Mapp. Bibl. arm.-georg., III, XXVI II, 49; ორშაბათსა სულის წს მოსლესა წირვა აღაპი შოთას მექურქლეთუხუცესისა შ.ნა ლ.ნ.“

¹¹ არ არსებობს არც ერთი ვარიანტი, რომელიც უარყოფდეს პოემის ამ უკანასკნელ ტაეპს.

პოეტის ეპოეა

იმგვარ მდგომარეობაში, როგორც პოეტის სახელისა და გვარის საკითხია, არის მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის დრო.

ეს ფრიად ნიშნვენლოვანი ისტორიულ-ლიტერატურული საკითხი კიდევ უფრო ცხოველ ინტერესს იწვევს მას შემდეგ, რაც ბ. ს. კაკაბაძემ ქართული თეატრის დარბაზში საჯარო ლექცია წაიკითხა. ბ. კაკაბაძე თავის მოხსენებაში შეეცადა დაერღვია პოეტის ცხოვრების შესახები ტრადიციონული ცნობები, რომლების მიხედვით პოეტს დიდი თამარის ეპოქის შვილად თვლიან. ამისთვის მოხსენებელმა იმოწმა მის მიერვე შედგენილი საქართველოს ნეფთა დინასტია, XIII—XV საუკ., რომლის მიხედვით XV საუკ. დასაწყისში აფხაზეთ-იმერეთში მეფობდა თამარ მეფე. მისი თანამედროვე იყო დავით სომხეთისა და მისი ნიდანობის მეფე, რომელიც ტახტზე ასულა 1405 წ. ამ დავითს, რომელსაც ჰყვარებია აფხაზეთ-იმერეთის მეფე თამარი, თავის სატარფოს საქებ-სადიდებლად შეუკვეთია პოეტისათვის „ვეფხისტყაოსანი“.

ბ. კაკაბაძის ნოსაზრებას არავითარი ნიადაგი არა ჰქონდა, რადგან იგი სრულებით არ შეხებია თავის მოხსენებაში იმ საკითხს, თუ რა კავშირი აქვს „ვეფხისტყაოსანს“ მის მიერ წარმოდგენილ აფხაზეთ-იმერეთის ნეფის თამარის პიროვნებასთან, კინტიც არ დაუძრავს იმ საკითხის შესახებ, შესაძლებელი იყო თუ არა XV საუკ. დასაწყისში „ვეფხისტყაოსნის“ მკავისი კლასიკური ნაწარმოების შექნა.

როგორც ჩვენ უკვე გამოვტკვით, „ვეფხისტყაოსანი“ კარის მწერლობის ჰემნარიტი განოზატულებაა, ხოლო კარის მწერლობა ყოველთვის ისტორიულ წარსულში ყოფილა სახელმწიფოს აყვავებისა და კულტურული განვითარების ნაყოფი, XIII საუკ. მეორე ნახევრიდან დაწყებული. ამგვარი ხანა ჩვენმა წარსულმა არ იცის.

მოსასადამე, ფაქტების უქონლობის გამო, მხოლოდ ნაძალადევად შეგვიძლია მივაკუთვნოთ რომელიმე სხვა ეპოქას, თუ არა კლასიკურს, ჩვენი პოეტის დრო და მისი ნაწარმოები.

კერ საჭიროა დამტკიცდეს უტყუარი საბუთებით, რომ საქართველოს პოლიტიკურად დაცემისა და, მოსასადამე, მეფის უფლებების შესუსტების ხანაში, არსებობდა ოდესმე გაცხოველებული კარის მწერლობა, რომელიც შემდეგ მისაბაძი გახდა, ე. ი. უნდა დამტკიცდეს, რომ ოქროს ეპოქად მიჩნეული XII საუკ. და XIII საუკ. პირველი წლების შემდეგ ყოფილა კიდევ, დიდი თამარის გარდა, სხვა პიროვნება, მასავით დიდებული და შარავანდდით მოსილი, რომლის დროს სოციალ-პოლიტიკური ცხოვრებაც აგრევე კარის მწერლობის ხე-

ლის შემწყობი ყოფილიყო, როგორც თამარის ბრწყინვალე ხანაში, სადაც ლიტერატურულ ნაწარმოებს თავისებური კლასიკური მწერლობის ბეჭედი აზის.

XIII საუკ. 36 წლიდან მონგოლების, ზვარაზმელი შაჰზისა და თათრის ელენენტის გაძლიერების შემდეგ, ჩვენში არა თუ ადგილი აღარა ჰქონდა კლასიკურ მწერლობას, პირიქით, საზოგადოდ სწავლა-განათლებლაზეც კი ძნელი იყო ფიქარი...

დავით აღმაშენებლისა და თამარის საქართველოს ძლიერისა და უშიშარი სახელმწიფოს შექმნაზე და მეფის პიროვნების გაღმერთებაზე, რაც ხანგრძლივი რაინდული ბრძოლის ნაყოფი იყო, ქართველის მსოფლმხედველობა ვერ გასცილებოდა ქრისტიანული ასკეტიზმის ვიწრო ფარგალს. მანამდე ამქვეყნიური ცხოვრება ქართველის წარმოდგენაში შეადგენდა მხოლოდ ხორციელ ვნებათა და ცოდვით საესე, საქვენო და ფუქ, წარწავალ ფუფუნებათა გროვას; იდეალი იყო მხოლოდ ამ ქვეყნის გარეშე. საიქიოს, სულის ცხოვნება, ზეციური სასუფეველის მოპოვება, შესაძლებელი იყო მხოლოდ ნონასტერში. ახლა კი რაინდულ ბრძოლას წინ წარმოვლდგა მთალი იდეალური ნიშანი: საწმენოების მტრებთან ბრძოლა შეიქნა იაუთიუე სწორი სამუალეა ზეციური სასუფეველის მოსაპოვებლად, როგორც წინათ ხორცის ნოწყვეტა იყო. ანასთან ერთად სასუფევესო ნიდაგი ნოლბოვა ამგვარი მიმართულების შექმნას საბერძნეთსა და აღმოსავლეთის ცივილიზაციისა და ფუფუნების გაცნობამ. ყველა ეს ამქვეყნიურ ცხოვრებას მოსაუდა საარაკო მწვენიერებით და ზლიდა მას მზილაე ძალად.

და თი სწორედ ამ დროს დალაგდა ის საკარო ცხოვრება, რომლის სულის ჩამდგელი და განმაცხოველებელი ეთეროვანი თამარის პიროვნება იყო.

თამარის ციურა სახემ, მისმა საოცნებო შვენიერებამ და საწეფო ქეკამ მეტსმეტად ააპალა მეფის უფლება და შეუწყო ხელი მისი პიროვნების გაღნეობას, მისმა პაეროვნებამ და სანდომიანმა სახემ ზეშთაჯონა თანაგდროე ნელაქსეებს ნიზა, რამაც გამოიწვია კარის ნწერლობის გავითარება. მაშინდელი სპარსული ლიტერატურა, რომლის გამომზატველია ფირდოუსის „შაჰნამე“ და ყაზნის სულთნის მაჰმუდის კარზე კარის ნწერლობის უმაღლეს წერტილანდის განეითარება, ყველაზე უფრო შეესაბამებოდა თავისი შინაარსით თამარის ბრწყინვალე ეპოქის საერო მიმართულებას.

ანიტომაც, სპარსული ლიტერატურის გავლენა ბუნებრივად შემოიქრა ქართველი საზოგადოების კარისკაცთა უმაღლეს წრეში. კარის მწერალთა განსაკუთრებული ყურადღება ზიოზოვა სპარსული ლიტერატურის ეპიკურმა საღევემპრო ამბებმა და რომანტიულმა სიუჟეტებმა.

ანიტომაც ამ წრიდან განოსული საერო მწერლები იწყებენ ჯერ თარგმნას, შემდეგ კი თვითონაც წერენ სპარსული ნინუშების მიბაძვით...

ვისაც არ უნდა ეკუთვნოდეს „ვეფხისტყაოსნის“ შესავალი, ერთი რამ

ემეს გარეშეა: იგი დიდის ხნის დაწერილია და, მაშასადამე, ძველი ლიტერატურული ცხოვრების შემცველია.

ამიტომ სხვა ცნობების უქონლობის გამო, ჭეჩქერობით მაინც, სანამ ამის უარყოფელი ისტორიული საბუთი არ აღმოჩნდება, პოეტის შესახებ ცნობების შესაჯრებად ჩვენ უნდა ვიხელმძღვანელოთ ამ ერთადერთი წყაროთი.

ამ შესავლიდან ჩვენი პოეტის პიროვნების შესახებ შემდეგს ვტყობობ-ლობ.

იგი ყოფილა ცნობილი ნელექსე, რომელსაც მიუძღვნია სხვა დროსაც თამარ ნეფისთავის ზოტბა („ვთქვენი ქებანი ვისნი წე“). ამითვის უხმარია გიშრის ტბა მელნად და მანასავით ნაზი ტანი კალმად („მინა რხეული“), რასაც მსმენელთათვის ლახვარი დაუსვია ჭულსა.

ნისთავის უბრძანებიათ „მათა საქებრად“ (ე. ი. სასახლოდ მათდა, ანუ უკეთ, მათი ნეტობის უკვდასყოფელად) „თქმა ლექსებია ტყბილისა, ქება წარბთა და წაწანთა, თმათა და ბაგე-კბილისა“ და, როგორც „გრდემლი ტყვიისა ლბილისა“, მაგარ ქებასაც კი გასტეხს, ისე ის დაუმორჩილებია ხელმწიფე ქალის ბრძანებას.

ამიტომ უპოვია მას „ეს ამბავი, ხელის-ხელ საგოგმანები“ (პოეტის შემოქმედებისათვის სახელდახელო), მიუჩნევია ობოლ მარგალიტად (ვით მარგალიტი ობოლი) და გაულექსავს.

ყველა ეს შეაშთხვია („დამართის“) მას მისმან ხელმქმნელმან, ლაღმან და ლამაზმან. ეს არის შიხეზი, რომ მას „მიხლომია ველთა რბენა“, გაქრა მიჯნურთა ჩვეულებისამებრ. ამიტომ ვთხოვს ის, შევავედროთ იგი მას, ვისაც ძალეჲს ზორცითა დაწვა და სულთა ლხენა. მე რუსთველიო, აცხადებს ის, ხელობით ვიქმ ან საქმესაო, „ვის მორჩილობს ჯარი სპათა, მისთვის ვხელობ, მისთვის ნკვდარი“.

ანაწიირად, ამ ერთადერთ ცნობას თუ ვერწმუნებით, უნდა ვიფიქროთ, რომ პოეტი მეფის ბრძანების თანახმად ზდება მიჯნური, იგი დაუძღვრებულა მიჯნურთათვის, —

„კვლა წამალა ახით არ, ანუ მომცეს განკურნება, ანუ მიწა მე საბარი“ —

ამბობს იგი.

ჩვენი აზრით, თუ ასე გავიგებთ პოემის შესავლის სიტყვებს ხელი ვინმე ნელექსის შესახებ, რომელიც თავისთავს რუსთველს უწოდებს, მაშინ სრულიად ადვილი წარმოსადგენი იქნება ის მღვდმარეობა, რომელშიაც იმყოფებოდა კარის მელექსე, რომელიც წერდა „ვეფხისტყაოსნის“ მსგავს წიგნს: პოეტი ასრულებს კარის მგოსნის ჩვეულებრივ მოვალეობას — მიჯნურობის წესს; ემორჩილება ეთეროვანი დედოფლის ბრძანებას და ხელობს მიჯნურდება მის-

თვის და კიდევ გამოარჩევს სპიჯნურო აშბავს, რომ ჯალექსოს იგი მათდა საქებ-სადიდებლად, მათი მეფობის უკვდავსაყოფად.

ცხადია, მიჯნურობა, ხელობა, ერთ წესად იყო მიჩნეული სამუალო საუკუნის საქართველოს კარის გელექსეთაგან.

ეს რამდენადმე ჩანს „ვეფხისტყაოსნის“ ერთი ხანიდგან, სადაც ასმათი, ავთანდილის მიჯნურობის გაგონებაზე, უპასუხებს მას:

„აჲ მოყვარე გიპოვნეარ დისჯანთა უფრო დესი“.

[252,4]

საზოგადოდ, „ვეფხისტყაოსნით“, მიჯნურობის წესის ანსრულებელი დიდი პატივისცემისა და მორჩილების ღირსად ითვლებოდა; მას ემონებოდა და ენასახერებოდა ყველა წესიერი ადამიანი, როგორც მანდილოსანი, ისე მამაკაცი და განსაკუთრებით კი — ბიჭი. ამიტომაც, დიდი ყურადღებით ეპყრობოდა თავის მოვალეობას ნგოსანი, რომელიც სპიჯნურო აშბებს თხზავდა; იგი მოგაგონებდათ ნამდვილ პროფესორს მოხელეს, რომელსაც უნდა შეესრულებინა ნგოსანი-მიჯნურის ერთი მოვალეობათაგანი:

„ქება წარბთა და წაწმთა, თმათა და ბაგე-კბილისა“.

ეს მას ღიღად სასახლოდ მიაჩნდა, და არა სათაკილოდ:

„ჩემი აჲ სკანთ ყოფილმან, მას ვაქებ, ვინცა მიქია,
ეს მჩანს ღღად სახელად. არ თუი გამოქიჯა,
იჯა ჩემი სიციხსზე, ეწყოლო, ვითა ჯიჯა,
მისი სახელი შეუარეთ ქვეშირე მითქეში, მიქია“.

[19]

ზემონათქვაშიდან ცხადია, რომ პოეტი, რომელსაც გაუღექსავს ეს სპარსულად ნათარგმანები ამბავი, ასრულებდა ეთეროვანი დედოფლის ბრძანებას, რაც გამოიხატებოდა ტკბილი ლექსების თქმაში მათდა საქებრად და სადიდებლად.

ამნაირად, პოემის შესავლის ხანებში დაცული ცნობებით, პოეტი ყოფილა დიდი თამარის დროის ცნობილი კარის მწერალი, რომლისთვისაც თამარს შეუკვეთია „ტკბილის ლექსების თქმა მათდა საქებრად — ქება წარბთა, წაწმთა, თმათა და ბაგე-კბილისა“.

ახლა, ვთქვათ, პოემის შესავლის ეს ცნობები სარწმუნო არ არის, და წარმოვიდგინოთ დროებით ის, რომ პოეტი არაუკლასიკური ეპოქის შვილია.

მაშინ, როგორ უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ რუსთაველი თავისი ნსოფლმსდებლობით გარკვეული ფილოსოფიური სკოლის — ნეოპლატონური მოძღვრების მიმდევარია. დღეს ეს ხომ საკმაოდ გამოჩვეულია, რადგან ნაჩვენებია, წყარო, საიდანაც სესხულობს სიბრძნეს პოეტი¹².

¹² H. M a p p, TP, XII, გვ. XLVI, § 10.

მამსაღამე, თუ ჩვენ მივაკუთვნებთ რუსთაველს არა კლასიკურ ხანას, არამედ XIX—XV საუკუნეებს, ე. ი. დაცემის ხანას, მაშინ უნდა დავამტკიცოთ იაიცი, რომ ჩვენს პოეტს თავისი ნაწარმოები მზამზარეული აღდია და სრულიად უცვლელად გაულექსავს, რადგან მნელი წარმოსადგენია, რომ კლასიკური ხანის შემდეგ საქართველოში შესაძლებელი ყოფილიყოს რაიმე გარკვეული ფილოსოფიური მამართლების შექმნა.

რუსთაველი ნამდვილი XII საუკ. საქართველოს რაინდული ეპოქის ქვე-მართი მოქალაქეა; ეს ეპოქა კი წმინდა კლასიკური იყო.

რუსთაველის კლასიკური ეპოქისათვის მიკუთვნებას ამართლებს აგრეთვე ზოგიერთი ტერმინი, რომლებიც საერთოა „ვისრამიანსა“ და „ვეფხისტყაოსან-ში“. თუმცა განორკვეული არ არის „ვისრამიანის“ თარგმნის დრო, რადგან არავითარი ცნობა არც ავტორის ვინაობისა და არც ამ ნაწარმოების შესახებ გაბრუნდ წყაროებში არ მოიპოვება, მაგრამ ყოველ ეჭვს გარეშეა, იგი კლასიკურ ეპოქას უნდა ეკუთვნოდეს: იმგვარი ცეცხლის კლტის აღმსარებელი ნაწარმოები, რომელიც ქრისტიანული მოძღვრების აშკარა წინააღმდეგია, შესაძლებელი იყო ეთარგმნათ ისეთ ეპოქაში, როდესაც საერთო მსოფლმხედველო-ბა იმარჯვებს სასულიეროზე; ამგვარი კი გახლდათ სწორედ კლასიკური ხანა. ამას გარდა, ამ ნაწარმოებს არაბულ-სპარსული კულტურის ძლიერი გავლენა ატყვია. კლასიკური ენა და ის გარემოება, რომ მთარგმნელს ჩინებულად სცოდნია სპარსული ენა, ანტიციებს, რომ ის ეკუთვნის კლასიკურ ეპოქას, როდესაც არაბობდა სკოლები, სადაც ასწავლიდნენ არაბულსა და სპარსულ ენებს.

ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ „ვისრამიანი“ „ვეფხისტყაოსანზე“ აღრეა და-წერილი.

პოემაში, გარდა არაბეთისა და ინდოეთისა და მათ ნკვიდრთა ცხოველე-ბისა, მცენარეულობისა, რაც ეჭვს გარეშეა მოთხრობის ძირითად ნაწილს უნ-და წარმოადგენდეს, წარმოდგენილია აგრეთვე ხატეითი, ხატეალები, ხვარაზ-მელები, ქურდნი (თურქნი და ქურთნი) მოზალდადე მამამდიანი ვაჭრები და სხვები.

მათი შესახები ამბები, ეჭვს გარეშეა, დიდ ინტერესს წარმოადგენდა კლა-სიკურ ხანაში, როგორც თავისი სიძველით, ისე თანამედროვე ინტერესის მხრი-ვაც. ავიღოთ ხატეალები და ხატეათი.

ხატეათი ჩრდილოეთ-დასავლეთი ჩინეთის ერთი უძლიერესი სახანოთაგა-ნი იყო. როგორც ჩინეთი საკუთრეც და ინდოეთი, თავისი სიძველითა და თა-ნამედროვე მნიშვნელობითაც იპყრობდა საშუალო საუკუნეებოს საქართველოს ყურადღებას, ისე არა ნაკლებ საინტერესო იქნებოდა მისთვის ხატეათიც, რო-გორც ერთი უძველესი სახელმწიფოთაგანი, რომლის ხანი ყველა იმდროინდელ თათართა, თურქთა და სხვა ქვეყნებოს პატრონი და მპრძანებელი იყო...

პოეტის დროის ქართველობა ძალაუვნებულად უნდა დაინტერესებულყო ხეარზმთა შესახები ამბებით, რადგან ხეარზმნი დიდ ძალას წარმოადგენდნენ და შიშის ზარსა სცემდნენ მთელ წინა მცირე აზიას. ხეარზმნი დიდად გაძლიერდნენ სწორედ რუსთაველის დროს. XII საუკუნეში მათ შექმნეს ხეარზმთაში, ანუ ხივაში, ძლიერი სახელმწიფო, რომლის თავადებმა მალე გაილაშქრეს სპარსეთზედაც. მათ დიდი ომი აუტეხეს გაძლიერებულ ხალიფას სანჯარს, რომელიც 1132 წლიდან უკვე ბაღდადის სულთანის სახელს ატარებდა. მალე ხეარზმნი შეესიენ მცირე აზიასაც და სანჯარის სიკვდილის შემდეგ, მათ ხელთ იგდეს სპარსეთის ერთი ნაწილის ბატონობაც.

შემდეგში, 1180 წლებში, სულჯუგების დამარცხების შემდეგ, მათ დაიმორჩილეს სპარსეთიც, და უკანასკნელი მხნე და გამბედავი აბასიდი ხალიფა ნასირი იძულებული შეიქმნა გაძლიერებულ ხეარზმთა თავადი თეკეში ელიარებინა თავის მფარველად ისე, როგორც წინათ სელჯუგები.

სანამ დიდი თამარის საქართველო პოლიტიკურად ძლიერი იყო და მეზობელ ქვეყნებს შიშის ზარს სცემდა, ხეარზმელი შაჰებიც ეერაფერს უბედანდნენ მას, მაგრამ ძლიერი და კეთილგანწყობილი თამარის საქართველო მალე დაირღვა: რუსუდანის გამეფებამ დიდი უბედურება დაატეხა თავს საქართველოს და XIII საუკუნის ოახზოცდაათიანი წლებიდან მონღოლთა და ხეარზმთა შემოსევით იწყება საქართველოს დაცემის ხანა.

ამასთან ეს ხეარზმთა იყო საშუალო აზიის ერთი უძველესი სახელმწიფოთაგანი, რომლის ისტორია თავისი ძველი კულტურით, სიძველითა და სახელით დიდ ინტერესს წარმოადგენდა. ასე რომ რუსთაველი ბუნებრივად უნდა დაინტერესებულყო ხეარზმთა შესახები ამბებით:

პოეტი იხსენიებს ქურდებსა:—

„ქერდნი ენაჲნ, რომე თქვენთვის სიტყვა რამე გაემკვანა“.

242.2 [291]

ეუბნება ავთანდილ ტარიელს იმ ხატაეთის მკვიდრ მგზავრებზე, რომელთა ძმა ტარიელს მათთან მოექცია სასიკვდილოდ.

ქურდნი, როგორც ძველად, ისე XII საუკ. და შემდეგაც — XIII საუკ. საყოველთაოდ ცნობილი იყვნენ...

XII საუკ. დასასრული და XIII საუკ. პირველი ნახევარი ბუნებრივი გაგრძელება იყო იმ კლასიკური ხანისა, რომელიც თამარის ეპოქამ შექმნა. ზემორე მოთხრობილი ფაქტებიც იმ მხრივ არის საინტერესო, რომ სწორედ ამ დროს გამოდიან წინა აზიის სცენაზე ის სახელმწიფოები, რომლებზედაც მოგვიოხრობს „ვეფხისტყაოსანი“ (როგორც მაგ., ხატაეთი და ხეარზმეთი) და რომლებიც იმდროინდელი საქართველოსთვის თავისი კარის სიბრწყინვალით მისაბამ მაგალითს წარმოადგენდნენ.

ეპეს გარეშა. რომ რუსთაველი კლასიკური ეპოქის დღემდის ცნობილ მწერალთა მონდვენა...

რაც შეეხება XII საუკუნისად მიჩნეულ ორ ნეხოტბეს: შავთელსა და ჩან-
ალხაძეს, მათ შესახებაც გვაქვს პატივცემული ნ. მარის ფრიად სერიოზული
გამოკვლევათი, რომლებიც იძლევიან ჩვენი აზრის უტყუარ საბუთს.

მართლაც ვინ იტყვის, რომ „ვისრამიანის“ ენა „ვეფხისტყაოსნის“ ენაზე
ძველი არ არის? ჯერ ერთი — „ვისრამიანის“ ენა ბევრად უფრო მწიგნობ-
რულ-ეკლესიურია: ძველი ფორმები აშკარად სქარბობენ „ვისრამიანში“ „ვეფ-
ხისტყაოსნის“ ენის მიმართ. ანასთან რუსთაველის ენის ხალხური ფორმების
სიმდიდრე აშკარა მაჩვენებელია, რომ ჩვენ საქმე გვაქვს ენის განვითარების
შემდეგ საფეხურთან.

ამას გარდა, „ვეფხისტყაოსნის“ სულ ბოლო მინაწერი ხანა კიდევ რომ
არ ეკეთვნოდეს რუსთაველს, ქეშმარიტება იმ ცნობისა, რომელსაც იგი შეი-
ცავს, აშკარაა; საკმაოა იმის თქმაც, რომ პროფესორმა მარმა ამ ხანაზე დაამ-
ყარა თავისი ჩინებული გამოკვლევა „აბდულშეისიანის“ შესახებ.

და აქ საქმე ის კი არ არის, თამარის ნეფობას ეკუთვნის თუ არა პოეტი,
აქამელ ის, რომ იგი საქართველოს მწერლობის კლასიკურ ხანას ეკუთვნის.
ამიტომ საგულეებელია რომ პოემა თამარის შემდეგაც იყოს დაწერილი XIII
საუკუნეში, სახელდობრ მის პირველ ნახევარში და თამარის შესახები ხანე-
ბი, როგორც ანას ამტიცებს № 2829 ხელნაწერის რედაქცია, რუსთაველის
შენიღები დროის რედაქციის ჩართული იყოს და შემცველი იყოს იმ აზრის, რომ
პოემა დაწყებულია თამარის მეფობის უკანასკნელ წლებში, XIII საუკ. პირ-
ველ მეოთხედში. ამის შესახებ გავკრით არის ნაჩვენები ცნობა შემდეგ ხანებ-
შიაც:

„თვალთა მისგან უნათლოთა, ენატრამცა ახლად ჩენა“.

ანდა

„ჩემი აწ სცანიოთ, ყოვლმან, მას ვაქებ, ვინცა მიქაო“

და სხვა

ამიტომაც, ჩვენი აზრით, ფრიად საეულებელია, რომ პოემა კლასიკური
ეპოქის დასასრულში ყოფილიყოს დაწერილი და ეს ნაწარმოებიც ხომ ამ ხა-
ნის მწერლობის გავითარების უმაღლესი მაჩვენებელია.

გამედებული აზრი, ვითომც „ვეფხისტყაოსანი“ წარმოადგენდეს თამარის
დროის ისტორიული შემთხვევების ალეგორიულ გამოხატულებას, ჩვენ მიგ-
ვაჩნია ყოველ საფუძველს მოკლებულად. ქეშმარიტად სარწმუნოა ის, რომ
პოემა კარის მწერლობის საუკეთესო გამოხატულებაა და სხვა.

აქედან ცხადია, რომ მე პირადად რუსთაველის ნაწარმოებს არა თუ ვისი-

მე საქებრად დაწერილად ვთვლი, მე მას არც ვთვლი ხოტბად, რადგან ხოტბა ხოტბაა: მას თავისი ფორმები და სპეციალური მნიშვნელობა აქვს. „ვეფხისტყაოსანი“ კი მხოლოდ სამეფოდ მოწოდებული პირების საგმირო საქმეებს წარმოგვიდგენს. იგი, ისე როგორც „შაჰ-ნამე“, მხოლოდ საკარბ მწერლობის გამომხატველია. იგი მეფეთა წიგნია. ამიტომ, ჩვენი აზრით ყველაზე უწინ „ვეფხისტყაოსანი“ იმ კარის მწერლობის უძლიერესი გამომხატველია, რომელიც ეთეროვანი თამარის პიროვნებამ შექმნა.

„ვეფხისტყაოსნის“ ი. აბულაძისეული 1914 წლის გამოცემის წინასიტყვაობიდან, გვ. II—XII, გინდ მისვე კრებ. „რუსთველოლოგიური ნაშრომები“, ი. მგერელიძის რედ., თბ., 1967, გვ. 37—53.

შოთა რუსთაველი

I. ბიოგრაფიული ცნობები

შოთა რუსთაველის მნიშვნელობა ქართველი ერისათვის განუსაზღვრელია. ქართველთა ისტორიული გზა თავიდანვე ნარეკლიანი იყო, სისხლით მორწყული, ტანჯვითა და ვეებით სავსე. შოთამდისაც ქართველმა ხალხმა სხვადასხვა მტრისაგან ბევრი დევნა განიცადა: ეგვიპტე, ასურეთი, სპარსეთი, ბიზანტია, ხაზარეთი, ოსეთი — შორეულიც და მახლობელიც დევნიდნენ და ავიწროებდნენ მას, მაგრამ ყოველთვის ამუქებდა რაინე ვარსკვლავი იმედისა და ნდგემისა და მტრების მოსაგერიებლად და თავის დასაცავად საკმაო ძალას აძლევდა.

საშობლოს მიყვარულს გარდა, რომელიც მტრებთან ბრძოლის დროს ყოველ ზალხს აფრთოვანებს, თითო-ორიოლა სახელოვანი პიროვნება, ქვეყნისათვის თავდადებული გმირი-მოღვაწე ეპირეებში ჩაცვენილ მოძმეებს აღფრთოვანების სტიმულად და ნუგეშად ევლინებიან ხოლმე და თავდაცვის ძალღონეს უორკეცებენ. ასეთები იყვნენ ქართველებისათვის შოთამდე — ფარნაოზი, ნიზიანი, წმ. ნინო, ვახტანგ გორგასალი, დავით აღმაშენებელი და სხვები.

მე-13 საუკუნიდან საქართველოს მტერნი უფრო გაძლიერდნენ და გამრავლდნენ და ქართველ ხალხსაც მათთან გასამკლავებლად მეტი ძალღონე და მეტი მანუგეშებელი გარემოება ეპირებოდა, რომ იგი უიმედობას არ ეცუა და თავისი თვითარსებობის დასაცავად ფარხმალი სრულიად არ დაეყარა. ძველი დროის გმირებთან ერთად ქართველ ერს ამგვარ ნუგეშად შოთა და თამარი მოეცილნენ.

ასეთი სახელოვანი პიროვნების ცხოვრება, სამწუხაროდ, ბნელითა და ბურღისით არის მოცული. სავალალოა, არ ვიცოდეთ ვინაობა და ცხოვრება იმ

ადამიანისა, რომელიც სული და გულია ერისა, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში თავის ერს მანათობელ ლაშქარად ევლინებოდა, დღესაც გვინათებს და მომავლის გზაზედაც კანდელად წინ მიგვიძღვის... მაგრამ მარტო ქართულ ერსა არა სჭირს ანგვარი უბედობა: ასეთივე ბედი ეწვია ზოგიერთ სხვა ერსაც, მათ შორის — ძველ ბერძნებს, რომელთაც არ დაჩინიათ ნამდვილი ცნობები პომპროსის ცხოვრებისა, — ინგლისელთ, რომელთა გენიოსის შექსპირის ცხოვრებაც ბევრგვარ საიდუმლოებას წარმოადგენს და სხვა.

შოთას ცხოვრების შესახებ ნამდვილი ისტორიული ცნობა და საბუთი არაფერი დარჩენილა და, რაც ვიცით, იგი მხოლოდ გადმოცემით არის შენახული, რომელიც, მის პოემასთან ერთად, საუკუნიდან საუკუნეში გადმოდირდა.

„ვეფხისტყაოსანში“ ავტორი რამდენჯერმე იხსენიებს თავის ფსევდონიმს: იგი თავისთავს რუსთაველს უწოდებს, რაიც ავტორის მხოლოდ საგაზრდილოს აღნიშნავს, ამგვარ ფსევდონიმს ძველადაც ხმარობდნენ, მაგ., ხონელი, შვეთელი, თმოგველი და სხვა, და დღესაც ხმარობენ ხოლმე ჩვენს შვეროლბაში: ურბნელი, არაგვისპირელი, მღვიმელი, ფშაველი და სხვა.

აი, ის ადგილები, „ვეფხისტყაოსნისა“, სადაც მოხსენიებულია ფსევდონიმი რუსთაველი (და არა რუსთაველი) როგორც დღევანდელ შვეროლბაში ხშირად შეცდომით წერენ ხოლმე):

1. „დავე, რუსთველან გავლესე... (7,3)
2. „მე რუსთველი ხელობითა...“ (8.1)
3. „შვერ ვინმე მესხი, მელესე, მე რუსთველისა დაბისა“ (იგივე კიდევე ასე იკითხვის: მე რუსთველისად ამისა).

[1665,4]

4. „ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსა...“

ტარელ — მისსა რუსთველსა, მისთვის ცრემლშეუშრობელსა.“

[1669,1]

ამ სახით, „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ავტობიოგრაფიული ცნობა მხოლოდ ფსევდონიმს შეეხება, ისიც — სახელის მრუხსენებლად; ამასთან, კიდევე სამწუხაროდ, პოემის ის ადგილებიც, რომელიც ზევით მოვიყვანეთ და რომელშიც ეს მცირედი ცნობა მოხსენიებული, საუკვო წყაროს წარმოადგენს. სახელწოდება რუსთველი ორჯერ წინასიტყვაშია მოხსენიებული და ორჯერ — ბოლოსიტყვაში, და პოემის სწორედ ეს ადგილები — როგორც წინასიტყვა, ისე ბოლოსიტყვა — ბევრი მკვლევარის აზრით, — იმ სახით მაინც, როგორც ჩვენამდის მოუღწევიათ, საუკვოა თვით ავტორის ეკუთვნოდეს: ისინი შემდეგში ჩამატებულად ან შეკეთებულად მიაჩნიათ.

¹ იხ. ს. ხუნდაძე, რუსთაველი თუ რუსთველი? — გაზ. „მერეთი“, 1913, წ. № 53 გვ. 2. ავტორი მოთხოვს რუსთველი ეწერეთო. რედ.

ყოველ შემთხვევაში, აღნიშნული ადგილები პოემის ავტორს კიდევაც რომ არ ეკუთვნოდეს, ისინი მაინც საუყურადღებო სრიან, როგორც უძველესი დროიდანვე ჩვენამდის მომავალი გადმოცემა, და ამიტომ საჭიროა განვიხილოთ, თუ რას აღნიშნავს იქ მოხსენიებული სიტყვები: რ უ ს თ ვ ე ლ ი და მ ე ს ხ ი.

საქართველოში ორი რ უ ს თ ა ვ ი ა ცნობილი: ერთი — ქალაქი რუსთავი, რომელსაც ძველად ბოსტანქალაქი ეწოდებოდა და რომელიც თბილისის მახლობლად, მის სამხრეთ-აღმოსავლეთით, კახეთის განაპირას მდებარეობდა, — ხოლო მეორე — დაბა რუსთავი, სამცხეში (ახალციხის მაზრაში). ძნელია იმის თქმა, თუ რომელი რუსთავიდან იყო „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი, მაგრამ, თუ ბოლოსიტყვაში ნახსენები სახელწოდება „მე.ს.ხ.ი“ მართლაც მას ეკუთვნის, მაშინ აქ სამცხის რუსთავზე უნდა იყოს ლაპარაკი, ვინაიდან მე.ს.ხ.ე.ბ.ად უმთავრესად სამცხის (მესხეთის) მცხოვრებნი იწოდებოდნენ. კულტურითაც მესხეთი საშუალო საუკუნეებში საკმაოდ შალა იდგა და, მამასადამე, ბუნებრივია, რომ ამისთანა მხარეში განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი გაჩენილა; თუმცა, ამასთანავე, ისიც საფულისხმოა, რომ პირველი რ უ ს თ ა ვ ი (ბოსტანქალაქი), როგორც ქალაქი, იმ ხანებში შესანიშნავი და სახელგანთქმული კულტურული ცენტრთაგანი ყოფილა.

რაც შეეხება ისტელს შოთას, იგი მხოლოდ გადმოცემით არის ცნობილი, სახელი შოთა ისტორიულ საბუთებში სამ ადგილას არის მოხსენიებული: პირველი — თამარის დროინდელ სიგელში (1190 წ.), რომლის ხელის მომწერ წარჩინებულ პირთა შორისაც არის სახელი „შოთაი“; მეორედ შოთა (ართავაროს ძე) მოხსენიებულია „ქართლის ცხოვრებაში“, როგორც მეფის გამცემი და ამისთვის 1177 წ. დასჯილი; მესამედ — „ქართლის ცხოვრებაშივე“, რუსულდანის თანამედროვედ, ნახსენებია ვინმე შოთა კუპარი. — რუსთაველის ბიოგრაფები (განსაკუთრებით, იუსტ. აბულაძე) ფიქრობენ, რომ თამარის დროინდელ სიგელში მოხსენიებული შოთა უნდა იყოს „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის სახელი, ვინაიდან მ გ ო ს ა ნ ი რ უ ს თ ვ ე ლ ი წარჩინებული პიროვნება იყო და ამიტომაც სხვა წარჩინებულ პირებთან ერთად ხელს აწერს სიგელს; ხოლო დანარჩენი ორი შოთა — ერთი — დანაშაულისათვის დასჯილი და მეორე — უბრალო ამაღაში მოხსენიებული — სახელოვანი მგოსნის პიროვნებას არ შეეფერება.

შთამომავლობის მიერ რუსთველი „ვეფხისტყაოსნის“ ავტორად პირველად მოხსენიებულია „ზილიხანიანის“ ავტორისაგან, რომელიც მე-16 საუკუნის დამდეგს ცხოვრობდა (იხ. სარგ. კაკაბაძის გამოც. „ვეფხ. ტყაოსანი“, გვ. 28—29), ხოლო სახელი შოთა, ამ ფსევდონიმთან ერთად, პირველად მეფისთემურაზ I-ის (17 საუკ.) მიერ არის მოხსენიებული, როცა იგი „ვეფხისტყაოსნის“ გმირების თავგადასავალს მოგვითხრობს: „ე.ს.ენი შოთა რუსთაველმან შეამკო არსთა მკობითა“-ო, — ამბობს იგი. იმავე.

საუკუნეში, თეიმურაზ I-ზე ცოტათი უფრო გვიან, შოთა რუსთველს უფრო ვრცლად იხსენიებს არჩილ მეფე (+1712 წ.) თავის თხზულებაში, რომელსაც ეწოდება: გაბაასება მეფისა პატრონის თეიმურაზის და მელექსეთ დასაბამის რიტორიის რუსთველისა“. არჩილ მეფე აქ რუსთველსა და მეფეს თეიმურაზს ერთმანეთ შორის აკამათებს; თეიმურაზი თავის ლეგსებს აქვებს, თავის გეოზრობას რუსთველისაზე უფრო მალა აყენებს:

„მართალია, მენი წიფნი კარგი იყო აქმლისა.

ახლა ჩემმა დაქარბა, ამაღ ცრემლი ჩამოვდინა“ - ო,

ეუბნება თეიმურაზი შოთას. რუსთველი [რუსთაველი] თავდაპირველად იცავს თავს, ხოლო თეიმურაზის ნიჭს პატივისცემით იხსენიებს. ბასი იმით თავდებდა, რომ თეიმურაზი გამარჯვებული გამოდის, პირველობა მას რჩება. რუსთველსა და თეიმურაზ მეფეზე არჩილ მეფის ნაწარმოებში გამოთქმული აზრი დამახასიათებელია ქართული კულტურის დაცემის ეპოქასა, როცა თეიმურაზ მეფისთანა მოშიაირე პირველ მგოსნად მიიჩნდათ. ამ „გაბაასებაში“ საყურადღებოა დადასტურება იმ გადმოცემისა, რომ რუსთველი „ვეფხისტყაოსნისათვის“ თამარ მეფისაგან დაჯილდოებული ყოფილა.

გადმოცემა მოგვითხრობს, რომ შოთა ადრე დაობლებულა და მისი აღზრდა ბიძამისს (ბერს) უყისრია. პირველდაწყებითი სწავლა შოთას საქართველოში მიუღია — ჯერ რუსთავის სკოლაში და შემდეგ — ტბეთის სამონასტრო სასწავლებელში (სამხრეთ საქართველოში). როცა შოთას საქართველოს სკოლაში სწავლა შეესრულებია, იმ დროის ჩვეულებისამებრ, მთავრობას იგი, სხვა ყმაწვილებთან ერთად, უმაღლესი განათლებისათვის საბერძნეთს გაუგზავნიასაბერძნეთში, ათონის მთაზე (ქალკიდონის ნაბევაჯუნდოზე). მეთათე საუკუნიდან ქართველთა მონასტერი იყო დაასახლებული, სადაც შოთას დროს უკვე განათლებული იყო ქართული მწიგნობრობა და მეცნიერება. შემოკრებილი იყვნენ სწავლული ქართველი ბერები, რომელნიც ქართველ ახალგაზრდებს სწავლა-განათლების საქმეში ხელმძღვანელობას უწყევდნენ. ქართველი ახალგაზრდობა ჯერ ათონზე და მერე ათონში რანდენიზე წელს დაყოფდა ხოლმე და, განათლებით აღჭურვილი, სამშობლოში ბრუნდებოდა. სხვებთან ერთად შოთასაც გაუვლია ეს გზა უმაღლესი განათლებისა და სამშობლოში იმ დროს დაბრუნებულა, როცა საქართველოში თამარის სახელი უკვე განთქმული იყო.

გადმოცემა კიდევ ვგაუწყებს, რომ შოთას თავისი ნიჭიერებით მალე თამარისა და მის კარისკაცთა ყურადღება მიუქცევია და სასახლეს დაახლოებია. რათქმა უნდა იმისთანა მგზნებარე ბუნების მქონე არსებაზე, როგორიც მგოსანი შოთა იყო, თამარის გარეგანი განთქმული მშვენიერება, სულის სიმშვენიერესთან შეზავებული, დიად გავლენას მოახდენდა — და გადმოცემაც ვგეუბნება, რომ პოეტი თამარისადმი სიყვარულით იყო გატაცებულიო. ამ გადმო-

ცემაში დაუჭერებელი არაფერია, — მაგრამ ეგ სიყვარული, ცხადია, ისეთივე იქნებოდა, როგორსაც იგი თავის პოემაში გვინახავს: პლატონური, ზეციური, ლეთაუბრივი — „შორით ბნელა, შორით კვდომა, შორით დაგვა, შორით ალვა“, ამიტომაც ადვილი შესაძლებელია, რომ წინასიტყვის შემდეგი ხანა თვით რუსთაველის კალამს ეკუთვნოდეს:

„მე, რუსთველი, ხელობითა ვიქმ საქმესა, ამაღარი;
ვის მორჩილობს ჯარი სპათა, მისთვის ეხელობ, მისთვის მკედარი...
დაეუძღურდი, მიჯნურთათვის კვლავ წამალი არსით არი;
ანუ მომეცს განკურნება, ანუ მიწა მე სამარი“.

[8]

გადმოცემა განაგრძობს, რომ მალე პოეტს თავისი პოემა დაუწერია და თამარისათვის მიუღობევი; თამარსა და მის ღიღებულთ პოემა ღიღად მოსწონებათ და მგოსანი თვალსაჩინოდ დაუჭილდოვებიათ.

ერთი ლეგენდა შოთას ოჯახურ უბედურებას გადმოგვცემს. შოთა ერთ ქალს შეყვარებია, მაგრამ მგოსნის თანაგრძნობა იერ დაუმასხურებია და შოთას ცოლად სხვა ქალი შეურთავს...

„ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოები. შოთა რუსთაველი,“ ქუთაისი, 1921 (ყდაზე — 1922).

IV. „ვეფხისტყაოსანი“ მართული ორიგინალური პოემა თუ ნათარგმნი

„ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალურობის შესახებ კამათი ქართველ საზოგადოებაში წინა საუკუნეებშიც ყოფილა. ზოგნი მას სპარსულიდან ნათარგმნად სთვლიდნენ და ამიტომ იყო, რომ ქართული რ ე ნ ა ს ა ნ ს ი ს (ა ლ ო რ ძ ი ნ ე ბ ი ს) მესვეურება, მეფემ ვახტანგ VI-მ, ამ ეპოსის შესამოწმებლად, ძველი სპარსული მწერლობა გულმოდგინედ განიხილა. განსაკუთრებული კამათის საგნად ეგ საკითხი მე-19 საუკუნეში გახდა, როცა პირველად პროფ. ნიკო მარმა გადაჭრით გამოაცხადა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ სპარსულიდან არის ნათარგმნი. კანატი ამ საგნის შესახებ დღეს დასრულებულად უნდა ჩაითვალოს. მით უფრო იმიტომ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ნათარგმნად გამოცხადების ინიციატორი — პროფ. მარი — აღნიშნული „ღედნის“ არსებობის უსაფუძვლობაში დარწმუნდა და თავისი ლებულების დაცვას თავი მიაჩნება.

ეპვი „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალურობის შესახებ თვით ამ პოემიდან, მისი „წინასიტყვაობიდან“ წარმოდგა, სადაც შემდეგია ნათქვამი:

ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები,
ვით მარგალიტი ობოლი, ხელისხელ საგომანები,
ეპოვე და ლექსად გარდაეთქვი, საქმე ექმენ საქოქმანები.

[9]

ამ სიტყვებს რომ პირდაპირი მნიშვნელობა ჰქონდეს. მაშინ საკამათო არაფერი იქნებოდა, მაგრამ, ჯერ ერთი, მთელი „წინასიტყვაობა“, როგორც ზე-ვითაც არის ნათქვამი, საექვოდ არის გამოცხადებული, და მეორე, ეს სიტყვები რუსთველის ნათქვამიც რომ იყოს, შესაძლოა, სხვა საფუძვლების მიხედვით, მათ სხვანაირი აზრი მიეცეს და არა პირდაპირი.

აი, ეს საფუძვლებიც: ა) პოემა რომ პირდაპირ სპარსულიდან ნათარგმნი იყოს, თუნდაც პროზიდან „ლექსად გარდათქმული“. ამისთანა საქმეზე არ ითქმის „ს ა კ ო ქ მ ა ნ ე ბ ი“ (ე. ი. სახელოვანი, სასახელო); ბ) სპარსულ ლიტერატურაში ვერც ვახტანგ მეექვსემ (სპარსული ენისა და მწერლობის წარჩინებულმა მცოდნემ) და ვერც სხვებმა ვერ პოვეს იმისთანა ნაწარმოები, რომ „ვეფხისტყაოსნის“ დედნად ჩათვლებოდეს; გ) სპარსულ ლიტერატურაში რომ „ვეფხისტყაოსნის“ დედანი, ვთქვათ, ოდესმე ყოფილიყოს და დაკარგულიყოს, შეუძლებელია სპარსეთის მაღალ წრეებში მაინც და მწერლობაში იმის შესახებ რაიმე გადმოცემა, ტრადიცია არ დარჩენილიყოს; ნამდვილად კი, როგორც ცნობილია, „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ იქ არავითარი გადმოცემა არ არსებობს; დ) ამ სახით, რაკი „დედანზე“ ლაპარაკისათვის საფუძველი არ მოიპოვება, „წინასიტყვაობიდან“ ზევით მოყვანილი ხანა შესაძლოა ასე გავიგოთ: ჩვენმა მგოსანმა რაიმე სპარსული სიტყვით, „სპარსული ამბავით“, ზეპირთქმულობით ან პროზად დაწერილით, ისარგებლა და მას ქართული „თარგმანება“ შელფარდა, ე. ი. ქართული ეროვნული სული შთაბერა, იგი საკუთარი პოეტური ფანტაზიითა და შემოქმედებით განავითარა და შიგ საკაცობრიო აზრები და გრძნობები გამოასახა, საკაცობრიო ტიპები შექნა. ამისთანა საქმე — მართლაც „საქოქმანები საქმე“-ა სასახელო. დიდებული საქმე: ამისთანა საქმეს სრულიადაც არ ამცირებს და არ ჩრდილავს ის გარემოება, რომ მწერალი დედააზრს საიდანმე სესხულობს, როგორც არ დაუჩრდილავს ამ გარემოებას დიდებული შექსპირი, რომელმაც თავისი ტრაგედიებისათვის იტალიური ნოეველებით (მოთხრობებით) ისარგებლა.

ზევით მოყვანილ საბუთებს ის საფუძველიანი მოსაზრებაც უნდა დავუმატოთ, რომელიც „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსის ჩვენს ისტორიულ ცხოვრებასთან შედარებიდან გამომდინარეობს და ამტკიცებს, რომ პოემაში ბევრი იმისთანა ფაქტია მოხსენიებული, რომელიც თამარ მეფის ისტორიულ ცხოვრებას გვიხატავს და, მაშასადამე, შოთას თავისი პოემით თანამედროვე ცხოვრება გამოუხატაუს, დიდებული თამარის დროს და პიროვნება აღუბეჭდია. ესაზრი პირველად პროფ. დავით ჩუბინაშვილმა გამოთქვა და შემდეგ იგი სხვებ-

შაც გაიზიარეს და თამარის ცხოვრებასთან „ვეფხისტყაოსნის“ გმირების თავგადასავალის შედარების ახალი პარალელებით შეავსეს.

თამარის ცხოვრებასთან „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსის კავშირის დასამტკიცებლად, ამ აზრის თანახმად, შემდეგი პარალელები შეგვიძლია მოვიყვანოთ: 1) პოემაში ორი სხვადასხვა მეფის ასულია გამოყვანილი, თინათინი და ნესტან-დარეჯანი, და ერთშიც და მეორეშიც, როგორცა ჩანს, შოთას თამარის პიროვნება ჰყავს გამოხატული არაბეთის მეფეს როსტევანს ვაჟი არ ჰყავდა და ერთადერთი ასული მისი თინათინია მეშვედრე არაბეთის ტახტისა. ასეთივე ბედი წვევია ინლოეთის მეფეს ფარსადანსაც, რომელსაც აგრეთვე ვაჟი არ გააჩნია და ერთადერთი ასული — მშვენიერი ნესტან-დარეჯანი ჰყავს ნუგეშად. თამარიც ხომ ერთაერთი შვილი იყო გიორგი III-ისა, ერთადერთი მემკვიდრე ტახტისა; 2) გიორგიმ ასული თვისი თამარი თავის სიცოცხლეშივე დასვა ტახტზე, და ასევე როსტევანსაც თავის სიცოცხლეში აყავს ტახტზე თინათინი; ფარსადანმაც აგრეთვე ასე განიზრახა: თავის სიცოცხლეში სწადია ხვარაზმნას შვილის სიძედ მოყვანა და სიძე-შვილსაათვის თავისი სამეფოს გადაცემა; 3) ნესტან-დარეჯანს შამიდა დავარი ზრდის და თამარიც ხომ მაშინდასთან (რუსულდანთან) იზრდებოდა; 4) თამარი და მისი მომავალი საქმრო, დავით სოსლანი, ერთად იზრდებოდნენ, და აგრეთვე ნესტან-დარეჯანიცა და ტარიელიც ერთმანეთის ახლოს იზრდებოდნენ; ასევე ახლოს იზრდებოდა ავთანდილიც თავის მომავალ სატრფოსთან—თინათინთან; 5) თამარმა პირველად, მართალია, უცხოზე დაიწერა ჯვარი (გიორგი ბოლოლიუბსკიზე) და ანალოგია აქ თითქმის იძლევა, ვინაიდან ნესტან-დარეჯანი უცხოს არ შეუერთავს, მაგრამ უცხოელთან კავშირის ანალოგიად ისიც მისაღებია, რომ ნესტანის მშობლებს უკვე გადაწყვეტილი ჰქონდათ ხვარაზმნას შვილის სიძობა და ეს გადაწყვეტილება მხოლოდ ტარიელის მიერ ამ სასიძოს მოკვლამ დაარღვია; ამ შემთხვევაში ხვარაზმნას შვილის მოკვლა შესაძლოა გიორგი რუსის განდევნას და ვუპირდაპიროთ და მაშინ ანალოგია სრული რჩება; ტარიელმა ნესტანის საქმრო მოკლა — და ამით მას საშუალება მიეცა მომავალში ნესტანის შერთვისა, ხოლო თამარის ქმარი გიორგი, თამარის მხრით უნებურად შერთული, საქართველოს მოაშორეს და თამარი ბოლოს მაინც საყვარელ აღამიანს შეუერთდა.

ზევით აღნიშნულ ანალოგიებს გარდა სხვებსაც ასახელებენ, მაგრამ მოყვანილი მაგალითებიც საკმაოდ ასაბუთებს იმ მოსაზრების საფუძვლიანობას, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს თავისი პოემის შინაარსი რამდენადმე, მართლაც, თამარის დროისათვის დაუკავშირებია. შეუძლებელია წმინდა სპარსულ ნაწარმოებში, თუ ეს პოემა მართლა უცხოელ ავტორს ეკუთვნოდა, სრულიად შემ-

თხვევით ამდენი შესავსება ყოფილიყო თამარის ცხოვრების ისტორიულ ფაქტებთან.

„ვეფხისტყაოსნის“ ქართულ პოემობაში რომ რაიმე საფუძვლიანი ეპეი გეპარებოდეს და იმის უცხოობის რაიმე თვალსაჩინო საბუთი რომ არსებობდეს, სასირცხოც იქნებოდა მითვისება იმისა, რაც ჩვენ არ გვეკუთვნის. ასე წოდებული პლაგიატი — ლიტერატურული ქურდობა — ყურად პირისათვისაც შეტად დამამცირებელია, და მით უფრო დამამცირებელი იქნებოდა იგი მთელი ერისათვის, მაგრამ საქმეც ის არის, რომ, როგორც დავინახეთ, არ არსებობს ოდნეაც გასამართლებელი საფუძველი მისი ნათარგმნობისა, და, ამასთან ერთად, რუსთაველის სახელი და მისი „ვეფხისტყაოსანი“ ქართველი ერის ცხოვრებაში იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ადვილად მას ვერაფერს დავუთმობთ.

სულ სხვა ხასიათისაა საკითხი „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის ნასესხობისა, — საკითხი შესახებ იმისა, თუ შოთას პოემაში სპარსეთისა ან სხვა ქვეყნის ლიტერატურის გავლენა რამდენად გამოხატულა. ცნობილია, რომ საქართველო, — ეს აღმოსავლეთისა და დასავლეთის ხალხებს შორის მდებარე მხარე, ეს ისტორიული ხიდი აზიასა და ევროპას შორის, — ორივე მხრით დიდს კულტურულ გავლენას განიცდიდა და ეს გავლენა განსაკუთრებით მწერლობაში აღბეჭდილა. აღმოსავლეთის მხრით უფრო ძლიერი იყო იგი, მეტადრე სპარსეთის მხრით, რომელსაც აღმოსავლეთის ერებს შორის უფრო ადრე და უფრო მდიდარი მხატვრული მწერლობა შეუქმნია, და ქართულ პოეზიაზე სპარსული მხატვრული მწერლობის გავლენა ხომ ყველასათვის თვალსაჩინოა.

რუსთაველის დროს სპარსულ ლიტერატურაში მრავალი განთქმული სამიწერო და სადევგმირო თხზულება მოიპოვებოდა: „ქისრამიანი“, „ლეილა და მეჟნუნი“, „ბარამიანი“ და „ბარამიანის“ ტიპის სხვა მოთხრობები („ბაჰრამ-გულიჯანიანი“, „ბაჰრამ-გულანდანიანი“ და სხვა).

შოთა რუსთაველს, ეპეი არ არის, სპარსული მწერლობა ზედმიწევნით ეცოდინებოდა და ზევით დასახელებულ ნაწარმოებთაც უთუოდ კარგად იცნობდა; აღნიშნული მოთხრობანი კი თავისი შინაარსით რამდენადმე — ზოგი მეტად და ზოგი ნაკლებად — „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსს მოგვაგონებენ. ამიტომ სრულიად მისაღებია ის მოსაზრება, რომ რუსთაველს ერთ-ერთი მათგანი (ან ყველა ერთად) მხედველობაში მოუღია, მისი სიუჟეტით უსარგებლია და შემდეგ, თავისი პოეტური ფანტაზიისა და შემოქმედების მეოხებით, ის სრულყოფილი პოემა შეუქმნია, რომელთანაც პროტოტიპი თავისი ღირსებით უკვე ახლოსაც ვერ მივა. — ამგვარი დებულება „ვეფხისტყაოსნის“ „წინასიტყვაობასაც“ ეთანხმება, შესაძლებელიც არის და, ამავე დროს, როგორც ზევითაც არის ნათქვამი, არც პოეტის ნიჭიერების დამამცირებელია და არც ქართველი ერის გრძნობის შეუღრაცხყოფელია.

მკვლევართა უმრავლესობის საკმაოდ დასაბუთებული აზრით, — „მეფე-ხისტყაოსანი“ წმინდა ქართული პოეზიის შემოქმედების ნაყოფია იმდენად, რამდენადაც, მაგალითად, ჰამლეტი — ინგლისურისა, ე. ი. ეს დიდებული პოემა ქართველ მგოსანს შეუთხოვავს, თუმცა, ამავე დროს, ავტორს რამდენადმე უცხო ნაწილობის ნაწარმოებით უსარგებლია, როგორც მასალით.

„ვეფხისტყაოსნის“ შეფასების დროს მხედველობაში უნდა ვიქონიოთ დრო, ეპოქა, რომელშიც ეს პოემა დაწერილა. მე-12 საუკუნეში აღმოსავლეთში მხოლოდ სპარსულთა, ხოლო დასავლეთში — ძველ ბერძენ-რომაელთა პოეზია ყოფილა იმდენად განვითარებული, რომ იქ მოიპოვებიათ „ვეფხისტყაოსნის“ მსგავსად მაღალ-ლირსებრიანი ნაწარმოებები; დანარჩენი ხალხების პოეზია ასე მაღლა ჯერ კიდევ ვერ ასულიყო. „ვეფხისტყაოსანი“ საზოგადოდ ბევრგვარი ლირსებით არის შემოვსებული, მაგრამ მას ფასი კიდევ იმ მხრითაც ემატება, რომ იგი ადრეული ეპოქის ქმნილებაა და, მაშასადამე, მაჩვენებელია უძველესი დროიდანვე ქართველი ერის ინტენსიური ცხოვრებისა და მე-12 საუკუნეში უკვე მისი სრული კულტურული სიმწიფისა.

მე-12 საუკუნე, თამარ მეფის ეპოქა, ისტორიაში „ოქროს საუკუნედ“ წოდებული უსაფუძვლოდ როდია. თამარის ეპოქაში ქართველ ერს დიდი ხნის კულტურული მუშაობა მიუძღოდა. ეს შართლაც „ერთი მუცა ხალხი“ — ქართველი ერი, მიუხედავად მრავალრიცხოვანი შტრების განუწყვეტელი შემოსევებისა და მათ წინააღმდეგ მუდმივი ომების წარმოებისა, კიდევ პოულობდა დროს კულტურული მუშაობისათვის და მე-9—10 საუკუნიდან უკვე მრავალ ადგილას იყო გაჩაღებული კოლექტიური სამეცნიერო მუშაობა — როგორც საზღვრებს შიგნით, ისე საზღვარგარედაც. უნდა ვიფიქროთ, რომ მაშინდელ დროს ჩვენში გონებრივად მომზადებული მუშაკი საკმაოდ ყოფილა, რომ შიგნით — სამშობლოს საზღვრებში — მუშაობას არ ჯერდებოდენ და საზღვარგარეთაც აწესებდნენ ისეთს წარჩინებულ სამეცნიერო წრეებს, როგორც განსაკუთრებით ათონში, იერუსალიმში და სინას მთაზე იყვნენ. ამ გონებრივი ვარჯიშობისა და მუშაობის ნაყოფიერებას ჩვენი ერის ბუნებრივმა ნიჭიერებამაც ხელი შეუწყო და საზოგადოება მალე ისე მომწიფდა, რომ უკვე დავით აღმაშენებლის დროსაც მისი კულტურა საკმაოდ სიმალლეზე იყო ასული, ხოლო თამარის დროს მან თავის კულმინაციურ წერტილს მიაღწია.

ქრისტიანობის დროს ქართველი საზოგადოება დასავლეთის საქრისტიანოსაკენ (განსაკუთრებით საბერძნეთისაკენ) მიიწევდა, რომელსაც იგი სარწმუნოებით ენათესავებოდა; მაგრამ აღმოსავლეთსაც მოწყვეტილი არ ყოფილა, აღმოსავლეთთანაც ჯერ კიდევ კულტურულად და ხშირად პოლიტიკურადაც დაკავშირებული იყო. ამიტომ უნდა იხსენიებოდეს, რომ, თუმცა შოთაშანი განათლებულ დასავლეთში მიიღო, მაგრამ აღმოსავლეთთანაც სულიერი კავშირი არ შეუწყ-

ვეტია და, როგორც პოეზიის მიჯნურს, არ შეეძლო სპარსეთის მდიდარს პოეტურ ლიტერატურას ახლოს არ გასცნობოდა. ამიტომაც არის, რომ შოთას „ვეფხისტყაოსანში“ ორივე მხრის ზეგავლენა აღიბეჭდა — აღმოსავლეთისა და დასავლეთისა, — აღმოსავლეთისა — გარეგნული თვისებისა, ხოლო დასავლეთისა — შინაგანი მასიათისა, სულიერი ლტოლვისა.

„ვეფხისტყაოსნის“ გარეგნული სახე და ჩარჩო იგივეა, რაც სპარსული მოთხრობებისა, მაგალითად, „ვისრამიანისა“, „ბარამიანისა“ და სხვ; იმგვარივე კანვა-ჩარჩო მოთხრობისა, იგივე სიჰარბე გრძნობისა, იმგვარივე პოეტური ენა — განსხვავებულის აღმოსავლური შედარებებითა და გამოთქმებით აფერადებული

„ვეფხისტყაოსნის“ ამბავი ისე აწყება, როგორც საზოგადოდ მრავალი აღმოსავლური ზღაპარი ან სადევგმირო ამბავი. მაგალითად, „ბარამიანში“ ბარამი ნადირობის დროს დაჭრილ ქურციკს უკან ედევნება, ქურციკი კვლავმინდად იყარება და ბარამი მას არ ეშვება, — დაეძებს, რომ მისი გზა-კვალი გაიგოს. მოთხრობის ამგვარი ჩარჩო ერთგვარი ხერხია, მკითხველის გულისხმიერობისა და ცნობისმოყვარეობის გამაღვივებელი ერთი საშუალებათაგანია — იმისთანა, როგორც ხშირად იხმარება ხოლმე აღმოსავლურ ზღაპარებებში, მათ შორის — საქართველოს ზღაპრულ ამბებშიც. მაგალითად, „რუსულდანანში“ მოთხრობილია მეფის შვილის ჭიმშედის თავგადასავალი, რომელსაც ჯადოკვერცი წინ უგორდება და ჭიმშედი მას უკან ედევნება, რათა მისი საიდუმლოება გაიგოს ფარნაოზ მეფის ზღაპრული თავგადასავალიც მოგვითხრობს, რომ ფარნაოზმა ნადირობის დროს ირემი დააპყრა; ირემი გაიქცა, ფარნაოზი უკან დაედევნა და ირემის კვალმა ფარნაოზი გამოქვავულში მიიყვანა, სადაც მან ოქრო-ვერცხლის ხაზინა იპოვნაო.

„ვეფხისტყაოსნის“ ენა-სტილიც აღმოსავლურ მოთხრობათა ენას მოგვაგონებს. შოთა იმგვარ შედარებებსა და გამოთქმებს ხმარობს, როგორც მხოლოდ აღმოსავლეთის მგოსნებისაგან იხმარებოდა ხოლმე, აღმოსავლეთის მგოსნებს სიმბოლიზმები უყვარდათ, აზრების სიმბოლურად გამოთქმა და შოთაც მრავალად ხმარობს სიმბოლიზმებს. მაგალითად: — „ხრის ყოვნისა ბოლო ფრთათა“ (ე. ი. თინათინი წარბებს ხრიდა, სახეს ხეშვავდა, სტიროდაო); „ცრემლსა ვარდი დაეთრთვილა“ (ე. ი. ტარიელის ვარდისფერი ლოყები ცრემლებს გავევარდისფერებიაო); — „მზე ჩავეისვენდა, ბნელსა გვერეტთ, დამესა ჩვენ უმთვაროსა“ (როსტევან მეფის სიბერეზეა ნათქვამი); „ვარდი მუცლის, გამოჩნდის მუნ ბროლი გამოქვიკალი“ (ვარდი აქ ნესტანის ბაგეებს ნიშნავს, ბროლი — კბილებს); — „ვარდი ქნებოდავ, ალვისა შტო ირხეოდავ, ბროლი დალალი. გათლილი ლაქვარდად გარდიქცეოდავ“ (ვარდი აქ ლოყებს აღნიშნავს, ალვის

შტო — ტანს, ბროლი და ლალი — ტურ-ებოლთ) და მრავალი სხვა-
აღმოსავლეთის მგოსანთა მსგავსად, შოთა ჰიპერბოლურს, გაზვიადებულ
განთქმებს, — შედარებებსაც წმირად ხმარობს, მაგალითად:

„ხელთა ნაქერი მათრახი ჰქონდა უმსხოსი მკლავისა“, „ერემ-
ლსა სისხლი ერეოდა; — გასდრეს, ვითა ნაგუბარი“; — „უგავს პი-
რისა სინათლე მთვარისა მოვანებასა“ — „შიგან ასრე გავერივე,
გნოლის ჯოგსა ვითა ქორი, კაცი კაცსა შემოვსტყორცნე, ცხენ-
კაცისა დაედგი გორი“ — „ვარდისა ბაღსა მოგუბდა ცრემლისა-
ნაგუბარი“; „ასმათს სდის ღვარი სისხლისა, ღაწვთაგან ნახოკა-
რისა“; — „ცრემლი სდის, ვითა ბისონი (ბისონი ედემის მდინა-
რეა); — ველ მამინ მხეცნი ძლებოლდეს ცრემლითა მუნ ნატირი-
თა“ — „ავთანდილ მალეით ცრემლსა სწვიმს, სდის ზღვათა შე-
სართავისად“ მრავალი სხვ.

მსგავსივე ენა-სტილია „ვისრამიანშიც“, აღმოსავლეთის მგოსანთა ამ სამა-
გალითო-სანიმუშო ნაწარმოებში; მაგალ, სიმბოლიზმები: —

„ღაწვმან მისმან ყაყაროსა პერანგო ჩაიცივა“; — „რამინ სირ-
ცხვილისა ფარდაგი დახია“; — „მარგალიტსა ხევერიელად აწ-
ვიშებდის“ (ცრემლებზეა ლაპარაკი); — „იუგუნდსა შიგან მარგალიტი ჩნდა
დაცმული“ (კბილები იფურცნებდა); — „ღაინახა რამინ ნაძვი მავე-
ლი და მთვარე სუღერი“ (რამინის მეორე მიჯნურზე — გულზეა ლაპარაკი); —
ჰიპერბოლები: „აზომი კაცი მოკლეს, რომე მკედრისა გორი გო-
რსა ზედა იღვა და მას გარშემო დიოდეს სისხლისა ღვარნი“, — მის-
თა (ე. ო. ვისის) თმათაგან ქვეყანა ასურნელდა და ქაერი ამბრად
შეიქმნა, — „წარბი შისი მთვარესა ზედა მშვილდოსნობდა“
(ე. ო. გულის წარბები ლოყებს ზემოთ მშვილდებივით გადმომდგარიყო, ან: მთვარესვით გა-
ბადრულ სახეს ვადმოსცეროდაო), — „ღვარად გავიდის ცრემლი და სახლ-
სა მიგნება დადგის“ და მრავალი სხვა.

აქეთა აღმოსავლური (სპარსული) მოხრობებისა და „ვეფხისტყაოსნის“
ურთიერთშორის გარეგანი მსგავსება.

რაც შეეხება შინაგან თვისებას, აზრებისა და ტიპების ხასიათსა და მიმარ-
თულებას, ამ მხრით „ვეფხისტყაოსანი“, როგორც უკვე ვთქვით, უფრო ევ-
როპულს, დასავლეთის ნაწარმოებსა ჰგავს, ვიდრე აღმოსავლურს. „ვისრამი-
ანი“ დამახასიათებელია აღმოსავლეთის ეპოსისა და ამ რომანის გმირები რომ
„ვეფხისტყაოსნის“ გმირებს შევედაროთ, მათ შორის დიდ განსხვავებას ვიპოვ-
ნით.

„ვისრამიანის“ გმირებს უმთავრესად პირუმტიციობა, ცბიერობა და გაუ-
ტანლობა ახასიათებთ. რამინი სუსტი ნებისყოფისაა მიჯნურობაში და იგი უფ-
რო რიჩარდსონის ლოველასა და ბაირონის ღონ-ჟუანს მოგვაგონებს, ვიდრე
რუსთაველის „მიწნურს“. მართალია, ვისი მას პირველ ხანებში გულწრფელად
უყვარს, ერთხანს იგი ნამდვილი „მიწნურს“ (შმაგური) სიყვარულითაა აღ-

ტყინებული — და ამ შემთხვევაში მუდამ გულგრილის ლოველას — დონკუა-
ნებისაგან. განსხვავდება, მაგრამ მალე მისი სამიჯნურო ცეცხლი ნელდება და
იგი მეორე სატრფოს — გულს სიყვარულს უკვე აღვილად ვფიქვბა.

სულ სხვაა შოთას გმირების მიჯნურობა. ტარიელის ფულში სამიჯნურო
.ცეცხლს ვერავეთარი დაბრკოლება ვერ აწრობს: იგი თავისი მერანით აღმა-
დაღმა დაქროლავს, ხან სოფელ-ქალაქად და ხან კლდე-ღრეში დაძრწის და
.გაშმაგებით, განუწყვეტელი ცრემლის ღვრით სატრფოს დაეძებს. ტარიელს
ფიქრითაც არ მოუვა ნესტანი დაივიწყოს და ვინმე სხვა შეიყვაროს, და ასე-
თია თვით ნესტანიც: მტკიცე, შეურყეველი გრძნობისა და აზრისა. ნესტან-და-
რეჯანი ბევრჯერ ჩავარდა გამსაცდელში, ხან ჯულანშაროს მეფის შვილისა-
თვის სწადით იგი საცოლოდ და იქიდან იპარება, რომ ტარიელისადმი თვისი
.უბიწო სიყვარული წმინდად შეინახოს, ხან ქაჯთ უვარდება ხელში და ქაჯთა
მეფის შვილის სადედოფლოდ ჰყავთ იგი ციხეში დამწყვდეული, მაგრამ ნეს-
ტანი უმაღ თავს მოიკლავს, ვიდრე ტარიელს უღალატებს. აი, რასა სწერს იგი
.თავის მიჯნურს ქაჯეთის ციხიდან:

„მე გული შენი ქალად აღლსავე შენა ვაწებო; —
გულო, შავგულო, დამმეულხარ, — ნუ ახსნებო, აწ ებო...“
„შენგან მზემან, ღმენოსა არვის მიხვდეს მთვარე შენი, —
შენმან მზემან, ვერვის მიხვდეს, მოცაოდენ სამნი მზენი...
აქა თავსა გარდავიტყუე, ახლოს მახლავნ დიდი კლდენი“...
[1293]

ასეთია ავთანდილ-თინათინის მიჯნურობაც. მართალია, ავთანდილისა და
.თინათინის ტრფობას იწეთი თავდავიწყებული, შმაგური გრძნობა არ ახლავს,
როგორც ტარიელ-ნესტანის მიჯნურობას, მაგრამ ურთიერთის სიყვარულში
.უსენიც ისე პირმტკიცე და საღკლლოვანი არიან, როგორც ტარიელ-ნესტანი.
ავთანდილი თინათინს გონებიდან არ იშორებს და, ფრიდონისას რომ მიდის,
.გზაში კვლავ თინათინის მოგონება ავსებს „უფრორე ქირითა“ და ცას მნათობთ
.ასე შესტარის და შევედრის:

მ ზ ე ს — „მე ნუ გამყრი საყვარელსა, ნუ შემოცლა ღმე დღესა“.
ზ უ ა ლ ს — „მას უთხარ, თუ: ნუ გასწირავ, შენია და შენთვის ტირისა!“
მ თ ვ ა რ ე ს — „მიდი, უთხარ: „ნუ გასწირავ“ მისი ვარ და მისთვის ვკვდები“...
[1294]

თინათინიც არ გასწირავს ავთანდილს და საღკლნოდ ეყვარება იგი. ამის
.თავდება მისი გულწრფელი აღარება, როცა ავთანდილს უცხო მოყმის (ტა-
რიელის) მოძებნას ემუდარება:

„ფიცით ვითხრობ: შენგან კიდე თუ შევიროთ რაცა ქმარი,
მზეცა მომხვდეს ხორციელი, ჩემთვის კაცად შენაქმარი, —
[1295]

„ვისრამიანის“ ცმობრი ქალი ვისი, რამინთან შედარებით, მიჯნურობაში მტყიცე ხასიათისაა, მაგრამ, შოთას ნესტან-დარეჯანთან შედარებით, მისი გრძობა მეტყვეობა: მან პირველი სიყვარული საქმრო (ვირო) დაივიწყა და რამინი გაიმიჯნურა ხოლო, გარეშე მიჯნურობისა, იგი ცბიერიც არის. რამინისადმი სიყვარული აშკარად ვერ გამოუტყვადებია და მოაბადს ატყუებს, სიცრუეს ეფიცება. ამ მხრით მისი მწროვნელი და ხელმძღვანელი ძიძაა, რომელიც განსახიერებაა ცბიერებისა და ჯადოქრობისა.

რუსთაველმა სინამდვილეშიც იმგვარივე მიჯნურნი დაგვიხატა, როგორც არის მისი თეორიული მოძღვრება მიჯნურობის შესახებ. „მიჯნურობა სხვა რაზეა, არ სიძვისა დასადარი, — მძულს უფულოდ სიყვარული — ხვევნა, კოცნა, მტლამა-მტლუში“ო, — ამბობს იგი და მისი გმირებიც ასეთი ტრფობით არიან გამსჭვალულნი. აქ კ ლ ა ტ ო ნ უ რ ი ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი ა გამობატული, ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი ს ს უ ლ ი ე რ ო ბ ა ა ჯ აღმერთებული: „შორით ბნედა, შორით კვდომა, შორით დაგვა, შორით ალვა“.

„ვისრამიანის“ მიჯნურნი კი ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი ს ხ ო რ ც ი ე ლ ო ბ ი თ არს მისი თეორიული მოძღვრება მიჯნურობის შესახებ. „მიჯნურობა სხვა რაც შოთას „სძულს“ — ხვევნი თ, კოცნი თ, მტლამა-მტლუში თ. რუსთაველიც გვიხატავს ამ ქვენა-გრძობის სიყვარულს, მაგრამ ისე გვიხატავს, რომ მისი ქვენა გრძობობა თავისთავად გამოსკვივის. ეს არის ფატმანის სიყვარული ავთანდილისადმი, — სიყვარული, რომელსაც რუსთაველი განგებ ვისისა და რამინის სიყვარულს უფარდებს და ამით გვეუბნება, რომ ფატმანის მიჯნურობა შორს არის ტარიელ-ნესტანისა და ავთანდილ-თინათინის მიჯნურობისაგან, იგი მხოლოდ რამინ-ვისის მიჯნურობას ემსგავსებაო.

არც ერთი გმირი „ვეფხისტყაოსნისა“ ცბიერი არ არის. ტარიელი და ნესტანი ერთხელ კი გადაცდნენ პირდაპირობის გზას: ნესტანის რჩევით ტარიელმა ფარსადანის წინაშე ნესტან-დარეჯანისადმი თვისი სიყვარული უარყო, მაგრამ ამ უარყოფას ისეთივე ხასიათი ჰქონდა, როგორც — პეტრესაგან საყვარელი მოძღვრის ქრისტეს უარყოფას გაბოროტებულ მის მღვწელთა წინაშე.

თვით ფატმანი, მართალია, როგორც მიჯნური, შოთას მოძღვრების წინააღმდეგია, მაგრამ მიჯნურობაშიც კი იგი პირდაპირია და გულწრფელი; ხოლო როგორც ადამიანი, ფრიად სიმპატიურია, უსამართლოდ დაჩაგრულის დამცველი და მისდამი წრფელი დედობრივი სიყვარულით გამსჭვალული (მოიგონეთ ნესტან-დარეჯანის მიმართ მისი მზრუნველობა).

ამ სახით, „ვისრამიანის“ გმირები ჩვეულებრივი მიწიერი ადამიანები არიან, ჩვეულებრივის ადამიანური გრძობისა, შოთას თქმით — „ურჩნი ხედვისა“ (ე. ი. ურჩნი გონებისა), ადვილად ამყოლნი გულისა, ვნებათა ღელვისა. „ვეფ-

ხისტყაოსნის“ გმირები კი არაჩვეულებრივი აღაშინაები არიან, ზეკაცები, ციურ-რი სპეტაკი სიყვარულით აღტაცებულნი და ბოროტების წინააღმდეგ მებრძოლნი. „ვისრამიანის“ ავტორი რეალისტია და იგი რეალურს, ნამდვილ ცხოვრებას გვიხატავს, ამისთანა გმირებს, რომელნიც ჩვეულებრივი მიწიერი გრძობა-სურვილებით არიან შებოჭილნი, აღაშინაური სისბლბორციით შედგენილნი. ისინი საზოგადოდ ცხოვრებასთან ახლოს დგანან, ნამდვილი ცხოვრების ღვიძლი შეიღნი არიან.

„ვეფხისტყაოსნის“ ავტორი რომანტიკოსია და იგი საოცნებო გმირებს გვინატავს, არაჩვეულებრივს, ღვთაებრივ-ჰეციური გრძობა-სურვილებით აღჭურვილთ.

შოთა იცნობს დასავლეთის (საბერძნეთის) ფილოსოფოსებს და, თანაზმად პლატონის მოძღვრებისა, ქადაგებს, რომ „სიტყუვე და ოპირობა ავნებს ხორცსა, მერე სულსა“-ო და მართლაც მისი გმირები — ნესტანი და ტარიელი არიან ისინი, თუ ფატმანი და უკანასკნელი „ნონა-ზანგი“ — სიტყუეს თითქმის არაოდეს არ იკადრებენ. ისინი თითქოს ქრისტეს მოძღვრებას მისდევენ და ამიტომ არის, რომ ავთანდილი წმინდა სიყვარულის შესახებ რათტევანსა სწერს: „სიყვარული აგვამაღლებს, ვით ეყვანნი, ამას უღერენ“-ო, — ე. ი. ქრისტეს მოციქულნი ასე გვასწავლიანო; და, მართლაც, წრფელი სიყვარული დიადი გრძობაა, აღმაფრთოვანებელი აღამიანის ბუნებისა და შოთას გმირებიც გონებრივათაც, ზნობრივ-მორალურადაც და ფიზიკურადაც (ეაყკაცური სიქველით) ცაზდი ამაღლებული არიან, ზეკაცებად ქცეულნი.

შოთას გმირების ზეკაცობას, მე-12 საუკუნეში ამგვარი ტიპების გამოსახვას, ქალისადმი ის ღრმა პატივისცემა უწყობდა ხელს, რომელიც დასავლეთის რაიანდულმა ზნეჩვეულებამ გამოიწვია³.

რაინდული წესჩვეულება, სხვათა შორის, ქალისადმი განსაკუთრებულ პატივისცემას მოითხოვდა და ქალის კულტი ქართველ ხალხში მე-12 საუკუნეში იმდენად მომწიფებული ყოფილა, რომ ქალის გაუმეება, ქვეყნის მართველად დასახვა არავის წინააღმდეგობას არ იწვევს და „ვეფხისტყაოსანში“ ამ საგნის შესახებ გამოთქმული აზრი ვეზირებისა სრულიად საფუძვლიანად და ღრვის შესაფერისად უნდა ჩაითვალოს: —

„თუმცა ქალი ხელმწიფედ, — მართ ღვთისა დანაბლად;
არ გათნეთ, იცის მეფობა, უთქვენოდ გითქემს კვლა და...
შუქთა მისთაებრ საქმეცა მისი მზებრ განაცხადია!...
ღეკვი ლომისა სწორია — ძუ იყოს, თუნდა ხვადია!“

[39]

³ რაინდობა დასავლეთში სამუალო საუკუნეებში მუშაუდებოდა და მე-12 საუკუნეში მას უკვე მთელი წესდება აქონდა შემუშაებულა. დიდი ხნის ჩვეულებით გამწტიკებული (სამუალო საუკუნეებად ითვლება ხანა 476 წლიდან მოკიდებულა ვიღრე 1453 წლამდე, ე. ი. დასავლეთის რომის, იმპერიის დაღმეიდან ვიღრე თურქთან, აღმოსავლეთის რომის იმპერიის — ან ბიზანტიის — დაღრეამდე).

რაინდული სიქველე და ქალის თაყვანისცემა „ვეფხისტყაოსანში“ ისეთ გამეფებულს, როგორც საზოგადოდ საშუალო საუკუნეებში დასავლეთ ევროპაში და მე-12 საუკუნეში ჩვენს ისტორიულ ცხოვრებაში ყოფილან ისინი გაბატონებულნი. თინათინს, როგორც წყევს, დიდებულნი და მთელი ხალხი ღრმა პატივისცემით ეპყრობიან, და ავთანდილის მხრითაც მისი თხოვნის თავდადებით შესრულება მარტო ქვეშევრდომული მორჩილებითა და მიჯნურის ტრფიანობით არ არის გამოწვეული, არამედ იმ რაინდული კულტის მიხედვითაც, რომელსაც იმ დროს კეთილშობილი ქალისადმი პატივისცემა მოითხოვდა.

აღსანიშნავია ის ზნე-ჩვეულება, რომელიც რაინდულ ცხოვრებაში თითქოს აუცილებელ პირობად გადაქცეულა: ნამდვილი მიჯნურობის დასამტკიცებლად და განსამტკიცებლად მოტრფიალე მოყმე რაინდს რაიმე საგმირო სასახელო საქმე უნდა შეესრულებინა — და ამ გზით სახელის მოხვეჭას და მით სრული თანაგრძობის მოპოვებას ყოველთვის ქალი მოითხოვდა ვაჟისაგან; ამგვარია თინათინის დავალება ავთანდილისადმი:

„წალი, იგი მოყმე სძებნე, ახლო იყოს, თუნდა შორად...
შენგან ჩემი სიყვარული ამით უფრო გამყარე:
რომე დამხსნა შეგირება, ენმა ბილწი ასაპარე, —
გულსა აგრე სიბედო ია მორგე, ვარდი ჰყარე, —
ვერმე მოდი, ლომო, მზესა შეგეარები, შემყარე“.

[130]

ესე სამძიმო საქმეს ავალებს მესტან-დარეჯანიც თავის მიჯნურს ტარციელს:

„ბედითი ბნელა, სიყვდილი რა მიჯნურობა გგონია?
სჯობს საყვარელსა უჩვენე საქმენი საგმირონია.
ხატეთს მყოფნი ყველანი ჩვენნი სახარაქონია, —
აწ მათი ჯიერი ჩვენსედა ჩვენგან არ დასათმონია...“

[377]

წა, შეები ხატელთა, თავი კარგად გამაჩვენე; —
მიჯობს, ცუდად ნულარა სტირ, ვარდი კვლამცა რად დასტენე.
მზემან მეტი რაღა ვიქოს? ამა, ბნელი გაფიქნენი“

[379]

(მოიგონეთ რაფ. ერისთავის ლექსები: „მოხუცის ნაამბობი“ და „ქალის აყვანა“, სადაც აგრეთვე ძველებური რაინდული ზნეჩვეულებაა დასურათებული ქალის მხრით ვაჟისაგან მშობრობისა და ვაჟსაცურის სახელის მოხვეჭის მოთხოვნისა).

ამგვარ დავალებაში, გარდა რაინდული წესისა, რომელიც სატრფოს პატივისცემისა და სიამოვნებისათვის მიჯნურს თავდადებას ავალებდა, აგრეთვე მსოფლიო ის იდეაც იხატება, რომ დიადი საქმის შესრულება ადამიანთაგან შესაფერ ნახევრებს მოითხოვს. ამიტომაც შოთა, თავისი გმირი ფილოსოფოსისა ავთანდილის პირით, ზმირად იმეორებს ამ აზრს, „მარგალიტი არვის მიხვდეს უწყაყიდლოდ, უვაკრელად“-ო, ეუბნება ავთანდილი შერმადინს თი-

ნათინის შესახებ; ან კიდევ: „არ იცი, ვარდი უეკლოდ არაღის მიუღრებთან“-ო.
— ეუბნება იგივე ავთანდილი ტარიელს, როცა ეს უკანასკნელი, რომ-ვეფხვე-
თან ნაპროდოლი, უღაბზოში ცოცხალ-მკვლარი გდია და სასოწარ-ვეთილებას
მისცემია.

რაინდული ზნე-ჩვეულება, სხვათა შორის, მოითხოვდა, რომ მახვილი
მხოლოდ მახვილის წინააღმდეგ ეხმარათ, უიარაღოსთან იარაღის ხმარება კი
თავის დამცირებად მიაჩნდათ. ეს ჩვეულება იხატება „ვეფხისტყაოსანში“ იმ
ადგილას, როცა ავთანდილი, ვეფხისტყაოსანი მოყმის ძებნის დროს, ტყეში
მონადირე სამ ძმას გადაეყარა, რომელნიც ავთანდილს მოუთხრობენ, რომ
უცხო მოყმის შეპყრობა მოვინდომეთ, მაგრამ მიზანს ვერ მივაწვით: „მან
ხრმალსა ხელი არ მიპყო, ჩვენ ამად დავერიდენით“-ო. (გაიხსენეთ აკაკის
„ოთხი მექნი და ადამ ბებურიშვილი“, — ოთხის მსჯელობა რაინდულ წეს-ჩვე-
ულებათა შესახებ).

მე-12 საუკუნეში საქართველოში არა მარტო კეთილშობილურად რაინ-
დული მიმართულებისათვის, არამედ ფილოსოფიურ მოძღვრებათათვისაც ნია-
დაგი საკმაოდ მომზადებული იყო — ქართული მეცნიერების ისტორიაში
საკმაოდ ცნობილია სახელები იოანე პეტრიწისა და ეფრემ მცირისა, რომელნიც
თამარის ეპოქაში ცხოვრობდნენ. მაშინდელი ფილოსოფოსები ნეოპლატონ-
იზმის მიმდევარნი იყვნენ და „ვეფხისტყაოსანში“ მოხსენებულია ერთი
მათგანი, სახელდობრ — „დიანოსი ბრძენი“, ცნობილი ნეოპლატონიკი დიო-
ნოს არეოპაგეტი.

ნეოპლატონიზმის ფილოსოფია ქრისტეს შემდეგ მესამე საუკუნე-
ში გავრცელდა (დამაარსებელი ალექსანდრიელი ფილოსოფოსი ამონი საკი
იყო) და პლატონისა და აღმოსავლეთის ფილოსოფიურ სისტემათა შეზავებულ
მოძღვრებას შეიცავდა. იგი პლატონის ფილოსოფიური სისტემის განსაკუთრე-
ბით ერთი განყოფილების — „ეთიკის“ — განსხვავებული გამოხატულება
იყო, აღმოსავლეთის გემოზე შეესებულ და განვითარებული მოძღვრება პლა-
ტონისა შესახებ სულიერისა და გონებრივი ემოციების ჰარმონიული შეზავე-
ბისა, მოძღვრება შესახებ სიმართლისა, სიყვარულისა და მშვენიერებისა.

თვით შოთა რუსთაველიც ხომ ფილოსოფოსია, პოეტი ფილოსოფოსი და
მთელი მისი პოემა ნეოპლატონური მოძღვრების ერთგვარი განმარტება და გა-
მოხატულებაა; ხოლო სენტენციების სახით ეს მოძღვრება განსაკუთრებით
ავთანდილის „ანდერძშია“ გამოთქმული, სადაც ავთანდილი მეფე როსტევეანს
უმარტავს, თუ რას ავალებს ადამიანს სამართლიანი და პატიოსანი განწყობი-
ლება მოყვასის მიმართ. (მოიგონეთ, რა არის აქ ნათქვამი სიყვარულსა, ძმობა-
სა და სიმართლესზე).

ნეოპლატონიზმთან მახლობელი კავშირი აქვს ქრისტეს მოძღვრებას მო-
ყვასთა შორის ურთიერთობის შესახებ და „ვეფხისტყაოსანში“ მოხატულება მა-

გალითები ქრისტიანული მოძღვრებისა და შეხედულებებისა. ერთი მათგანი უკვე არის ზევით მოყვანილი (მოციქულთა აზრი სიყვარულის შესახებ). მეორე მაგალითს წარმოადგენს ავთანდილის სიტყვები ასნათის მიმართ, როცა მან ასნათი გაარისხა და ბოლოს შენდობასა სთხოვს, თანახმად ქრისტეს მოძღვრებისა:

„აწ ვერცა თავი ჩემი დამის შენთვის დასწლობლად,
ამდ რომე შეეცოდება შეიდგზის თქმულა შესანდობლად“.

(იხ. სახარება ლუკასი, 17:

„დალათე შეიდ გზის დღესა შინა შეეცოდოს და შეიდგზის მოაქციოს და გრქვას შენ: „შევიწანე“, — მიუტევე მას“).

„ვეფხისტყაოსნის“ გმირები არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც ქრისტეს მოძღვრების მიმდევარნი არიან.

— „შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი“ (სახ. მარკოზისა); — „უფროსი ამისა სიყვარულსა არვის აქვს, რათა სული თვისი დასდვას მეკობართა თვისთათვის“ (სახ. — იოანესი)

აი, უმთავრესი საფუძველი ქრისტეს მოძღვრებისა, და „ვეფხისტყაოსნის“ გმირებსაც სწორედ ეს გრძნობა ამოძრავებს — ვრძნობა ერთმანეთისათვის თავდადებული სიყვარულისა. ტარიელი და ნესტან-დარეჯანი სამიჯნურო ცეცხლთა არიან ერთმანეთისადმი აღგზნებულნი, აგრეთვე ავთანდილი და თინათინი; მაგრამ მიჯნურობას, რაც უნდა წმინდა და პლატონური, რაც უნდა ღვთაებრივი გრძნობა იყოს იგი, მხინცი კიდევ პირადი ინტერესი ახლავს, გრძნობა პირადი სიამოვნებისა, მაშასადამე — ერთგვარი ანგარებისა. სულ სხვაა მეგობრული სიყვარული, რომლითაც გამსჭვალული არიან „ვეფხისტყაოსნის“ გმირები. ეს გრძნობა ბევრად უფრო უანგაროა, ვიდრე მიჯნურობა, და ამ მხრით განსაკუთრებით ავთანდილია საყურადღებო.

ძნელია თქმა იმისა, თუ ვინ უფრო უყვარს ავთანდილს, თინათინი თუ ტარიელი. ავთანდილი ნამდვილი მიჯნურია ტარიელისა, და თუ მეტად არა, ნაკლებად არ უყვარს იგი, ვიდრე თინათინი. ტარიელის გულისათვის ავთანდილი როსტევეანის რისხვას არ ერიდება და, როცა ნებაყოფლობით წასვლა ვერ მოახერხა, როსტევეანის ნებადღურთველად იპარება ტარიელის მიჯნურის საძებრად „ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჳირსა არ დამრიდად, გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად“-ო, ამბობს იგი და კიდევ ამართლებს ამ სიტყვებს; იგი დიდი ხნით სტოვებს გონებიდან განუშორებელ საყვარელს და მიდის ნესტანის საძებრად. თინათინის მოშორება ავთანდილს გულზე ცეცხლს უკიდებს. ამ მგზავრობაშიც ის მრავალ ხიფათს შოელის, მაგრამ თავი გაწირული აქვს, რადგან გულითადი მეგობრის ინტერესი ამას მოითხოვს.

აი, როგორ დრტვინავს ავთანდილი, როცა, პირობისამებრ ქვაბში მისული,

ასმათისაგან ტყობილობს, რომ ტარიელი წასულია და არ დაბრუნებულა:

„იტყვის: „ღმერთო, რა შეგეოდე შენ. უფალს, არსთა მხელსა?
რად გამყარე მოყვარეო, რად შემსწარ ამა ბელსა?
ერთი, ორთა მგონებელი, ვარ საქმესა წასაწუგელსა: —
მოკედე — თუ არ მენჯა ლუის, სისხლი ჩემი ჩემსა ქელსა“.

[861]

აშკარაა, რომ სიტყვები „ორთა მგონებელი“ თინათინსა და ტარიელს გულისხმობს.

ავთანდილისათვის ტარიელიც ისეთივე მზეა, როგორც თინათინი და ამ ორი შვის მოშორება მას გულს ორკეცად უყინავს:

„თუ ერთისა მოშორება მხრს ზამთრის გაჯაციუნებს, —
მე გლახ ორნი დამიჩინა, გული ამოდ რად არ იუნებს?“

[956]

მოთქვამს ავთანდილი, როცა, თინათინს მოშორებული, ტარიელსაც შორდება.

მეგობრული გრძნობა „ვეფხისტყაოსნის“ დანარჩენ გმირებშიც საკმაოდ არის განვითარებული. ქალებს შორის ამ მხრით საგულისხმო ტიპს განსაკუთრებით ასმათი წარმოადგენს. ასმათი არა მარტო მაშინ, როცა, ფარსადანის სასახლეში ყოფნის დროს, ნესტან-დარეჯანისა და ტარიელის ჯერ კიდევ შევებასა და ლხენას იზიარებდა, არამედ კიდევ უფრო მაშინ, როცა მათი ტირილი-სა და ვაების დრო დადგა, მათ ჰირს იზიარებს, თავის სიცოცხლეს, თავის უკანასკნელ ამოხსნას მხოლოდ მათ სანუგეშებლად ინახავს. ტარიელის ერთადერთი მანუგეშებელი, მისი ცრემლების მოშხოცველი — ავთანდილის გამოჩენამდე — მხოლოდ ასმათია. დღიდან ნესტან-დარეჯანის დაკარგვისა, ასმათი ტარიელს არ შორდება, გამოქვაბულში ცხოვრობს და ხშირად აქ ნესტან-დარეჯანის საძებრად გადახვეწილ ტარიელს მთელი თვეობით უცდის, ხოლო შინ მყოფს, ცხარე ცრემლებით მტირალსა და მკენესარს, თავდადებული მოვლითა და ტკბილი სიტყვით ანუგეშებს და სეგდას უფონებს. ასმათი ისევე მტკიცე და ურყევია მეგობრობაში, როგორც ნესტანი — სიყვარულში.

ტარიელის გული და სული ასმათისათვის წმინდათა-წმინდა და იგი მათში, თუ ეს თვით ტარიელს არ სწადია, არავის ჩახედებს. ავთანდილმა მოიწადინა ძალდატანებით ეთქმევიანებია მისთვის ვეფხისტყაოსნის მოყმის გულის საიდუმლო, და იგი ასმათს, წინააღმდეგ შემთხვევაში, სიკვდილს ემუქრება, მაგრამ ასმათი მას უშიშრად უპასუხებს:

„ჩემი სიკვდილი შენ ჩემად პატკად ნურად გგონა,
მით რომე დამხსნის ტირილსა, შემპრების ცრემლთა ფონია...
ჩალად მჩანს ყოვლი სოფელი, მისთვისვე შემიწონია,
ვერ ვცნობ, ვინ ხარ, — ეის გითხარ სიტყვანი მისანდონია?“

[242]

„ვეფხისტყაოსნის“ ქალები განჭრიახი გონების არიან და, როცა საჭიროა, სათანადო ხერხს გამოსაძებნიან ხოლმე. ასმათმა გონიერი გეგმა მოისაზრა ავთანდილისა და ტარიელის შეხვედრად და იგი უნაკლოდაც შეასრულა; ფატმანის ნესტან-დარეჯანს თავის სახლში მოხერხებულად ინახავს და შემდეგ ქაჩეთისაკენ აპარებს; ნესტანმა მოხერხებული სიტყუა-პასუხით დაარწმუნა გულანშა-როს მეფის მონა-ხადღენი, უაზრო და უსარგებლოა ჩემი აქ დარჩენაო, და წინდაწინ მომზადებული თვალ-მარგალიტით მათგან თავი გამოისყიდა. როცა გზაში ქაჩეთის სამეფოს რაზმი შეხვდა და დაქერა მოუნდომა, ნესტანმა, განსაცდელისაგან თავის დასაცნელად, ხერხს მიმართა და ქაჩთა რაზმს გაბედულად წესძახა:

„ეინ ხართ, ცხენოსანო? თქვენ სახელი თქვენი სთქვენო?
გულნაშართ მოციქული ქაჩთ მივალ, მერღენო!“

ამ სახით, „ვეფხისტყაოსნის“ ქალები გონებრივი გამჭრიახობითა და საკუთარი ინიციატივით ვაეებს შორის ავთანდილს თუ ჩამოუვარდებიან, ხოლო ხასიათის სიმტკიცითა და უღრვეილობით — არც ერთს ნათავს.

ავთანდილი, „ვეფხისტყაოსნის“ გმირებს შორის, დამტკიცებული მსარგებების განსაკუთრებული უპირატესობით არის დაჯილდოვებული. იგი ტარიელს თითქმის ვმირობითაც არ ჩამორჩება, ხოლო დანარჩენი თვისებებით მასზე უფრო მაღლაც დგას. უწინარეს ყოვლისა, იგი საღი აზროვნების ადამიანია, განჭრიახი გონებისა, რომელიც სწრაფად აზროვნებს, მაგრამ აღჩქარებლად, მზოფიკრებით მსჯელობს და მოქმედებს. „ასჯერ გაზომე და ერთხელ გადასქერო“, — აი ავთანდილის დამახასიათებელი ქართული ანდაზა. პოემაში ბევრია მაგალითი ავთანდილის წინდახედულობისა, განსრავლის ასრულებისათვის ყოველი ნაბიჯის აწონ-დაწონისა. ავთანდილი „უცხო მოყმის“ კვალს პირველად ხატაელი მთავრების მონადირე ძმის წყალობით წააწყდა: მათი ჩვენებით ავთანდილმა კიდევაც დაინახა, რომ „ოდენ ჩნდა შავი ტაიჭი მისი მის ნზისა მარებლად“.

ავთანდილს დიდი ხნის წადილი აუსრულდა. სამი წელი სრულდებოდა, რაც ამ მოყმეს ეძებდა, ახლა იგი ასე ახლოს იყო და ავთანდილი უნდა აჩქარებულყო, რომ მოყმე კვლავ თვალთავან არ გადაეკარგულიყო... მაგრამ უცებ ამუშავდა ავთანდილის გონება და მოიგონა სურათი და გარემოება მისი გადაკარგვისა, როცა წყლის პირად მტირალი ნახეს და ახლოს არავინ მიიკარა, — არც როსტევეანის მონები და არც თვით მეფე როსტევეანი; ავთანდილის თვალწინ ახალი მაგალითია იმ უცხო მოყმის უკარებლობისა: ამ სამ ხატაელს ძვირად დაჯდომია იმ მოყმის შეჩერების თუ შეპყრობის განზრახვა, — მოყმეს ერთი მათგანისათვის მათრახით თითქმის სასიკვდილოდ თავი გადაუფხვრეწია. ავთანდილი ყველა ამას ითვალისწინებს, და ამიტომ —

„მეწერა, იგონებდა, ახლოს შეყრა ვითა აგოს:
საუბარ მან უმეტარ მნაი უფრო გაწმკოს!
ხამა, თუ კაცმან გორეკმან მნელი სჯემ გამოავოს,
არსიწუნაუ გონებია მოიძელოს, მიიძავოს.

რადღან რი არის სადმე უცნობო და რსუე რეტად,
რომე კაცა რა მიუშვებს საუბრად დ. მისად ჰერტად,
მიფეწვე, მელიერებოთ ვრთხანგრთის ცხმაველტად:
ანუ მომკლავს, ანუ მომკლავ, — დამძღვის მეტისმეტად.

...გზომნი კირნია რად ეცუდენი?
რაც-ღა არის, არა არს, თუცა არ ეღვნეს ბუღენი;
სადეა მუე, მიფედეს, რამცა მოვლედეს ზოღენი.
მეათეან ესტებნე ღონესი ზემი, არღამარღენი-.

[215—217]

ასე ნოისანრა ავთანდილმა მოყმის ნეხვედრის სასუალება და ეს მოსახ-
რება მართლაც მიზანწერონილი აღმოჩნდა. ავთანდილი პირველად გამოქე-
ბულში ამათთან მივიდა და მისგან უცხო მოყმის ამბის გაგება მოიწადინა და,
როცა ასმათმა გადაპრილი უარი უთხრა, ავთანდილი ერთი წამით თითქოს გუ-
ლის ვნებას აპყვა — ძალადობით, სიკვდილის დანუქოებით მოიწადინა მისგან
მოყმია ვინაობის შეტყობა, მაგრამ მანწინვე სცნა, რომ შეცდა და თავისი შე-
ცთომა წამსვე თვითონ გაასწორა, — ძალადობას ლმობიერობა და გულწრფე-
ლობა არჩია, დაჯდა და ტირილი დაიწყო, — უმბო, თუ ვისი დავალებით იყო
ამ მოყმის საქებრად წანოსული, და სამიწნურო ცეცხლით თავინი გულის წეა
გაუთვალისწინა. ჩვენ ვიცით, თუ რა მწვევაიურად ვასქრა ამ სასუალებამ. —
ასეთივე წინასწარ გამოანგარიშებული ხერხით იქცევა ავთანდილი, როცა ტა-
რიელს, ღომ-ვეფხვთან ნაბრძოლს, ტყეში ცოცხალ-მყედარს პოულობს. ტარი-
ელს თავი მოძულებული აქვს, სიკვდილს ნატრობს და უარზეა, გაპყვეს მას. (მო-
იგონეთ აქ ტარიელთან ავთანდილის საუბარი და ხერხი, რომლითაც ტარიელი
აიძულა ცხენზე შემკდარიყო და გამოქვაბულში წაპოლოდა). ავთანდილისაგან
ვაქრულად გამოწყობა და „მოქარავენებთან“, „მოზღაღადე ვაქრებთან“ ერთად
ზღვით მოგზაურობა, აგრეთვე ფატმანთან განიჯნურება — ყველა ეს ხერხია,
ავთანდილისაგან წინასწარ განზრახული და გაზომილ-აწონილი სასუალებებია
იმისათვის, რომ მიზანს მიაღწიოს. — ავთანდილი ცხოვრების ცოცხალი, სამღვი-
ლი ტიპია და მის თვალში კეთილი საქმე და საგულისხმო მიზანი ყოველგვარ სა-
სუალებას ამართლებს. ფატმანის მიჯნურობა ავთანდილს არაფრად ეპიტნავენა
„რა უთქვამს, რა მოუჩინახავს, რა წიგნი მოუწერიაო“, — ამბობს იგი ფატმანის
სამიჯნურო წერილზე; მაგრამ, როცა დაფიქრდება, დასტურის პასუხსა სწერს,
რადგან ფატმანი მას თავისი მიზნისათვის გამოსადეგარ პიროვნებად ეჩვენე-
ბა — და არა სურს აწყენინოს:

„ისი ღაცი აქა ზის, კაცთა მნახავი მრავალთა,
მოსადგურე და მოყვარე მგზავრთა, ყოველგნით მავალთა;

მიჰყუე, მამობს ყველა, რაზომთა ცეცხლი მწუავს ალთა;
ნუთუ რა მარვო, მე მისი ჯარდახდა ჩემგან ესცნა ვალთა“.

თქვა: „ღაცა ეინცა უყვარს, გაქსეის და მისცეს გულსა.
აუგი და მოყინება არად შესწონს ყოლა კრულსა;
რაცა იცის, გაუცხადებს, ხაშადას უთხრობს სრულსა,
მოჯობს — მიჰყუე, განლა საღმე ესცნობ საქმეს დამალულსა“.

[1092—1093]

ასე წინასწარ ზომავს და მსჯელობს ავთანდილი და მისი მსჯელობა მარ-
თალი გამოდგა: ფატმანი მოწმედ აღმოჩნდა ნესტანის უკანასკნელი ცხოვ-
რებისა და თავდასაველისა. ავთანდილი, ფაქტების აწონ-დაწონითა და გარე-
მოებათა წინასწარი გაზომვით, მიზანს თანდათან უახლოვდება. როგორც ნა-
თქვამია, მიზანი საშუალებას ამართლებს და ავთანდილი ჩაჩნავირსაჲ ჰკლავს,
რომ ფატმანს, რომელშიც იგი თავის მიზნის შესრულების საშუალებას ხედავს,
მოსალოდნელი ხიფათი ააწოროს.

ავთანდილი განხორციელებდა რუსთაველის მოძღვრებისა გულისა და გო-
ნების პარამონიული შეთანხმების შესახებ. იგი, როგორც მიჯნური, ტარიელი-
ვით ძლიერისა და ნახი გრძნობის მექონია, მაგრამ ტარიელივით ვნებათა ღელ-
ვას არ ემონება და მოთმინებაც იცის, — „ჭირსა შიგან გამაგრება“. მისი გუ-
ლი, თანაჲმად რუსთაველის აზრისა, არ არის „ბ რ მ ა, უ რ ჩ ი ხ ე დ ვ ი ს ა“,
— პირიქით, აკაკის თქმისა რა იყოს, თუმცა „გული ამასაც გაუმეფებია, მაგრამ
ვეზირად თავი მიუჭენია“.

ასეთია ავთანდილი, ეს უსაყვარლესი გმირი შოთასი: ცოცხალი, მოძრა-
ვი, ხალხში მოტირალე და ცხოვრების მცოდნე, გაჭირვებაში მოხერხებულნი,
მეგობრისათვის ჭირში — თავდადებული, ლხინში — მომღერალი და მონაღბე-
ნი, მტერთან გმირულად მებრძოლი. ყველა ამასთან იგი ბრძენია, ფილოსო-
ფიკურად განსწავლულ-გაწრთვნილი.

ავთანდილსა და ტარიელს საერთო მხარეებიც აქვთ, საერთო თვისებები
ხასიათისა; მაგრამ ტარიელის პიროვნება თვალსაჩინოდ განსხვავებულ ტიპს
წარმოადგენს. ორივე გმირია, მკლავმაგარი და უძლეველი ვაჟკაცი, მაგრამ ტა-
რიელი როგორც ყველაფერში, ვაჟკაცობაშიც პირდაპირია, მტერზე პირდაპირ
მინავალი, პირდაპირ მებრძოლი და უძლეველი, ფიზიკური ძალისა; ავთანდი-
ლიც უძლეველია: ტარიელივით, იგიც ყველა მტერსა და მოწინააღმდეგეს ამარ-
ცხებს, მაგრამ ამ შემთხვევაში იგი თავდაპირველად ემზადება ხოლმე, ნაბი-
ჯებს ზომავს, გეგმებს აწყობს და მხოლოდ მერე მიდის მტერზე პირდაპირ და
უწიშრად. როცა „მობაღდადე ვაჭარნი“ ზღვის პირას შეშინებულნი ნახა და
მათგან ზღვის მეკობრათა ომის ამბავი გაიგო, რომელნიც იბრძოდნენ „ძელის
საზნისის წვერითა“, — ავთანდილი ამ ძელის საწინააღმდეგოდ რკინის კეტით
ბრძოზდა და მეკობრეებს უწიშრად შეება და კიდევაც გაულიტა ისინი. ქაჯე-

თის ციხის ადგების ხანს ავთანდილი და ფრიდონი ქაჯებთან ბრძოლას ხერხით, ცბიერი საშუალებით არჩევდნენ, მაგრამ ტარიელმა არ დაიჯერა, მან პირდაპირი ბრძოლა არჩია და აღვილადაც დაითანხმა ისინი, რადგან მისი სწორუპოვარი გამირობა შშიშარებსაც კი გაამამაცებდა და ავთანდილისა და ფრიდონისთანა გამირებს ხომ ფრთებს შეასახანდა და უძლველ დევებდ აქევედა..

ტარიელი, უბრველეს ყოვლისა, მიქნური. შოთას იგი თითქმის მხოლოდ მიქნურობის განნასახიერებელ ტიპად დაუხატავს და მიქნური ხომ, შოთასვე თქმით, შ მ ა გ ს ა გ ვ ი ქ ვ ი ა ნ ა რ ა ბ უ ლ ი თ ა ე ნ ი თ ა. ტარიელი სამიჯნურო ცეცხლით დადაჯულა და ამას გაუშმაგებია იგი; ანტიმაც მისი გონება თითქოს აღარ მუშაობს, ხალხში ცხოვრების უნარი დაკარგვია და ტყვედ გაჰკრილა, ცხოვრებას მოშორებია, განმარტოებულა, თანახმად რუსთაველისაგან ნათქვამის მიქნურის თვისებებისა. მის გონებაში შენდგი დილემა წამომდგარა: მოსძებნოს თავისი სატრფო, თუ იგი ცოცხალია, თუ არა — მოკვდეს, რათა მასვე საიქიოს შეეყაროს:

„ამას მოკვდავი ვილოცე. არღეს ვთხოვ, არ ენთ:
აქა გაყრილი მიქნური მუნამა შეუყარნო,
მუნ ერთმანეთი კვლავ ენახეთ, კვლავ რამე გაეხარნო...“

[82]

მო, მოყვარეთა დამმარხეთ, მწანი მომარენო!...“

ასე ძლიერია ტარიელის წადილი ნესტანის მოძებნისა, მაგრამ, როგორც შმაგს, ხალი მოსაზრება დაუქარავს, მისი გონება სათანადოდ ვერ მუშაობს იმისათვის, რომ ნაწიდილი გზა გააძებნოს. ტარიელი თვით უმარტავს ავთანდილს იმის მიზეზს, თუ რატომ აღარ მუშაობს მისი გონება, რად დაუქარავს მას სიპრცნე გონებისა;

„ვინ დამბადა, განეურნება ჩემი უჩანს მასც ძნელად,
ვისცა გემსს, გაგონეთ, მით გაქრილვარ ხელი ველად,
რაცა ქმარებს გონერთა, ერთხელ ეყუა მცა მქნელად,
აწ ნობათი ხელობისა მომხლომია, მით ვარ ხელად“ —

[928]

„ბრძენი — ვინ ბრძენი, რა ბრძენი? ხელი ვთა იქმს ბრძნობასა!
ეც საუბარი მაშინ ხამა, თუცაღა ეყო ცნობასა“, —

[886]

ეუბნება იგი ავთანდილს.

ამ სახით, ტარიელის გონება აღარ სჭრის და იგი გოჯდიის კვანძს ვერ გახსნის, ხროლო გაკვეთით კი სხვებზედ უკეთ გაკვეთს, რადგან მისი მკლავი სხვებისაზე უფრო მაგარია, და ანტიომ მისი ხმალიც სხვებისაზე უფრო მკრეულია. უგზოუკვლოდ გადაკარგული ნესტანის მოსაძებნად მხოლოდ ავთანდილი გამოდგა, მისმა გამპკრიახმა გონებამ ნესტანის დაბნეული კვალი თანდათან

გააშუქა და მისი ბინაც მოსძებნა, სადაც უკვე მის გამოსახსნელად მკლავი და ხმალი იყო საჭირო: აქ კი სამივე ძმობილის თვალსაჩინო გმირობამ იჩინა თავი, მაგრამ პირველობა მაინც კიდევ ტარიელსა ხვდა:

„მუნ ნახეს რიყე აბჯრისა, ნაღუნი ხრ მალთა წყერისა,
ათი ათა.ი ნობათა, უსულო, მკვაჯი მტევრისა:

ციხისა მცელი ყველი იღვა, მართ ღოთა სნეული,
თავით ფერხანდი დაჭრილი, აბჯარი მუნ დახეული,
ციხისა კარნი განხმულნი, კართა ნაღუნი სრატული.—
სენს ნაქმრად ტარიელისად, თქვეს: „საქმე არს მისეული!“

[1418—149]

ქაჯების ციხის, ამ თვალუწვდენელისა და შეუვალი ციხის აღებით დასრულდა ტარიელისა და საზოგადოდ „ვეფხისტყაოსნის“ გმირების თავგადასავალი, — დასრულდა მათი სახელოვანი გამარჯვებით. შეუძლებელიც არის გაანარჩევება არა ხედვს წილად ისეთ გმირებს, როგორნიც ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი არიან და, მათთან ერთად, მათი მეგობარი ქალები, — მით უფრო, როცა ისინი ღვთაებრივი სანიჭნურო ცეცხლით არიან აღგზნებულნი და ურთიერთშოკის თავდაღებულის მეგობრული გრძნობით დაჯავშირებულნი. „სიყვარული აგვამაულებს“-ო და „მათ სამთა გმირთა მნათობთა სკირთ ერთნაერთის მონება“-ო, — ამბობს შოთა და გამარჯვების სტიმილიც სწორედ ამ გრძნობებით არის გამტკიცებული.

მ ი ჯ ნ უ რ ო ბ ა, ეს წმინდა ღვთაებრივი სიყვარული, და თავდაღებულის მეგობრობა — აი ორი დიადი საგანი, რომელთაც „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსი ითვალისწინებს და აშუქებს. ორივე საგანი ერთს საკაცობრიო მძაწრადებაში თავსდება, სახელდობრ — კ ე თ ი ლ ის საბოლოო გამარჯვებისათვის ბრძოლაში. ეს ბრძოლა, როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთშიც ერთნაირად არის აღნიშნული: აღმოსავლეთში — ბოროტების მოძღვრებით, რომელიც მოგვითხრობს, ბრძოლას არ იმანსა და ორმუხდს შორის. ე. ი. სიბნელისა თუ ბოროტებისა და სინათლისა გინდა კეთილის წარმომადგენელ ძალთა შორის; დასავლეთში. — საღვთო წერილის მოძღვრებით, სადაც მოთხრობილია ბრძოლა ცისა და ქვესკვნელის ძალთა, ანკელოზთა და დემონთა შორის (მოიგონეთ, სხვათა შორის, მილტონის, „დაკარგული სამოთხე“, და „დაბრუნებული სამოთხე“). ამ საკაცობრიო მისწრაფებას სარჩულად უძევს რწმენა ბოროტზე კეთილის გამარჯვებისა, რაც შოთას „ვეფხისტყაოსანშიც“ აღნიშნულია სენტენციით: „კ ე თ ი ლ მ ა ნ ს ძ ლ ი ა ბ ო რ ო ტ - ს ა, — ა რ ს ე ბ ა მ ი ს ი გ ძ ე ლ ი ა“.

ეს არის დედაძარღვი, მთავარი იღვა შოთა რუსთველის უკვდავი პოეზისა.

„ვეფხისტყაოსანი“ მარტო შინაარსით კი არ არის წარმტაცი, არამედ გარეგანი ფორმითაც. ეს პოემა პოეტური ენა-გამოთქმით ჭკითხველის სმენას რომ არ ატკბობდეს, ცხადია, იგი ასე გავრცელებული არ იქნებოდა. როგორც ნწყობრი, პარმონიული მუსიკა და გალობა ხიზლავს მსმენელს, ისე მომზიბლავია პარმონიული, მუსიკალური ლექსიც და „ვეფხისტყაოსნის“ დიდი ღირსება სწორედ ის არის, რომ მისი შინაარსიც და გამოხატულებაც თანაბრად წარმტაცი და მომზიბლავია.

ბერს ღღევანდელ მგოსან-მოშაირესაც არ აქვს შეგნება იმ პარმონიისა და მუსიკალობისა, რომელიც შოთას მე-12 საუტუნეში შეუღვია. მისი პოეტური სმენა ზედმიწევნით არჩევს ერთმანეთში „შაირის“ ორგვარ წყობას, დაბალსა და მაღალს (მოიგონეთ, რა განსხვავებაა მათ შორის) და არასოდეს ერთმანეთში არ ურევს. შოთას კარგად ესმის, რომ შაირსიტყვაში რითმები იმისათვისა შემოღებული, რომ გამოთქმაში საამური მუსიკალობა, პარმონია, ტკიბილზმოვანება იამოდეს — და ამიტომ მისი რითმები ყოველთვის მდიდარია. პარმონია რითმებში ხან ორი მარცვლით აქვს გამოხატული (მაღალ შაირში), ხან სამი მარცვლით (დაბალში). „ვეფხისტყაოსნის“ მუსიკალური რითმების ნიმუშად საკმარისია ერთ-ერთი ზაანა მოვიყვანოთ, რომლის მსგავსიც პოემაში მრავალია:

„ზაფრანის ფერად შესცვლა ბროლი ცრემლისა ბანანს,
გული უფროე დამიკრა ათათასმან დანანს;
საწოლს მეკარე შემოდგა, მოლარე გაიყვანა მან; —
ვთქაი, თუ: „რა იცის ამბავი, ნეტარ ან იმან, ან ამან?..“

[358]

რუსთაველს აგრეთვე შეგნებული ჰქონია მარტლაც დამამშვენიებელი ის თვისებანი, რასაც განსაკუთრებით ღღევანდელი სიძობლისტები ეტანებიან — შიგარითმები და მოქმედებისა თუ საგნის თვისების აღმნიშვნელ სიტყვათა ზედრიგად გამეორება. მაგალითად:

- ა) „ვა. წახდა ვარდი პობილი, ვა. მარგალიტი წყობილი!“ —
ბ) „ვარდი ქვებოდა, ღრებოდა, აღვია შტო იხხეოდა“.

რუსთაველის ენაში საყურადღებოა პოეტური შენოქმედებითი თავისუფლება, რომლითაც იგი ახალი სიტყვებისა და ფორმების შექმნაში ნიჭიერად სარგებლობს, მაგალ.: ა) „აჲ მოყვარე გიპოენივარ, დისაგანცა უფრო დესი“. აქ პოეტს არსებითი სახელისაგან (და) ზედსართავი სახელის მნიშვნელობის შედარებითი ხარისხი (უფრო დესი, უდესი) გაუკეთებია; ბ) „ფაქჷმანს ჟხსნია ჩემი მზე, დედებია და სდეებია“, — ე. ი. დედობა და ღობა გაუწევიაო. რუსთაველი თვით გვინოტრერებს, რომ „გრძელი სიტყვა მოკლედ

ითქმის, შაირია ამად კარგი“-ო და, მართლაც, სხვადასხვა ხერხით, საუცხოო შემოქმედებითი ფორმებით სიტყვას მეტად მოხდენილად ამოკლებს და ამკვეთრებს. დაუყვირდით, მაგალითად, ერთი ფორმის რთული სიტყვით რამშენიერად გვიხატავს რამდენიმე სიტყვის მნიშვნელობას: „შე რ ა ს მ ე ყ ვ ე ს საუბარსა, სიტყვა ჰკადრა არ მალული“ — შე რ ა ს მ ე ყ ვ ე ს საუბარს ე. ი. ცოტა რამ საუბარს შეყვენო. — ამგვარი კონსტრუქცია საღეთო წერილის ენაშიც ხშირია და ეს გარემოება მაჩვენებელია იმისა, რომ შოთას როგორც საერთო მწერლობა, ისე საღეთო წერილიც შეგნებით შესწავლილი და შესისხლხორცებული ჰქონია.

ბუნების აღწერას „ვეფხისტყაოსანში“ მცირე ადგმლი აქვს დათმობილი, მაგრამ რუსთაველის გენიოსობა აქაც თვალსაჩინოდ გამოსკვივის, — პოეტო რარი-სამი სიტყვით გრანდიოზულ სურათებს გვიშლის თვალწინ;

ა) „მას მიხვდა წვერი სადგურად მალღისა მთისა დიდისა,
გამოჩნდა მუნით მიწდორი, სავალი, დღისა შეიღისა;
მის მთისა ძირსა წყალი დის, არად სანდომი ხიდისა;
ორგნითვე ტყესა შეეყრა ნაპირი წყლისა კიდისა“.

[184]

ბ) „დღისთ ელეს და საღამო-ყამს გამოუჩნდეს დიდნი კლდენი:
კლდეთა შიგან ქაბანი იყენეს, ძირსა წყალი ჩანადენი;
წყლისა პირსა, არ ითქმოდა, შამბი იყო თუ რადენი;
ხე დიდრონი, თვალუწითომი, მალღა კლდემდის ანაყრდენი“.

[219]

გ) „მოწერელიყო ზაფხული, ქვეყნით ამოსულა მწვანისა,
ვარდის ფურცლობის ნიშანი, დროს მათის პაქმანისა,
ეტლის ცვალება მზისაგან, შეჯდომა საროს ტანისა;
სულთქმნა, რა ნახა ყეაელი მან, უნახავმან ხანისა“.

აგრგინდა ცა და ღრუბელნი ცროდეს ბროღისა ცვართა;
ვარდთა აკოცა ბაგითა, მითვე ვარდისა დარცთა, —
უბრძანა: „გიჰყრეტ თვალითა, გულტებოლად შემხედვარითა,
მისად სანაცლოდ მოვილხენ თქვენთანა საუბარითა“.

[1328—1329]

ამ უქანასკნელ ხანაში ბუნება გაცოცხლებულია, იგი მეტყველობს, — ავთანდილი მას ისე ტკბილად ესაუბრება, როგორც თავის სატრფოს, და მის მშვენიერებაში თავისი მიჯნურის მშვენიერებას ხედავს: — „შოთასაც ისე სწამს, როგორც ნ. ბართაშვილს, რომ „არს ენა რამ საიდუმლო უაპაკოდაც და უსულთ შორის“.

ბუნების ლამაზ აღწერას პოეზიაში დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ უმთავრესი მნიშვნელობა მაინც ადამიანის სულისკვეთების გამოხატვას უნდა

ზეინიკოს და ამ მხრით შოთას პოეზია შეუღარებელია: თვისი გამოჩენის სულის ნომრად მგოსანი ისეთი სინამდვილითა და სისრულით გვიხატავს, რომ ვერც ერთი მსოფლიო გენოსი-პოეტი — პომეროსია იგი თუ შექსპირი — მას წინ ვერ გადაუღვება. შოთას პოეტურ სტრიქონებში მონოქონიუხე წყაროსავით ჩქვეს გრძნობა მზიარული გულისა და ჭეკა-ქუხილივით მოისმის ცემა სევედიანის, დამწვარი გულისა. აი, რა სინამდვილით აქვს შოთას აწერილი ახლად შეყვარებული გულის ძლიერი გრძნობა, რომელიც მიჯნურთან სასაუბროდ გამბედაობას ართმევს და ენას უბამს; ნესტან-დარეჯანმა ტარიელი რომ იხმო, მაგრამ, გულს ნოწოლილის ძლიერი გრძნობისა და ქალწულურივი მორცხვობის განო, ზმა ველარ გასცა:

„ლიდხან ედგ და არა მითხრა, სიტყვა მისა მონასერსა, —
ოდენ ტყბილად შემოხედის ვითამცა რა შინაურსა...
ამათ უხმო, მოიუბნეს; ქალი მოდგა, მოხრა უტრას:
„აწ წადიო, ჯერას გითხრობ“... მე კელა მამცა აღმა მერსა.“

[395]

აი ნიმუში მწუხარე გულის მოთქმისა:

„მოსტქვამს: „ჰაი. საყარელო. ჩემო, ჩემთვის დაკარგელო,
ჩემო და სიციცხლო, გონებო, სულო, გულო!
ენ მოკვეთა, არა ვცო, ხო, ედგმს დანერგელო...
ცეცხლმან ცხელმან ვით ვერ დაგწვა, გულო, ასკერ დადაჯელო?“

[309]

ესეც ნიმუში გულის მოლხენისა და კმაყოფილების გამოხატულებისა:

„მას გვანდეს, ოდეს ვრთვან მეუთარ, ზუალ შეიყარნეს;
მხე რა ვარდა შემოდგეს, დამუენდენ და შექნი არნეს: —
აქანამდის კირნახულთა ამას იქით გაიხარნეს.“

[1421]

უმწიკვლო და უნაკლულო ქვეყანებზე არაფერია — და „ვეფხისტყაოსან-საც“ თვისი დეფექტები აქვს. უპირველესად ყოვლისა შინაარსის მხრით, ის გარემოებაა აღსანიშნავი, რომ პოეზიაში სრულიად დავიწყებულია ცხოვრება და თავგადასავალი ნესტან-დარეჯანის მშობლებისა მას შემდეგ, რაც ნესტანი გადაიკარგა. მხოლოდ ერთხელ ნესტან-დარეჯანი გაკვრით იგონებს მშობელს — წერილში, რომელსაც ქაჯეთის ციხიდან ტარიელს უგზავნის

„წადი, ინდოეთს მიმართე, არგე რა ჩემსა მშობელსა,
მტერთაგან შეიწრებულსა, ყოვლგნით ხე ლალუყრობელსა, —
გულსა აღხინე ჩემისა მოშორებებისა მშობელსა...
მომიგონებდი მტირალსა, შენთვის ცრემლმუეშრობელსა.“

[1307]

შინაარსის მხრით დეფექტად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ ავთანდილი ფრიდონს თავიდან ბოლომდე დაწვრილებით მოუთხრობს იმ შემთხვევას, რომელიც მკითხველმა უკვე იცის, სახელდობრ — ნადირობის დროს როსტევეანისა და მისი მოწიგის ტარიელთან შეხვედრას. აქ თერამეტი ხანა სრულიად ზედმეტია (იხ. ი. აბულაძის გამოცემა — გვ. 109—120).

გმირების მოქმედებაში წინეობრივი მხრით შეუწყნარებლად უნდა ჩაითვალოს მკვლელობა, რომელიც ტარიელმა ნესტანის გამოწვევით ჩაიდინა: ტარიელმა მოჰკლა სრულიად უდანაშაულო სასიძო ნესტანისა — ხვარაზმშას შვილი. მოჰკლა მწოლიარე-მძინარი და თითქოს იქადის კიდევ ამ უსამართლო მკვლელობას:

„კარავს შველ. სასიძო ვითა წვა, ზარმაც თქმად ვნით...
უსისხლოდ მოეკალ იგი ყმა, თუცა ხმა სისხლისა დენთ.

კარვის კალთა ჩახლათუღი ჩავსქერ, ჩავაკარაბავე,
ყმასა ფერხთა მოეკიდე, თავის სვეტსა შევ უტავე;
წინა-მწოლთა დაიხახე, გლოვა, მოხხედათ საარავე;
ცხენა შეეწე, წამოაველ, ჭაქვი მეცა საკურტავე“.

[548]

ამ მკვლელობას წინ უძღოდა თათბირი ნესტანის მშობლებისა — ნესტან-დარეჯანისათვის სასიძოს არჩევის გამო, და ამ თათბირზე თვით ტარიელიც იყო მიწვეული, მაგრამ ხმაც არ ამოუღია, როცა ნესტანის მშობლები ხვარაზმშას შვილზე შეჩერდნენ, და შემდეგ კი, როცა ნესტან-დარეჯანმა ეგ სიჩუმე უსაყვედურა და ლალტი შესწამა, ადვილად იღვა კისრად სისხლი უდანაშაულო ადამიანისა. ნესტან-დარეჯანი ტარიელს სასიძოს მოკვლას (ისიც კიდევ — „მიჰაკრ ვით“ მოკვლას) ავალებს და თან დასძენს: „ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნელლად“-ო!

შემდეგ განაგრძნობს:

„იგი რა მოჰკლა, ეუბენ პატრონსა ჩემსა მამასა, —
ჰადრე თუ: „სპარსთა ვერა ვიქმ ინოეთისა ჰამასა,
ჩემია მკვიდრი მამული, არ მოვსცემ არცა დრამასა...
არ დამეხსნები, გავიხდი ქალქსა, ვითა ტრამასა.

ჩემი ყოლა ნურა გინდა სიყვარული, ნურცა ნღობა,
ამით უფრო მოგეცემის სამართლისა შენ მოხლომა“.

[544—545]

ტარიელი ამაზე ამბობს: „ესე მეტად მომეწონა თათბირი და გამორჩევა“-ო! ცხადია, რომ ამისთანა საქციელი — უდანაშაულო ადამიანის სისხლის დაღვრა და ცბიერობა — ზღაპრონი კი არა, დასაუწმობია; მაგრამ შესაძლოა იგი იმით გავამართლოთ, რომ ნესტანსა და ტარიელს, როგორც მიჯნურობით გამ-

მაგებულთ („მიჯნური შმაგსა გვიქვიან“), საღი მოსაზრებისათვის ვერ მოუცლიათ, თორემ გზა ბევრი მოიძებნებოდა იმისა, რომ უდანაშაულო სისხლი არ დაღვრილიყო. ტარიელის პირდაპირობას, მის გმირულ გულწრფელობას როგორღაც არ შეეფარება ის ცბიერობა, ის უგულწრფელო სიტყვა, რომელსაც იგი, ნესტან-დარეჯანის რჩევით, ფარსადანს უთვლის: „შენი ქალი არად მინდა, გაათხოვე, გამარიდე; — ინდოეთი ჩემი არის, არვის მივსცემ ჩემგან კიდე“-ო. ამიტომ სრულიად სამართლიანია ფარსადანის გულისწყრომა და ტარიელისადმი მიმართული სიტყვები:

„ღმერთმან იცის, გამეზარდე, ვითა შეილად: —
ჩემი ასრე რად შესცვალე სიხარული სიმძიმელად?“

„ხვარაზმშას სისხლი უბრალო სახლად რად დამადებინე?
თუ ჩემი ქალი გინდოდა, რად არა შემაკებინე?
მე, ბერსა შენსა გამზარდელსა, სიცოცხლე მარმებიინე,
ღლედ სიკვდილამდი შენიცა თავი არ მახლებინე“...

[562]

1921

სილოვან ხუნდაძე, იქვე.

შოთა რუსთაველი

ეპიგრაფი ჩვენი გამოცემებისა

ა. მითური სახეები ვერ ჩაითვლებიან ისტორიულ პირებად, მაგრამ თუ პოემაში სახეებისათვის მიჩენილია განსაკუთრებული დრო, სულ რაღაც 17 წლის საზღვარი და მათი სამოქმედო ასპარეზი შემოზღუდულია განსაკუთრებული ადგილით, თუ მის წინასიტყვაობასა და ეპილოგში დასახელებულია ისტორიული პირები, რომელთა უმრავლესობა, თანამედროვე ავტორისავე სიტყვით, ჩნდებიან მოქმედ პირებად პოემისა, ამგვარი თხზულება, უფლება არა გვაქვს, გავსინჯოთ, როგორც რამე ზღაპარი, და მასში გამოსახულ პირებს მოვეპყრათ, როგორც რამე მითურ არსებათ.

ბ. რახან შოთას ქმნილების დედანი არ შენახულა და არც გვაქვს რამე საფუძვლიანი მეცნიერული გამოცემა მისი, ამიტომ იძულებული ვართ, კვლევის დროს ანგარიში გავუწიოთ მხოლოდ მის იმ შედგენილობას, რომელიც უანდერძებიათ ჩვენთვის ჩვენს წინაპრებს.

შოთა და მისი „ვეფხისტყაოსანი“

I

1. წინასწარი ცნობები

ა. ცხოველობა „ვეფხისტყაოსნისა“

შესრულდა შეიდი საუკუნე და შოთას „ზნენი“ (ხანა 1574¹) ისევ ტრიალებენ საქართველოში, არა თუ ტრიალებენ, კიდევ შეპხორტებიან ქართველ ერს:

¹ ხანები (სტროფები) აღნიშნულია „ვეფხისტყაოსნის“ დ. კარიკაშვილისეული გამოცემის ნუმერაციის მიხედვით. ეს 1574 უდრის ამავე პოემის 1937 წლის გამოცემის 1667-ს და ა. შ., რასაც

„შოთას გმირები, შოთას ძმადფიცნი, ნაზრახ სიცოცხლეს სახელოვან სიკვდილის მაჯობებელნი, შოთას მამულის სიყვარული ისევ სუფევენ ჩვენს არეს. ამ ზნეთ უნერგავდნენ შვილებს დედები, რომელთაც გათხოვებისას მზითვად მიჰქონდათ თითო ცალი, „ვეფხისტყაოსანი“ ცხოვრებაში სახელმძღვანელოდ და მისი მიხედვით შვილთა აღსაზრდელად. ვინ იცის, რაოდენ მილიონ ქართველ დედას, ნაწასთან ერთად, თავის ჩვილისთვის დაუძღვრია შოთას სამარადისო სიტყვები: „მშობლური ტკბილი მოწყალე ცა წყალობისა მთოველი!“ შოთას და მის „ზნეთა“ ერთი დამწერგავ დედებს უნდა ვუმაღლოდეთ, რომ ქართველს კაცს უყვარს თავისი „მშობლური ტკბილი მოწყალე“ მიწა-წყალი და არ შორდება მას, არ იფანტება ქვეყნის პირზე, როგორც ზოგიერთი სხვა ერები.

მხოლოდ ღვთისმეტყველების არტახებისა და მანგანაში ჩაკრულ სამღვდელოებამ ვერ შეიგნო შოთას ასეთი დიდი დამსახურება ქართველთა მოღმგის წინაშე, და მისთვის უწმინდეს და ახალი სახარების დამწერი ასეთ დრკულ სიტყვებით დაახასიათა ანტონი I-ისა და ტიმოთე მიტროპოლიტის პირით.

ანტონი:

„შოთა რბრძენ იყო, სიბრძნის მოყვარე ფრიად,
ფილოსოფოსი, მეტყველი სპარსთა ენის,
თუ რამ სწალოდა, ღვთისმეტყველიცა მაღალ,
უცხო საკვირველ პოიტეოსს, მესტიხე,
მაგრა ამოდ დამურა: საწუხარს ესე!“.

ტიმოთე (მოხილვა..., 154);

„შოთა რუსთველი იყო მთქმელი ლექსთა ბოროტთა. რომელმან ასწავლა ქართველთა სიწმინდისაჲ ბოროტი ბილწება და განრუენა ქრისტიანობა. ხოლო უწინარეს ჩვენთა ემცყართა სამღუთოდ თარგმნეს ბოროტი ლექსი მისი. აღწერა ქალისა ვისთვისმე თვალი მელნისა, პირი ბროლისა, დაწვი ძოწისა, და ამის გამო ღედანი საქართველოსანი ხატად ღვთისა შექმნილსა სახისა წილ ფერადთა წამალთა იცხებენ და მაცუალბულთა თჳთა მოიბჳენ საფრხედ სულთა“.

გამომცემელი პლ. იოსელიანი იქვე შენიშნავს:

„ამა ჰაზრისავე იყო თოთ კათალიკობა ანტონი პირველი, რომელმან მრავალი დბუქდილინი მეფის ვახტანგის დროსა ვეფხისტყაოსანნი დაწუენა და მოაბრუნენა მტკიარში და აღუქრძალა კთხუა წიგნისა ამის ქართველთა“.

ასე ეპყრობოდნენ სულიერი მამეები შოთას ქმნილებას, ხოლო ამ ახალ სახარებას ვერას აკლებდნენ: იგი, მიუხედავად ათას დაბრკოლებათა, იკვლევდა თავის გზას და ჰპოებდა ბინას გლეხის ქონშიაც და დიდებულთა დარბაზ-

მსურველი აღვიღად გაარკვევს „ვეფხისტყაოსნის ძირითად გამოცემათა ვარიანტების“ წიგნზე (თბ., 1964) და რთულ ბორის დარჩინს მიერ შედგენილ სტროფთა საძიებლით, ვინდ „ვეფხისტყაოსნის სიმფონიით“, რომელიც აკაკი შანიძის ხელმძღვანელობით შედგა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მძველი ქართული ენის კათედრის შრომების“ მესამე წიგნად გამოიცა. თბ., 1956 . რ ე დ.

შიაც, ვინაიდან უკვე შექმნილიყო ქართველთა სულის ისეთივე საპირობად, ვით პური, წყალი და პანური მათ ზორცთათვის.

ბ. შესწავლა „ვეფხისტყაოსნისა“

ვეფხისტყაოსნის შესწავლის დასაბამად ჩათვლება შე-XVIII-ს დასაწყისი, სახელდობრ 1712 წელი, როდესაც იგი დაბეჭდა ვახტანგ VI-მ და თანდაღრთო თავისი გამოკვლევაც მისი წარმოშობისა და ტექსტის შესახებ.

მისი აზრით (იხ. გამოცემის ბოლო-სიტყვაობა), „ვეფხისტყაოსანი“ არის „უღბილთა ფრიალ სასწავლო, გონიერთ გულთა დასაომენო, საღვთო და საერო, ვისაცა აქვს სწენა გულსა: უსწავლელთა სიბრინეს მისცემს, გონიერსა გულს უსრულსა“.

ვახტანგს მიზანა თეინურაზ ბატონიშვილმა და მოგვეცა განმარტება შოთას თხზულების ზოგიერთ სიტყვისა. ერთ ხანობას დროებით ჩაფერფლილი ხალისი უკვდავ ქმნილების შესწავლისა მალე ისევ გაღვივდა იოსელიანის, ბროსეს და ჩუბინიშვილის მომჭირნობით. კვლავ დაისტამბა „ვეფხისტყაოსანი“ ძნელ სიტყვათა განმარტებით, და სტაჰბის მეოხებით წინანდელზე უფრო მეტად მოედო ფაქთო საზოგადოებას. მის გავრცელებასთან ერთად აღიჭრა სხვადასხვა კითხვებიც. სახელდობრ ა. „ვეფხისტყაოსანი“ დამოუკიდებელი, ორიგინალი თხზულებაა, თუ ნათარგმნი? ბ. ისტორიული პირებია განოხატული შოთას შინა, თუ ნოვონილი ან საზოგადო ტიპები? და გ. ეს ტიპები და შოთას გეოგრაფია რანდენად შეესაბამებთან მის დროინდელ საქართველოს მოღვაწეთა თუ მიწა-წყალს?

ამ კითხვების ასე თუ ისე გადასაწყვეტად ერთერთს გამოემაჟურნენ უკეთესი ქართველი ნწერლები, რომელნიც ბოლოს დაიყვნენ ორ ბანაკად: ერთნი აპტიციებდნენ, ნათარგმნი თხზულებააო, ანუ სპარსულიდან ლექსად გადმოქართულებული ქმნილება. ნეორენი უპასუხებდნენ: მასში სპარსული არაფერია, არც სპარსეთში შენახულა მისი მსგავსი რამ, იგი ორიგინალი თხზულებაა, ნესტან-დარეჯანად განოყვანილია თამარ მეფე, ტარიელად დავით სოსლანი და სხვ.

ამ მეორე ბანაკმა პირადად ჩვენ ერთხანს კინაღამ არ გაგვიყოლია (იხ. ჩვენი „შოთა რუსთაველი“, გვ. 70—75), თუმცა ჯერ ისევ 1894 წელს „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ გვქონდა ჩვენი გარკვეული აზრი, რომ ტარიელ-ნესტანი წარმოადგენენო გარმიანთს (უცხოეთს), ხოლო თინათინ-ავთანდილი — სამშობლო კერას, საქართველოს, რომ თინათინი, თანახმად ჩახრუხაძის განცხადებისა (ბ. 115), არისო მხოლოდ ორეული თამარ მეფისა (იხ. ჩვენი 1894 წელს გამოც. „საქ. ისტორია“, გვ. 159): ამავე აზრს ჩვენ ვადექით 1900 წელსაც, როდესაც გამოვეცით „Царица Тамара“. 1904 წელსაც, როდესაც დაბეჭდეთ „მოამბეში“ (№ 2, 3, 4) წერილი „თამარ მეფე და მისნი ისტორიკოსნი“, რომელშიაც შოთას არაბეთად გამოვაცხადეთ საქართველო, ხოლო გარმიანეთად ინდოეთი,

ქაჭეთი, მულაზანზარი და ზღვათა სამეფო, რაღა თქმა უნდა, ამავე აზრს ვადგევართ ჩვენ დღესაც.

აქ წინდა აღვნიშნო კიდევ შემდეგიც. იმ დროს, როდესაც ჩვენ გამოვედით სანწერლო ასპარეზზე (1876 წ. 17 აგვისტო), ქართველ მწერალთა შორის „ვეფხისტყაოსნის ნაღიანად წოდენთა რიცხვი იზდენად ჰყირე იყო, რომ ხლთი თითი საქაო იყო მათ ჩამოსათელულად, 1880-3 წლებში იონა მეუნარგამ რომ თავი მოწყარა ქართველ მწერლებს „ვეფხისტყაოსნის“ შესასწავლად. მრაველად თვემოყრილ მწერლებში შოთას ნამდვილ მცოდნედ გამოდიოდნენ ხოლმე: ნიკო დადიანი, ილია ქაჭავაძე, აკაკი, გრ. თრბელიანი, რ. ერისთავი და თითო-ოროლა სხვა. ამავე კრებაზე გამოითქვა აზრი, გამოცემულიყო უკვლავი ქმნილება დასურათებულად, ხოლო ასეთი წადილი ჩჩებოდა განუხორციელებელი, უსასწარობის გამო.

იმ ხანებში გიორგი ქართველიწვილმა გამართა დიდი წვეულობა და დაიპატივა ტფილელი მწერლები. ჰურობას ჩამოვარდა ლაპარაკი შოთას შესახებ. ილიამ ბრძანა: „ზევრს თავი მოაქვს შოთას თხზულებათა ცოდნით, მაგრამ ვეკვი, თუ ვისეე ნათგან წაეკითხოს თავიდან ბოლომდე და შეეძლოს მისი შინაარსის გადმოცემა“.

ჩამოვარდა სჩჩემე, ყველა ერთმანეთის გადახედ-გადმოხედვაში იყო, რომ მასწანქელმა (ქართველიწვილმა) თამადას (ილიას) მიმართა სიტყვებით: „ჩენმა ნათესავმა ჩანაშვილმა უკვე მიამბო მაგ დიდებულ და ქართველთა სამაყო თხზულების შინაარსი და ამასთანავე გადმოცემა საზოგადოების სურვილი, დაიბეჭდოს დასურათებულად. მაწინვე მე გადაწყვიტე გავიღო მაგისტვის ფული. ნუ დაიშურებთ ჩემს ქონებას, ოღონდ ღირსეულად გამოვციტ ეს მართლაც მაგალიტი ობოლი“.

განცხადებამ საერთო აღტაცება და ტაში განიწვია, იქვე შეადგინეს კომიტეტი კეთილი საქმის სინჯულში მოსაყვანად. კომიტეტს მე გადავეცი ჩემი საკუთარი „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც დედნად გაუზნდა 1888 წელს დასურათებულად გამოცემულ ძვირფას თხზულებას. ეს გამოცემა რომ გადავშინჯე, მხოლოდ მაშინ მენიშნა ილიას სიტყვები „ვეფხისტყაოსნის“ მთიანად მცოდნეთა შესახებ: ტარიელი მასში წარმოდგენილია ვეფხის გამოუქნელ ტყავწანოსხმული მისი გრძელი კუდითა, ბრწყალეზითა და ბასრი კბილებით, მაშინ, როდესაც თვითონვე ტარიელი მბობს, რომ მას ხამი ტყავი კი არ ჰქონდა ტანს წამოზლარდნული, არანედ იგი ნამდვილ კაბად იყო მისთვის შეკერილი ასმათისა მიერ. (ნ. 639)¹. დღესაც არ გვეჭერება, რომ ნახატრული გამოცემის რედაქტორებსაც „ვეფხისტყაოსანის“ კითხვა არ გადაეცილებინათ 85 ხანასათვის, მაშინ როდესაც კაბას ახატვინებენ ზიჩის ვეფხის გამოუქნელ ტყავით, მაგრამ, მეორეს მხრივ, კეთილი შედეგი მოსდევს ხოლმე: სწორედ ეს

¹ ეს უღრის 1957 წ. გამოც. 657 ხანას. შღრ. 85, 1; 121; 2; 478, 2; 486, 2; 255; 2; 1440, 3, რედ.

კულიანარკალებიან ბასრ-კბილებიანი ტყავი შეიქნა მიზეზად, რომ 1896 წელს გამოვეციტე ზემოხსენებული წიგნაკი „შოთა რუსთაველი“ და მასში ჩავუთრეთ მოკლე ნოთხბრძა „ვეფხისტყაოსნისა“.

აქ არ შეჩერებულა შოთას თხზულების შესწავლის საქმე, რომელიც, რაც დრო გადის, უფრო ცხოველდება და გამოიწვევს მრავალგვარ მსჯელობას და მიიქცევს საზოგადოების ჩეროვან ყურადღებას.

მავრამ გამოვეყვით ისევ ჩვენს ძველებს.

ჯერ ისევ ვახტანგ მეფე აღნიშნავდა, „ვეფხისტყაოსანში“ შოთა შეაქვს-სო თანაზს, რომ პოემის „ამბავი თვითონ მგოსანს ვაუჯეთებია“. მას ენხრობოდნენ ბროსე, ჩუბინაშვილი, პლ. იოსელიანი. ა. წერეთელი ი. ჭავჭავაძე და სხვანი.

ბროსე ამბობდა: „ნათლად ჩანს შოთას თვით შეუთხზავს ზღაპარი ესე, უფრო თამარ მეფის ქებისათვის, და თავისი ქმნილება დაუწერია შეთანხმებით საქართველოს მოთხრობისა“. („ქ. ცხოვრებისა“). ა. ხახანაშვილით. „ხალხში ნაწყვეტ-ნაწყვეტად დარჩენილი ლექსები მგოსანმა ლიტერატურულ პოემად გარდაქმნა „ი. აბულაძის მტკიცებით „ვეფხისტყაოსნის“ აღნავსი ამოღებულა სპარსულ ზღაპრიდან თუ ზღაპრებიდან (იხ. ამის შესახებ ჩვენი „ნაშრომი“ 3, გვ. 4). სარაჯიშვილით „ვეფხისტყაოსანში“ ქართული არა არის რა (იქვე), კარბიშვილით — „ვეფხისტყაოსნის“ წინა და უკანასიტიყვაობა რუსთაველს არ ეკუთვნის (იხ. მისი განცემა, 1903 წ). მარს კითხულობს („თეატრი“, 1890 წ. № 12): „ვინ დაგვიმტკიცა, რომ რუსთაველი ცრუობს და „ვეფხისტყაოსანი“ სპარსულიდან არ არის გადმოთარგმნილი?“.

აღვნიშნავდით რა ყველა ამას ჩვენს „ნაშრომში“ (გამოც. 3, გვ. 4), განვავრტობდით: „ამდენი არევე-დარევა აზრებისა და წინაუკობა შესახებ ერთისა და ინავე თხზულებისა, ჩემი აზრით, აიხსნება მით, რომ მსუბუქად ვეკიდებთ იმ წინდა ერთეულ საღჯეს, რომელსაც, როგორც ამგვარს, თანამდებ ვართ ხელყვით არა თუ მარტო მოწიწებითა და მოკრძალებით, არამედ დატვირთულნი პაშტა სამზადისითა და ცოდნით. ვხმარობ პაშტას (საკმაროს), რადგან სწულის ცოდნის ქონა ქართულ მეტყველებისა დღეს თითქმის შეუძლებელია. დღესდღეობით, არ გვაბადია საყუთარი სამეცნიერო აკადემია, არ გვაქვს კარგი ლექსიკონები, არ გამოვეციტია ქართული ბიბლია და სხვა წიგნები, არ შეგვისწავლია ქართული ენა და კილოყავები, არ დაგვიბეჭდავს საგმირო და სახალხო ნაწარმოებნი, არა გვაქვს მეცნიერულად შემუშავებული ისტორია ქართველი ერისა, მისი კანონმდებლობა და ეგევითარი საბუთები ცნობაში მოყვანილი, განმარტებულ-გამარცვლული არ მოგვეპოვება. ყველა ამისაგან პაშტა ნაწილი მინც, შეგისწავლოთ და ისე ვიკადროთ „ვეფხისტყაოსნის“ განქიქება“.

ჩვენ ვერ წარმოგვედგინა სწავლული, რომელიც უგულუბელყოფდა მეცნიერული მეთოდის საანბანო მოთხოვნილებას: ჯერ კითხვის ყოველმხრივი შე-

სწავლა და მერე მისი გადაწყვეტა, ჯერ ათასი წინასწარმსაზღვრებელნი და მერე მათგან რაიმე აზრის გამოყვანა, დასკვნა. ჩვენში ხშირად ესეთი მოთხოვნილება არავის მოვალეობას არ შეადგენს! ხელაჲ, წამოაყენეს თეორია, გამოჭირილი ბლავი მაკრატლით, დაბლანდული ფრუტე ძაფებით შეკერილი ირღვევა და წივა-წივა იფანტება. მაშინაც ხშირად გონს არ მოდის ჩვენებური თეორეტიკოსნი: ეჭაჭურება ისეჲ თავის იმ ფუყე თეორიას და კრებს ახალ მასალას, რომ შეამაროს ნაყოფი თავის ყალბი აზროვნებისა...

ამ მხრივ ბედნიერ გამონაკლისს შეადგენენ თითო-ოროლა სხვა მკვლევარნი და მათ შორის უბირველესად ივ. ჯავახიშვილი, რომელიც ღრმად გაარღვევს და კვალავს გაყამირებული ქართული მეტყველების ნიადაგს და ამყარებს ნამდვილ ქართულ მეცნიერებას ამ დარგში.

ჩვენი თვალსაზრისი იმგვარი თხზულებების შესწავლა-შეფასებისთვის, ვით „ვეფხისტყაოსანი“, ჩვენ გამოვთქვით 1899 წელს. ამ წლებში ალ. სარაჯიშვილი ბეჭდავდა წერილებს სათაურით „ვეფხისტყაოსნის ყალბი ადგილები“. გვეცანით რამდენიმეს, შევატყვეთ, რომ ხსენებული წერილების ავტორს ფრიად ნაკლები ცოდნა ჰქონდა შოთას წინა დროის მწერლობაზე, და ამის შესახებ რომ შევეკითხეთ („ივერია“, 1899 წ. № 3), როგორც პატიოსანმა კაცმა გვიპასუხა (№ 34): „რუსთაველის წინა დროის სალიტერატურო ენა არ შემისწავლია, რაიცა, ლეთის წინაშე, მართალია“.

ამისთანა აღსარების გამო ჩვენს გამოცვლევაში „შოთას განჩიქება“ (№ 47 და სხ. იმავე 1899 წლ.), ჩვენ ამოვწერეთ რა ზემორე ხსენებულ სიტყვებში სარაჯიშვილისა, შევნიშნეთ: „აქ თავდება ჩემი და ალ. სარაჯიშვილის ბაასი „ყალბი ადგილების“ შესახებ.

სამწუხაროდ, შოთას გამომცემელთა თუ შემსწავლელთა ანუ მის მელექსიკონეთა უმრავლესობა სარაჯიშვილის ყადისა არის: ჰყიდებს საქმეს ხელს იმის წინათ, ვიდრე იზრუნებდეს მის ყოველმხრივ შესწავლაზე. თუ ყაქ ვერ გაუჩევია „სერა“ „სირისაგან“, თუ ვერ გაუგია, რა არის ხეული გინდა მახული, პაშა და მრ. სხვა მისთანას შრომა მუდამ იქნება უარყოფითი მნიშვნელობისა, ვინაიდან ლავის უსწორ-მასწორო განმარტებებით საზოგადოებაში შეიტანს უფრო სიყალბეს, ვიდრე ჭეშმარიტ შეცნობას უკვდავი ქმნილებიას.

ამიტომ ჩვენ მოვითხოვდით („ივერია“, 1899 № 3, № 47 სხვ.), აუცილებლად საჭიროა-მეთქი, ვიდრე შევეუდგებოდეთ რუსთაველის ქმნილების კვლევა-ძიებას, შევისწავლოთ არა მარტო მისი წინა დროის ქართული ენა და აწინდელი მისი კილოყაყები, არამედ თვით მისი დროის ისტორიული ამბებიც. ამას იმითმ მოვითხოვდით, რომ თუ მკვლევარი გონებით არ გადასახლდა შოთას ეპოქაში, თუ იქ თავის გონებმ თვალით არ განიცადა ათასწირ ინტერესთა შეიჭრწილობა, ვერც შეიგნებს-თქო იმ მიზეზებს, რომელთაც უნდა წარმოეშეათ, „ვეფხისტყაოსანი“. დღესაც იგეთივეა ჩვენი მოთხოვნა, როგორც 1899 წელს იყო, ე. ი. შოთას მკვლევარად გამოსულმა უნდა კარგად

იკოდეს სამი რამ: ა. თვით მისი თხზულება, ბ. ქართული ენა მის კილოვანებაში და გ. მისი თანამედროვე ისტორია ქართული და იმ ქვეყნებისა, რომლებთანაც რამ დამოკიდებულება ჰქონდა მაშინ საქართველოს. ისეთი თეორიები კი, რომელნიც ავებულა გარეშე ამ სამი პირობისა, უდღეურია და მათი ხსენებაც უკადრისობაა დიდი პოეტის დიდი პიროვნების წინაშე.

გაზ. „ტრიბუნა“, 1923 წ., № 469, გვ. 2—3.

შოთა

2. პოეტი შოთა რუსთაველი და მისი თხზულება

„ვეფხისტყაოსნის“ ამფსონი თავის თავს იხსენიებს რუსთველად (ხანები: 7, 15 და 1576), ხოლო ზალხის ხსოვნასა და ზოგიერთ მერმინდელ მწერლებს შეუენახავთ მისი სახელიც შოთა; რომელიც უნდა იყოს იგივე შემოკლებული ამოთან, ამოთ-ამოტ... ვინ იყო მისი დედა და მამა, სად და როდის დაიბადა, არა ჩანს; არ შენახულა ცნობა მისი აღზრდისაც. აგრეთვე თანამდებობისა, მხოლოდ მისივე თხზულებიდან სჩანს, რომ შოთა ყოფილა დიდი მკოდნე ლეიძლი ენისა, დიდი ფსიქოლოგი, დიდი ფილოსოფოსი და აღმატებით დაჯილდოვებული სამგოსნო ნიჭით. გადმოცემით, იგი უნდა ყოფილიყო თამარის მოლარე, ხოლო „არჩილიანის“ ამფსონის ცნობით, ვითომ შოთა ყოფილიყოს მხედარი და მიეღოს მონაწილეობა თამარის თითქმის ყველა ომში („არჩილიანი“, 135, 651). რომ მას მართლაც დიდი ადგილი სჭერია სახელმწიფო იერარქიაში, ივამოსკვირს თვით მისი ქმნილების მე-15 ხანიდან, მაგრამ ამის შესახებ იხ. ქვემოთ „ვინმე მესხი“.

ამ დიდი მოხელესთვის, როგორც ჩანს მე-5 ხანიდან, წინადადება მიუციათ ეთქვა „ტკბილი ლექსები“, საქებრად თამარისა და მისი მიჯნური დავითისა (ხანები 3, 4). ცხადია, იგი მაშინ სახელგანთქმული მელექსე უნდა ყოფილიყო.

თამარის დროს და მის წინათაც სელჩუკიანთ მთავრებს აუცილებლად ჰყვანდათ კარის მგოსნები. ვახუშტის ცნობით („გეოგრაფია“, 8), ქართველ მეფეებსაც წესად ჰქონიათ თავის კარს ყოლა მგოსნებისა, რომელნიც, ჩუნიჩრაპის ველისანი იყვნენ.

ყოველ შემთხვევაში სარწმუნოა ერთი, რომ, თუ შოთა განთქმული მგოსანი არ ყოფილიყო, მას არ მიმართავდნენ შეექო ასეთი დიდი პიროვნება, — თამარი.

შოთა რომ უმაღლეს სწავლაში გამოწაფული ყოფილა, ამას ამტკიცებს: მთლიანად მისი წიგნი, სავესე ფილოსოფიურ-ზნეობრივ თქმულებებით საუკუნოდ უქნობ ზასიათისა, მისი ცოდნა, რომ შაირობა სიბრძნის ერთი დარგიაო, მაგრამ: სამგვარი: ა) ლექსი ცოტაი, ბ) ლექსი სანადიმო, სააშვიკო. და

გ) მოშაირობა გრძელ თხზულებათა დასაწერად, ტკბილ საუბართა საფრქვეველად შესახებ ერთი რამ საგნისა, მის ყოველ მხრივ დასახასიათებლად და არა ცუდად ლექსთა ბრკობად გაჩეჟე კითხვების შემოტანით ლექსში.
დავით გურამიშვილი ამბობს (გვ. 300):

„ოდესაც ბრძენმან რიტორმან შოთამ რგო იფეთ ზეო და
ფესვ-ღრმა ჰყო, შრტონი უჩინა, ზედ ხილი მოიწყოდა,
ორგზითვე ნყოფს მისცემდა, ვისგანაც მოირხეოდა,
ლექსი რუსთველისებრ ნათქვამი, სხვისა ვერ ვნახეო და.

ვით მხედარს ყრმისა მცირისა წეპლისა ზედან ქლომანი
მიემზავსების ცხენოსანს ჯობით რბენა და ხლომანი, —
ეგრეთვე შოთა რუსთველსა ეს ჩემი ლექსთ მიხლომანი...
მე რუსთველსა ლექსს არ ვუღარი, ვით მარგალიტს ჩაღის ძირსა“.

ამ დახასიათებიდან ცხადად ჩანს, თუ გურამიშვილისთანა წარჩინებული პოეტად რა დიდი აზრისა იყო შესახებ შოთა რუსთაველის ქმნილებისა, მიმი სიბრძნისა, რიტორობისა, შაირობისა.

პოემაში უმთავრესი გმირია ოთხი, წყვილ-წყვილად ანუ ჯგუფ-ჯგუფად: პირველი ჯგუფია თინათინ-ავთანდილი, მეორე — ტარიელ-ნესტან-დარეჯანი; ამას გარდა ერთი ჯგუფი წყვილი კიდევ წინასიტყვაობასა და ეპილოგშია: ამ ჯგუფს შეადგენენ თამარ მეფე და მისი დავითი. სამივე ჯგუფის წარმოშად-გენელთ შორის ის მსგავსებაა, რომ თითოეული წყვილის წევრნი ერთურობის მიჯნურები არიან.

წინასიტყვაობისა და პოემის შემადგენლობა

1. მიჯნური და მიჯნურობა

ა. პირობა პირველი

უმთავრესი ჯაჭვედი, რომლითაც გადაზღვლია შოთას თხზულების ორივე ნაწილი, წინასიტყვაობა და პოემა, არის პირობა: მიჯნურობის მალვა, არ დაჩნევა, და ჩნევით არ მოყივნება მიჯნურისა. არ შერცხვენა მიჯნურისაგან მიჯნურისა (ხანები 12—14). წინასიტყვაობის ეს დებულება ქვემოთ პოემაში გადის წითელი ძაფით.

ავთანდილ-თინათინის მიჯნურობა წარმოებს მათ შორის, ისეთის იღუფ მალეებით, რომ მას იგებს როსტევენი, მხოლოდ უკანასკნელ ეამში, ქორწილს წინა-დღეს და ისიც ტარიელისაგან (ხ. 1498). ასეთივე საიდუმლოებითაა მოცული ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის მიჯნურობა.

ასეთი წესი მიჯნურობისა თვით ღვთისგან განწესებულაო, ამბობს პოეტი (ბ. 791: „ღმერთო, შენ დაბადე მიჯნურობა, შენ აწესებ მისსა წესსა“), და შოთას გმირებიც ამ ღვთისაგან დაბადებული და განწესებული მიჯნურობის წესებს არ არღვევენ მაშინაც კი, როდესაც თავს ატყულებათ ათაჲი საშინელება, ნესტან-ტარიელი დღუშან თავიანთ მიჯნურობის შესახებ იმ დროსაც კი, როდესაც კარს მოადგებათ მიჯნურობის ჩამაშწარებელი სასიძო, ზვარაზმ-შას შვილი, და მის მოკვლას არჩევენ, ვიდრე მიჯნურობის გამყვანებას. ნესტანი, განმსჭვალული მიჯნურობის წეს-მოთხოვნილებძე, უსაღმრთოებით, ვერ ამხელს მას თვით ფატმანის წინაშეც, იმ ფატმანისა, რომელიც მას ეპყრობოდა როგორც ტყილი დედა (ბ. 1119). ამათი და იმათი სამიჯნურო დამოკიდებულება იცის მხოლოდ ორმა ჰირმა: „არაბეთში“ შერამდინმა, რომელსაც თინათინ-ავთანდილს სამიჯნურო საქმე გაუშხილა თვით მისმა გულითაღმა მეგობარმა ავთანდილმა (ხანები 150—151), ხოლო ინდოეთში, ასმათმა, რომელიც იყო ნესტანის „ნაჰერეტი“ და ტარიელის „დობილი“ (ბ. 948).

მიჯნურობის ამგვარ თვისება-წესის გამო თვით მიჯნურს მოეთხოვება, რომ იყოს „მიჯნური ხანიერი“, ე. ი. ხანგრძლივად მომთმენი, მომთმენი იმ დრომდის, ვიდრე მიჯნურობისაგან მოკიდებული ცეცხლი დანელდება საამო ქორწინებით შეეყარებულთან (ბ. 10). და ასეთი „ხანიერი“ იყო მიჯნურობა არათუ მარტო პოემის გმირებისა, არამედ თინათინის ორეულის თამარ-მეფისაც, რომელიც, 38 წლის ასაკისა შეიქმნა, რომ მაშინ ძლივს ეღირსა შეუღლება თავის მიჯნურ დავითთან. მანამდე კი იგი, როგორც იუწყება ჩახრუხაძე (ბ. 44), „ნამარხვეად“, ანუ „სძლად ნამარხვეად“ (№ 656) იყო თქმულისთვის „აეადად“ (ჩახრ. 44, „ვეფხტყ“. 1222), ე. ი. დავით სოსლანისთვის, რადგან ამ დავითისთვის მიეცა პირობა თამარს, სხვა მოთხოვნელებს არაეითარ ყურადღებას არ აქცევდა, და ასეთები კი მრავალი იყო.

„ქართლის ცხოვრება“ ამბობს (გვ. 291): „თამარისთვის ხელდება იან ვილნი მსგენელნი ესრე — სახე ბრწყინვალეებისა მისისანი. ბერძენთ მეფის მანოელის უხუცესი შვილი ამისთვის იყო გაჰრით და გახელებით გამიჯნურებული; ასურასტან — შუამდინარის მეფის შვილი, რაც უნდა საქმე ჰქონებოდა შინ, მაინც აქ მოდიოდა...“

ღარბაზობისა რეცა სახედ მოვიდა შარვაშა აღსართან, რომელი მიხდილ იყო ცნებასა სიყვარულისაგან და ტრფიალებასა თამარისათვის სჯულის დაგდებად განზადებული, მოქნენ იქნა ყოველთა წინაშე საქმისა მოჭმედთა, მოძლვარსა, კათალიკოზსა მიუწოდებელთა ქრთამითა ევედრებოდა... ბევრმა „სამისოდ გაჰრით მხეცქმნილთა მხეცებრ აჩვენეს უღმობელობა“ („ქ. ც.“ 300), მაგრამ ამაოდ, — არც ერთს არ მისთხოვდა თამარი.

იგიც „ვიმეორებ“ მიჯნური იყო ხანიერი.

ბ. სხვა პირობანთ

მეორე მოთხოვნილება მიჯნურთაგან:

„მიჯნურსა თვალად სიტურფე პართებს, მართ ვითა მუხოზა,
სიბრძნე, სიმდიდრე, სიუხვე, სიყმე და მოცალეობა,
ენა, გონება, დათობა, მძლეთა მებრძოლთა მძლეობა“.

სწორედ ასეთები არიან პოემის გმირები, ტურფანი, უხენი, ქველნი, მძლე-
თა მძლეველნი. ავთანდილის სიგმირე პირდაპირ საარაკოა: სახლში ტოვებს
თავის მიჯნურს, სამი წლით გაიჭრება მოსაძებნად უკვე ეშპად დასახულ „ვეფ-
ხისტყაოსნისა“. დიდის გაჭირვებით მიაგნებს მას. ბრუნდება შინ, ისევ მიდის
ახლა ნესტანის მოსაძებნად. გზაზე გმირებრ ეომება მეკობრეთ; ხოცავს მათ,
თავს იმცირებს, ვაჭრულად იმოსება, ივებს ნესტანის ამბავს. ტარიელი, ფრი-
ლოთან ერთად, ქაჯთა ციხიდან გამოიხსნის ნესტანს. ამგვარივეა სიმტიცე და
სიგმირე ტარიელისა და თვით ნესტან დარეჯანისა, რომელიც მამაკაცებრ ვაე-
კაცობით ითმენს ყოველგვარ გასაჭირს ზღვა-ზღვა ცურვის დროს, ფატმანის-
სახლიდან მარტო ვადის ცხენოსნად, ტიალ მინდორს მისცემს თავს, მიქრის.
წყვდიად უკუნეთში. გმირებრ შეეკამათება შეხვედრილ ქაჯებს (ბ. 1205).

მესამე პირობა (10—11): „გული ერთსა დააქეროს... ამა საქმესა
ნუ უხმობთ მიჯნურობასა. დღეს ერთი უნდეს, ხვალე სხვა“...

ამ დებულების მიხედვით იქცევიან თვით პოემის გმირები 132 [= 133].

...შენგან კიდე თუ შეერთო რაცა ქმარი,
მზეცა მომხედეს ხორციელი ჩემთვის კაცად (ქმრად) შენაქმარი,
სრულად მოეწყდე სამოთხესა, ქვესკნელს ვიყო დასანთქმარი,
შენი მკლავდეს სიყვარული“...

ასე შეპფიცა თინათინმა ავთანდილს და ეს ფიცი მას არ დაურღვევია. 401-

„შენი ვიყო, სადამდისცა დამიყოფდეს მიწა პირსა.
ზედან წიგნსა, საფიარსა, შეფიციე და შემომფიცა“.

ეს სიმტიცე პირობისა ნესტან-დარეჯანმა და ტარიელმა ბოლომდის გაი-
ტანეს.

მეოთხე. მოყვარეს მოყვრისათვის „ქირი ლხინად უჩინდეს, მისთვის-
ცეცხლს მოიღებდეს“ (ბ. 31). ავთანდილით (ბ. 685):

„ჰხამს მოყვარე მოყვრისათვის, თავი პირსა არ დამრიდად;
გული მისცეს გულსათვის, სიყვარული გზად და ხილად,
კვლავ მიჯნურსა მიჯნურისა ქირი უჩინდეს ქირად დილად“.

ავთანდილივე ეუბნება თინათინს (ბ. 684) „მან (ტარიელმა).
ჩემთვის დაწვა თავისა დასდვა არ დასაწეავისა“.

ფარსადანმა ნესტანის საქმროდ რომ მოიწვია ხეარაზშმას ძე, ნესტანმა უთხრა ტარიელს (ბ. 524=540): „თუ სიძე შემოუშვა [ინდოეთში], მე შემირთოს“, „ეგე ამაღალ არ ეგების, რომე სპარსნი გაგვიხასდენ“, ამ მხრივ თვით ტარიელიც დინტერესებული იყო. ვინაიდან უძეო ფარსადანის გარდავლენის შემდეგ მხოლოდ მას, ტარიელს, როგორც ფარსადანის გვარეულობის ერთადერთ მამრობით სქესის წარმომადგენელს, ეკუთვნოდა ინდოეთის ტახტი. ამიტომ მან სიხარულით მიიღო ნესტანის რჩევა (ხანა 528): „იგი (სასიძო) რა მოჰკლა, ეუბენ პატრონსა ჩემსა, მამასა ჰკადრე თუ: სპარსთა ვერა ვიქმ ინდოეთისა ჰამასა: ჩემია მკვიდრი მამული“.

მართლაც ტარიელმა სასიძო მოჰკლა (549=560) და ფარსადანს შეუთვალა:

„ღმერთმან არ მოგვცა ყმაშვილი, გიზის ერთი ქალია,
ხეარაზშმა დასვა ხელმწიფედ, დამრჩების არ ნაცვალა?
სხვა შეფე დასჯდეს ინდოეთს, მერტყას მე ჩემი ხმალია?!“

სწორედ ამნაირ ყოფაში იყვნენ თამარი და მისი მიჯნური დავითი, რომელსაც გიორგი III-ის გარდავლენის შემდეგ, როგორც ბაგრატიონს („ქართლის ცხოვრება“ 291), ეკუთვნოდა საქართველოს ტახტი.

ბევრს სურდა თამარისათვის შეერთო გარმიანეთიდან მოწვეული ვინმე, ხელმწიფის შვილი, მაგრამ, როგორც ჩანს, თამარი მათ უშალავდა თავის მიჯნურობას დავითთან და მაგიერად წინ უყენებდა ბაგრატიონთ საგვარეულო გადმოცემას შესახებ იმისა, რომ ბაგრატიონნი წინასწარმეტყველი დავითის შთამომავალნი არიან და ღვთისაგან აღთქმული აქვთ რა გარდავლენა საუკუნოდ, თანახმად სიტყვებისა: „ნაყოფისაგან მუცლისა შენისა დავსვა საყდართა შენთა“ (ფს., 131—11).

თამარი რომ თავს „იმარხავდა სძლად“ დავითისა (ჩახრ., 44), როგორც თავის მიჯნურისა და ამასთანავე ბაგრატიონის, დიდებულთა ერთი ნაწილი, ეწინააღმდეგებოდა მას, გამოდიოდა დავითის მტრად, თვლიდა მას ავადად (ჩახრ., 44, შოთა 1222), არაფრად აგდებდა არც დედოფლის მიჯნურობის ფიცს, არც ზემოხსენებულ ზენაარ აღთქმას, იწვევდა მის საქმროდ ვილაც სკვითს და, მიუხედავად თამარის მხნე უარისა, ქმრად რთავდა მას. მაგრამ ამ ნაძალადეგ ქმრონობაშიაც თამარმა არ უღალატა თავის თავს და დრკუ სკვითი რომ მამაცურად მოიშორა, განაცხადა („ქართლის ცხოვრება“, 292): შევირთავო ქმარს, „თუმცა ვინმე იყო მკვიდრი საყდრისა ამის ჩემისა“. და შეირთო ასეთი მკვიდრი, — დავით სოსლანი „გამორჩეული განგებითა და ნებითა ღვთისითა“. იყო „გვარადცა ბაგრატიონი“ („ქართ. ცხ.“, 291) და ამ ბაგრატიონებისათვის კი, როგორც აღნიშნავს შვეთელიც (ბ. 5)—„ეფუცა უფალს სიტყვა

შტკიცდა: „ნაშობნი შენნი, შენ მიერ შენნი, დავესა მსაჯულად საყდართა ზე-
და. ესე მისითა კურთხევით უფლებს ძალთა შემწედა“.

ამ საგვარეულო გადმოცემის ძალით თამარი, გინ არა ჰყვარებოდა უკა-
ნასკნელი ბაგრატიონი დავით, მაინც ვინმე მისიანზე ვერ გათხოვდებოდა ში-
შით, რომ ფიცის დარღვევისათვის მას დასჯირდა ღმერთი. ამიტომ, ვიმეო-
რებთ, ქმრად მოითხოვდა ვისმე თვის „საყდრისა მკვიდრს“.

1. მიჯნურები და კოეტი

მეორე ხანაში შოთა ითხოვს ღვთისაგან, მისცეს მას მიჯნურების ასატანის
სურვილი, და ამ სურვილს — კი იგი მწყობრად გაატარებს მთელს პოემაში,
თბილად თავს ევლება თავის გმირებს, იცოდებს მათ თავის კეთილშობილური
გულით. მას არა თუ მარტო თვითონ შესტკივა გული ტანჯულ მიჯნურთათვის,
მკითხველებსაც იწვევს, შევიდნენ მათს მდგომარეობაში, შეიბრალონ და თვალ-
თაგან ღეარონ ცრემლი მათთვის (ხ. 922=942):

„ლექსთა მკითხველნი თქვენმცა თვალი ცრემლისა მღვრელია!
გულმან რა გლახქმნას უგულოდ, თუ გული გულსა ელა?!
მომორება და მოყურისა გაყრა კაცისა მკვლელა,
ვინცა არ იცის, არ ესმის, ესე დღე როგორა ძნელია;“

იგი გამიჯნურებული ტარიელის ყოფას რომ განიხილავს გონების თვალთ,
ვით გულს ლახვარსობილი ჯდება და მის ამბავს ლექსავს (ხ. 7). ენას, გონებას,
ხელოვნებას მოიხმარს, რომ რაც შეიძლება, კარგად დახატოს ყოფა-მდგომა-
რეობა მიჯნურებისა და მეგობრებისა (6).

გული შესტკივა მიჯნურთათვის: მათთვის „ხელობს მისთვის მკვდარი“,
ნატრობს ან მათ უიმედო სიყვარულს დაედოს მალამოდ, ან მას თვითონ გა-
უთხაროს სამარი (ხ. 15), ითხოვს, მათ ხორცთა დაწვა დასრულდეს კეთილად,
მათ სულთ მიეცეს ღმერთს.

2. საარსული ამბავი

ა. ტარიელის და მეფეთა ამბავი

შოთას პოემაში შენასკულია ორი ამბავი, ამბავი თინათინ-ავთანდილისა
და ამბავი ნესტან-ტარიელისა, ანუ ამბავი მეფეთა (ხ. 1574) და ამბავი ტარი-
ელისა (7 ხ.). ამ ერთად შენასკვეულ ამბებს ეპილოგში ავტორი მოიხსენებს ჯა-
მეულად, ამბობს (ხ. 1574): „ესე ამბავი ხელმწიფეთანი“. წინასიტყვაობაში ამ
ხელმწიფეთ გაგვაცნობს სიტყვებით (ხ. 6): „მათ სამთა გმირთა მნათობთა
სჯირთ ეჭომანეთის მონება“ (და იქვე გვამცნობს ტარიელის ამბავსაც: ა) რუს-

თველმა აქამდის ამბად ნათქვამი გავლექსეო (ბ. 7) და ბ) „ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები... ვპოვე და ლექსად გარღვეთქვიო“ (ბ. 16).

ვიკითხოთ, რა უნდა ყოფილიყო ის ამბავი, რომელიც გალექსა შოთამ? მართო ეს ამბავი ყოფილა «Персидская повесть», მაგრამ განა ამბავი რუსთაველის და მის წინაღობს იხმარებოდა повесть -ად, მთხრობად?

სახარებაში ასეა: ჰამბავი — слух (მათე, 4—24), ჰამბავი — молва (იქვე, 14—1), ჰამბავი весть (საქმე 21—31).

მოსე ხონელი „აბესალომ ჰინდლოთ მეფის ამბავს“, ამბავს ამირხანისას და თავის სხვა გმირებისას, ასრულებს უწყებით: „აბა, დასრულდა წიგნისა ამის თქმულება, მ. ხონელის მიერ ნასიტყვნი, თამარ მეფის დროს, საკაცობო და სამხედრო ამბავნი“.

სწორედ ამისთანა „საკაცობო და სამხედრო“ მნიშვნელობის გამო ლეონტი მროველის ცნობილ ისტორიულ თხზულებას არსენი კათალიკოსი უწოდებდა ასე: „ამბავი მეფეთა“. ამიტომვე ჰაპუნა ორბელიანს თავის ისტორიისათვის დაურქმევია „ამბავნი ქართლისანი“.

მაგრამ თვითონ შოთა რას ეძახის ამბავს, როდესაც გვაუწყებს: „ამბავი როსტევან მეფისა“ (ბ. 37), „ამბავი ვითა მღერა ნარდისა“ (62), „ამბავთა მცნობელი“ (114), „ამბავი შინაური“ (660), „ამბავი მრთელი“ (1337), „ამბავი გრძელი“ (1497), „ამბავი უცხო“ (1574), „ამბავი წვრილად“ (671), „ამბავი ავთანდილისა არაბეთს მიტყევისა“ (654), „ამბავი ავთანდილისაგან გულანშაროს მისელისა“ (1039), „ამბავი ნესტან-დარეჯანის ქაჯთაგან შეპყრობისა“ (1191), „ამბავი მის ლაშქრისა“ (957).

ნუთუ ამდენი повесть-ები დაწერა შოთამ?

არა. ეს ამბავი არის მოკლე რამ, უწყება, ცნობა იმის შესახებ, ამა თუ იმ პირის თავგადასავალი, თავსდატეხილი რისამე შემთხვევა, აღწერა ანუ მბობა. სწორედ ასე ესმის ეს სიტყვა შოთას, როდესაც ტარიელის ანუ „სპარსულ“ ამბავს იწყებს ჩიტყვებით:

„ტარიელისაგან თავის ამბის მბობა, ოდეს ავთანდილს უამბო პირველი“ (იხ. სათაური 300 ხანას წინ).

აქ ტარიელმა თავისი повести არ უამბო, არამედ მხოლოდ თავისი თავგადასავალი გააცნო თხრობით.

მაშასადამე, დავასკვნით, საქართველოში ტრიალებდა რაღაც ცნობა, რაღაც ამბავი, მაგრამ ეს „სპარსული ამბავი“ თუ ცნობა ყოფილა შესახებ ტარიელის უბედურებისა (იხ. ხანა 7). იმ საზარელ ამბისა, რომელშიაც ჩავარდა იგი ზვარაზშვას შვილის მოკვლის გამო და რომლის ვითარებაც მან გააცნო მასთან მისულ ავთანდილს (ხანები 300—304).

ინდოეთის მპყრობელ ფარსადანს ექვემდებარებოდა შვიდი სამთავროსამეფო. თვითონ უშვილო იყო და მემკვიდრედ ზრდიდა ერთ-ერთი მთავრის (სარიდანის) ძეს ტარიელს, რომელიც ჩამომავლობით მისივე გვარისა იყო

(ხანა 308). მერე ფარსადანს ეყოლა ქალიშვილი დარეჯანი. რომ გაიზარდა, მას გაუმეიჯნურდა ტარიელი; ისინი ცოლ-ქმრობის ფიცით შეიფიცნენ (ხანა 399). ამ ხანებში ფარსადანმა თავის ქალის საქმროდ მოიწვია ხვარაზმშას შვილი. ესეთი მოწვევა ტარიელს უქადდა არა მიჯნურის დაკარგვას, არამედ თვით ინდოეთის ტახტისაც, რომელიც უძეო ფარსადანის გარდაცულების შემდეგ უფლებით ეკუთვნოდა მხოლოდ მას. ნესტანის რჩევით, ტარიელმა მოკლა დიდის დიდებით მობრძანებული სასიძო. აირია ინდოეთის საქმეები. ნესტანი გაიტაცეს. მის კვალს ჩაუდგა ტარიელი. ბევრი ეძება, ვერ იპოვნა. ინდოეთს ვეღარ დაბრუნდა, რადგან იქ არავინ შეუშვებდა. ამიტომ შეიშალა სადღაც მიყრუებულ მთის გამოქვაბულში და იქ ნესტანის „ნაჭკერტის“ ძმათის თანყოლით პლევდა დრო-ეამს, გამწარებული ცალკე მიჯნურის დაკარგვით და ცალკე საიმპერატორო ტახტისა.

ეს არის და ეს „სპარსული ამბავი“, უკეთ ვთქვათ, ტარიელის ამბავი, რომელიც, ვიმეორებ, თავს დაატყდებოდა გამოუცდელ და შორსგანუჭკერტელ 17—18 წლის ქაბუკ ტარიელს მხოლოდ მის შემდეგ, როდესაც ხვარაზმშასთან დააწესა პირველმა ხვარაზმშამ აზიზმა (+1156 წ.).

მაგრამ ამ ამბის ერთი წვერი ჩნდება მაშინ, როდესაც ფრიდონთან ძმადგაფიცული ტარიელი მის მიერ ნაჩუქარ შავი რაშით მოაღწევს „არაბეთს“, მოეჩვენება აქაურ მეფეს და ისევ გაუჩინარდება, მაგრამ ეს მოსვლა მიიზიდავს ავთანდილს და „სპარსული ამბავი“ გაინასკვება არა თუ ტარილ-ავთანდილის ერთურთთან მარტო ძმად გაფიცვით, არამედ ერთურთისათვის თავდადების აღთქმითაც (ხანები 646, 650, 684 = 664, 665, 702).

ბ. ქართულად ნათარგმანები სპარსული ამბების პოვნა

მაგრამ სად იპოვიდა შოთა სპარსულ ამბავს, რას მოითხოვდა ამ ამბის ავტორი და ვინ გადმოთარგმნიდა მას ქართულად?

ყველა ამ კითხვის შესაცნობად გვეხმარება მატეანის „ქართ. ცხოვრების“) ცნობები შესახებ თამარის მამიდის რუსუდანისა.

ეს რუსუდანი სწორედ ხვარაზმშაობის დადგენის ხანებში დედოფლობდა „ინდოეთის შვიდ სამეფოში“, სახელდობრ ერავ-ხვარასანს. თავის ძმის გიორგის მეფობაშივე (1155—1184) დაქვრივებულიყო, ჯერ ისევ 1161 წელს დაბრუნებულიყო საქართველოს და აქ ზრდიდა თამარსა და დავით სოსლანს. შინ მყოფობისას პოლიტიკაშიაც იღებდა მონაწილეობას. 1161 წელს გიორგი მეფემ აიღო ანისი, სულთანი დიდის ძლიერებით წამოვიდა, რომ დაიბრუნოს წართმეული ქალაქი. მაგრამ შეტაკება არ მოხდა, რადგან სულთანსა და ძმას გიორგის შორის ჩამოდგა „სულტნის ცოლყოფილი“ რუსუდანი და ავრეთვე ელდიგუზ ათაბაგი და ამათ შუაჯაცობით „შეიქმნა მშვიდობა და ზავი ჟამ-არადენიე“ („ქართ. ცხ.“ 271).

ამავე რუსულდნმა მოაწყო თამარისა და დავით სოსლანის შეუღლება და ქორწილი („ქართ. ცხ.“, გვ. 292). ეს იყო „ქორწილი შესატყვისი და შემს-გავსებული ხელმწიფობისა და შარავანდღობისა მათისა: ვინათგან დედოფალი რუსულან, ყოვლითა სიბრძნითა აღსავსე, მოქმედებდა და აქეთ ბაგრატიონთა გვარ-ტომითა აწყობდა რიგთა სახლისათა და ქვემოდ ხვარასნისა და ერაყისა სულტანთა სძლობითა გამეცნიერებული, ზუნებრივთა სახიობთა და შვე-ბათა მოქმედებდა“.

და, მართლაც, რუსულანს იქ, ერაყ-ხვარასანს შეძლება ჰქონდა დიდად გამეცნიერებლად: იქ მოქმედებდა უდიდესი აჯადღებია, ცნობილი მსოფლიო ისტორიის მიერ, იქ უკვე მოქმედებდა ახალი წელთაღრიცხვა, ეგრეთ წოდებული „ჩველალ-ედდულა-ვე-ელლინა“, იქ მეცნიერება ააყვავა ოთხმა უდიდესმა მამულიშვილმა, ხავერანამ ხვარასანში, აბუსაადმა და სხვ. ყველა ამათი მფარველები იყვნენ სელჩუკიანი სულთანები, მალიქშა, სინჯარი და სხვ.

აი, ამ რუსულანს არ დააფიქვდებოდა თავისი ქმროსნობის დრო ერაყ-ხვარასანს, შეუძლებელია არ სცოდნოდა, როგორ მიდიოდა იქაური ამბები და, რაღა თქმა უნდა, არ გამორჩებოდა ისეთი შედარებით, თვალსაჩინო შემთხვევა. რომელიც ხვარაზმშას შვილის მოწვევის გამო მოხდა ფარსადან სულთნის კარს ტარიელის აჯანყებით. პირადად ჩვენ გვეჩვენება, რომ სულთნის ცოლ-ყოფილ რუსულანს ნაცნობობა თუ ნათესაობა ჰქონდა თვით ტარიელთან და ფარსადანთან.

„ე-ე ამბავი სპარსულის“ დასაწყისის შოთა იპოვიდა მხოლოდ 'ამ რუსულან დედოფალთან და მისგანვე გაიგებდა შინაარსს იმ ეპისტოლისას, რომელშიაც იქნებოდა მოკლე რამ ცნობები შესახებ ტარიელის მიერ ხვარაზმშას შვილის მოკვლისა, ნესტანის გატაცებისა და ტარიელის გაუბედურებისა. ჩვენ ეფიქრობთ, ამ ცნობას შემწეობის აღმოჩენის თხოვნითურთ მოიტანდა თვითონ ტარიელივე მაშინ, როდესაც შავი ცხენით გამოჩნდა „არაბეთის“ პირს და მალე ისევ გაუჩინარდა, ხოლო „სრულ-სრულ სპარსულ ამბავს“, ანუ „ტარიელის თავგადასავალს“, მისგანვე შეიტყობდა ავთანდილი და მოიტანდა სამშობლოში, და აქ „ლექსად გარდაქმნიდა“ მას პოეტი შოთა.

მკვლელობის გამო იგი ჩავარდა ისეთ ყოფაში, რომ მისთვის საჭირო შეიქმნა ძლიერი შემძლის მოძებნა, რათა როგორმე გამოებრუნებინა საქმე. და რომ იგი შემწეებს ეძებდა, აჰას ნათელს პფუნს შოთას სიტყვები (ხანა ნ): „შევეწინეთ ტარიელს“. და 80.000 „არაბი“, მეთმარიც დაიძრა ომის საშველად...

ტარიელის საქმენელად ავთანდილის გამგზავრება

ჩა ყოფაშია ჩავარდა მორქმული, ნესტანის შერთვის მოიმედე და „ინდოეთის“ სელჩუკიანთ ტახტზე დაქდომის მომლოდინე ტარიელი, იმავე ყოფაში ჩავარდა საქართველოში თამარის მიჯნური ოსი ბატონიშვილი (დავითი). იქ თვით ნესტანის მამამ აუჩინა ტარიელს მეტოქედ ხვარაზმშას შვილი; აქ დიდებულებმა დავითსა და თამარს ჩაუყენეს შუაში უცნობი, ერთი რუსი, მეტოქეობა იქ დასრულდა სისხლის დაქცევით, ნესტანის გატაცებით და ტარიელის გადაკარგვით სადღაც ქვაბებში; აქ დიდებულების თავხედ მოქმედებამ დროებით გაიმარჯვა, ორ წელიწად-ნახევარს გასტანა და მაშინ კი აქაურ მეტოქესაც აუგეს ანდერძი, ჩახრუხაძე ამის გამო ამბობს (ხ. 44): „ხაფად დაგეხსნეს ქმრად რამე გეხსნეს. აწ ძვალთა მათთა დაძხდეს რა რუყვად!“ იქაც და აქაც მახლობელთა შორსგანუჭკერტელობას და გაუსინჯველობით საქმის დაქერამ სრულიად ერთგვარ სახრაკავ ტაფაში ჩაყარა უკანასკნელი სელჩუკიანი ტარიელი და უკანასკნელი ბაგრატიონი დავით სოსლანი; იმან აცნობა თვისი უბედურება, ესეც მასავით გაუბედურებული გაუდგა მის კვალს.

მაგრამ როდის? რაღა თქმა უნდა, 1185 წელს, როდესაც რუსზე ძალისძალად ჯვარი გადასწერეს თამარს და როდესაც, როგორც ამბობს „ქ. ცხ. „(286), თამარის შესართავად სამეფო კარს მყოფი ოსი ბატონიშვილი გაეცალა საქართველოს საზღვარს. და გაეცალა უთუოდ იმ მიზნით, რომ, რახან მისი კუთვნილი ტახტი და თან მიჯნურიც მისმა მეტრებმა სხვას ჩააბარეს, სამშობლოს გარე სადმე სხვაგან მოენახა შემწენი, რომელიც შესძლებდნენ მისი ალალი საქმის გამოზრუნებას. რაღა თქმა უნდა, შემწეების ძეხნა შობდებოდა თვით თამარის თაოსნობითა და ბრძანებით. შეუძლებელია ასეთი ძეხნა მომხდარიყო ნებადაურთველად იმისა, რომელიც ამბობდა (ჩახრ., 801): „მწევას მესხებერ, მამცქევრობს მეხებერ დავით ძლიერი, მხნე, უძლეველი“.

ჩ ა ხ რ უ ხ ა ძ ი თ : თამარის „გული“ (დავითი) გაუდგა გზას, მიიჭრა საქართველოს მომიჯნავე სახელმწიფოების კარს, ნახა კეისარი, ნახა სულთნები, ამოვლო ინდნი. სახნი და ჩინნი, „მოძებნის მთვარე, შიშ ჰაერ-ჰარი მნათობი დარი“ და მოიყვანა (ჩახრ., 56—63).

შ ო თ ა თ ი (ხ. 17): „გული გამიჯნურდა, გაიჭრა ველად, მას მტკიცე ფიცით ვადა დაუდო და გაისტუმრა (ხ. 132). დავალება ბრწყინვალედ შეასრულა ავთანდილმა და რომ დაბრუნდა, ახარა ჩახრუხაძისეზური სიტყვებით (ხ. 684): „ვის აქვს მინდობა კაცისა მამცქაფაეისა, მან (ტარიელმა) ჩემთვის დაწვა თავისა დასდვა არდასაწვეისა“, და თან დაუმატა: ჩემის მხრივ „მიტქვამს დიდება თავისა“, მისთვის „მზე შემითყავს“ (იქვე).

ბ. სისხლის ცრემლით დათხევის დასასრული

მე-4 ხანაში ავტორი თანამედროვე საზოგადოებას მიმართავს სიტყვებით: „თამარს ვაქებდეთ მეფესა სისხლისა ცრემლდათხეული“. რა საჭირო იყო სისხლის ცრემლთ დათხევა, თუ ისეთი დიდი პიროვნება, ვით თამარი, არ იყო რამე აუტანელს ყოფაში?

თავშივე ჩვენ მოვიყვანეთ ცნობა მატიანიდან, თუ როგორ ავიწროებდნენ თამარს გალაღებული დიდებულები, როგორ ეურჩებოდნენ მას ხელისუფლების დასაჩემებლად და, ბოლოს, როგორ სულს უხუთავდნენ მისთვის უბირი საქმროს მიწვევით. ასეთი მათი მოქმედება შეაშფოთებდა არა თუ მარტო გამიჯნურებულ თამარ-დავითს, არამედ საზოგადოების იმ გაგებულ ნაწილსაც, რომელსაც უცხო, უცნობი კაცის მოწვევა თამარისთვის ქმრად და საქართველო-სთვის მიყვად შესწარავდა, სისხლის ცრემლით აატირებდა. თამარს უყვარდა დავითი და მისთვის, როგორც ვთქვით, იმარხავდა თავს (თამარ., 44), აგერ კიდევ მის ლოდინში შესრულდა 29 წლის ასაკისა და დიდებულები კი უწუნებდნენ მის გულის ამორჩეულ მოყმეს დავითს, მას თვლიდნენ „აეადად“ (თამარ., 44), მას ცვლიდნენ ვიღაც უბირზე. დიდებულების ასეთ საქციელს ვერ მოიწონებდნენ გაგებული კაცები და მათ არ დააკლებდნენ მხილებას, მეტად რე მაშინ, რაღესაც ამ სიძქეს გამოაჩინა სოდომური ცოდვაც. ამ გაგებულთაგან ერთი იქნებოდა ჩვენი შოთაც.

იგი სასიძოს მომწვეველებს ეუბნებოდა: „ყოველი მეფე ღვთისაგან უნდა იყოს ამორჩეული და არა კაცთაგან (ბ. 1), მე იმას ვაქებო, რომელიც ღირსია ატაროს თამარის ხმალი, ფარ-შიმშიერი (ბ. 3). ამასვე ამბობენ: ა) „ქ. ცხ.“ 291: „არა რა იქელთა მე გამომირჩიონ, არამედ რომელნი მე გამოვირჩინე. თავად უფალმა: აღმიღო და მცხო ზეთითა ცხებულისა მისისათა“; ბ) ჩახრუხადის 19: „საუღს ეფობა ართო. მეფობა დავითს (სოსლანს) მიჰმადლა; შავთელი. 1: „მე, სმა ზეი ური რა უნახე, ვსურა, რომ სიტყვა შეთხზვნეს შეფისა (დავითის) მონობად“.

აქ მოვლო ბოლო შოთას „საქოქმანებელ საქმეს“, ე. ი. ასაყაყანებელს. ვის ასაყაყანებდა შოთას ლექსი, დაწერილი საქებრად დავითისა (ბ. 3) და თამარისა (ბ. 26), თუ არა იმ დიდებულებს პატრიარქ მიქელითურთ, რომელნიც ებრძოდნენ თამარს და უწუნებდნენ მიჯნურს დავითს!

მაგრამ რას შეეუბნებოდა პოეტი ამისთანების ჭოქმანს, როდესაც იცოდა, რომ „გასტეხს ქეასაცა მათა გრდემლი ტყვიისა რბილისა“, რომ თამარ-დავითის მოწინააღმდეგეთა დაკორდებულნი გულნი ბოლოს მოლხვებიან და მასაც უშიშრად შეეძლება თქვას (ბ. 1573=1666).

„ქართველთა ღვთისა დავითის, ვის შვე მსახურებს სარებლად,
ესე ამავე გავლექსე მე მათად, საკამათებლად,

ვინ არის აღმოსავლეთით დასავლეთს ზართა მარებლად,
ორგულთა მათთა დამწველად, ერთგულთა დამამკრებლად”.

ახლა თვალი გადავავლოთ მკშინდელი დროის მახლობელ არმოსავლეთს და საქართველოს და ვნახოთ, როდის დაწესდა ხვარაზმშაობა, რამდენს წელს გაგრძელდა ეს შაობა და როდის და რომელ ხვარაზმშას შეიღს მოკლავდა ტარიელი.

II

მახლობელი აღმოსავლეთი და საქართველო

I. „ინდოეთის“ შეიღი სამეფო

ამ ვრცელ სამეფოში თავდაპირველად ბატონობდნენ სპარსთა ყაენები, შერე არაბები, ხოლო 969 წლიდან 1038 წლამდე ღაზნელები, 1038—1194 წლებში სელჩუკიანი თურქები და 1194—1219 წლებში ხვარაზმშაები.

ერაყ-ხვარასანი, საცა დედოფლობდა თამარის მამიდა რუსუდანი, შედიოდა ამავე „ინდოეთის“ იმპერიაში. 969 წელს აღროტეგონი, მონაყოფილი ხორასნის, ამაღლდა სპასალარობამდე; მან დაამარცხა ბუხარის მფლობელი სამანელი და შეიქმნა ბატონ-პატრონად ხორასნისა. მისმა სიძემ სებუქ-ტეგინმა დაიპყრო ქებაული (ყაბული), პეშავერი, დაამარცხა ლაგორი რაქი ჭაიფალი: მისი შეიღის მაჰმუდის დროს (998—1030) ღაზნელების იმპერია თავისი მიჯნებით მიეზღინა საქართველო-ბაღდადს, ბუხარა-ყამგარიას, დელისა და მდინარე ინდის ოკეანეში შესართავს. იმპერიის ტახტი იყო ქალაქ ღაზნას, ავღანის-ტანში. მაგრამ ღაზნელების დიდება უღლეო იყო. 1038 წელს მათი იმპერიის პატრონებად შეიქმნენ სელჩუკიანი თურქები და დასავლეთისმხრივი მისი მიჯნები უფრო გაავრცელეს. ყველა ამის მოქმედი იყო ტოღრულ-ბეგი, სელჩუკიანი თურქი (1038—1063). ამან მიიღო მაჰმადიანობა — სუნობა, დაამარცხა ღაზნელები, ამოსწყვიტა ბოვიდები, რომელთაც ხელთ ეგდოთ ბაღდადის ხალიფას ალი-ომარობა (სამოქალაქო უფლება), შეევიწროებინათ ხალიფა ისე, რომ იგი მათ ხელში უფრო ტყვე იყო, ვიდრე დამოუკიდებელი მბრძანებელი მართლმორწმუნე მაჰმადიანებისა. ხალიფა სინხარულით მიეგება თოღრულ ბეგს: ჩააცვა მას შეიღი ხელი სპატიო ტანისამოსი, უძღვნა შეიღი მონა იმპერიის შეიღი სამეფოდან თითო სული. თოღრულის მახლობელ მემკვიდრეებმა უფრო გაავრცელეს იმპერია. ალიბ-არსლანი და მისი ძე ბალექშა ცდილობდნენ მაჰმადიანობა ძალით მოეფინათ დედამიწის პირზე. ამ მიზნით მათ იარაღი შემოიტანეს საქართველოშიც, სურდათ დაეპყრათ მისი თავისუფლებისმოყვარე ხალხი და მაჰმადიანობაზე მიექციათ, იბრძოლეს ღიდ ხანს, მაგრამ ამოდ. ქართ-

ველების თავისუფლება ვერ შებორკეს. პირიქით, მალე მათივე ვრცელი და შვილ სამეფოთაგან შეკოწიწებული იმპერია თვითონ დაიმხო და დაიშალა.

1092 წელს მოკვდა სელჩუკიანთ მესამე უდიდესი სულთანი მალექშა. სხვადასხვა ცოლებისაგან ჰყავდა ოთხი ვაჟი. ყველას მეფობა უნდოდა, წაიჩხუბნენ, დაგლიჯეს მამის მთლიანი იმპერია, ბრძოლაში შეერია მათი ბიძაც. ბოლოს სულთანობა დარჩა მალექშას ძეს სანჯარს (+1157 წ.) ნაშობს მხევლისაგან.

სანჯარის ხელშეიფობა მიეფინებოდა ინდოეთის აქეთ ნაწილს ხვარაზმს, სამარყანდს. 1141 წელს სანჯარი შევიდა ყაზვარიას და შეება იქაურ თათართა ურდოებს¹. მაგრამ, კვლავ შეკრიბა ჯარი და 1153 წ. აუტეხა ბრძოლა თურქმანებს. აქაც დამარცხდა, ტყვედ ჩაეარდა, 3 წლის შემდეგ გამოისყიდა თავი და 1157 წ. მოკვდა (შლოსერი, II, გვ. 645, III, გვ. 95).

სწორედ ამ სანჯარ სულთანის დროს თავი გამოიღო ხორვარზმის მმართველმა აზიზმა (1126—1156. ამის მამის მამა იყო მონა ხვარაზმის გამგისა). ეს რომ მოკვდა, სულთანმა მელიქშამ გამგეობა ჩააბარა მის მონას აძტეკინს. ამის შვილი მუჰამედ კოტბედდინი მონურად ასრულებდა სელჩუკიანი სულთნის ნებას. მაგრამ სუთნობა რომ ზედა სანჯარს და იგი დამარცხდა. მტრებთან ბრძოლაში, აზიზიც განუდგა მას და თავისი თავი ხვარაზმშად გამოაცხადა. მსოფლიო ისტორია არ აღნიშნავს ხვარაზმშაობის დადგენის წელს, მაგრამ ეს უნდა ყოფილიყო 1153 წელს, როდესაც სანჯარი დაამარცხეს თურქმანებმა და ტყვედ წაიყვანეს (იხ. შლოსერი, II გვ. 645, III 93). 31 წლის შემდეგ ხვარაზმშა უკვე „ძმობდა“ თამარის მამას გიორგის („ქართლის ცხოვრება“ გვ. 275).

მალე სასულთნოს კუთვნილ ხორასნის უდიდესი ნაწილი მიიჩემა აზიზის მემკვიდრე ხვარაზმმა ილა არსლანმა (+1172 წ.). ამის მემკვიდრე ალაედინ ტაქაშმა დაიპყრა ერაყი, რეი, სადაც იყო სასულთნოს ტახტი, და ბოლოს. 1194 წელს განოასალმა წუთი სოფელს სელჩუკიანთ უკანასკნელი სულთანი ტოღრილი.

მაგრამ ხვარაზმშაების პარპაშიც უღლეო იყო, სულ 66 წლის მანძილის. აღმოჩნდა: 1219 წელს ხვარაზმი დაიპყრეს ჩინგიზ-ხანის ურდოებმა და ხვარაზმ-შაობაც განქარდა სამუდამოდ.

თ ამიტომ, ჯერ ისევ 17 სექტ. 1902 წელს, აღენიშნავდით რა ხვარაზმშაობის დაწყების და დასასრულის თარიღებს, ვამბობდით („მოამბე“, 1904 წელს. № 2, გვ. 70): რადგან რუსთაველი იხსენიებს ხვარაზმშას და პირველ ხვარაზმშად კი იყო აზიზი, რომელიც განუდგა სულთან სანჯარს (+1157), ამიტომ:

¹ ეს სწორედ ის სანჯარია, ანუ სინჯარი, რომელსაც დავით აღმაშენებლის შვილმა დიმიტრიმ 1148 წელს რამდენიმე შეკითხვა მისცა და მისგან პასუხიც მიიღო. სულთანს, რახან ძლიერ უჭირდა, აღბათ, შევლას ითხოვდა.

ფარსადანი და ტარიელი, თანამედროვენი ხვარაზმს ხვარაზმშაობისა, 1157 წლის უწინარესი დროის მეფეები არ იქნებოდნენო (იხ. ამის შესახებ კი ჩვენი „ნაშრომი“ 3, 1910, გვ. 35).

ამ თარიღების შემოწმებას ჩვენ შევუდგებით ქვემოთ და აქ კი ისევ განვავრცობთ კვლევას შესახებ იმ ქვეყნებისა, რომლებიც მოხსენებულა „ვეფხისტყაოსანში“.

„ვეფხისტყაოსნის“ სხვა სამეფოები და ადგილები

ა. ტარიელის ქვაბები

ქვაბები, საცა იმალებოდა ტარიელი, იყო სადღაც მიყრუებულ მთის კონცხებში. წინ ჩამოუღიოდა ხევი, რომლის პირას ატეხილი იყო ტყის წარაფი. ტყეს იქით იყო შამბიანი ველი (ხ. 216). ქვაბების მდამოს ჰაერი ისეთი იყო, რომ იქ შეეძლო ცხოვრება ლომსა და ვეფხვს (ხ. 888) და გმირსაც ადვილად ეშოვა ვეფხის ტყავი საკაბედ (ხ. 639). ეს ქვაბები ორ დღე-ღამის ცხენით სავალზე იყო იმ სანადიროდან (ხ. 215), საცა ხატაველებსაც უფლება ჰქონდათ ხატაეთიდან მოსულიყვნენ და ენადირათ (ხ. 197). მეორე მხრით, იგივე ქვაბები იმდენად აახლოებდნენ „არაბეთს“, რომ ერთი თვე საკმაო იყო, ცხენოსანი მუნიდგან არაბეთს მოსულიყო. ეს იქიდან იგულისხმება, რომ შინისკენ პირმოქცეულმა ავთანდილმა ტარიელს დაუღო ვადად (ხ. 653): „აქათ ორ თვე არ მოვიდე, ვიქმ საქმესა დაუგვანსა“. შინ („არაბეთს“) უნდა წასულიყო ავთანდილი, საცა, პირობის ძალით, მისთვის უნდა ელოდნა ტარიელს (ხ. 647).

სად შეიძლება ყოფილიყო ეს ქვაბები, რომელიც, ერთი მხრით, ხატაეთიდან მოსულ მონადირეთა სანადიროს ჰმორავდა ორ დღე-ღამის ცხენით სავალზე, ხოლო მეორე მხრით, არაბეთს ერთის თვისა?!

ამ ადგილად ჩვენ გვესახება სპარს-თურანელთა ლეგენდების მთა დემავენდი, რომელიც მდებარეობს გურგანის ზღვის ახლოს მაზანდარანში იქაური კავკასიონის (იალბუზის) გაყოლება. ეს დემავენდი ის დევთა მთაა, საცა სპარსთა გადმოცემებით, მათნი დეე-კაცთ სადაჩი წინაპრები კაინურსი, ფერიდუნი (ფრიდონი), ჰანდიატ-რკალი, როსტომი და სხვა ბუმბერაზები ებრძოდნენ ავსულებს, ქაჩებს და ამ ავსულთა მთავარი ზოჰაკი მიჭაქვეს აქვე, საზარელ გამოქვაბულის ცონცხებში, ხოლო კაცობრიობის წინაპარჰა კაინურსამა აქ მას ჩააცვა სამოსლად ვეფხის ტყავი, და გმირი როსტომი კი, შეგონილი ვეფხის ტყავით და მჭდომარე ულვასებ მალ რაშზე, სასტიკად ებრძოდა თურანელებს, რომელნიც ცდილობდნენ შემოსეოდნენ სპარსეთს მის დასაწოებად.

„ვეფხისტყაოსანში“ არის ნიშნები, რომ ამ რუსტემს ჰბაძავდა ამავე მთების ქვაბებში დაბინავებული ტარიელი: მასავით ვეფხის ტყავის კაბა ეცვა,

მსავით ფიტს და უჩინოს მაგვარ ცხენზე იჯდა (ბ. 288, 630), თანავე შეიარაღებული იყო „ისრითა როსტომის მკლავ უგრძნესითა (ბ. 192) და თვითონაც იყო კაცი, ვითა დევი (ბ. 98).

ტარიელი ეუბნება აეთანდილს (ბ. 637-654); „ესე ქვაბნი, უკაცურნი, ვბოვე: დევთა შეეკაფნეს, შემოვები, ამოვწყვიტენ“. ესეთი მისი განცხადება, დაიჭერა აეთანდილმა და შინ დაბრუნებული ეუბნებოდა როსტევანს (ბ. 672). „ქვაბნი ომითა წაუხმან, სახლად აქვს დევთა სახლები“. ამ ქვაბების შესახებ სხვა ადგილას ტარიელი იძლევა უფრო გარკვეულ ცნობას, ამბობს (ბ. 1304—1328) „ოდეს ქვაბნი წაუხვევენ, დავხოცენ დევთა დასებში“. აქ იყო 40 ქვაბი, საესე საქურჭლით (1341—2) აბჯრით; აეთანდილმა და ტარიელმა ერთ ქვაბში აბოვეს კიდობანი დაბეჭდილი ზედწარწერილი:

„აქა მეს აბჯარი საკვირველიო.

ქაქე-მუზარადი, აბჯარი, აღმასი, ხრმალი ბასრისა მკრელიო.

თუ ქაჩნი დევთა შეეხვენ, იყო დღე იგი ძნელიო!

უმის-ქამისოდ ვინც გახსნის, არის მეფეთა მკვლელიო“.

(1343=1370).

ჩვენნი ფიქრით, შოთას დევთა „ქვაბებში“ უნდა იყოს იგივე მოსე ხონელის „დევთა ქვეყანა“ (გვ. 27), ის შხარე, რომელიც საზღვრავდა „ზღვთა სამეფოს“, იმ ზღვთა სამეფოს, რომელიც შოთას თხზულებითაც მომიჯნავებდა ქაქეთს და რომლიდანაც ამაზონმა და მძინა ამხანაგებმა, დახოცეს რა ქაქები, გამოიყვანეს „ზღვთა მეფის“ ასული („ამირან-დარეკ“, 5).

ამ დემავენდის, ანუ დევთა, ქვეყნიდან საქართველომდე ერთი თვის განმავლობაში ადვილად მივიდოდა ცხენოსანი. მაგრამ იკითხავთ: დემავენდს და ხატაეთს შორის ხორაჟან-ავღანისტანია და დენავენდის ორ დღე-ღამის სავალზე როგორ გაჩნდებოდნენო ხატაეთიდან მოსული მონადირენი?

საქმეც ის არის, გავიგოთ, ხატაეთად რომელ ქვეყანას გულისხმობს შოთა.

გაზ. „ტრიბუნა“, 1923 წ., № 478, გვ. 2—3.

ბ. ხატაველნი და ხატაეთი

ხატაეთი, საბას აზრით, არის ჩინეთი და მის მიხედვით „ვეფხისტყაოსნისა“ გამომქმეველნიც ხატაეთად თვლიან ჩინეთს, მაგრამ იგი, შეიძლება, არ იყოს ჩინეთი. ჯერ ერთი, რომ შოთა ჩინეთს ეძახის ჩინს (ბ. 834):

„ესე ამბავი მართალი ჩინს ქვასა ზედან სწერია,

ვინც მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“.

და, იმეორეც, რომ ტარიელმა ხატაეთის ლაშქრობაში დაპყრო მხოლოდ სამი თვე (ხ. 468) და ამ ხნის განმავლობაში ჩინეთის იმპერიის დაპყრობა შეუძლებელი იყო. ამას გარდა, ტარიელის მიერ დამარცხებული იყო არა იმპერატორი, არამედ მხოლოდ მეფე რამაზი და მისი ხანი (ხ. 406, 413). ამ ხატაველებს რაღაც დაეშავებინათ ფარსადან მეფისათვის და ამიტომ მისი ქალი ნესტანი ტარიელს ჟუბნებოდა (ხ. 364, 366=367, 379):

„ხატავეთს მყოფნი ყველანი ჩენი სახარაჲონია,
აჲ მათი ჭაერნი ჩენუნუა ჩენგან რა დასათმონია!
წა, შეები ხატაელთა, თავი კარგად მამაჩენე“.

წავიდა, დაამარცხა, მოიალაფა მთელი სამეფო, ჩასხა, ტყევე რამაზ მეფით დაბრუნდა, დახარკა ტყევე, გაისტუმრა, და ყველა ამას, ვიწმეორებ, მოანდომა (ხ. 458) სამი თვე! ხოლო ამ ხნის განმავლობაში არა თუ ჩინეთის დაპყრობა, მის სატახტო ქალაქ პეკინამდისაც კაცი ვერ მიუწევდა სამ თვეში, რა გინდ ცხენით სწრაფად ევლო ინდოეთიდან.

ჩინგიზ ხანის მილიონიან ლაშქრებმა ჩინეთის დაპყრობას მოანდომეს ათეული წლები და ტარიელი მჰა როგორ დაიპყრობდა თავის მცირე ლაშქრით რაღაც ოთხმოციოდ დღეში!

და მას არც დაუპყრია ეს ბუმბერაზი იმპერია, მის მცირე ნაგლექსაც არ მიჰკარებია, არამედ დაუპყრია მხოლოდ სელჩუკიანთა სახელმწიფოს მომიჯნავე ხატაველნი. მსოფლიო ისტორიით კიტანები, თათართა ძლიერი თელტომი, და მათივე მონათესავე — ყარა-ხატაველნი დაეშენენ ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ, შეებნენ სელჩუკიანთ სულთან სანჯარს, დაამარცხეს. 1141 წელს, აიკლეს ხორასანი და ნიშაბური და გამაგრდნენ ბუხარას, ყარა-ხატაელთა ხანად 1208 წლებში იყო კავარ-ხანი (ნლოსერი, 3—951)

აი, ამ ჭაერის ამოსაყრელად ნესტანი გზავნიდა ტარიელს ხატაველთა საბრძოლველად, აი, ამათი დაპყრობა და დანაშაულები შეეძლო ტარიელს?!

და ეს ხატაველნი და ეს ხატაეთი უახლოვდებოდნენ დემავენდის მთებს, საცა, როგორც აღვნიშნეთ, უნდა შეფარებულყო ტარიელი. ეს იძლევა ახალ საბუთს იმისას, რომ „ინდოეთიდან“ მათ დასაპყრობად გამგზავრებული ტარიელი იქნებოდა მხოლოდ სულთან სანჯარის (1157) მომდევნო მეფე-მთავარი: ვინაიდან ეს ხატაველნი სასულთნოს პირველად ჩამოესივნენ სულთან სანჯარის დროს და მისი გაწვილების გამო ჭაერის ამოსაყრელად და იმ ველურების დასამორჩილებლად სულთანი ფარსადანი გაგზავნიდა ტარიელს, როგორც სახელმწიფოს აპირბარ-ამირსპასალარს (ხანები 306, 325).

ტარიელის ქვაბებიდან წამოსული ავთანდილი ეახლა ფრიდონს მის ქალაქ მულანხანხარს, იქიდან ზღვა გადასცურა, მივიდა გულანშაროს, რომელიც იყო დედაქალაქი ზღვათა სამეფოსი. მუნ მეფობდა მელიქ-სურხავი. ეს ქალაქი სულ ახლო იყო ქაჭეთთან. თუ გავიგეთ, სად იყო ქაჭეთი, გავიგებთ, სად იყო მისი მომიჯნავე გულანშაროც.

პომპონი მგლა (15—60 ქრ. შ) ამბობს: „კასპიის არეს, ცხოვრობენ ხომერნი, მასსანეტნი (ალანნი), ქაჭნი, პირიკანელნი და ივერნი“. „როსტომიანში“ გვხვდება სახელები ქაჭნი, ხაზარნი, ალანნი და სხვ. ძნელია, კაცმა თქვას, ვინ იყვნენ ეს ქაჭნი, ან ისინი, რომელთა სახელით იწოდებოდა ჯავახოსის მიერ აგებული ქალაქი არტაანი ანუ ქაჭთა ქალაქი.

შოთაჲს ქაჭები ზულ სხვა ერი იყო. მისი გმირი ავთანდილი, რომ გაემგზავრა „ინდოეთისკენ“ „არაბეთიდან“, პირველად იქ უცხოეთში გაიგონა მან ამ ერის სახელი. მას ისინი ჯერ უხორციო სულნი — ქაჭები ეგონა. ფატმანმა რომ უთხრა: ნესტანი ტყვედ ჰყავთო ქაჭებს და მათ ნეფეს იგი დაუწინდაესო თავისი შვილის სასალოდ (ხ. 1117), ფაკიროვებით შეეკითხა იმავე ფატმანს (1224—1246): „ქაჭნი უხორციოთი რას აქნევენ, მიკვირს, ქალსა?“ მიუგო (იქვე): „არ ქაჭნა, კაცნია, მინდობიან კლდესა სალსა. ქაჭნი სახელად მით ჰქვია, რომ ერთად კრებულნი აზიან, ყოველთა კაცთა მავნებნი, თვითონ ვერვისგან ვნებულნი“. „იქმენ რასმე საკვირველსა: მტერსა თვალსა დაუბრძობენ. ქართა აღბერენ საშინლათა, ნაცსა ზღვა-ზღვა დაამხოვენ, ეითა ხნელსა გარბენენქ (1226), ამისთვის ქაჭათ უხმობენ გარეშემონი ყველანი, თვარა იგიცა კაცნია ჩვენებრივე ხორციელანი“ (1227).

მაშინ ქაჭთა მეფე მომგვდარიყო (ხ. 1198) და მის მაგიერ მეფობდა მისი და დულარდუხტი, დედაკაცი ზასიათით მაგარი, ვითა კლდე და ლოდია, ხელნწიფი „მორკმული, წოდია“ (1199=1221).

ქაჭებს ჰქონდათ მაგარი და მტრისაგან მიუღვრომელი ქალაქი (1220) და ციხე ისეთი მაღალი, რომ თვალნი ძლივს გადასწვდებოდნენ (1277). მათს ქვეყანაში ერთხელ ყოფილიყო ფრიდონ მეფეც და მისი სიტყვით, ქაჭეთი ყოველმხრით კლდეა, გარეშეშო მტერი ვერა მოადგების (1474).

მათი რისი ისე დიდი იყო, რომ თვით ინდოეთის იმპერატორი ფარსადანი არ თაკილობდა ქაჭეთს გაეთხოვებინა თავისი და დავარი და მის ცამო დავარ-ჭაჭადწოდებულნი, იქ დაქვრივებულისა და შინ დაბრუნებულისთვის ძმას მიენდო აღსაზრდელად თავის ქალი ნესტან-დარეჯანი (ხანები 319,559).

ვინ იყვნენ ეს ქაჭნი, რომელთა შესახებ ნესტან-დარეჯანიც თავის მხრით სწერდა ტარიელს (ხ. 1276): „კვლავცა მიმცა შესაპყრობლად ქაჭთა, ძნელად საომართა. იგინი მათთა შემბმელთა დაჰხოცენ, მართ ცეცხლად მოედებიან“ (ხ. 1277); წუთუ ესენი გეგონენ სხვათა მებრძოლთა წესთათა?

კითხვაზე პასუხის გასაცემად კვლავ უნდა ჩავიხედოთ შოთას დროინდელ აღმოსავლეთის ისტორიაში და იქ ვეძიოთ ის საკვირველი ხალხი, რომელიც შევფარებოდა კონცხებს, რომელსაც ეშმაკური თვისებების გამო, ხიშიმს. ქაჯს ეძახდნენ.

ამ ქაჯთა თვისებისა მაშინ იყვნენ მოლიდები, სარწმუნოებრივი და სამხედრო ძნობა, ცალკე გამოყოფილი დანაჩხენ საზოგადოებისაგან და შეფარებული მიღვეალ მთა-კლდეებში.

ეს განდევილთა ძნობა დააჩსდა 1090 წელს და მომავრდა ჩრდილოეთ სპარსეთის სთებში, ყაზვინის სხლოს. მათი უფროსი იწოდებოდა „მთის უხუცესად“, უნთავრეს ქალაქად ჰქონდათ აღმანთი ანუ ალაჰამეთ (მუღე აწივი-სა). წის გარეშეყო კიდევ ჰქონდათ 50 ციხე-სიმაგრე. ვინც მათ მტრობდა, ისინი ნამდვილ გრძნეულ ქაჭურად მიეპარებოდნენ და უწყალოდ ელეტდნენ. ამნაირად მათ ეანოასალმენს წმთათფელს აჩა ერთი მძლავრი ზღაწიფე, ვინც მათ სწყალობდა, დასევს ტახტზე. 1092 წელს მათ მოჰკლეს სელჩუკიანთ უპლიტრეაი მფუე ნელეწა და დაიპყრეს შაჰდუჩისი ისპაანის ახლოს (ვერბ., VI, 472). საცხოვრებელი (341) მოლიდთა მიერ მოიკლა ყიზ-არსლანი (1191), სწორედ ის, რომლის ძეს სჯრდა შეერთო თამარ მეფე („ქ. ცხ.“ 289).

ვისაც აითვალწუნებდა მოლიდთა მეფე, მისი ფიდაები, ვით რაიმე გრძნეული, ვით ქაჯი, მიეპარებოდნენ, მოჰკლავდნენ. ვით შოთას ქაჯები, მკვლელობას შეასრულებდნენ და თვითონ გაუჩინარდებოდნენ. ასე დახელოვნებული იყვნენ მკვლელობაში, ამიტომ მეტ სახელად ერქვათ საშიში ანუ ასასინი, თარგმანებით „მკვლელი“. „ქართლის ცხოვრება“ (341) მათ თელის მკვლელებად. ამბობს: „ალბუთელნი არიან მიპარვით კაცის მკვლელნი, რომელთა მულიდად უხმობენ... მულიდი ხელოვანი მიეპარა მკველთა ჩალატარ-ნაონისათა, შევიდა კარავსა და მძინარეჲსა განაწონა გულსა მახვილი ერთი, მოკლა იგი, რომელი ვერაფერ აგრაზა“. ამ სასტიკ მულიდებს „ქ. ცხოვრება“ პირველად იხსენიებს თამარის ცხოვრებაში („ქართლის ცხ.“, 301).

თვით შოთას მოლიც (ხ. 1253) სწორედ ამნაირივეა: „გრძნეული ხელოვანი“.

შავთელის სიტყვით (ხ. 79), მულიდთა წარმომადგენლებმა მიღწია თამარის დროს საქართველომდეც „ბაშონთ სათხრობლად“.

დ. გულდაზანზარი და გულანზარი

(ფრიდონისა და სურხაეის სამეფოები)

ღაღარ-ქაჯმა რომ წაღვიბი ნესტან დარეჯანი გადასცა ორ მონას, რომელნიც იყვნენ „პირითა მით ქაჭებითა“ (ხ. 564) და მათ მყის გადაკარგეს იგი, ტარიელი დაუყოვნებლივ გავიდა მდევრად, ზღვაში ეძება სრული 20 თვე

(ბ. 571); ვერ მიაგნო კვალს, მაგრამ შეხვდა ფრიდონ მეფეს, რომელმაც მიიყვანა იგი თავის ლაზახტო ქალაქ მულაზანზარს. მისი სამფლობელო პატარა იყო, მაგრამ ყოველგან სიკეთე მიუწოდებელი (ბ. 583). ერთი მხრით მას საზღვრავდა ზღვა, საცა ერთი კუნძულიც მას ეკუთვნოდა (583).

ამ საწმინდოს პირისპირ ზღვის იქით იყო „ზღვათა სამეფო“. მის შესახებ შოთა წერს (ბ. 1043).

„ესეა ზღვათა სამეფო თვისა ათისა სეულითა,
თვით გულანშაროს ქალაქი, სავსე ტურფითა მრავლითა;
აქ მოდის ტურფა ყველაი ზღვა-ზღვა ნავითა შავლითა,
მელქ-სურხავი ხელმწიფობს, სრული სეთა და დაელითა“.

ამ სახელმწიფოს დედაქალაქის სახელი გულანშარო უნდა იყოს თათრული „გიულარ-შაპარ“, თარგმანებით მოცინარე, მხიარული ქალაქი და ამგვარი სახელი მართლაც შეეფერებოდა მოქალაქეთა უსუნ-ჩვეულებასა და თვით ქვეყნის სააზო ადგილმდებარეობას. ავთანდილს ეუბნებოდა მუნებური კაცი ფატმანის მეძალე (ბ. 1044 = 1066):

„აქა მოსვლითა გაემდების კაცი, თუც იყოს ბერები;
სმა, გახარება, თამაში, ნიადაგ არს სიმღერები,
ზამთარ და ზაფხულ სწორად გვაქვს ყვაილი ფერად-ფერადები;
ვინცა გვიცნობენ, გენატრიან, იგიცა, ვინა მტერები“.

დიდი გამოჩენებით დღესასწაულობდნენ ნავროზობას, ახალ წელს (1099): ქალაქი შემკული იყო თვალწარმტაცად, მოცული იყო გარე ბაღისა ტევრითა, ქვეყანა გამოიყურებოდა ლამაზად (1039). სახლები წაკადებული იყო ზედან ზღვასა, ზოგი ნაგები იყო ქვითა და წითელ-მწვანითა, ქვეშეთემ სრითა ტურფითა, კვლავ ზედათ-ბანის-ბანითა (1090, 1104).

და რადგან ქაჩეთის უმთავრესი ქალაქი აღმუთი მდებარეობდა ყაზვინის ახლოს მთებში, ამიტომ, გულანშაროც, ანუ ზღვათა სამეფოც, უნდა ყოფილიყო იქვე, გურგანის ზღვასა და ურმიის ზღვას შორის, მაშასადამე, პირისპირ ზღვას იქით მდებარე სამეფოსა, რომელიც ეკუთვნოდა ფრიდონს. სწორედ ამ ადგილას ძველთაგანვე იყო ცალკე სამთავრო გილანისა. მას, ალბათ, ზღვათა სამეფოსაც უწოდებდნენ, რადგან, ერთი მხრით, ეკრა გურგანის ზღვა და, მეორე მხრით, — ურმიისა. მუნ შოთას დროს მეფობდა მელქ-სურხავი, რომლის მემკვიდრეებად ითვლებოდნენ მერმენდელი დროის მელიქები შუშისა, ყარაბაღისა, შემახისა, სურხავეები, ყაზიყუშურჩია და სხ.

ტარიელმა რომ თავისი მიჯნური ნესტან-დარეჯანი გამოიხსნა ქაჯთა ტყვეობიდან მელქ-სურხავს შეუთვალა (ბ. 1406); „მოდი, გენახენ, გავიარდეთ ქვეყანასა შენსა ვირე, მე ვისწრაფი, ვერა გნახავ, შენ წამოდი, ჩემ კერძ ირე“. ამასთანავე დაჰპირდა, სრულად ქაჯთა სამეფოსა გიძღვნი, ჩემგან შეი-

წირე კაცნი შენნი შეაყენენ, ციხე მაგრად დაიჭიროე". თუმცა ასეთი დაპირება ცარიელი სიტყვა იყო, ვინაიდან ტარილმა ქაჭთა სამეფო კი არ დაიპყრა ყველა 50-ციხიანად, არამედ მხოლოდ ერთი ციხე, მაგრამ სურბავს შინც ძლიერ გაუხარდა: ქაჭნი, ალბათ, მისი მტრებიც იყვნენ. დიდის სამზადისით გაემგზავრა ტარიელის დასახელებად. მოიკითხა იგი, ქორწილი გადაუხადა, უძღვნა ყველას მრავალი, ქაჭეთიც დაუმაღლა (ბ. 1409—1413). ბოლოს ტარიელმა სთხოვა ერთი ნავი. მან ხომალდი მოუკაზმა ზღვისა კიდესა. ჩასხდნენ, გაპოეტხოვნენ და გასცურეს. ზღერს იქით იყო ფრიდონის სამეფო. მივიდნენ მულანზანზარს: ფრიდონმა თავის მხრიდანაც გადაუხადა ქორწილი. გადაწყვიტეს, წასულიყვნენ „არაბეთს“. ჩამოიარეს და ნახეს ის ქვაბები, საცა ამდენი ხანი იმალებოდა ტარიელი. აქ დაგროვილი აუარებელი სიმდიდრე აჩუქა ფრიდონს. შემდეგ ვლეს მრავალი ხანები (ბ. 1479) და მივიდნენ არაბეთს.

აწერილობიდან ჩანს, რომ ფრიდონის სამეფო უნდა ყოფილიყო გურგანის ზღვის იქით ახალთექვს გაყოლება ავღანისტანისაკენ. „როსტომიანში“ (ბ. № 858) წერია (გვ. 104) — „მულანზარშიგან დგებიან... ქვაბულისტანით მოსულან... ვარდის საყრდელად მულანზარს იარებიან... (გვ. 113); მას უკანით მულანზარში მოსულიყვნენ მისნი ქალი“. ხოლო ეს ქალი იყო ასული ქვაბულისტანის მეფისა (გვ. 100).

საბა იმოწმებს რა „ვეფხისტყაოსანს“, განმარტავს: „მულანზარი, სავარდე“. მაგრამ „ვეფხისტყაოსანში“ მულანზანზარია და არა მულანზარი¹.

მნელია კაცმა თქვას სახელდობრ, სად იყო მულანზანზარი, ნუთუ ეს იყო ნართალის სახელი დაწელების დიდებული ქალაქის დაზნისა, რომელიც ქაბულს აქეთ 12-ნახევარ მტლის მანძილზეა და მდებარეობს სპარსეთ-ავღანისტანის დიდ სავაჭრო გზაზე:

ფრიდონის სამეფოს ზღერს პირის ჩრდილო წვერი, ალბათ, სწვდებოდა დღევანდელ ქალაქ კრასნოვოდსკამდე; მის პირდაპირ ზღვაში კუნძული ჩელეკენია, რომლის დაჩემებისათვის, შესაძლებელია, ფრიდონს დავა ჰქონოდა ბიძა-ძესთან (ბ. 584).

¹ მხოლოდ ნუსხაში № 656 ეხებება მულანზარს. ამავე ფესვის სიტყვა ეხებება აგრეთვე „თამარანში“ (30, III): „დაწე მულანზარობს“, „ქართლის ცხ-ში“ (გვ. 276). საცა თამარ მეფის შესახებ ნათქვამია: „იხოკის დაწვთა ხერთა მულანზაროვანთა“. ბროსეს თარგმანის სიტყვით delicate («Hist. de la Géorg.», 402). მაგრამ აქ მხოლოდნელია საქმე გეკონდეს ქართულ რთულ სიტყვასთან, რომლის პირველ ნაწილს შეადგენდეს ამ ული (მომლობა ზმნისა ამაო, მეორე ზმნა დაზრობა ანუ მეგრულსა გამოთქმით დაზურუა — ხატვა, ხაზვა, და ფორმა მულანზოვანი უნდა ნიშნავდეს საამო გამოხატულებას ამოდ გამოხატულებას.

ე. „არაბეთი“

არაბეთად ავტორი რომ საქართველოს გულისხმობს, ეს ცხადდება ჩახრტხაძის „თაშაჩიანის“ 115 ხანიდან. აქ სწერია:

„მოხევეს ძეთა, ჩახრუხადეთა
აქა თამარი მუღე წყლანო;
მისი სიმეტე, პრტენთა სირტე,
თინათინ ვაქო, ბალი წყლანო:
ა ეს თინათინ, ნუ ის თინათინ,
არაბეთს იყო სულადანი“.

არაბეთს თინათინ, „არაბეთის“ მეფის ქალი, ყოფილა თამარის სიმეტე, შაშ. თვით „არაბეთიც“ უნდა ჩაითვალოს საქართველოს სიმეტედ, ამისთანა სიმეტე-ნართაულობას ისტორიული სიმართლედ მიუძღვის იმ მხრივ, რომ თამარის პაპამდე 400 წლის განმავლობაში, საქართველო ითვლებოდა არაბთა იმპერიის ნაწილად, ანუ, არაბთა თვალსაზრისით, არაბეთად.

შოთას „არაბეთი“ ვერ იქნებოდა ნაწილად არაბეთად, სამშობლოდ მართლმორწმუნე არაბებსა ამიტომაც:

ა. მაჰმადიანებს ყურანი (II—XI 6, V—92, 93) უკრძალავს ღვინის სმას და ამ ნოახოენილების ძალით წვეთი ღვინო არ შეისვა იმ რვა დღეს გაგრძელებულ ქორწილში, რომელიც ნურედინ-ფრიდონმა ტარებულა და ნესტანს (ხ. 1439—1444) გაუღწართა, ხოლო ავთანდილ-თინათინის ქორწილში კი „მამულათეთის წყარო ღვინისა ასგან სდიოდა მსგავსად მილისა (ხ. 1528) და აქ თვით ტარიელმაც იხმია ღვინო და მისადა ძღვენის მიწათმეველებს მადლობას უხდიდა ფხიზელურად, თუმცა იყო ღვინოსმული (ხ. 1535).

ბ. „ვეფხისტყაოსნის“ ერთი ნუსხის (წ. კ № 1758) დასაწყისში აღნიშნულია: ტარიელ-ნესტანის სამშობლოში არა სწამდათო „სამება ერთარსულად“, ხოლო ავთანდილი კი სწორედ ამ ერთარსულობას გამოთქვამს, როდესაც მზეს მიმართავს სიტყვებით (ხ. 816): „მზეო, ვინ ხატად გოქვის ერთარსებისა ვრთასა... ვის ხატად ღვთისად გიტყუიან ფილასოფოსნი წინანი“.

აქ „ფილასოფოსებად“ იგულისხმებიან ის ღვთისმეტყველები და წმ. მამები, რომელნიც მზეს თვლიდნენ ღვთის ხატებად იმ მხრივ, რომ ისიც და ისიც თვითონაა, ხოლო იმავე დროს სამპიროვანია: თავისში შეიცავენ სამ სახეობას ანუ სამებას: მზე სინათლესა და სითბოს, მამა ღმერთი ძესა და სული წმიდას.

გ. ასმათი რომ ვაკერბდა და ტარიელის ამბავს არ უმბეულდა ავთანდილს, ეს უკანასკნელი განრისხდა, დაემუქრა: მოგკლავ, თუ არ გამიმხელო (ხ. 235),

და ქალაქ კიდეც რომ არა უთხრა ჩა, ახლა ავთანდილმა მიაღერსება დაუწყ-
ყო: (ბ. 242): „მეცოდნება შეიღ გზის თქმულა შესანდობლადო“...

შეაღ: სახარება, მათე 18—21:

„უფალო, რაოდენ გზის შემციოდოს მე ძმან ჩემან და მიუტეო, ვიდრე შეიღ გზისადმი? (ლუკა, 17—4), „დაღ თუ შეიღვხის დღესა შინა შევეყოღს და შეიღვხის მოაქეთოს და ერქვას შენ: „შეინანე, მიუტეე“.

ღ. 320:

„სობრძისა სასწაულებლად... მუნ იზრდებოდეს ტანთა გაბონს დანაზარდითა“.

ეს გაბაონი შოთას ამოვლითა დაბადებდინან. ამ დიდ ქალაქში „უტრმა მცი-
რე“ (3 მეფ. 3-ე) სოლომონმა ითხოვა ღვთისაგან, მისცეს ღმერთმა მას გუ-
ლისძმა სენენად და სჯად ერისა და მანაც მისცა გული გონიერი და ბრძენი, და
უთხრა:

„შენებრ (ბრძენი) არავინ იყო უწინარეს შენსა და შენს შემდგომად არა აღდგეს მსგავსი
შენსა“ (იქვე, 3, 4—13):

ე. ავთანდილი რომ მუჯარს ავლებდა მეგობრეებს, ცოცხლად დარჩენი-
ლები ვევედრებოდნენ: „ნუ დაგვტოცავ შენსა რჯულსა“. მათს ასეთ თხოვნას
ავტორი საფუძვლად უდევს საქრისტიანო მოციქულის სიტყვებს და ამბობს:

„მართლად იტყვის მოციქული: შიში შეიქმნა სიყვარულსა“.

(1023 = 1045)

შოთა მოციქულს იასენიებს თავის ანდერძშიად.

ამოვეწერ ზოგიერთ აღგილებს:

„ერთ ვისწაულებით, მოგვეცეს შერთვა ზესთ მწყობრთა მწყობრისა“.

როსტევეანს მიმართავს:

(771 = 790).

„წაიციოთავს სიყვარულსა მოციქული რავეარ სწერენ,
ერთ იტყვიან, ერთ აქებენ, სცან, ცნობანი მოაფერენ“.

სიყვარული ავამაღლებს, ეთ ევეანი ამას ჰქედრენ“.

„მოვა შემერული ყოველთათვის ერთგან დღისა და ღამისა“.

(782)

აქ ყველგან სახარების ენაა. მოლოდინი მეორე მოსვლისა, სიყვარული,
რომელიც არა თუ მართო ავამაღლებს. ავამაღლებს, კიდეც (I კორ. 8—1). და
რომელიც მთელს საქრისტიანო სარწმუნოებაში არის უმთავრესი მცნე-
ბა და მასზედ დამოკიდებულია ყოველი სჯული და წინასწარმეტყველებანი
(მათე—22, 37—40, მარკ. 12,30—31. ლუკა—10,27).

ვევლებნიან. არსად მოციქული არ ამბობს, რომ შიში შეიქმნა სიყვარულ-
სო, მაგრამ იქვენი ვიცით, საღმრთო წერილი ორივე აღთქმისა გავეღნთილია
ლაპარაკით: ენასაც არა აქვსო შიში უფლისა, მას არც უყვარსო იგი და ამის
ყაიდაზედაც სხომ ვამოჭრილია ქართული ხალხური სიბრძნე:

„შეიღ მტრულად გამოზარდო, რომ მოყვარედ გამოგადგესო“.

საქართველოს შვილი წოთა თავის ბარშიანელ გმირს პირში უღებს სა-
ქრისტიანო ცნებას ზ ი ა რ ე ბ ა ს. ათქმევიანებს (374): „თავისა სისხლითა ნუ
ეხიარებთა“.

3. „არაბეთიდან“ ფატმანისას მისულმა ავთანდილმა, როგორც ზემოთაც
აღვნიშნეთ, არ იცოდა, ვინ იყვნენ მულიდები, უხორცო არსებანი, ქაჯები,
თუ ჩვენებარ კაცნი ხორციელანი. თუ ავთანდილი, ვფიქრობთ ჩვენ, ყოფილი-
ყო ნაწიდილი არაბი, არაბეთის შვილი, მას უქვეულად ეცოდიანებოდა მათ
არეს 1090 წლიდან ასპარეზს განოსული ძმობის ვინაობა, მისი ზათქი და ზა-
რი (იხ. ზემოთ ქაჯეთი).

ზ. ავთანდილი, ტარიელი და მათი ამაღა (ხ. 1479).

„მიხვდეს არაბთა საზღართა, რა ელეს შრავლი ხანები.
დახვდათ სოფლები, ციხები, ხშირ ხშირად თანის-თანები,
მუნ შიგან მყოფთა ემოსა ტანსა ლურჯი და მწვანები,
ავთანდილისთვის ყველაი ცრემლთა არს ნაბანები“

აქ ჩვენ გვინდა დავინახოთ არა სურათი გახრიოკებული არაბეთისა,
არამედ მშვენიერი საქართველოსა, რომელიც აღსავსეა დაბებით, ციხე-
კოშკებით, და, რომლის ერიც უწინ გამოწყობილი იყო ლურჯ ნაშურის
და მწვანე მოვის საწოლთ.

თ. მოველი შემოკითხვას: თუ ავთანდილი იყო ქართველი, რად ილცა
მაჰმადიანთა მიზვითას და არა საყდარსო!

წ.-კ. საზ. 1903 წლის გამოცემაშია არა მოზგითა არამედ მიგზათა (გვ-
131). უნივერსიტეტის მუზეუმის ნუსხებშია: № 530: აქა ლოცვა ავთანდილი-
საგან მის გზითასა, № 656: მის გზით.

არსებთან მობანილ ნუსხაშია მასჯით, რომელიც ნიშნავს მეჩითს მიზ-
გითს.

მიზგითა აქ ჩაჩხერილია გაუგებრობით. გაპარვით წასულ ავთანდილს სა-
და სცალოდა ევლო რაღაც მასჯითებში!

მიზგითას კი არა, მიგზითას ლოცვა, ე. ი. მგზავრად სახლიდან გზად გასე-
ლის წინათ (იხ. ქვემოთ — „ზოგი რამ არაბიზმი“).

როსტევეანმა რომ თავისი ქალი თინათინი ნაზირ-ვეზირების თანადგომი-
თა და თანხმობით ჩეფედ განოაცხადა, ტახტის წინაშე მის დარიგება იწყო-
სიტყვებით (შოთა, მე-7): „ამისად ქმნამდის დამწველი ცეცხლი არ დამევსებო-
და“, ე. ი. ქალის ტახტზე დასამადე დამწველი ცეცხლი არ გამიქრებოდაო“. -
რა დიწოდა ცეცხლით ანუ, უკეთ ვთქვათ: რად მოუხდებოდა ეგრე ძლიერ,
რაც შეიძლება ნალე გაეგეფებინა თავისი ქალი? რად აიტკივებდა თავს დიდე-
ბული თვითმპყრობელი, ადგებოდა და ხელმწიფედ გამოაცხადებდა ქალს? |
მაგრამ საქმეც ის იყო, რომ ეს მას არ შეეძლო თავისთავად, აქ საჭირო იყო

ვეზირების დასტური მათი „გვერდს დასხმა“, მათთან „ამო საუბარი“ („ვეფ-ტყ“., 34), მათთვის ზოხენება: „ჩეიძე დაესვათო ხელმწიფედ“ (ბ. 37).

ავთთვე ცეცხლი სწავდა როსტევეანის სიმეტე გიორგი II-აც, ვიდრე სა-ქართველას სამეფო ტაძრზე ასასვლელ გზიდან გადაყენებდა მას კანონიერ მეფე-კაცს, დემნას, ვიდრე დაითანხმებდა ნაზირ-ვეზირებს და მათ თანადგო-მითა და თანხმობით გაამეფებდა თავის ასულს თამარს. ასე რომ თინათინის გამეფებასა და თამარის გახელმწიფებას შორის ჩვენ ვხედავთ სრულ იგივეო-ბას, ანალოგიას.

აქ მოსალოდნელია შემოკითხვა: თუ არაბეთის მეფის როსტევეანის ქალი თინათინი არის თამარ მეფე, მაშ, ამ თამარის ნაპა გიორგიც უნდა იყოს იგივე როსტევეანი, ხოლო როსტევეანი დაესწრო თავის ქალის ქორწილს, გიორგი— კი უკვე 5 წლის მკედარი იყო, როდესაც თამარმა ჯვარი დაიწერაო დავით სოსლანზე.

შემოკითხვა მართლაც ჩამაფიქრებელია. თუცა პოემის ავტორს აქ შე-ეძლო ეხმარა ერთგვარი პოეტური თავისუფლება, მაგრამ არა გვეგონია, რომ მას ქრონოლოგიური სინამდვილისთვის ელაღატნოს. უფრო დასაჯერებელია, სახელი „როსტევეანი“ მას ეხმაროს წართაულ სახელად გიორგი III-ისა და საყუთარ სახელად დისა — რუსუდანი. ეს ქალი დაობლებულ თამარს უწედა მეორე მამობას. თამარი მამაზე მკლოვიარე იყო, რომ დიდებულები ეუბნე-ბოდნენ რუსუდანს („ქართლის ცხოვრება, 286): „დღეს შენ ჩან მშობლად ამისსა“ (თამარის), ხოლო თამარიც „მშობლისა სახედ „მორჩილობის“ ბრძანე-ზასა მისსა“ („ქართ. ცხ.“ 292).

საფიქრებელია, და ჩვენთვის მისაღებიც არის, რომ ავტორს ამ რუსუდა-ნის სახელისათვის მიენსავსებინოს თინათინის მამის სახელიც როსტევეანი, რომელიც პოემაში, საჯულისხმოა, თანდათან იწურება ისე, რომ მის დასას-რულს (ბ. 1550) უკვე ჩამოყალიბდება როსტან-ად და ეს კი თვალსაჩინოდ შეეხმაურება რუსუდან-რუსდან-როსდან-ს! და თამარის ქორწილს — კი არა თუ დაესწრო ეს რუსუდანი, მისი მეორე „მშობელი“, არამედ, როგორც იყო ნააქვეანი, კიდევ განაგებდა საჭორწილო ზეიმა ისე, ვით თინათინ-ავთანდი-ლისას „არაბთა მეფე“. ზედმეტად, ეს დედოფალი რუსუდან („ქართ. ცხ.-117, 285, 292) ისეთივე იყო გამზრდილი დავით სოსლანისა (ქართ. ცხ., -929), ვით როსტევეანი ავთანდილისა (ბ. 145, 802, 837, 1457, 1461).

ვახ. „ტარბუნა“, 1923, წ., № 481, გვ. 2—4.

¹ საჯულისხმოა, რომ ქართული მეფის ქალს რუსუდანს, გათხოვის ტრაპიზონის იმპერატორზე, ვახ. პანარტი უწოდებს რუატანას (იხ. პანარტის ტრაპიზონისა სტ. გვ 23: Hist de la géorg. 372. შენ. 2), ხოლო თამარ მეფის ასული რუსუდან პაპა ყორიუსისაგან მის მამართ 1224 წელს მიწერილში ისახელების რუსტანად (ბრისე, Addit, 302), ხოლო რუსტანიდან როსტანად მდე ხომ მანძილი აღარც კი რჩება!

შოთას კრონიკონები

ვიღრე შეუუდგებოდეთ შოთას ქრონიკონების გამოძიებას, საჭიროა დანადვილებით დავიჯოთ, თამარს რომელ წელს გადასწერეს ჭვარი რუს გიორგიზე და როდის შეერთო თამარმა თავისი მიჯნური დავითი.

ვახუშტით ქორონიება რუსთან უნდა მომხდარიყო 1177 წელს, ბაიანეთი 1187 წელს, დავითთან: ვახუშტით 1181 წელს, ბროსეთი 1193 წელს.

ქორდანის ქრონიკებით (1—276) რუსის შერთვა მოხდებოდა, 1184 წლის დამლევს ან 1185 წლის გაზაფხულს, ხოლო დავითისა და თამარის შეუღლება 1189 წელს („ქრ.“ 280). ამავე თარიღს (1189 წ.) დასდებს ივ. ჯავახიშვილი წელიწადად თამარ-დავითის შეუღლებისა, ხოლო რუსთან დაქორწინებას ჩააგდებს არა ადრე 1185 წლის მაისის თვისა: თამარს წამა მოუყვდა 27 მარტს 1184 წლისა და წესისამებრ ერთ წელიწადს იგლოვდაო. მაგრამ, როვორც თავიშვივ გვკონდა ნათქვამი, დიდებულებმა არ აცალეს თამარს გლოვის წესი ბოლომდე მიეყვანა და ადრევე ააზღვეინეს შვიები, ამიტომ ჩვენ მისაღებად ვთვლით ქორდანის ქრონიკონებს: 1184 წლის დასასრულს ან 1185 წლის დამლევს რუსის მოწვევის წლად და 1189-ის დავით და თამარის შეუღლებისა.

ა. ავთანდილის კიდევანობა

ორი წელიწადი და 10 თვე მოახმარა ტარიელის ძებნასა და პოვნას (ხანა 184). 2 თვე მოანდომა ტარიელს ქვაბებიდან შინ დაბრუნებას და ქვაბებზე მისვლას (ხანა 653). ერთი წელიწადი (მისიდან მისამდე) — ქვაბებიდან გასვლას. ფრიდონის ნახვას, ფატმანთან ნესტან-დარეჯანის ამბის გაგებას და ქვაბებზე დაბრუნებას (ხანები 916; 1304) არანაკლებ წელიწადისა გავიდოდა ნესტანის გამოხსნადან „არაბეთს“ დაბრუნებამდე. უმაღლვე თინათინ-ავთანდილის დაქორწინებამდე სულ გამოდის 5 წელიწადი, ხოლო 1184 წლის დასასრულიდან 1189 წლის დასასრულამდე მართლაც 5 წელიწადია.

ამ 1184 წელიწადს კი თამარის კარს იმყოფებოდა ოსი ბატონიშვილი (დავითი) და ვახუშტით გამოჩნურებული იმედოვნებდა თამარის ცოლად შერთვას. მაგრამ რახან მისმა მტერდიდებულებმა იმავე წელს მოიყვანეს რუსი და მასზე ჭვარი გადასწერეს თამარს, იგი საქართველოდან გავიდოდა შეწყვეთა საქმეზად, გავიდოდა არა როგორც ვინაე უიმედო შეყვარებული, არამედ როგორც თამარის მიჯნური, მისი „გული“ (შოთა—17, „თამარიანი“ 54, 56, 59), დაყოფდა ღარიბად 5 წელიწადს (1184—1189), მოძებნიდა და მოიყვანდა

მნათობის დარს („თამარ“, 62). მისმა სიმეტე ავთანდილმაც ხომ დაპყო იმდენივე ხანი და მანაც ხომ მოუყვანა ნესტან-ჯარი—ნესტან-დარეჯანი (იხ. ხანები 316, 1525).

ბ. ტარიელის კიდევანობა

ნესტან-დარეჯანი რომ გაიტაცეს ზანგებმა (ხ. 564), მათ მღევრად გამოუდგა ტარიელი, მთელი 20 თვე (ხ. 571) მოანდომა ნესტანის ძებნას, მერე კვლავ გაუდგა გზას და ნახა ნუჯდინ-ფრიდონი (ხ. 578—583). ამის ნახვიდან ვიდრე იმავე ფრიდონისას ავთანდილის მოსვლამდე გასულიყო სრული შვიდი წელიწადი (ხ. 985). ხოლო ტარიელის ქვაბებიდან ფრიდონისას მოსულმა ავთანდილმა და მისგან ფატანისას წასულმა და ქვაბებსეე დაბრუნებულმა გზას დაპყო სულ ერთი წელიწადი, მასიდან მასამდე (ხ. 916, 1304). ერთი წელიწადი კიდევ მოუწებოდა ნესტანის გამოსხნას და არაბეთს დაბრუნებას. სულ გამოდის 10 წელი და 8 თვე ტარიელის მიერ ხევაზნმას შვილის მოკვლიდან ავთანდილთან ერთად „არაბეთს“ მოსვლამდე, და რადგან „არაბეთს“ მოსვლა ავთანდილთან და ტარიელითურთ დავათარღეთ 1189 წლით, ანითომ ტარიელის მიერ ხევაზნმას შვილის მოკვლა მოხდებოდა 1188 წლის დაბეგს (8 თვე). ოცი თვის შემდეგ იგი ნახავდა ფრიდონს, მისგან მიიძღვნიდა შავ რაშს (ხ. 630) და ამავე რამით იმავე წელიწადს მოვიდოდა არაბეთს და ეჩვენებოდა ნადირბიდან წყლის პირს გამოსულ ჭოსტეგანს. ამის შემდეგ შვიდი წლის დანდევს (ხ. 985), მაშასადამე, 1187 წელს ავთანდილი მივიდოდა ფრიდონისას, 1188 წელს გამოიხსნიდნენ ნესტანს, 1189 წელს მოვიდოდნენ „არაბეთს“ და ავთანდილი მოსკლისავე უმაღლ შვირთავდა თინათინს (ხანები: 1519—1525 = 1543—1549).

გ. ტარიელის მასაკი

15 წლისას მოკვდა მამა (ხ. 323). მამის საგლოვად ერთი წელიწადი იჭდა ბნელსა (ხ. 324), ამის შემდეგ მალე დროში გაილაშქრა ხატაველთა წინააღმდეგ და იქ დაპყო მხოლოდ 3 თვე (ხ. 458). ამავე წელიწადს მოკვდა ხეარაზმმას ძე (552). ამ წლიდან, როგორც ზემოთ გამოვთვალეთ, კიდევანობაში დაპყო 10 წ. და 8 თვე. მაშასადამე, იგი დაბადებიდან „არაბეთს“ მოსვლამდე ავთანდილთან ერთად იქნებოდა 27—28 წლისა (15+1+1+10 წ. და 8 თვე), ხოლო „არაბეთს“ მოსვლის წლად თუ ჩავავდოთ 1189, იგი დაბადებოდა 1162 წელს, მამა (სარიდანი) მოუკვდებოდა 1177 წელს და ამავე წელს თვითონ გამეთუდებოდა.

ჩვენ ამ ტარიელს ვთვლით ტოლრილ სულთანად. სელჩუკიდების ისტორიით ტოლრილის მეფობა ხედება 1177—1194 წლებს (ცებერი ტ. VI, 465, აბაელ და სპარს. ნუერ. ცნობანი, მოაბე 1898, № XII გვ. 15). სწორედ ამავე 1177 წელს, როგორც გამოვიანგარიშეთ, უნდა მომკვდარიყო სარიდანი და განუფუტელიყო ტარიელი (ხ. 323 ამაა რომ მოუყვდა, 15 წლისა იყო, ხოლო 1162—16). 1177 წლის გლოვის თავს (1178 წ.) მოჰკლა ხვარაზმშას შვილი და ამ დროს კი ხვარაზმშად იყო თავაში რომელიც იმ ხანს მძინეწარებდა და სისხლს უშრობდა ინდოეთის მხრის უქანასენელ სელჩუკიანთ.

„ტარიელის“ ბაცილვა

IV

ამ ლაშქრობაში სპაალარად იყო ავთანდილი უკვე მეფე „არაბეთისა“; მონაწილეობას იღებდნენ აგრეთვე ტარიელი და ფრიდონი, მაგრამ ამათ საკუთარი ჯარი არა ჰყავდათ. ლაშქრობა დასრულდა ტარიელის მიყვანით „ინდოეთს“ და იქაურ ტახტზე მისი დასვით.

ამესონი არ იძლევა ცნობებს იმის შესახებ. თუ რა მოუვიდა ფარსადანს და მის სამეფოს ხვარაზმშას შვილის მოკვლის შემდეგ ან თვით ფარსადანი ცოცხალი იყო თუ არა მაშინ, როდესაც ავთანდილმა ტარიელი მიიყვანა „ინდოეთს“. ოღონდ 1188 წელს ქაჩეთის ტყვეობიდან, ნესტან-დარეჯანი სწერდა საყვარელს (ტარიელს): ჩემზე ნულარ ფიქრობო, „წადი, ინდოეთს მიმართეთო, არგე ჩემსა მშობელსა, მტერთაგან შეიწრებულსა, ყოველგნით ხელაღუპრობელსა“ (ხ. 1283).

გუვი არ არის, „ინდოეთში“ მისაცვლელად საჭირო იყო დიდი სამხედრო ძლიერების წაყოლა, მოწონება იმ მტრებსა, რომელთა მიერ „შეიწრებულ იყო“ ნესტანის მშობელი. მაგრამ, ვინეორებთ, ყველა ამის შესახებ დუმს ჩვენი ამესონი, ჩვენი შოთა, ოღონდ „ვეფხისტყაოსნის“ გამგრძობი გვეუბნება, რომ ტარიელს ჯერ შეშობენნო ხატაველნი და ესენი რომ დაიმორჩილა, ახლა ხვარაზმელებმა აუტუნესო სასტიკი ბრძოლა და დაიპყრესო ინდოეთი და ნათ გასადევნად უკვე ავადმყოფ ტარიელმა იწვიაო საშველად ავთანდილი და ფრიდონი, და ამათ ცვლავ აღმოუჩინესო შეწმენობა.

ეს ცნობა, როგორც თითქმის თანამედროვისა, ფრიად საყურადღებოა და ანოწმებს ნესტან-დარეჯანის ზემოაღნიშნულ სიტყვებს, რომ მისი მშობელი „მტრებისაგან შეიწრებულსა“ და ხელაღუპრობლად დარჩენილი მოსეთელი მტრების რკალშიო.

ნესტან-დარეჯანის ცნობა კი ტარიელს ნოღვიდოდა 1188 წელს, ხოლო ამ წელს საზოგადო ისტორიული ცნობებით სასტიკი ქარიშხალი არყვედა ინ-

დღითის სელჩუციანთ ტახტს და ლამოდა მის დანგრევასა და გაქრობას. მაშინ ფარსადანის და მისი მემკვიდრის ტარიელის „ინდოეთის“ ტახტის მხოლოდ წამუსრევი დარჩენილიყო ერასყ-ხვარაშანს და მასაც სელჩუციანთ უკანასკნელ ტოლრილ-სულთანს ედავებოდა მისი ათაბაგი. ილდიგუსის ძე მოჰამედ ფაჰ-ლავეანი აღარ კმაყოფილდებოდა განჯის სასულთნო ტახტით; წას სურდა თვით სულთანათა საყდომი რეიც და ბატონობა ერასყს, აფერბეიქანს, არანს და შირ-ვანს. სწორედ 1191 წელს ათბაგ ყიზ-ასლანმა მიიღწია წადილს. ტოლრილ-სულთანის საბრძანებელში თვითონ გახდა სულთანად, მაგრამ იგი იმავე წელს დაჰკლეს მულიდეზმა. „ინდოეთის საქმეები უფრო აირია. ყიზ-არსლანს შეი-ლი არა ჰყვანდა და მის სამკვიდრებელს დაეპატრონენ მისი ძმისწულუბი. უფროსმა ირგო ერასყით ხვარსნამდის და ბაბილონამდის, შუალამ აღარზა-დაჯანი სომხითამდის და უმცროსმა ამირ-მირანმა არანი გურგანის ზღვით, ვიდრე გელაქუნის (გოღნის) ზღვამდე“ („ქ. ცხ.“, 301) და დაუმეზობლდა სა-ქართველოს.

ეს ამირ-მირანი იყო დედით გერიშვილი სულთნის ტოლრილისა („ქ. ცხ.“, 302). მიუხედავად ამგვარი ნათესაობისა, შუალა ძმამ ბუბაქარმა მასაც და უფროს ძმასაც წაართვა მათი ხვედრი ქვეყნები. ამირ-მირანი შეეცოდა შარვან-შას და იქიდან გამოგზავნა თავისი მოციქულები თამარის წინაშე შემოსახვეწ-ნად ძღვენითა ურიცხვითა და ითხოვა შველა და ამასთანავე ითხოვდა თამარის ქალს რუსუდანს დედოფლად ყოვლისა სპარსეთისა („ქ. ცხ.“, 301). მაშინ (1183 წ.) რუსუდანი ახალდაბადებული იყო, მისი სპარსეთს გათხოვების პი-რობა არ მისცა თამარმა, ხოლო აღუთქვა შენწოება და ბრძანება გასცა. შე-ყრილიყო საქართველოს ლაშქარი. ამასობაში მოვიდნენ საქართველოში ამირ-მირანი და შარვანმა (1194 წ.).

მაგრამ თამარის სანზადისი დაგვიანდა, ვიდრე იგი გაილაშქრებდა, (1195 წელს) ამირ-მირანის გერი მამა ტოლრულ-სულთანი ხვარაზმმა თავამმა მოჰკლა (1194 წ.).

ამავე დროს ათაბაგ-სულთანი ბუბაქარი დიდძალი ლაშქრით და ხალიფას დროშის წინამძღოლობით ჩამოდგა შანქორ-განჯას. დავითმა შებუსრა მისი სამხედრო ძალა ისე, რომ ძლივს თვითონ ბუქარი გადარჩა სადღაც ნარტყეში ჩამალვით (1195 წ.). დავითი დაჭდა სრასა სასულტნოსა განჯას, ამირ-მირანს უბოძა შანქორი და ყოველი მისი შემოსავალი და თვითონ დაბრუნდა („ქ. ცხ.“, 307—308).

იგივე „თამარიანში“ ასეა გამოთქმული (ხ. 101, 102): „მან (თამარმა) ათა-ბაგსა, ხვარაზმას მდგესა, კეთილგანრჩევით სჯული უღვა მცნებად. კაცი ძლიერი, მხნე, მეცნიერი, შემძლე მალიქსა თვალთა ფერებად. თვით ბრძენი სწვართა, მით მოიპართა მისდა დიდებად, გასულტანებად: მოყმე სვიანი, იესიანი ლაშა აძებნა ლხინად და შევებად: შიშთა მკრძალი, ვაზირთა ძალი

მოზაენა დიდთა ცხენთა ძღვანებად; უდრი (რუსუდანი) ითხოვაჲ მზე მოითხოვა ბნელსა კართა ნათელთა ცებად“.

დავით სოსლანს, ალბათ, ჰსურდა „ინდოეთის“ ტახტზე დაებინაეებინა ტოლრა, მაგრამ მის მაგიერ დააბინაეა მისი გერიშვილი, ამირ-მირანი და ისიც არა „ინდოეთის“ სასულთნო ტახტზე, არამედ მხოლოდ განჯა-შანქორისაზე. მართალია, ქართველებმა ერაყ-ხორასანამდეც მიალწიეს, მაგრამ ეს იყო 1210 წელს, როდესაც არც ავთანდილ-დავითი იყო ცოცხალი და აღარც ვინმე სელჩუკიანთ ნატამალი ინდოეთის მხარეს, ვინაიდან მაშინ დავითი უკვე ზეველი იყო (+1208—9 წ) და სელჩუკიან ფარსადან-ტარიელის სახელიც ამოწყვეტილი იყო უკანასკნელი სელჩუკიანის ტოლრილის მოკვლით 1194 წელს.

და, რომ ეს უკანასკნელი ტოლრილი იყო თვით ტარიელი, რომელიც აგრეთვე იყო უკანასკნელი წარმომადგენელი სელჩუკიანის ფარსადანისა, ეს ჩვენ გვეჩერა. მათი ცხოვრების ქრონიკონები ერთი მეორეს სრულიად ჰფარავენ (იხ. ზემოთ). ისტორიული ცნობები შესახებ სელჩუკიანთა და ხვარაზმელებს დანოკიდებულებისა შოთას ამგვარივე ცნობებთან ერთად გვიკარანახებენ. „სპარსულ ამბად“ ჩაეთვალთ ის ამბები, რომელნიც ერაყ-ხვარასანს, თანაზის მამიდას რუსუდანისა ნადედოფლარ ქვეყანას, ტრიალებდენ ტოფრილ სულთნის (1177—1194) ტახტის გარშემო.

VI

მინიმ მასხი

ა. მისადევრთა გლოსებო

ზევით, პირველ თავშივე ჩვენ გამოცეხადეთ, რომ ვიდრე კაცი შეუდგებოდეს შოთას ქმნილების კვლევა-ძიებას, საქირთა კარგად შეისწავლოს ქართული ენა მთლიანად, როგორც ძველი კავები. ამს პირველად თმკვლევისაგან იმიტომ, რომ მრავალი სიტყვა იმ დროიდან, როდესაც ზოგაწეობდნენ შოთა და მისი წინაპრები მოსე სონელი, პეტრიწი, მესხეთის მთარგმნელები, დაშთენილი დღეს მხოლოდ საქართველოს განაპირებში და აღარ იხმარება თვით ქართულ ენის დედა-ბუდეში; ქართლს ზემო იმერეთს, პირიქით, შეინიშნება ისეთებიც, რომ იხმარება დედა-ბუდის მეტყველებაში და განაპირა მისადევრებში — კი აღარა. საინგლოში „პანტასვი ჰყრიო“ (დაცეცეულა) და თვით პანტა კი არ იციან და მის მაგიერ ხმარობენ სიტყვას ქირკიმია. ქართლ-იმერეთში ამბობენ: „ბრეს გაგადნო“ და არ იციან, რა არის ბრე. ამ სიტყვის მნიშვნელობა დაბნელებული ყოფილა თვით საბას დროსაც, ვინაიდან იგი მის განმარტავს ასე: „ბრე, მტვერი

ბზე-ნარევი“. ხოლო ეს ბრე ბზე-ნარევი, მტკერი კი არ არის, არამედ ბრინჯის (ჩალთუჯის) მარცვლის კანი, რომელიც გაეყრება ხოლმე მას ცალკე ღინგებში დანაყვით და დაბღერტით. ამ მნიშვნელობით ეს სიტყვა იხმარება დღეს მთელს საინგილოში და ამავე მნიშვნელობით იგი შეუტანიათ დაბადებაში მესხეთის მთარგმნელებს. ესაია, 29—5; ვითარც ბრე მიმოდებულნი *как растающаяся плена*.

ეს „პლენა“ კანია და არა „ბზე-ნარევი მტკერი“, გინდა ჩუბინანვილის «*прах, пыль*».

ამავე სიტყვებით ცოტა არ იქნება სხვა კილოყავეებშიც. რაიც შეეხება შოთას თხზულებას, ჩვენ მასში ვპოვებთ არაერთ სიტყვას, რომელიც დღეს იხმარება მხოლოდ კლარჯეთსა და საინგილოს, ანუ ნარტო საინგილოს. ამგვარი გლოსესები, შენიშნული ექნებოდა არჩილსაც, როდესაც აყვედრიდა შოთას (არჩ, 21): „წემოილო ჭავანჭური ენა მიიმე“.

ბ. კლარჯულ-ინგილოური გლოსესები

კლარჯულ ანუ მესხურ-ინგილოურ გლოსესათგან ჩვენ აქ აღვნიშნავთ რამდენიმეს.

შოთა. ეს სიტყვა წმინდა ქართულია და წარმოდგება ზმნიდან შოტეა, ინგ. შოთეა და ნიშნავს გრძელს, გრძლად გაჭიმულს. აჭიმულს. მისგან საერთო ხმარებაშია ძველადგანვე ქართულებრ გამოცხვარი პური „შოთი“, ხოლო კაცის სახელად კი აშოტის, აშოთის სახით პირველად შემოვიდა კლარჯეთის ბაგრატიონებში. საინგილოში იმავე სახელს ატარებდა მთავრის შვილი შოთა ვრიგოლის ძე (1117 წ., ჰერეთში მე-13 საუკ. სულ ნახევარში ერისთაობდა შოთა კუპრი. ამავე სახელით იწოდება კახის ბოლოს სოფელი შოთამარი („*მოგზ.*“, 1902 № 2 გვ. 436), ხოლო შანქორის გზაზე აშოტილ მთას უწინ ერქვა შოთასმთა („*ქ. ცხ.*“, 1, გვ. 305). ასეთი სახელი ამ მთას, შესაძლებელია, დარქმეოდა ჯერ ისევ აშოტ კუროპალატის (786—826) დროიდან, ვინაიდან იგი ერთხანს აქ მთავრობდა. სუბბატ დავითის ძის ქრონიკაში წერია (გვ. 51): „აშოტ კუროპალატ მთავრობდა ქვეყანასა მას შინა და სახლად მისა იყო ბარდავი და ტვილისი და ჰქონდა მას ქვეყანა, რომელ არს გარემოს მისსა“ („*მარ. დედ. ნუსხა*“, გვ. 342).

პაშტაი — საკმაო. ამ მნიშვნელობით ეს სიტყვა „ვეფხისტყაოსნისა“ იხმარება კლარჯეთსა და საინგილოში.

ერცახე. ეს სიტყვა ინგილოური არ არის, მესხურია, მაგრამ შედგენილია ისე, ვით ინგილოური ერცხო. ერ სადამ, ერრაიმ, ერგან და სხ. აქ ყველგან ეს ხმარებულია, როგორც დღეს საინგილოში, მაგიერად სიტყვისა ერთი. სწორედ ასევეა შედგენილი მესხური ერცახე ოციოდე წლის წინათ შატბერ-

დის კრებილიდან და იმავე ხნის ტყავზე ნაწერ მანუსკრიპტიდან № 144 ჩვენ ანოვსწერეთ (იხ. ჩვენი „ქართველთა მატიანე“, გვ. 86)

შოთა ისევ ძველებურად, ამბობს (ხ. 227): „ხმას სცემდა კლდენი ქალისა ძახილსა მუნ ერთსახესა“, ე. ი. ერთნაირს, ერგოთგვარს. შეად. „ფსალ“. , 67—6; ღმერთმან დაამკვიდრონის ერთსახეზი სახლსა, რუსულშია ОДИНОКИХ (ОДИНАКОВЫХ) „სლავეურში ЕДИНОМЫСЛЯЩИХ.

დაგება. ამ სიტყვას აქვს მრავალნაირი მნიშვნელობა. მაგრამ საინგილო-ში კიდე ნიშნავს გაწყობას: „ცული ტარ დააგა“- „ცულს ტარ დაუგო“, ე. ი. ცულს ტარი გაუწყო (გაუყარა, გაუკეთა); „ბარის ტარ დააგა, „წალდი ტარ დააგა“ და სხ. ასევეა შოთასი. 1363: „დავაგეთ კმალთა კოტანი“.

ნესხეთის მთარგმნელები იმავე სიტყვას ხმარობენ, ვით ინგილოები განწყობას. დაწყობას, ე. ი. შერიგებას.

„რომაელ“. , 5—10 (№ 345); დავეგენით ПРИМЕРИЛИСЬ (2 კორ. 5—20); დამაგნა თავსა თვასასა (5—21); სოფელი დააგო თავსა; (5—22) დაეგენით ღმერთისა.

აქ ყველგან ეს სიტყვა ხმარებულია „აწყობად“, შერიგებად.

საგულისხმოა კიდევ კლარჯულ-ინგილური „მელა-კუდა“ — მელის-კუდი, ერთნაირი ყურძენია; „მიშველ“ (დედუფალა), „თაი“ (მთა), „ქობოი“ (ქვემო).

ანგვარი გლოსები კიდევ ბევრი გამოჩნდება, თუ კლარჯული კილო ისე მაინც შევისწავლეთ, ვით დღეს ჩვენ მიერ რამდენადმე შესწავლილია ინგილოური (იხ. „საინგილო“. — კრებ. „ძველი საქართველო“, ტ. II, თბ., 1913, განყ. IV).

[„გილგამეში“ და „ვეფხისტყაოსანი“]

კარგი ხანია დაერწმუნდით, რომ სუმერთა ენა მონათესავეა ქართული ენისა და სუმერთა ერი გამონაყოფი ყოფილა იმ რასისა, რომელიც უძველეს დროს სახლობდა მცირე აზიაში, შუა მდინარის ქვეყანაში, სომხეთში, შეიძლება კავკასიაში და სხვაგანაც. სამხრეთ ბაბილონეთში გადასახლებულმა სუმერებმა რა ჩაიტანეს ძველი სამშობლოდან ახალ სამშობლოში, არ ვიცით. — შეიძლება ლუკსმული წერილი მიინც, მაგრამ ვიცით, რომ ახალ სამშობლოში შექმნეს მათ ძლიერი კულტურა, რომელმაც უდიდესი გავლენა იქონია მთელი აღმოსავლეთის კულტურაზე და აქედან მთელი კაცობრიობის კულტურაზედაც. ერთია ის რასა, რომელსაც შეუქმნია შექმნილია და წარღვის თქმულებანი და „ვეფხისტყაოსანი“. დიდი დრო ძვეს მათ შუა. ერთნი ეკუთვნიან არა უგვიანეს ხანას, ვიდრე მესამე ათასეულს ქრ. წ., მეორე — XII საუკუნეს ქრ. შემდეგ, მაგრამ განსაცვიფრებელიც ის არის, რომ ათასეულთა განმავლობაში არ დაშრეტია შემოქმედების ნიჭი ამ საკვირველს, უძველეს მოდგმას კაცობრიობისა.

რაოდენ რას არ გვაგონებს გილგამეშის ამბავი — რაოდენ ზღაპარს, თქმულებას, უკვდავ თხზულებას მსოფლიო მწერლობაში...

დანტეს „ჯოჯობეთი“ გვაგონებს „გილგამეშისანი“ ქვესკნელს. მართალია, ჯოჯობეთი დანტესი სულ სხვაა, ვიდრე ქვესკნელი ენიკლუსი და საზოგადოდ ბაბილონური საიქიო, რომელზედაც, გარდა „გილგამეშისანი“-ისა, კიდევ სხვა ბაბილონური წყაროები გვაძლევენ წარმოდგენას. ბაბილონური ქვესკნელი განირჩევა აგრეთვე ჰომეროსის ქვესკნელისაგან, მაგრამ რაშიაც ემსაგავსებიან ეს საიქიონი ურთიერთს, ეს მსგავსება შეტანილია ბერძენთა და ამ უკანასკნელთა გავლენით დასავლეთ ევროპიელთა წარმოდგენაში ძველ აღმოსავლეთითგან, სადაც იყო გავრცელებული ბაბილონური წარმოდგენა საიქიოზე. ბაბილონურ ზეპირგადმოცემას, ენას, მწერლობას უდიდესი გავლენა ჰქონდა უძველესი დროიდან მთელ წინა აზიაში. კვალი ამ გავლენისა დღესაცა ჩანს მთელ კულტურულ კაცობრიობაში, როგორც აღმოსავლეთში,

ისე დასავლეთში. ელემენტები დანტეს წარმოდგენათა საიქიოზე, ერთი მხრით, ჰომეროსისაა, მეორე მხრით — ეგვიპტური და სპარსულ ებრაულ-ქრისტიანული — სააქაოს ცოდვისა და მადლისა. საიქიოს სასჯელისა და ჯილდოს იდეა ქრისტიან დანტესათვის ხელმძღვანელი იდეაა, მაშინ, როდესაც სუმერთა და სემიელთ ეს იდეა კიდევ უფრო სუსტად ჰქონდათ განვითარებული, ვიდრე ბერძენთ. მაგრამ ბაბილონური წარმოდგენა მოჩანს დანტეს ჯოჯოხეთში, სადაც არიან პაპნი, მღვდელთმთავარნი, ხელმწიფენი ამა ქვეყნისანი — ცოდვათათვის და აგრეთვე დიდნი პიროვნებანი წარსულ საუკუნეთა, თვით ჯოჯოხეთში განეტარებულნი, რადგანაც ისინი სამოთხეში მოუნათლავნი ვერ შევიდოდნენ დანტეს წარმოდგენით. და ეს მსგავსია იმ ქვესკნელისა, რომელიც ენკიდუმ სიზმარში ნახა, სადაც ძირს ეწევენ სკიპტრანი, გვირგვინნი მეფეთა, სადაც ცხოვრობენ ბატონნი ამა ქვეყნისანი, მღვდელთმთავარნი და სხვ...

მოვიგონოთ ჩვენი უკვდავი რუსთაველის ქმნილებაა, „ვეფხისტყაოსანი“: ჯაქრა ტარიელისა ნესტანის საქებნელად, ცხოვრება მისი მხეცებთან, ვეფხისტყაოსნობა, ლომ-ვეფხის ხოცვა, კვება ნადირის ხორცითა — ეს ხომ გილგამეშის საქმეც იყო: —

„მაგრა დაჯარენ არენი მე კაცრიელთა თემთანი,
სახლად სამყოფი მიმანდეს თხათა და მათ ირემთანი.
გაიფერ, სრულად დასტეკენენ ქვე მიწორი და ზე მთანი“.

[653]

„ხელი მიწორს გაიჭრები, ზოგჯერ ესტირ და ზოგჯერ ებნდები.
მას აქეთ ვახლავ ნადირთა, თუესა მათებრვე მხსენები“,—

[656, 658]

ამბობს ტარიელი.

ასმათი ეუბნება ტარიელს:

„მხეცთა თანა იარები მარტო ტვერად,
არა კაცსა არ იკარებ საუბრად და შემაქცევრად“.

ტარიელი ამბობს:

„ესთქვი, თუ ჩემან არლარაა სიარული, ცუდი ცურვა,
ნუთუ მხეცთან სიარულმან უკუწყაროს გულსა ურვა...
მას ტანსა კაბა ემოსა, გარეთმა ვეფხის ტყავისა.
ვეფხის ტყავისა ქულივე იყო სარქმელი თავისა“.

[650, 85].

რუსთაველი აღწერს ტარიელს:

„რომე ვეფხი შეენიერი სახელ-მისად ღამისახეს,
ამად მიუვარს ტყავი მისი, კაბად ჩემად მომინახეს“,

— ამბობს ტარიელ, — ასმათმა გმირთა-გმირს ტარიელს

„ღაუგო ტყავი ვეფხისა, რომელ კვლე მიწვიე ჰგებოდა“. და სხვა...

ასეთი იყო ტარიელი, ველად გაპრილი, მხეცთა ტყავით მოსილი და ნადირის ხორციტ მსაზრდოებელი, მსგავსად გილგამეშისა. მოვიგონოთ აგრეთვე ძმადშეფიცულობა ტარიელ-ავთანდილ-ფრიდონისა, განუსაზღვრელი მეგობრობა და სიყვარული მათი, მსგავსად გილგამეშ-ენკილუსი და სხვ... მაგრამ, რასაკვირველია, რუსთაველმა გილგამეშისა არა იცოდა რა, როდესაც „ვეფხისტყაოსანს“ წერდა, როგორც არც დანტემ და არც „ოდისიას“ ავტორმა არა იცოდა რა მისი, — მხოლოდ მოტივებია მათსა და ბევრ სხვა ქმნილებებში გილგამეშური — უცხო, ბაბილონური.

შეეადაროთ აგრეთვე ლოცვა ავთანდილისა ცის მნათობთადმი და ლოცვა გილგამეშისა შამაშისადმი, სინისადმი და იშტარისადმი — ლმერთთადმი, რომელნიც ბაბილონელთა წარმოდგენით ცის მნათობნიც იყვნენ:

„მ-მავალი ცასა შესტრის. ეუბნებს, ეტყვის მუნა:

„აჰა, მივო, ვეაჩუბი. ნენ, უპჩესაი მძღუო მქლესა“ და სხვ...

ვინ მდაბალსა გააძალეზ, მეფობასა მქცემ სესა.

მე ნუ გამყრი საყვარელსა, ნუ შემრცელი ლმელ დღესა“

და ა. შ. დაბოლოს —

„აჰა, მოწმობენ ვარსკვლავნი, ნერდნვე მეოწმებან:

მზე, ოტარიდი, მუშთარი და ზუალ ჩემთვის ბნდებან.

მთვარე, ასპიროზ, მარიხი მოელენ და მოწმად მყუებან.

მას გააგონენ, რანცა ცეცხლი უმუნოლ¹ მდებან“.

გილგამეშურია ამ მშვენიერ ლოცვაში მიმართვა ცის მნათობთადმი, ბაბილონურია შვიდი ვარსკვლავი: მზე — შამაშ, მთვარე — სინ, ასპიროზ — ვენუს, მუშთარ — ზარდუკ — ეპიტერ, მარიხ — ნერგალ — მარს, ზუალ — ნიმურტა — სატურნ, ოტარიდი — ნაბუ — მერკურ. მართალია, შინსა და მთვარის გარდა, მნათობთა სახელნი უცხონი არიან: მუშთარ, ზუალ, მარიხ, ოტარიდი — არაბულ-სპარსული, ასპიროზ (პესეპროს — ბერძნული). ეს სახელნი და შეიძლება შვიდი ვარსკვლავიც ბერძენ-არაბ-სპარსთა გავლენით იყვნენ გადმოსულნი ქართულში, ან შეიძლება შვიდი ვარსკვლავი დამოუკიდებლად ბერძენთა და არაბ-სპარსთა შუამდგომლობისა უძველეს დროითგან იყო ცნობილი ქართველთა შორის ბაბილონელთა შორეული გავლენით, რაც უფრო საფიქრებელია, ხოლო სპეციალური კვლევის საგანია.

საყურადღებო აქ ის არის, რომ ბაბილონური ელემენტები და კერძოდ

¹ უშტარნი [1957 წ. გვ. 964] რედ.

გილგამეშური მოტივი „ვეფხისტყაოსანშიაც“ არის აღმოსავლეთის, რომელ სამწერლო ნაკადთა გზითა და რომელ ხალხურ წარმოდგენათა გავლენითაც არ უნდა მიეღწიათ მათ უძველეს საქართველომდე და შემდეგ რუსთაველამდე.

დანასიათება მნათობ-ღვთაებათა რუსთაველს წმიდა ბაბილონური აქვს: მზე — უმძლესთა მძლეთა მძლეა, მდაბლის აღმამალღებელი და მეფობის მიმნიჭებელი; მთვარე — ყოვლად მოწყალე და შემბრალე ღვთაება; ზუალ — სატურნ, ღვთაება კმუნვის შემომყრელი, გულის შავად შემღებველი, სიბნელის ღვთაება; მუშთარ-იუპიტერ, სრული ბრჭე და მოსამართლეა, მარიხ — მარს ლახვრის მატარებელი და წითელის ფერისა, ომის ღვთაებაა; ოტარიდ-მერკურ, ღვთაებაა წერისა, და ბოლოს ასპიროზ-ვენუს, სიყვარულისა და მშვენიერების ქალღმერთია. ძლიერ ხშირად ვხვდებით ასეთ დანასიათებას მნათობ-ღვთაებათა ბაბილონურ, ასურულ და უძველეს სუმერულ მწერლობაში.

და, ბოლოს, ჩვენ ზღაპართა მოტივები — ძებნა უკვდავებისა, რასაც „გილგამეშიანშიაც“ ეპოულობთ, ბრძოლა გველვეშაბთან, რაც აგრეთვე ბაბილონური მოტივია, და სხვ. — ესეც უძველეს გვაკავშირებს ძველ ბაბილონეთთან.

„გილგამეშიანი“. ბაბილონური ეპოსი მესამე ათასეულისა ქრ. წ. ბაბილონურ ტექსტითგან თარგმნილი მ. წერეთლის მიერ მთარგმნელის შენიშვნებითურთ, კონსტანტინეპოლი, 1924, გვ. 100—112; კუპიურა.

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტისათვის

I

შოთა რუსთაველის უკვდავი ქმნილების „ვეფხისტყაოსნის“ საკითხი მრავალია, რთული და საინტერესო, და დიდი ხანია წარმოებს ამ საკითხთა კვლევა. ამ საქმის აღსრულებაში, რასაკვირველია, ქართველ მეცნიერთ ადევს უდიდესი ვალი, და ბევრ მათგანს ეს ვალი ღირსეულადაც აქვს აღსრულებული.

პრობლემები „ვეფხისტყაოსნისა“ მრავალი ზვისებისა არის: ვინაობა რუსთაველისა, დრო „ვეფხისტყაოსნის“ დაწერისა, კულტურულ-ისტორიული და ლიტერატურულ-ისტორიული მნიშვნელობა მისი, ეპოქა რუსთაველისა, მსოფლიოს ხედვა მისი და სხვა და სხვა...

ზოგი ამ პრობლემათაგანი ძნელი საგანია კვლევისა და ძნელად გადასაწყვეტი, რადგანაც მცირეა მასალა გადაჭრილი პასუხისათვის, როგორც, მაგალითად, საკითხი რუსთაველის ვინაობისა და ცხოვრებისა. ზოგი დარგი რუსთაველოლოგიისა კი უფრო მდიდარია კარგი ნაყოფით კვლევისა, რადგანაც თვით „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლა მიმცემი მკვლევარისათვის სასურველი შედეგისა, — თუ, რასაკვირველია, მკვლევარი კვლევის ნიჭით არის დაჯილდოებული.

„ვეფხისტყაოსნის“ მკვლევართა შორის პირველად უნდა ვახსენოთ: ნ. მარი, ი. აბულაძე, ა. სარაჯიშვილი, ს. კაკაბაძე, პ. ინგოროვუა, ზ. ავალიშვილი, ვითარცა მკვლევარნი „ვეფხისტყაოსნის“ უმნიშვნელოვანეს საკითხთა. ღვაწლი ზოგი მათგანის მეტია, ზოგის ნაკლები, „ვეფხისტყაოსნის“ პრობლემები ერთობ არც ერთს მათგანს არ ამოუწურავს, ხშირად ისინი სრულიად შემცდარ აზრს გამოთქვამენ, მეთოდიც მათი ხშირად უვარგისია, არგუმენტებიც არასაკმარისია და სუსტი, უცნაურიც კი, წმიდა ფანტაზიასაც დიდი ადგილი უჭირავს მათ მსჯელობაში, და ზოგიერთი პრობლემის გადაწყვეტის ცდა მათ

შიერ დავიწყებულ იქნა იქმნას, ვითარცა უცნაურისა და არარსებულისა ცი, და სხვა. — მაგრამ ისინი ნამდვილი დამწყებნი არიან „ვეფხისტყაოსნის“ ფართო და ღრმა მეცნიერული კვლევისა და ამიტომ მათ მიმართ მადლობის გრძნობით უნდა იყოს აღპურვილი ყოველი ახალი მკვლევარი, მიუხედავად მათი მკაცრი კრიტიკის ვალდებულებისა, ვინაიდან ძველ მკვლევართა შეცდომებსაც კი მნიშვნელობა აქვს ახალათვის, — მათ გასაფრთხილებლად მაინც.

ხოლო არის ერთი საკითხი რუსთველოლოგიისა, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა უნდა მიეცეს „ვეფხისტყაოსნის“ ყველა უმთავრეს საკითხთა ვადაწყვეტისათვის, თუ თვით იგი სწორად გადაწყდება, — საკითხი „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტისა, რომელსაც შეიცავენ ვახტანგ სჯულმდებლის გამოცემა 1712 წლისა და მრავალი ხელნაწერი „ვეფხისტყაოსნისა“. ეს ხელნაწერები „ვეფხისტყაოსნისა“, უმეტესი ნაწილი XVI და XVII საუკუნეთა, სავსეა დამატებებით და ჩანართებით, აგრეთვე სიტყვები ტექსტში დამახინჯებულია გამაწვრთავან, შეუსაბამო და გაუგებარი, ან ცხადად განგებ შეცვლილი ნამდვილ ტექსტთან შესაწყობად ჩანართისა. თვით ვახტანგის ტექსტი, რომელიც უძველეს ტექსტთა მიხედვით უნდა იყოს შედგენილი, თავისუფალია დამატებათაგან. ხოლო არა ჩანართთაგან, და სავსე მიუღებელი სიტყვებით.

ეს წვალება „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტისა საუკუნეთა განმავლობაში ხდებოდა დამაწვრთავან და რედაქტორთაგან სხვადასხვა მიზნით, და აღდგენა თვით რუსთაველის ტექსტისა, განწყენდა მისი დამატებულ და ჩანართ ტექსტთაგან. აღდგენა დამახინჯებულ და განზრახ შეცვლილ სიტყვათა, — ერთობ განშორება შოთა რუსთაველის უკვდავი ქმნილებისაგან მტკვრისა, რომელიც მას მოსდებია საუკუნეთა განმავლობაში, და მისი მიახლოებით მაინც წმინდა სახით წარდგენა მკითხველისათვის, იმ გარეგანი ფორმით, რომელიც ახალი დროისათვის არის მისაღები, — ეს არის საქმე ტექსტის კრიტიკისა და გამოცემისა, და ამ მხრითაც ჩვენ მეცნიერთა ღვაწლი მნიშვნელოვანი იყო. აქ უნდა მოვიხსენიოთ პირველად ა. სარაჯიშვილი, ი. აბულაძე, ნ. მარი და პ. ინგოროყვა. ხოლო რაოდენადაც ღვაწლი ს. კაკაბაძისა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის გამოცემისა და მის დიდ საკითხთა კვლევისა ზოგჯერ სამართლიანად, მაგრამ ზოგჯერ ძლიერი სიფრთხილით უნდა იყოს დაფასებული, ხშირად უნაყოფოდ აღსრულებული, როგორც, მაგალითად, მისი თეორია „ვეფხისტყაოსნის“ დაწერის დროისა (მეთოთხმეტე საუკუნეში!), და მის მიერ ახსნა „ვეფხისტყაოსნის“ მრავალ სიტყვათა (იხ. მისი „ვეფხისტყაოსანი“, გამ. პირველი, თბილისი, 1913 წ. და გამ. მეორე, თბილისი 1927), იმოდენად მნიშვნელოვნად უნდა ჩაითვალოს ღვაწლი ი. აბულაძისა, განსაკუთრებით ვითარცა „ვეფხისტყაოსნის“ პირველი ნამდვილი კრიტიკულად დამუშავებული ტექსტის გამოცემლისა და მისი ლექსიკის მის წინამორბედებზე უკეთესი

მკვლევარისა (იხ. მისი „ვეფხისტყაოსანი“, გამ. 1914 წ. და 1926 წლ., თბილისი).

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის კრიტიკის კვალი არის თვით ვახტანგის 1712 წლ. გამოცემაში. თუმცა ამ უმოკლეს ვერსიას „ვეფხისტყაოსნისა“, როგორც სამართლიანად შენიშნავს პ. ინგოროყვა თავის „რუსთველიანაში“ (I, თბილისი, 1926), სწორედ იმიტომ აქვს დიდი მნიშვნელობა, რომ მას შეუსწორებლად დაუბეჭდია ეს უძველესი დამატებათაგანი და ზოგი ჩანართისაგან თავისუფალი „ვეფხისტყაოსანი“, მაგრამ ვახტანგის გამოცემას მაინც ეტყობა, როდესაც მას ხელთნაწერთა ტექსტებს ვაღარებთ, რომ მას აქა-იქ გამოუტოვებია მის ხელთ მყოფ ვერსიაშიც არსებული სტროფები, რომელთაც ცხადად ეტყობა ჩანართობა.

დაბეჭდილნი გამოცემანი „ვეფხისტყაოსნისა“ მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში ვახტანგის ვერსიას წარმოადგენენ მცირედი შესწორებით და განსხვავებით. ამგვარად იქაც ჩანს ცდა ტექსტის კრიტიკისა ხელნაწერთა განხილვის შემდეგ.

ს. კაკაბაძის რედაქტორობით გამოიცა 1913 წ. თბილისში „ვეფხისტყაოსანი“ ხელნაწერებში არსებული დამატებებით და ჩანართებით, მათი განშორებით კაკაბაძის მიერ ნამდვილად რუსთაველისად მიჩნეული ტექსტისაგან, ხოლო 1927 წ. გამოვიდა მეორე გამოცემა მისი, კაკაბაძის მიერ ნამდვილად მიჩნეული „ვეფხისტყაოსანი“, მისი აზრით მხოლოდ ერთი დამატებით (ქორწილი აეთანდაღისა და თინათინისა, წასვლა ინდოეთს და სხვა), რომელიც ყველა სხვა გამოცემელთა მიერ რუსთაველის ნამდვილ ტექსტად ითვლება, და სატყუა აქა-იქ შესწორებით. ა. სარაჯიშვალის კვლევათა შემდეგ (იხ. მისი „ვეფხისტყაოსნის“ ყალბი ადგილები“, „მოამბე“ 1895—1901, თბილისი) და აგრეთვე მარის მიერ განხილვის შემდეგ „ვეფხისტყაოსნის“ წინასიტყვისა და ბოლოსიტყვისა (=შესავლისა და დასასრულისა იხ. «Тексты и разыскания». XII, პეტერბურგი, 1910 წ.); კაკაბაძის შრომა ერთი ნაბიჯი იყო „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის კრიტიკის საქმისათვის გადადგმული, თუმცა მრავალი ჩანართი კაკაბაძეს მის ტექსტში დატოვებული აქვს და მისი ლექსიკონიც ამ გამოცემისა ყოვლად მიუღებელია მკვლევარისათვის „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკისა. ს. კაკაბაძემ თავისი „ვეფხისტყაოსანი“ განსაკუთრებით მეორე გამოცემა, მრავალი ხელნაწერისა და ყველა ვერსიათა შესწავლისა და შედარების შემდეგ მოგვცა.

1926 წელს თბილისში გამოვალა 25-ე გამოცემა ი. აბულაძის „ვეფხისტყაოსნისა“. იგი ახალი შემუშავებაა მის ძველ გამოცემათა (1914 წლ. შემდ.), მასდართული აქვს ვარიანტები, ხელნაწერებში არსებული. ი. აბულაძეს მასში არ შეუტანია დამატებანი. მისი ტექსტის საფუძველი ვახტანგის ვერსიაა, თავისუფალი დამატებათაგან, ხოლო ერთობ ეს ტექსტი შედგება მის მიერ ხანგრძლივი შესწავლისა და შედარებისა აღმოჩენილ ხელნაწერთა და ყველა ვერსიათა, როგორც ს. კაკაბაძის ტექსტი. ი. აბულაძე ყურად იღებს სრულიად სამართლიანად ს. სარა-

ჯიშვილის კრიტიკასაც „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტისა, აგრეთვე რასაკვირველია ნ. მარისა, და მის გამოცემაში უხვად არის გამოყოფილი ჩანართები, და აქა-იქ სიტყვებიც შესწორებულია ტექსტში. აქ ჩანს მისი ცდა „ვეფხისტყაოსნის“ განწმენდას“, თუმცა მას სრულიად არა აქვს პრეტენზია იმისა, რომ მან მართლაც საბოლოოდ „განწმიდა“ რუსთაველის ქმნილება. აზულაძის გამოცემას ბოლოს აქვს დართული ლექსიკონი „ვეფხისტყაოსნის“ უცხოთა და ძნელად გასაგებ ქართულ სიტყვათა, რაიცა მკითხველს უაღვიძებს ტექსტის გაგებას. იგი გაცილებით უფრო კარგად არის დანუშავებული, ვიდრე კაკაბაძის ლექსიკონი.

კ. ჭიჭინაძემ გამოსცა 1934 წ. თბილისში „ვეფხისტყაოსანი“ მრავალი ჩანართით და ერთი ვრცელი დამატებით, რომელიც არ არის არც ერთ სხვა, დამატებათაგან თავისუფალ, დაბეჭდილ გამოცემაში, ხოლო ჭიჭინაძეს რუსთაველის ტექსტად მიაჩნია!

საკვირველია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ შემსწავლელი და გამომცემელი ვერ ხედავდეს და ვერ გრძნობდეს ამ ყოველად უშვერ და პოეზიასთან არავითარი საერთოს მქონე ლექსთა განსხვავებას რუსთაველის სტროფთაგან, სხვა ცხადი ნიშნებიც რომ არ იყოს მათი არასინამდვილისა! სიტყვათა შესწორება ტექსტში კ. ჭიჭინაძესაც აქვს ნაცადი, თუმცა ძლიერ იშვიათად.

1937 წ. თბილისშივე გამოვიდა ქართული უნივერსიტეტის გამოცემა „ვეფხისტყაოსნისა“ პ. ინგოროყვას, ს. კაკაბაძის, ი. აზულაძის და სხვათა რედაქტორობით და თანამშრომლობით. ეს გამოცემა ჭიჭინაძის გამოცემას უახლოვდება ზემოხსენებული დამატების ტექსტში შეტანით, მაგრამ ჩანართთა რიცხვი იქ უფრო მცირეა, ხოლო შესწორებულ სიტყვათა რაოდენობა — მეტი.

„ვეფხისტყაოსნის“ არაგამომცემელ მკვლევართა ღვაწლს ტექსტის დადგენისათვის ზოგჯერ სრულიად არა აქვს მნიშვნელობა, ზოგჯერ მხოლოდ იმ ადგილთათვის, რომელნიც განხილულნი არიან მკვლევარსაგან, ზოგჯერ კი დიდი, თუ მკვლევარს დსასული აქვს მიზნად მთელი ტექსტის კრიტიკულად განხილვა. მაგ., ხ. ავალიშვილის თხზულებას „ვეფხისტყაოსნის საკითხები“ (პარიზი, 1931 წ.) უდიდესი მნიშვნელობა აქვს „ვეფხისტყაოსნის“ კულტურულ-ისტორიულ და ისტორიულ-ლიტერატურულ საკითხთა გადაჭრისათვის, მაგრამ არავითარი — ტექსტის კრიტიკისათვის. ამ მხრით უფრო საინტერესოა შრომები ნ. მარისა: „დასაწყისისა და დასასრულის სტროფები“ შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნისა“ «Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии» XII (პეტერბურგი, 1910) და «Груз. поэма «Вепхисткассани» и всякая культурно-историческая проблема» («Известия» АН, 1917, I და II (პეტროგრადი, 1917 წ.), სადაც მას, გარდა კულტურულ-ისტორიულ საკითხთა განხილვისა, ტექსტის იმ ნაწილთა კრიტიკაც აქვს მოცემული, რომელნიც მას სჭირდება მის მსჯელობაში.

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის კრიტიკის მხრით მარის წერამებზე, რასაკვირველია, უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს პ. ინგოროყვას „რუსთველიანას“ (I, თბილისი, 1926 წ.). ინგოროყვას განხილული აქვს მთელი ტექსტი „ვეფხისტყაოსნისა“, დამატებანი და ჩანართები სხვადასხვა ავტორთა და სხვადასხვა დროისა, და უძველესი ფენა პოემისა, რომელიც, მისი აზრით, ვახტანგის ვერსიაშია წარმოდგენილი. ინგოროყვას რწმენით ვახტანგის ვერსიაც შეიცავს ოთხსამდე ჩანართსტროფს და მხოლოდ მათი ჩანართობის დამტკიცების შემდეგ იქმნება შესაძლებელი მიახლოებით აღდგენა „ვეფხისტყაოსნის“ პირვანდელი სახისა. ეს ნაწილი ინგოროყვას წიგნისა საუკეთესოდ უნდა ჩათვალოს (გვ. 9—98). შეიძლება ავტორს კაცი არ დაეთანხმოს ბევრ საკითხში და მისი დასკვნები არ გაიზიაროს, მაგ. აზრს, თითქმის ჩართულია „ვეფხისტყაოსანში“ სტროფები რუსთაველის საწინააღმდეგოდ, საპოლემიკოდ ან მის დასაცელოდ და სხვა... პ. ინგოროყვას ასეთი შეცდომები აიხსნება, ჩვენი აზრით, მისი შემდგარი წარმოდგენით რუსთაველის ვინაობისა, ცხოვრებისა, მსოფლიოს ზღვისა და ბედისა. მაგრამ რომ სტროფები ჩანართია, ამას ცხადყოფს ინგოროყვა, თუმცა „ვეფხისტყაოსნის“ შესავლის ტექსტის კრიტიკა ინგოროყვამდის სხვებმაც სცადეს. ისიც მართალია, რომ ვახტანგის ვერსიაში რამდენიმე ასეული ჩანართი სტროფი მოიპოვება, ე. ი. გაიკლებით მეტი, ვიდრე, მაგ., ი. აბულაძეს ეგონა, და ფრიალ ყურადღასაღებია აგრეთვე ინგოროყვას კრიტიკა არა მარტო ზოგიერთ ჩანართ აღგილთა „ვეფხისტყაოსნის“ „დასაწყისში“ და „დასასრულში“ და თვით მოთხრობის ტექსტში, არამედ მის მიერ აღდგენაც გადაწყურთაგან დამახინჯებულ ან რედაქტორთაგან შეცვლილ ზოგ სიტყვათა, ხოლო მისი ცდა ზოგ სხვა სიტყვათა აღდგენისა და ხშირად ძლიერ გაბედული და საფუძველს მოკლებულიც არის, ან მარის გაველენის შედეგი, და ჩვენთვის მიუღებელი.

ბოლოს კვლავ უნდა ვახსენოთ განსვენებული ა. სარაჯიშვილის ღვაწლი „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის კრიტიკის საქმისათვის. იმ დროს, როდესაც ჩვენ „სპეციალისტ“ მეცნიერთაც ამ დარგში არაფერი მნიშვნელოვანი ჰქონიათ გაკეთებული, „არასპეციალისტმა“ ა. სარაჯიშვილმა თავის თსზულებაში „ვეფხისტყაოსნის“ ყალბი ადგილები“ („მოაზრე“, თბილისი, 1895—1901; „სპეციალისტის საქართველო“, ტ. IV, თბილისი, 1914—15) დაამტკიცა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ შეიცავს აუარებელ ყალბ ადგილს (გარდა იმ დამატებათა, რომელნიც ვახტანგისა და სხვა დაბეჭდილ გამოცემებში არც არიან და ისედაც არარუსთაველისად იყვნენ მიჩნეულნი). გასაკვირველია ნიჭი ამ არასპეციალისტისა დიდი ხელოვნებითი ქმნილების მთლიანად განცდისა, მის სიღრმეში ჩაწვდომისა, და მისი მეოთხე კვლევისა, რაითაც მან „ვეფხისტყაოსანში“ ბევრი არანამდვილი ნამდვილს გამოჰყო და ამით გახდა იგი ღირსეული წინამორბედი და გზის განმზადებელი შემდეგ მკვლევართა.

ზემოსხენებულ ქართველ მეცნიერთ და მეცნიერების მოყვარულთ უნდა

ვეჭადლოდეთ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის კრიტიკისათვის საფუძვლის ჩაყარას. ხოლო ეს დარგი რუსთველოლოგიისა არა მხოლოდ ძნელია, არამედ ერთგვარ საფრთხესაც წარმოადგენს მკვლევარისათვის: გარდა იმისა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ საქართველოში განსაკუთრებული პატივი აქვს და განსაკუთრებული სიყვარულით არის განმსჭვალული მის მიმართ მთელი ქართველი ერი. და ამიტომ დაბეჭდილ „ვეფხისტყაოსანში“, რომელსაც მკითხველი საზოგადოება მიჩვეულია და განსაკუთრებით პატივს სდებს, ვითარცა დაბეჭდილს. ერთი სტრაფის არა რუსთველისად აღსარებაც კი დიდ ცოდვად ითვლება ახლაც და წინათ კიდევ უფრო დიდ დანაშაულად ითვლებოდა, არ უნდა დაგვავიწყდეს ის, რომ წინათ მეცნიერული კვლევის და მეცნიერულ აღმოჩენათა გასაგებად და დასაფასებლად საშუალო განათლების მქონე ქართველი მომზადებული არ იყო, და დღესაც, მიუხედავად ქართული უნივერსიტეტის უკვე ხანგრძლივი მოღვაწეობისა, საკმარისი არ არის ამგვარი მომზადება მისი.

ამას უნდა დავუმატოთ კიდევ უცნაური პრეტენზია თვით ბევრი განათლებული ქართველისაც, თითქოს მას შეეძლოს „ვეფხისტყაოსნის“ გაგება ისე, რომ საჭირო არ იყოს მისთვის არც საზოგადოდ ძველი ქართულის ცოდნა, არც კერძოდ რუსთაველის ენისა და სტილის შესწავლა, თითქოს მეთორმეტე საუკუნითგან დღემდე ქართული არც კი შეცვლილიყოს და რუსთაველის ენისა და სტილს ორგინალობაც არ გააჩნდეს, და ადვილად წარმოვიდგინოთ, თუ როგორ შეხვდებოდა ბევრი ქართველი „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის კრიტიკის დამწყებთ. და მართლაც, კარგად მახსოვს, თუ რა რისხვით ახსენებდნენ მრავალნი ა. სარაჯიშვილის „ვეფხისტყაოსნის“ ჩანართ ადგილთა: „ლამის მთელი „ვეფხისტყაოსანი“ გაგვიყალბონო!“ და სხვა... და ახლაც არ არის „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის კრიტიკოსი უზრუნველყოფილი არა მარტო ზეპირად აღშფოთებულთა აღშფოთებისა, არამედ აგრეთვე მომზადებულ კალმოსანთა მკაცრი გამოლაშქრებისაგანაც, რომელნიც სპეციალისტ რუსთველოლოგებად სთელიან თავს (მაგ. კ. ჭიჭინაძე), ანდა რომელთაც რწმენა აქვთ. რომ მათი ფართო განათლება მათვე ნებას აძლევს, რუსთველოლოგიის ყოველ საკითხზედაც ავტორიტეტულად იმსჯელონ. მაგრამ დაწყებულ საქმეს „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის კრიტიკისა ველარაფერი შეაჩერებს, იგი უნდა დამთარდეს „ვეფხისტყაოსნის“ სრული განწმენით.

II

ჩემი მიზნები იგივეა, როგორც იყო „ვეფხისტყაოსნის“ გამომცემელ ტექსტის კრიტიკოსთა, — განწმენდა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტისა, რომელიც ჩვენ გვაქვს ვახტანგის ვერსიაში და ხელნაწერებში, დამატებათაგან და ჩანა-

ართავან. კ. ჭიჭინაძეს და უნივერსიტეტის გამოცემასაც ერთი დიდი დამატება შეუტანიათ მათგან გამოცემულ „ვეფხისტყაოსანში“, რომელიც არც ვანტანგის ვერსიამოია და არც ერთს მისი მიხედვით დაბეჭდილ სხვა გამოცემაში, და რომელიც კვლავ უნდა მოსცილდეს ყოველ გამოცემას „ვეფხისტყაოსნისა“ (ე. წ. „ინდოხატაელთა ამბავი“). მერმე ჩანართთაგან გაწმენდილ ტექსტში გადაწერთაგან დამახინჯებულ და რედაქტორთაგან შეცვლილ სიტყვათა აღდგენა, აგრეთვე თვით ჩანართთა ტაქსტისა. ამ მხრით ძლიერ ცოტაა გაკეთებული „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის კრიტიკოსთა მიერ. პ. ინგოროყვასაგან „რუსთველიანაში“ განზრახული აღდგენილი ტექსტი „ვეფხისტყაოსნისა“ ჩვენ არ გვიხილავს, — არც ვიცით, არსებობს თუ არა, — ანტიკომ, რაც არა გვაქვს, მით ვერ ვისარგებლებთ, მაგრამ იმისდა მიხედვით, თუ როგორ აღადგენს ინგოროყვა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ზოგიერთ ადგილს „რუსთველიანაში“ I, შემიძლია გადაჭრით ვთქვა, რომ მის მიერ აღდგენილი მთელი ტექსტი „ვეფხისტყაოსნისა“ ჩემთვის მისაღები არ იქნებოდა. !

მდგომარეობა ჩემი ამ ფრიად ძნელი და ძნელად გასაბედავი საქმის აღსრულებისას სულ სხვაა, ვიდრე მდგომარეობა ზემოხსენებულ ან ახალ მკვლევართა, ვინც საქართველოში იღვწიან: ამათ ხელთ აქვთ ხელნაწერები „ვეფხისტყაოსნისა“, ყოველი შრომა, დაწერილი „ვეფხისტყაოსანზე“, აქვს იმედი ახალ ხელნაწერთა აღმოჩენისა და შესაძლებლობა მათი შესწავლისა, აგრეთვე შესაძლებლობა მთელი ჩვენი ძველი კულტურის კვლევისა და სხემე კი უნდა დაეკმაყოფილდე აქ, უცხოეთში, რამდენიმე წიგნით და მცირე მასალით. თვით ვარიანტთა კრებული, რომლის გამოცემასაც ს. კაკაბაძე აპირებდა და ვერ გამოსცა, ან არ გამოსცა, ან შეიძლება გამოსცა და მე თვალთ არ მინახავს, სრულიც არ მაქვს და უნდა დაეკმაყოფილდე ი. აბულაძის გამოცემაში მოცემული კრებულით. დიად, მე ვიცი, რასაც ნიშნავს ასეთ პირობებში „ვეფხისტყაოსნის“ კრიტიკული გამოცემა, ხოლო თუ ამას ვბედავ, მხოლოდ აქ, სამშობლოს გარეთ, და იმ რწმენით, რომ, მიუხედავად ყოვლისა, ეს პირველი ცდა „ვეფხისტყაოსნის“ ამგვარი გამოცემისა არა მცირე წარმატება იქნება რუსთველოლოგიის საქმისა. ხოლო უკეთესა შრომა გასწიონ ჩემზე უფრო ახალგაზრდა და კვლევის უკეთეს პირობებში მყოფმა მეცნიერებმა თვით საქართველოში.

რაიცა შეეხება „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანთ უცხო ენებზე, შემდეგი უნდა ვთქვა: „ვეფხისტყაოსნის“ ქართული ტექსტის მცოდნე უსათუოდ შეამჩნევდა, თუ რა უხერხულ მდგომარეობაშია ჩავარდნილი ხშირად მისი მთარგმნელი რომელიმე უცხო ენაზე. მას რომელიმე ადგილი ვერ გაუგია და „მიახლოვებით“ გაგების შემდეგ თარგმნის მას, ან და იგონებს შესაფერ სიტყვას, რომელიც სულ სხვაა, ვიდრე სიტყვა ორიგინალისა, და ამ მოგონილ სიტყვას თარგმნის. ეს იმიტომ, რომ თვით სიტყვა ან რამდენიმე სიტყვა ორი-

გინალისა დამახინჯებულია და მთელი ადგილი ტექსტისა ქართულადაც გაუგებარი. და მართლაც, თარგმნილი „ვეფხისტყაოსნები“ ან მთარგმნელთა „ვეფხისტყაოსნებია“ და არა რუსთაველისა (როგორც, მაგ., რუსული ვერსია ბალმონტისა), ანდა აუარებელი შეცდომებით, მთარგმნელთაგან ვერგაგებული, ან მათგან თავისებურად გაგებული ადგილებით აღსავსე, რაიცა „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანთა ღირებულებას ძლიერ ამცირებს. ნამდვილი და კარგი თარგმანები „ვეფხისტყაოსნისა“ უცხო ენებზედ (და ახალ ქართულადაც!) მხოლოდ რუსთაველის ტექსტის კრიტიკის შემდეგ არის შესაძლებელი. და მეც იმედი მაქვს, რომ ჩემი ცდაც კრიტიკულად აღდგენილი „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის თარგმანისა ახალ ქართულად და გერმანულ ენაზე სხვა მთარგმნელთათვის უსარგებლო არ იქნება.

III

„ვეფხისტყაოსნის“ დამატებათათვის, რომელნიც ვახტანგის ვერსიაში არ არის, არამედ მეთექვსმეტე და მეჩვიდმეტე საუკ. ხელნაწერებში, ბევრი საუბარი არ არის საჭირო. ეს დამატებანი ჩემი გამოცემის ჩანართთა ნაწილში მე არ შემიტანია, და ვისაც ისინი აინტერესებს, საუკეთესო მათ განხილვას ნახავს პ. ინგოროყვას „რუსთველიანაში“ (ტ. I). აქ უდავოდ არის დამტკიცებული არა თუ მათი არარუსთველისობა, არამედ გამორკვეულია დრო მათი დაწერისა — მეთოთხმეტე საუკუნითგან მეთექვსმეტემდე — სხვადასხვა ავტორთაგან. ეს დამატებანი არიან: „ინდო-ხატაელთა ამბავი“, „ხვარაზმელთა ამბავი“, „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა ცხოვრების დასასრული და სხვ... რომ ყოვლად უშვერი სტროფები ამ დამატებათა რუსთაველს არ შეიძლება ეკუთვნოდეს, ეს დიდი ხნითგან იყო ცნობილი, როგორც ამას ნათელჰყოფს ინგოროყვა, ნაგრამ, საკვირველია, თუ რად შეუტანიათ კ. ჭიჭინაძეს და უნივერსიტეტის გაცემას „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტში „ინდო-ხატაელთა ამბავი“, ინგოროყვას აზრით, მეთოთხმეტე საუკუნეში დაწერილი დამატება სარგის თმოგველისა (მეთოთხისა). ეს ისე არ გვიკვირს კ. ჭიჭინაძისაგან, რომელმაც თავისი გამოცემა „ვეფხისტყაოსნისა“ ყველა უშვერი და უაზრო სტროფებით აავსო, რომელიც კი ვისმე ოდესმე ჩაუტრთავს რუსთაველის ქმნილებაში, მხოლოდ მცირეოდენი გამონაკლისით, მაგრამ რად დასჭირდა ამ დამატების შეტანა უნივერსიტეტის გაცემას „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტში, რომლის ერთი მთავარი რედაქტორთაგანი თვით პ. ინგოროყვა იყო? ამის მიზეზს ქვემოთ ვნახავთ, თუმცა ეს მიზეზი მიზეზად არ გამოდგებოდა, გამოცემლები რომ მკაცრი კრიტიკით მიდგომოდნენ „ვეფხისტყაოსნის“ იმ ადგილს, სადაც „ინდოხატაელთა ამბავია ჩართული. თავისთავად კი, საკმარისია წაიკითხოს ეს დამატება „არასპეციალისტმაც“ და დარწმუნდეს, რომ არავი-

თარი მსგავსება მას რუსთაველის ნამოქმედართან არა აქვს, გარდა 16-მარცვლოვანი ტაეპისა და სტროფის ოთხი ტაეპიანობისა, თუ მკითხველს ოდნავ მაინც აქვს გავება და გრძნობა პოეზიისა:

„ქედსა ზედა გარდმოაღდა მეტად დიდი ქარავანი.
კაცები და სახედრები ერთობ იყო შავოსანი.
გარემოში მოეკეცნეს უკანამო დალანანი.
მეფე ბრძანებს: „მოახსენთ. ჩვენ დავეყვნით აქა ხანი“,

და შემდეგი...

ასეთი რიხინით მიდის ბოლომდე ეს ყოვლად უშვერი ლექსით დაწერილი „ამბავი“, და შიგ მრავალი კიდევ უფრო დიდი სიდუხჭირის მქონე სტროფია, როგორც მაგალითად:

„მას ქალსა და ამილბარსა ერთმანეთით შეუყვარდა.
ამილბარმან სიძე მოკლა, ხმა მეფესა დაუვარდა.
იგი ქალი პატარაი მამიდასა გაუზარდა.
შუქთა მისთა მონაქროლთა ინდოეთი გარდაქარდა“,

და შემდეგი...

ანდა ნესტანდარეჯანის ტირილი მამის სიკვდილის გავებისას: 1

„იხოქს და იგლექს, ხმა მალად სტირის სიტყვა — ხაფი, უარე
სისხლი და ცრემლი თვალთაგან ჩამოსდის გარე უარე;
„მოვეკე, მამო, მე შენთვის შეილოს ყოველთა უარე!
ვერა გმსახურე ასულმან, ვერცა რა შეგაგუა - რე!“

და შემდეგი...

ან კიდევ ნუგეში ჭირისუფალთა მოყვარეთაგან და სხვა დამსწრეთაგან და მიტირება:

„მაშინ გახდეს ყველკანი ტირილად და ცრემლთა მღვრულად.
დიდი ხანი მოიტირეს თავის-თავის გაუყრულად.
ავთანდილ და ფრიდონ ტირან გულსადავად, არა ჭრულად.
მაგრა ექმნეს სულის მღებლად კათალიკოს — მაწყვერულად“.

და სხვა.

უმიზეზოდ არ შეუტანია უნივერსიტეტის გამოცემის რედაქციას ეს დამატება „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტში და გარდა იმისა, რომ კ. ჭიჭინაძე მას რუსთაველისად თვლის, და განსაკუთრებით ამიტომ, მანაც განსაზღვრული მიზეზითვე ცნო იგი „ვეფხისტყაოსნის“ ნამდვილ ნაწილად. მართლაც, ვახტანგის ვერსიისა და მის მიხედვით გამოცემულ „ვეფხისტყაოსანთა“ ბოლო დაფლეთილად, უცნაურად გვეჩვენება. ავთანდილისა და თინათინის ქორწილის შემდეგ მეფე როსტევეანისას 80 ათასი მხედრით მიდიან ინდოეთს სამ-

ნი გმირნი და ნესტანდარეჯანი ინდოეთის მტერთაგან განსაწმენდად და ტარეილისა და მისი ცოლის გასამეფებლად. და ეს უზარმაზარი სამხედრო ექსპედიცია მინდორში, გზაში საუხშით თავდება:

..სამ თვე ვლეს, — ღმერთსა მათებრი სხვა რამცა დაებადოსა! —
მოეუბან. მტერობა ვერაინ დაიქალოს!
მინდორსა შინა სადილად ჯარდახდეს უდილადოსა.
ერთა მმართველა. პურობდეს, ღვინოსა სვიმდეს, არ ღროსა“.

და შემდეგ მოდის მთელი მოკლედ მოთხრობილი ამბავი „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა სრული გაბედნიერებისა. ინდოეთს წასვლის ამბავი ი. აბულაძეს დამთავრებულად მიაჩნია, რათგანაც იქ წერია: „მოეგებთან, მტერობა ვერაინ დაიქალოსა“. მაგრამ ეს ტაეპი სრულიადაც არ სპობს შთაბეჭდილებას ამ თავის დაუმთავრებლობისა. პოეტმა ოთხმოცი ათასი არაბი მხედარი სასეირნოდ შაიყვანა ინდოეთს და მერე მათი კვალიც აღარ ჩანს?! ავთანდილი თითქოს მარტო ბრუნდება ამ ამბის მიხედვით არაბეთს, რა ფრიდონს გაეყრება. გზაში. მისი მხედრობა ნახსენებიც არ არის! მე არ ვიცი, პ. ინგოროყვას რუსთაველისად მიაჩნია თუ არა ეს ბოლო თავი „ვეფხისტყაოსნისა“. ხოლო ს. კაკაბაძემ გადადგა, დიახ, გაბედული ნაბიჯი და არარუსთველისად აღიარა იგი პოემის დასასრულის ბოლო სტროფთა გარდა, რომელნიც მას, როგორც სხვა. მკვლევართ. რუსთაველის სტროფებად მიაჩნია. „ვეფხისტყაოსნის“ რომანი არაბეთში იწყება და არაბეთშივე თავდება, ამბობს კაკაბაძე თავისი „ვეფხისტყაოსნის“ მეორე გამოცემაში და მან ზემოხსენებული ნაკვეთი იქ დამატებლად დაბეჭდა.

ჩვენ აქ საერთოდ ვეთანხმებით ს. კაკაბაძეს, ხოლო, ჩვენი აზრით, რომანი თავდება არა ისე, როგორც კაკაბაძეს ჰგონია, არამედ სტროფით:

„მართ მეფემან სპათა ბრძანა ავთანდილის თაყვანება:
-ესეო მეფე თქვენი, ასრე იქმნა ღმერთისა ნება.
დღეს ამას აქვს ტახტი ჩემი, მე — სიბერე, ერთა სება.
ჩემად სწორად მსახურებდით, დაიქირეთ ჩემი მცნება“.

(VIII, 179[1546])

შემდეგი ორი სტროფი ჩანართია (ნაწ. II, 190, 1—3). მართლაც, ავთანდილს, ვითარცა ძეგლს მეფის თინათინისა, გამეფდა, ტარიელმა თავის მიზანს მიიღწია. — მას მიჰხვდა მისი ძე. ფრიდონის ცხოვრება კი ყოველთვის იყო დაღბნებული, იგი მეფე იყო და მისი უკეთილშობილესი სურვილიც მის ძმადნათიცთა გაბედნიერებისა მისივე გმირული დახმარებით აღსრულებული. ზემოხსენებული ბოლო სტროფით „ვეფხისტყაოსნისა“ დასრულებულია სურათი: ნიჰანშილწეულ გმირთა: ავთანდილი და თინათინი ტახტზე, ტარიელი, ნესტან-დარეჯანი და ფრიდონი მათ წინაშე, როსტევენი, აგრეთვე წინაშე

მდგომი, აღმსარებელი ავთანდილის მეფობისა უკვე გამეფებულ თინათინთან ერთად, ეს აპოთეოზია, და დიდი ხელოვანისათვის, რასაკვირველია, არ იყო. შესაფერი, კვლავ დაეწყო მოთხრობა ტარიელის წასვლისა ინდოეთს, ხატაელთა წინააღმდეგ ბრძოლისა და სხვა ამბავთა, რა რუსთაველიც მოკლედ ათავეებს თავის რომანს: „ტარიელს და ცოლსა მისსა მიჰხვდა მათი საწაღელი“ და სხვ. (VIII, 180—181). ეს 180-ე ნამდვილი სტროფი ს. კაკაბაძემ ჩანართად მიიჩნია და ამიტომ ჩანს რაღაც უცნაურად და დაუმთავრებლად მისი „ვეფხისტყაოსნის“ ბოლო. სულ უკანასკნელი სტროფი „ვეფხისტყაოსნისა“ (იქვე, 181) „ყოვლთა სწორად წყალობასა ვითა თოვლსა მოათოვდეს“ და სხვა მისდევს სტროფს: „ტარიელს და ცოლსა მისსა“ და სხვა. და ეს არის რუსთაველის მოკლე, ორსტროფიანი ეპილოგი. იგი ეხება ტარიელს და ნესტან-დარეჯანს, რომელთაც მიჰხვდა „შვიდი ტახტი სახელმწიფო“ და მათი დაწყნარება. ფრიდონისა და ავთანდილის ქვეყნებში კი სიწყნარე და წესიერება ყოველთვის იყო და იქ არავითარი აშლა არ მომხდარა. ხოლო რომ არც ფრიდონი და ავთანდილი გამოეტოვებინა ინტერპოლატორს, რადგანაც მათი ტარიელთან ინდოეთს დარჩენის და მერმე იქიდან დაბრუნების ამბავი აქვს მოთხრობილი, რუსთაველს ეპილოგის ორი სტროფის შუა ჩართული, ამისთვის შეუთხზავს მას რუსთაველის ეპილოგის მეორე სტროფის წინამორბედი სტროფი (ნაწ. II, 191, [16 = 1663]):

..მათ სამთვე ხელმწიფეთა ერთმანერთი არა სძულდეს,
ერთმანერთსა ჰნახვილან, საწაღელი გაუსრულდეს.
ბრძანებლსა შუბკილენი მათთა ხმრმალთა დაუწყულდეს,
მომბატეს სამეფონი, გახელმწიფდეს, გამორკმულდეს“.

და „ვეფხისტყაოსნის“ ეპილოგის უკანასკნელი სტროფის შინაარსი ამ სამ ხელმწიფესთან დაუკავშირებია, რაიცა სრულიად ზედმეტი ამბავია, რადგანაც ავთანდილი და ფრიდონი მათ დაწყნარებულ ქვეყნებში „გახელმწიფებულნიც“ იყვნენ და „გამორკმულებულნიც“, ხოლო მათი „საწაღლის გასრულებისათვის“ რუსთაველს უკვე ჰქონდა ნათქვამი (VIII, 172, და სხვა), „სამეფოთა მომბატება“ კი ნამდვილი ვულგარიზმია, სრულიად არასაკვიროც რუსთაველის მოთხრობისათვის სწორედ ამ სტროფს მოსდევს კიდევ სხვა ინტერპოლატორისაგან ჩანართი ერთი ყოვლად უშვერი სტროფი, რომელიც არც ვახტანგის ვერსიაშია და არც სხვა მისი მიხედვით დაბეჭდილ გამოცემაში „ვეფხისტყაოსნისა“ (იგი ჰიპოინაძესაც კი არ შეუტანია თავის „ვეფხისტყაოსანში“!):

„ფრიდონიცა ესვა მოყვარედ, მათ წინა მოიყვანინან,
ერთმანეთისა მეშველთა ბებრძოლნი რძეყინან.
მათთა ურჩთა და შუბკადრთა მრწანი უკვანინან,
ორგულთა მკლავნი შემუსრნეს, ერთგულნი ავლულანინან“..

ეს სტროფი ს. კაკაბაძეს რუსთაველისა ჰგონია, მაგრამ ცოტა უხერხულად ეჩვენება და ამიტომ წარმოუდგენია რომ მის წინასწარ სტროფში ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი კი არ არიან ნაგულისხმევენი, არამედ სამი მეფე: ტარიელი, ავთანდილი და როსტევეანი, რომელთაც ფრიდონიც (ე. ი. მეოთხე მეფე) მოყვრად ჰყავდათო. მაგრამ რომ სტროფი „ფრიდონცა ესვა მოყვარედ“ და სხვა, ჩანართია, და ერთი უშეერთაგანი, რომლის მსგავსი უშევრობით ბევრიც არ მოიპოვება ხელნაწერებში, ცხადზე უტყხადესი უნდა იყოს უბრალო მკითხველისათვისაც. „ვეფხისტყაოსნის“ მკვლევარისაგან კი მისი რუსთაველისად ცნობა საკვირვლად და უცნაურად გვეჩვენება!

ერთობ ცხადად ჩანს, რომ მთელი თავი: ავთანდილის და თინათინის ქორწილი, ინდოეთს წასვლა სამთა გმირთა და ნესტან-დარეჯანისა, ინდოეთში, ასმათის შეწყალბა და გასათხოვრად გამზადება, ავთანდილისა და ფრიდონის სტუმრობა ტარიელთან და ბოლოს მათი შინ დაბრუნება ჩანართია (ნაწ. II, 190. 3—32; 191; 1—16), ხოლო არა „ინდო-ხატაელთა ამბის“ ავტორის მიერ, არამედ „ვეფხისტყაოსნის“ უფრო აღრინდელი შემავსებლის მიერ დაწერილი. ამ უკანასკნელის ლექსი დიდად უკეთესია, ვიდრე ლექსი „ინდო-ხატაელთა ამბის“ ავტორის, ე. ი. უკეთესი მიბაძვა რუსთაველისა. ხოლო „ინდო-ხატაელთა ამბის“ ავტორს არ მოსწონებია ასეთი მართლაც დაფლეთილობა და დაუმთავრებლობა პირველი შემავსებლის ჩანართისა და ამ ჩანართში ჩაურთავს თავისი „ინდო-ხატაელთა ამბავი“, რუსთაველის ორსტროფიანი ეპილოგის წინ. — მართლაც არა მარტო დიდი სამხედრო ექსპედიციის საუბნით გათავება ამტკიცებს პირველი შემავსებლის ჩანართის დაფლეთილობას, არამედ კიდევ ერთი ადგილი, სადაც ისე გამოდის, თითქოს ტარიელი საჩუქრებს როსტევეანისათვის („ტურფებს ჯუბაჩებს“, „თვალთა თლილთა ჭურჭელს“, არა „კოვზებს და ჩამჩებს“), ავთანდილს კი არ ატანს, არამედ ფრიდონს. ეს შეუნიშნავს კიდევ სხვა ინტერპოლატორს და შემავსებლის ჩანართში ჩაურთავს შემდეგი სტროფი, რომელიც ვახტანგის ვერსიაში არ არის: „მასცა (ე. ი. ფრიდონს) უბოძა (ტარიელმა) ფარმანი, — „წა, სახლი მოიარეო“ და შემდეგი (ნაწ. II, 191, 10); მერმე ავთანდილს უთხრა. „უშენოდ რამცა ვით გავიხარეო“ და შემდეგი (იქვე). ახლა, რასაკვირველია, ტარიელმა მხოლოდ ავთანდილს უნდა გაატანოს საჩუქრები როსტევეანისათვის და უთხრას: „ჩემ მაგიერ მიუტანე, წა, ნურას მეურჩებიო“ (იქვე, სტროფი II). თანამედროვე გამომცემელს „ვეფხისტყაოსნისა“, უკეთუ იგი დატოვებს ვახტანგის ვერსიაშიც არსებულ ძველ დამატებას შემავსებლისა, ბოლოს მოთხრობისა, ყოველივე ამით აქვს მიზეზი „ინდო-ხატაელთა ამბით „და სხვა მცირე ჩანართებით შეავსოს პოემა, სულ ერთია, მიაჩნია, თუ არა მას ჩანართები რუსთაველისად, რათა მთელ მოხრობას მიანიჭოს ბუნებრივი მსგულელობა, რაიცა ქმნეს კ. კიპინაძემ და უნივერსიტეტის გამომცემის რედაქტორებმა, მათ შორის

თვით პ. ინგოროყვამ! მაგრამ ასეთი გამოცემები კრიტიკულ გამოცემებად „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტისა ვერ ჩაითვლება.

ვინ იყო ვახტანგის ვერსიაში შეტანილი „ვეფხისტყაოსნის“ უკანასკნელი თავის დამწერი? თვით ამ თავის ენის განხილვა გვაძლევს ნებას ვიპოვოთ, რომ ეს ავტორი იყო მესხი მელექსე. რომელიც თავის თავს „ვეფხისტყაოსნის“ ე. წ. „დასასრულში“ ახსენებს (ნაწ. II, 192). ეს მესხი მელექსე ნაკითხ, განათლებულ მელექსედ ჩანს, იგი ხშირად ისე კარგად ბაძავს რუსთაველს, რომ მისი ლექსი ძნელად ირჩევა რუსთაველის ლექსისაგან, ზოგჯერ კი ცუდად ბაძავს, იგი ნიჭიერი მელექსეა, მაგრამ არა დიდი ნიჭით დაჯილდოვებული. მისი ჩანართები უმიზნო და უაზრო არ არის, როგორც სხვა ინტერპოლატორთა, რომელნიც განსაზღვრული მისაღები მიზნითაც თხზავენ თავის ჩანართებს, უფრო ხშირად კი ამ ჩანართებით თითქოს ეჯიბრებიან, ან სრულყოფენ რუსთაველის ან მისი შემავსებელის ნათქვამს. ზოგიერთი იმ ჩანართთაგან, რომელნიც „ვეფხისტყაოსანში“ უხვად არიან გაბნეულნი, ჩანს, რომ აგრეთვე მესხი მელექსის კალამს ეკუთვნის, — არა მარტო „დასასრული“, რომლის ავტორად იგი თვით აღიარებს თავის თავს. „ვეფხისტყაოსანში“ მოიპოვება კიდევ ერთი საკმაოდ ვრცელი თავი, — „ამბავი როსტევეანის მიერ ავთანდილის სანადიროდ მიწვევისა ტარიელის სამყოფთაგან მისი დაბრუნების შემდეგ“ (ნაწ. II, 90, 2—7), რომელიც იმავე ავტორის მიერ შეთხზული უნდა იყოს, და სხვა. პირველ დიდ ჩანართში შესამჩნევი არიან თავისებურობანი ამ ავტორის მიერ ამბის მოთხრობის წესისა: უცნაური შეცვლა ავთანდილის და თინათინის ქორწილისა ტარიელის და ნესტანდარეჯანის (მესამე!) ქორწილად როსტევეანისას, ტარიელის მიერ ფრიდონის მაგივრად ც. მადლის გადახდა ძღვნისათვის როსტევეანის წინაშე და სხვა. იქვე მას აზრები აქვს გამოთქმული, რომლებიც რუსთაველისას არა ჰგვანან: „ზროხა და ცხვარი დაკლული არს უმრავლესი ხაესისა“ (ნაწ. II, 190, 4,2); „არა დარჩა უსაბოძგრო არ კოკლი და არ საპყარი“ (იქვე, 7, 1); „ავთანდილ უთხრა ტარიელს ესე სიტყვები ორები“ (იქვე, 18,1), — მიბაძვა რუსთაველისა: „ისმინე სიტყვა ასეები“ (VIII, 28, 1), „ვინ იქმთ საქმესა ესებსა“ (იქვე, 38, 3), სადაც „ასეები“ 100-ები კი არ არის, არამედ იგი ნიშნავს „ეს“-ს, „ასეთ“-ს და აგრეთვე „ესეები“ — „ეს“-ს, „ესეთ“-ს (ეს — სუფიქსი-ები). „ინტერპოლატორს კი შემცდარი ანალოგიით „ორ-ები“ უთქვამს, რაც რიცხვს „ორს“ ნიშნავს! შემდეგ: „ცხელი სდის წყარო ცრემლისა, მართ ვითა ქვაბი ცხელდების (!) „(ნაწ. II, 190, 28, 3); „მინდორსა შინა სადილად გარდახდეს უდილადოსა“ (!) (იქვე, 32, 3), და სხვადასხვა. მას უყვარს აგრეთვე გამოთქმანი „ღმერთსა მათებრი სხვა რამცა დაებადოსა“ (იქვე, ტაეპი I) და მსგავსნი, და კიდევ სხვა

¹ სიტყვა, რომელიც არსად სხვაგან არ ვხვდებმა და გაუგებარია, ესაა უ დ ი ლ ა დ ო — უსაღილო, უხმავ? უდილადოსა — უხმავად? — ი. აბულაძის ახსნა „მუდამ დღე“, „ყოველთვის“ („ვეფხისტყაოსანი“ ეგ. 319). ყოვლად შეუწუნარებელია;

ნიშნებს ნახავს მკითხველი ჩანართებში, როგორც ამჟღავნებს მესხ მელექსეს, როგორც „ვეფხისტყაოსნის“ პირველ შემავსებელს. ერთ მთავარ მის თავისებურ ნაკლთავანი იყო მისი დაუდევრობა ჩანართთა შეთხზვისას, რაიცა სხვა ინტერპოლატორთ კიდევ სხვა ჩანართთა შეთხზვას აიძულებდა, როგორც ერთი მაგალითით ეს ზემოთ აღვნიშნეთ.

IV

ე. წ. „დასასრული“ „ვეფხისტყაოსნისა“ მესხი მელექსის კალამს ეკუთვნის და ამას თვით ავტორი აღიარებს (ნაწ. II, 192, 1—5), რასაც ღიდი მნიშვნელობა აქვს სხვა ჩანართთა გამორკვევისათვისაც. ხუთივე სტროფი ამ „დასასრულისა“ მესხი მელექსისაა და პ. ინგოროყვა ცდება, როდესაც იგი მეორე სტროფს რუსთაველისად აღიარებს და თვისი მიზნისათვის გარდაქმნის მას, ხოლო მესამე სტროფს — ჩანართად, რადგანაც მას ჰგონია, რომ ავტორი „ლაცობად“ აცხადებს მთელს პოემას, მაშინ როდესაც რუსთაველისათვის „შიაირობა სიბრძნისა ერთი დარგი“-ო. მაგრამ გარდა იმისა, რომ ვერც „შიაირობის“ „დასაწყისის“ (ნაწ. II, 3—8) სტროფებს ჩავთვლით რუსთაველისად, „ვილაყფეთანი“, ეს ყოვლად მიუღებელი ფორმა „ვილაყფენითა“-ს ნაცვლად, მხოლოდ გაჭირვების ნაყოფია ლექსის შეწყობის დროს და ნიშნავს „სიტყვა განვავარჩეთ“ ან მსგავსს. არავითარი წინააღმდეგობა აქ არ არის „შიაირობის“ ნიშნით, რომლის სტროფები მისვე კალამს ეკუთვნის, ვინც „ვილაყფეთანი“ და მთელი დასასრული მიაწერა, მესხ-მელექსეს.

მესხი მელექსე ამბობს: „ვწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთაველისად ამისა“-ო (სტრ. 1,4). ვარიანტები „რუსთაველისა თემისა“, „რუსთაველისა დამისა“, „რუსთაველისა დაბისა“ (ბროსეს შესწორება) მიუღებელია. სტროფი ნიშნავს: „მე, ვინმე მესხი მელექსე, რუსთაველისათვის ე. ი. რუსთაველის მაკვირად ვწერ („ამას“-ო). ავტორს უხმარია „ამისა“ (დამისად) ნაცვლად ჯერ კარათულში ხშირად ნახმარები განსაზღვრული ნაწევრისა „მისა“ (დამისად), რაიცა აგრეთვე მისი გაჭირვების მაჩვენებელია ლექსის შეწყობის დროს. მას შეეძლო ეთქვა: „რუსთაველისად მისა“, მაგრამ ეს მას არ მოეწონებოდა, როგორც შიარის თვისების შეცვლა, რომ ამ ტაქტის გაგება სხვანაირად არ შეიძლება, ამას ინგოროყვამაც და სხვებმაც მიაქციეს ყურადღება და ღიდიმნიშვნელოვანი დასკვნაც გამოიტანეს, რომ მესხი მელექსე რუსთაველი არ არის, არამედ სხვა პოეტი, „მისთვის“, რუსთაველისათვის მწერალი. ი. აბულაძის „ვწერ ვინმე მესხი, მელექსე მე რუსთაველი.. სად ამისა...“ ვწერ ვინმე მესხი მელექსე — რუსთაველი და სად მე და სად „ვეფხისტყაოსნის“ მელექსეო. (ე. ი. სხვა ჩვენგან სახელით უცნობი პოეტი), მართლაც უაღრესად შეუწყნარებელი გაუგებრობაა, — თვით წინადადება, მისი წესით წაკითხული, შეუძ-

ლებელი! ხოლო კ. ჭიკინაძის დაუინება, რუსთაველი თავის თავზედაც იტყო-
და „რუსთაველისად ამისა“, ე. ი. როგორც რუსთაველით, სრული უგულუბელ-
ყოფაა ძველი ქართულის გრამატიკისა, რომელ ცოდვას ჩვენ რუსთაველს ვე-
რავეთარ შენთხვევაში და ვერავითარი ჩვენი ჰიპოთეზისის გასამართლებლად
ვერ შეგვამებთ! ცხადი და უეჭველია, რომ რუსთაველი, იყო თუ არა იგი
ტომით მესხი, სულ ერთია, „ვეფხისტყაოსნის“ ავტორია, ხოლო მესხი მე-
ლექსე სულ სხვა პოეტი, თვით მისივე ნათლად ნათქვამი სიტყვით, — რუს-
თველისათვის „მწერალი“. — აქ ყურადღება იმ მკვლევართა მსჯელობისა და
დასკვნათა, რომელთაც რუსთაველის ტექსტი ინტერპოლატორთა ტექსტისა-
გან ვერ განურჩევიათ, მათ მიერ ზრუდელ გაგებაზე ამ ტექსტთა ადგილთა ემ-
ყარებისა და წმიდა ქაოსს ჭმნიან თავის აზროვნებაში, შეუძლებელია, რო-
გორც, მაგ., ი. აბულაძის მსჯელობისა და დასკვნათა, „მესხი-მელექსე—რუს-
თველის (!), შესახებ, რომელიც თითქოს, „თავის თავს მიაწერს პოემის და-
წერას (!)“. აქეთგან გამომდინარეობს წის მიერ „პოეტი წოთას“ რუსთაველად
სახელწოდების „პარობოტიდ“ ჩათვლა და სხვა ამგვარი უცნაურობა (იხ. მი-
სი „ვეფხისტყაოსნის“ გვ. LVII—LXX). ს. კაკაბაძის ამგვარივე მსჯელობებ-
ზე და დასკვნებზე საუბარიც ზედნეტად მივიწინა, ხოლო ასეთი რამ არა თუ
ჩრდილს აყენებს ამ მკვლევართა სხვა ღვაწლს რუსთაველოლოგიის წინაშე,
არამედ დიდად აბრკოლენს „ვეფხისტყაოსნის“ კვლევას.

მესხი-მელექსის სიტყვები: „ვეწერ ვინმე მესხი ნელექსე მე „რუსთაველი-
სად ამისაო“ სრულიად ნათელია და მრავალი მხრით მნიშვნელოვანი. 1. მეს-
ხი-მელექსე, ეს „ვინმე“, ე. ი. არა დიდად შესანიშნავი პოეტი, რუსთაველის-
თვის სწერს. 2. ეს მისი „წერა“ არ ნიშნავს მხოლოდ „დასასრულის“ ხუთი
სტროფის დაწერას, — ამ შენთხვევაში იგი სხვაგვარად იტყოდა აგრეთვე ნათ-
ლად, თავის აზრს, — არამედ ეს ნიშნავს იმას, რომ მას რუსთაველის მთელი
პოემისათვის „უწერია“, — გაღაუწერია იგი, შეუესია და შეუშკია, — გამო-
უცია ამგვარად თავისი რედაქტორობით, და ამას აცნობს მკითხველს წიგნის
„დასასრულში“. 3. იგი ახსენებს პოემის ავტორს, რუსთაველს, და ამით სა-
ფუძველი აქვს იმ ძველ ტრადიციას, რომელიც „ვეფხისტყაოსნის“ დამწერად
„წოთა რუსთაველს“ ასახელებს. ეს უეჭველი ფაქტი დაუფასებელ საშუალებას
გვაძლევს „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის კვლევისათვისაც. 4. რასაც რუსთავე-
ლი, რომელიც აგრეთვე თავის სახელს ამბობს მიძღვნაში (სტრ. 2,1), თავისი
პოემის წარმოშობისათვის გვეუბნება (მიძღვნა, V, სტრ. 3), მაგრამ მოკლედ,
იმასვე მესხი-მელექსე ცოტა უფრო ვრცლად მოგვითხრობს (დასასრული,
სტრ. 2—3), და ეს განმარტება „გამომცემელი“ მესხი-მელექსისა „ვეფხის-
ტყაოსნის“ დამწერის რუსთაველისათვის დაწერილი, სრულიად ბუნებრივია.

ხუთი სტროფი მესხი-მელექსის „დასასრულისა“ მოიპოვება ვახტანგის
ვერსიაშიც და ყველა ხელნაწერშიც „ვეფხისტყაოსნისა“. უამისოდ არც ერ-
თი „ვეფხისტყაოსანი“ არ მოგვეპოვება და ეს იმისი მაჩვენებელია, რომ ყვე-

ლა ვერსია მისი გამოუკლისად მესხი-მელექსის რედაქტორობით გამოცემული დედნიდან მომდინარეობს. „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის კრიტიკის საქმეა, მაშასადამე, უპირველეს ყოვლისა, გამოყოს რუსთაველის ტექსტიდან მესხი-მელექსის ჩანართები. რაც ჩანართი ამის შემდეგ დაგვრჩება, ის უნდა ჩაითვალოს გვიანდელ ჩანართად, რომელიც სხვადასხვა პირთაგან სხვადასხვა დროს იწერებოდა სხვადასხვა ღირსების მქონე ლექსით, და ერთვოდა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტს რუსთაველისა და აგრეთვე მესხის მელექსისა, რომელსაც აროდეს მიუწერია თავის თავისთვის „ვეფხისტყაოსნის“ დაწერა, არამედ პირველი გამოცემლობა მისი აღსურვლებია თავისებურად.

მესხი-მელექსის ჩანართთა გამოყოფა რუსთაველის ტექსტიდან გარდაუვალ სიძნელეს არ წარმოადგენს. რომ „დასარული“ მის კალამს ეკუთვნის, ეს ზენონათქვამით უეჭველია, რომ ბოლო თავი მოთხრობისა მისივე დაწერილია, ესეც ცხადად ჩანს თვით მესხი-მელექსეს სიტყვებიდან: „გასრულდა მათი ამბავი ვითა სიზმარი ღამისა“, „ვეწერ ვინმე მესხი-მელექსე მე რუსთაველისად ამისა“ (დასასრ. 1,1; 4). „მათი ამბავი“ სწორედ იმ ბოლო თავით გასრულდა, რომელიც მესხმა-მელექსემ რუსთაველისათვის დაწერა ამ ჩანართში ვხედავთ რუსთაველის კარგ წაბაძვას სტროფთა უმეტესი ნაწილის შეთხზვისას, მაგრამ აგრეთვე დაუმთავრებლობას, ერთგვარ დაუდევრობას, რასაც სხვა ინტერპოლატორთა ჩანართების შეთხზვა გამოუწვევია, — ზოგან ლექსის უვარგისობასაც; და სრულიად ასეთივე თვისებისაა ჩანართი 90, — როსტევეანის მიერ ავთანდილის სანადიროდ მიწვევის ამბავი, როდესაც ავთანდილი ტარიელის სამყოფთაგან არაბეთს დაბრუნდა, — ნამდვილი, მაგრამ ცუდი წაბაძვა რუსთაველისა, რომელსაც მოთხრობილი აქვს ამბავი ტარიელის სანადიროდ მიწვევისა ფარსადანის მიერ, როდესაც ტარიელი ხატავთიდან დაბრუნდა გამარჯვებული (III, 145—149). არის კიდევ მრავალი ადგილი „ვეფხისტყაოსანში“, რომელიც რუსთაველის მიერ არ შეიძლება იყოს დაწერილი, არამედ ამ ადგილებს ცხადად ეტყობა ჩანართობა სხვა პოეტის მიერ, მოთხრობის განვრცობისა, განმარტებისა, დრამატიზაციისა და სხვა მიზნით, და რადგანაც ამ ადგილთა ლექსი ერთობ, მცირე გამოწყლისით, კარგი წაბაძვა რუსთაველისა, და სხვა ნიშანთა მიხედვითაც, ეს ადგილებიც მესხი-მელექსის დიდ და მცირე ჩანართებად უნდა ჩაითვალოს. თითოეული მათგანი ქვემოთ იქმნება განხილული. აქ კი ყურადღილოთ ჯერ ე. წ. „დასაწყისი“ „ვეფხისტყაოსნისა“, რომელიც კიდევ მეტ გაუგებრობას იწვევს მკვლევართა შორის, ვიდრე „დასასრული“, თავისი უცნაური აგებულობით: სტროფთა ლექსის სხვადასხვაობით, ნაკვეთთა შინაარსის შეუსაბამობით და სხვა, თითქოს ეს „დასაწყისი“ რამდენიმე პოეტისაგან იყოს დაწერილი¹.

„ბედი ქართლსა“, პარიზი, 1952, № 12

¹ ვაარძელება სხვა ნომერში. იხ შენიშვნები, რედ.

1. „მიძღვნა“ მესამე სტროფის მეოთხე ტაეპი ჩვენ აღვადგინეთ: „ჩემსა ხელ-მკმნელსა შევმართო, ლაღსა მას, ლამაზმანები (?!)“. აღდგენა შესაძლებელია, რადგანაც ტაეპს და მთელ სტროფს აზრი ეძლევა, ხოლო დამაკმაყოფილებელი არ იყო ჩემთვის: რად უნდა ჩვენებოდა რუსთაველს „ლამაზმანების“ მიძღვნა მეფისათვის „საქოკმანო საქმედ?“ ეს საკითხი ადვილად გადაწყდება, თუ სხვაგვარად აღვადგენთ ამ ტაეპს, რომელიც წარხორცილი ყოფილა და გადამწერთაგან უაზროდ აღდგენილი (იხ. ი. აბულაძე) ჩემთვის უფრო მისაღები აღდგენა შემდეგნაირად შეიძლება: „ჩემსა ხელ-მკმნელსა შევმართო, ლაღსა მას, კელა[ვ] აზმანები(?)!“. ახლა ცხადია მიზეზი რუსთაველის ქოკმანისა: „კიდე შევაწუხო ქებათა მიძღვნით ამაყი ხელმწიფე?! *წინათ ხომ უძღვნა მას „ისტორიანი და აზმანი“! — „აზმანები“ ორი მრავლობითი რიცხვის ნიშნით არის ნაწარმოები. ბერძნული სიტყვიდან აზმა („ქება“): აზმ-ან-ებ-ი, რაგვარადაც, მაგ. და-ნ-ები, მმ-ან-ები, დაბ-ნ-ები (⟨დაბ-ან-ები) და სხვა. ყურადსაღებია, რომ არაებობდა ქართული ზმნა აზმ-ნობა—„ქება“, ნაწარმოები მრავალ რიცხვის აზმ[ა]ნ-ისაგან: „ანა დედოფლის ქართლის ცხოვრებაში“ (ყაუხჩი. გამოცემა, გვ. 229) ეკითხულობთ: „შემოკრბენ ოდესმე წინაშე მეფისა (დავითისი) სომეხთა ეპისკოპოზნი და სხვა, „რომელნი ა ზ მ ნ ო ბ დ ე ს თავთა თვისთა მიწვენად თავსა ყოვლისა სწავლულებიან და მეცნიერებისასა“-ო (ე. ი. იქებდნენ თავს, რომ მიღწეულ იყენენ სათავეს ყოვლისა სწავლისა და მეცნიერებისა). ასეთი აღდგენა „მიძღვნის“ მესამე სტროფის მეოთხე ტაეპისა შესაძლებელ ჰყოფს აგრეთვე უფრო სწორ აღდგენას „დასასრულის მეორე სტროფის ტაეპისაც: „ესე ამბავი გავლექსე მე მათად ს ა ა ზ მ ა ნ ე ბ ლ ა დ, ე. ი. „საქებლად“ და არა „საკამათებლად“. ე. ი. „საცილოდ“, „შესაღარებლად“, ანდა „საკუმარებლად“, ინგოროყვა — სხივთა „თინათინებლად“! (რაგვარადაც აღდგენენ ნ. მარი და პ. ინგოროყვა). ამ ჩვენ აღდგენათა მიღებით („აზმანები“, „სააზმანებლად“) უფრო ნათელი ხდება აზრი რაგვარადაც მიძღვნის, ისე დასასრულის მთელ სტროფთა.

2. აბულაძე 525 სტროფის მესამე ტაეპისათვის ჩვენ ვარჩიეთ ვარიანტი: „ქვითა დავლენეთ წვივები, ჩვენ იგი გავიანტენით“, ე. ი. „მიზანში ამოვიღეთ“ (ბერძნული „ა ნ ტ ა“-თგან ნაწარმოები ზმნა „გაანტება“). მაგრამ ეს შესაძლებელია მხოლოდ, თუ „იგი“ გულისხმობს „წვივებს“ (ყედლებს). ხოლო თუ მეორე ვარიანტს ავირჩევთ „ჩვენ იგი გავანატენით“, რითმა ირღვევა (—ანტენით, — ანტენით, — ნატენით, — ანტენით), მაგრამ სამაგიეროდ „იგი“ იგულისხმებს მაშინ არა „წვივებს“, არამედ „ქალაქს“ (ტაეპი მეორე: „ფიცხლად წავუღეთ ქალაქი“), და მივიღებთ აზრს: „ჩვენ იგი (ე. ი. ქალაქი) გავატყავეთ, რაიცა ორნაირად შეიძლება გავიგოთ: ეს ნიშნავს ან „ქალაქის კედელთა აღძარცვას“, ქალაქის „გაშთვლებას“, ანდა „ქალაქის „გაძარცვას“, „აყლებას“ — „გატყავებას“. შეიძლება მეორე მნიშვნელობა უფრო მისაღები იყოს,

რადგანაც წევრთა ტაეპი გვეუბნება: „მომკალით, ლარი დალიოთ ან აკიდებოთ ან ტენით“-ო. ამას გარდა, მარიამ დედოფლის ქართლის ცხოვრების ვარიანტში (თაყაიშვილის გამოცემა, გვ. 405) ჩვენ ვკითხულობთ: „ვინათგან მათგან დაძრკვილნი და უნატოდ გაძეულნი ვართ“ და სხვა. ე. ი. მათგან ვართ განძარცულნი და ტყავგამძვრალნი, გაძევებულნი-ო (ჩივიან თამარის დროის უკმაყოფილო დიდგვარიანნი). და ახალ ქართულადაც „გატყაება“ ხომ გაძარცვასაც ნიშნავს.

როგორც ვხედავთ, არჩევანი არც ისე ადვილია. მე კი მაინც ვირჩევ ვარიანტს „გავიანტენით“. რითმაც არ ირღვევა და რუსთაველს ამით სამხედრო მოქმედების აღნიშნვა უნდა სდომოდა, — კედელთა დაღეწისა მანქანათაგან ქვათა სროლით, მათი მიზანში ამოღებით.

„ბედი ქართლისა“, პარიზი, 1955 № 17.

მიხაილ წამრთალი

„რუსთაველი და ფოლკლორი“

ი. მეგრელიძის ეს ძვირფასი შრომა მშვენიერი შენაძენია რუსთაველოლოგიისათვის. ავტორმა შეკრიბა ყველა ლეგენდა და ქართული ხალხური ჯადმოცემა რუსთაველზე და მისი პოემის „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ, ასევე თავი მოუყარა მდიდარ კონას აფორიზმებისა, ნაკვეთების, ანდაზების და სხვას, რაც კი რამ მოიპოვება პოემაში და გადასულია ქართულ ხალხურ სიტყვიერებაში.

მეგრელიძეს მზრუნველის ხელით შეუკრებია ყველა ლეგენდა და რუსთაველის ცხოვრების ამსახველი გადმოცემები, კრიტიკულად განუხილავს ისინი, შეუკრებია ისტორიულ მონაცემებთან იმისათვის, რომ დაეყვანა შემდეგ დასკვნამდე: რუსთაველი შეიძლება ყოფილიყო დიდი მოხელე თამარ მეფის კარზე (XII საუკ.). რადგან თამარ დედოფალზე იყო შეყვარებული, ამიტომ მას შეეძლო დედოფლისადმი მიეძღვნა თავისი პოემა, როგორც ეს მითითებულია „ვეფხისტყაოსნის“ შესავალში (ეპილოგში) და რომ ეს სტროფები რუსთაველის მიერაა დაწერილი, მის ცხოვრებაში ნომხდარი რომელიღაც გარემოების შედეგად მას დაუტოვებია საქართველო, მას თავისი სიცოცხლე დაუსრულებია იერუსალიმის ქართველთა ჯვარის მონასტერში, რის შესახებაც ძველი ხალხური ტრადიცია გადმოგვცემსო.

მეგრელიძის აზრით, „ვეფხისტყაოსანი“ სრულიადაც არ არის რუსთაველის მიერ სპარსული ამბის ქართულად გალექსილი პოემა. მტკიცება საწინააღმდეგოა თვით რუსთაველისა, რომელიც არ შეიძლება მიგვეწერა მისი სურვილისათვის, რომ დაეფარა ფაქტი: იგი ეხებოდა ორიგინალურ და ინდივიდუალურ ნაშრომს, განკუთვნილს იმისათვის, რომ მიეძღვნა დიდი დედოფლისათვის? ეს არის პოეტის გენიალური შემოქმედება, რომელიც შეიცავს რიგ მასწავლებელ ელემენტებსაც ქართული ხალხური ზღაპრებიდან და მოთხრობებიდან და სხვა.

სწორედ ასევე რიგი რამდენიმე აფორიზმი, ნაკვეთი, ანდაზა და სხვა,

რომლებსაც ჩვენ ვკითხულობთ „ვეფხისტყაოსანში“, რუსთველისა არაა, — ჩვენ ვნახულობთ მის წყაროებს სხვა ქართულ მწერლებთან ისევე, როგორც უცხოელ ავტორებთან და სხვა ხალხთა ფოლკლორულ მემკვიდრეობაში.

მაინც შეიძლება ითქვას, რომ დიდი ნაწილი ღრმა აზრებისა, რომელიც წარმოდგენილია მისი პოემის შრავალ აფორიზმში, რუსთველის საკუთრებაა, მაგრამ მას შემდეგ. „ვეფხისტყაოსნის“ პოპულარობის წყალობით. ისინი იქცნენ ყოველი შემთხვევისათვის ხმარებულ ანდაზებად და ნათქვამებად ქართველი ხალხის სიტყვიერებაში. ასე რომ, შეიძლება ითქვას, „ვეფხისტყაოსნის“ გავლენა ქართულ ფოლკლორზე უფრო დიდია, ვიდრე ნასესხობა ფოლკლორიდან „ვეფხისტყაოსნის“ ავტორისა.

რაც შეეხება ჩართულ სტროფებსა და „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის შერყენას, მე მინდა ყურადღება მივაქციეინო მეგრელიძესა და სხვა მკვლევართ კრიტიკული ანალიზის აბსოლუტურ საჭიროებაზე. სინამდვილეში არსებობენ უცნაური რუსთველოლოგები, რომელნიც კრძალავენ თითქმის ყოველგვარ კრიტიკას. „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის მიმართ, იქნება ეს ხელნაწერი, თუ ბეჭდურად გამოცემული და გააფთრებით იცავენ ყოველ სტროფს, რაც უნდა ცუდი და ცუდად გადაწერილი იყოს ის და გადამწერლების მიერ აღდგენილ ყოველ სიტყვას. თუკი უაზრობას არ შეიცავენ ისინი. მიუხედავად ამისა, ტექსტებში არის, რომელიც ჩვენ მოგვეპოვება, მრავალი ვარიანტის სახით, ბევრი ისეთი სტროფი, რომელიც რამდენიმე ხელნაწერს აკლია. რაც უდაოდ მაჩვენებელია იმისა, რომ ტექსტი შერყვნილია გადამწერლებს, პოეტების ან ვერსიფიკატორების მიერ ჩამატებული სტროფებით, რომელთაც სურვილი ჰქონდათ „შეეცნათ“ ან „გაელამაზებინათ“ „ვეფხისტყაოსანი“.

გარდა ამისა, არსებობს ცნობილი საბუთი, რომელშიაც დასახელებულია ყველაზე ცუდი „ვეფხისტყაოსნის“ ინტერპოლიატორთაგანი: მანუჩარ ციციშვილი. ერთ ქართველ მწერალს — მ. ჯავახიშვილს მეგრელიძისათვის უთქვამს: შესაძლებელია, რუსთველი ამუშავებდა თავის პოემას და თავისი შრომის სხვადასხვა ნაწილის რამდენიმე რედაქცია ჰქონდაო. ამისათვის ზოგიერთი ჩამატებულად მიჩნეული სტროფი მეტი ნდობის ღირსია, ვიდრე მას მიაწერენო. მაგრამ ჯავახიშვილის ამ ჰიპოთეზას დიდი მნიშვნელობა ვერ მიეცემა: რუსთველი უთუოდ აკეთებდა თავის ტექსტს დიდის გულშეღვინებით, სანამ ის მიიღებდა დასრულებულ ფორმას, როგორც ამას ჩადის ყოველი მწერალი. მაგრამ პოეტის ამ შავად ნაწერს ჩვენამდე არ მოუღწევია და უფროსარწმუნოა, რომ ის არასდროს არ აღმოჩნდება. რუსთველის მიერ „გადაკეთებული“ ჩვენამდე მოღწეული „ვეფხისტყაოსანი“ კი კრიტიკის უპირველეს საზრუნავ საგანს შეადგენს, რომ გამოჰყოს ნამდვილი რუსთველის ტექსტი ინტერპოლიაციით სავსე ხელნაწერებიდან, რომელსაც უშეცდომო ნიშნითაც სცნობენ: ცუდი ლექსი, უადგილო ჩანართი, სტროფების კონტექსტთან წინა-

აღმდევობა და ხშირად უაზრობა. მაგალითად, შესავლის სტროფის გამოთქმა: „გასტენს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა ლბილსა“, რომელიც მკვლევართა მიერ მიჩნეული იყო, როგორც ჩართული, რადგან, მათი აზრით, ტყვიის გრდემლი არ არსებობდა. სხვა მკვლევარნი პირველებს უსაყვედურებდნენ ფაქტის უცოდინარობას, რომ „ტყვიის გრდემლი“, რომელზედაც თლიდნენ და ამტკრევდნენ „ქვასაცა მაგარსა“ (აღმასი), დიდი ხნიდან არსებობდა და ეს ცნობილი იყო ვახტანგ მეფისათვის და სხვა. შესაძლებელია დავასკვნათ, რომ აღნიშნული სტროფი უცილობლად რუსთაველს უნდა ეკუთვნოდეს. ტყვიის გრდემლის არსებობის ფაქტის მიუხედავად, სხვა მკვლევართ ეს სტროფი ჭერაც ჩამტებულად მიიჩნიათ. ეყრდნობიან რა სხვა მონაცემებს, უმთავრესად აშკარაა წინააღმდეგობის ფაქტზე ამ სტროფისა რუსთაველის სიტყვებთან, სადაც ლაპარაკობს, სხვათა შორის, რომ „ვეფხისტყაოსანი“ დაწერა „სიყვარულით გახელებულმა“ (მისი სიყვარულით გახელებულმა, ესე იგი სიყვარულით თამარ დედოფლისადმი) და ყოყმანობდა, რომ გაბედავდა მიეძღვნა ეს პოემა ამაყ დედოფლისადმი, რომელმაც იგი გაავიჯა. მართლაც „გრდემლი ტყვიისა“ სტროფში რუსთაველი ამბობს, რომ მას „უბრძანეს“ ეთქვა ტკბილი ლექსები თამარის საქებრად და სხვა. არამცთუ ეს სტროფი, არამედ წინა სამიც და ორი მოჰდევნო იმავე მკვლევართა მიერ მიჩნეულია უცხო ჩანაშატარ, და მართლაც, ეს სტროფი აკლია ერთ ღველ ხელნაწერს! ან კიდევ ის სტროფი, რომელშიაც ავთანდილს ატყვევებებს, რომ ის სტოვეებს სამსახურს დედოფალ თინათინისას, მისი საყვარლისას, და სურს დარჩეს ტარიელთან სიკვდილამდე (რადგან ზან ზისი სილამაზე ნახას!) და სხვა. განა ასეთი გამოთქმა სრულ წინააღმდეგობაში არაა ზთელ იდეათა კომპლექსებსა და კონცეპციასთან „ვეფხისტყაოსნისა“? ერთგულების მიცემული ფიცის დარღვევა თავისი მბრძანებლისა და საყვარლისადმი — ამისი მსგავსი სულმდაბლობა არასდროს ფიქრად არ მოუვიდოდა ავთანდილს! მით უმეტეს, მას არასდროს არ შეეძლო თავისი რაინდული მოვალეობისათვის ელატა. მადლობა უნდა გადავუხადოთ იუსტ. აბულაძეს, რომ მან ეს სტროფი ტექსტიდან განდევნა. მრავალი სხვა მაგალითის ციტირება შეიძლებოდა, საიდანაც ნათლად დაინახავდით არა ავტენტურობას ხელნაწერის ზოგიერთი სტროფისთვისა, მაგრამ ეს ჩვენ შორის წავეციყვანდა. რა თქმა უნდა, ყველაზე დიდი ინტერპოლატორი იყო მესხი პოლექსე (მესხი პოეტი), რომელმაც დაწერა „რუსთაველისათვის“, როგორც ის ამბობს ეპილოგში (ინგოროყვას ეს გაკვეთილი სწორია, სტროფის ამ ტექსტის სხვანაირად გაგება არ შეიძლება). მაგრამ ვინმე მესხმა სამაგიეროდ ჩაურთო საუკეთესო სტროფები, თითქმის ისევე მშვენიერი, როგორიც რუსთაველისაა და უმრავლეს შემთხვევაში შეგნებულად ჩაურთო იმ ადგილებში, რომლის შევსებაც უნდოდა, რომ მიეცა უფრო მომხიბვლელი სახე იმდენად, რომ ძნელი გახდა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტიდან მათი გამოყოფა, ვიდრე ნაკლებად ნიჭიერმა სხვა ინტერპოლატორებმა მოიმოქმედეს. მაგრამ

კრიტიკოსები მოვალენი არიან გამოთქვან თავიანთი ექვი აგრეთვე იმ სტროფების ავტენტიურობაზე, რომელიც შეიძლება მიეწეროს მესხ მელექსეს.

მეგრელიძე არ აზვიადებს „რეაქციური“ ეკლესიის წინააღმდეგობას (ოპოზიციას) რუსოველისა და სხვა საერო მწერალთა პროგრესული და ჰუმანიური იდეების მიმართ, როგორც ამას ხშირად ჩაიდან სხვა რუსთველოლოგები. მართლაც. ინკვიზიცია და აუტოდაფე არასდროს არ არსებულა საქართველოში. შესაძლებელია, მაგალითად, რომ ინტრიგებსა და აზრთა სხვადასხვაობას იძულებული გაეხადა ფილოსოფოსი პეტრიწონელი, დეტოვებინა საქართველო (წიფე დავით აღმაშენებლის ეპოქაში, იმ დროს, როდესაც თვით იყო ლიბერალი. სარწმუნოების შემწყნარებელი „ფილოსოფოსი“), ან რუსთაველმა თავისი პოეზით გამოიწვია უკმაყოფილება ზოგიერთ საეკლესიო პირთა (თამარ ღვდომელის დროს ქართველი საერო კულტურის გაფუჩქების ეპოქაში). ესეც ცნობილია, რომ ფანტიკოსმა ბერმა ტიმოთე გაბაშვილმა უგუნური აზრები გამოთქვა რუსთაველზე და მის შრომაზე (XVIII საუკ.). ამასვე ამობენ კათოლიკოს ანტონზე, რომ თითქოს მას მტკვარში ჩაეყაროს „ვეფხისტყაოსნის“ დაბეჭდილი ეგზემპლარები ფანტიკოს მორწმუნეთა წაქეზებითო და სხვადასხვა, მაგრამ ყველაფერი ეს როდი ამტკიცებს იმას, რომ „რეაქციონური სამღვდლოება სისტემატურად სდევნიდა პროგრესულ იდეებს“, საერო ლიტერატურას და სხვა. არც ესაა დასაჯერებელი, რომ სიტყვიერების დიდ მასწავლებელ კათოლიკოს ანტონს წყალში გადაეყაროს ვახტანგ ზეფის დაბეჭდილი „ვეფხისტყაოსნის“ ეგზემპლარები. არის მრავალი სხვა საბუთი, რომელიც გვინჩვენებს, რომ „ვეფხისტყაოსანი“ პატივცემული იყო ყველა ქართველის სასულიერო თუ საერო წრის წარმომადგენლისათვის საუკუნეთა განმავლობაში, და სწორედ ამ უდავო ფაქტით აიხსნება „ვეფხისტყაოსნის“ მრავალი პირის არსებობა, რომელიც ჩვენ დღეს გაგვაჩნია. მიორე მხრით, მეგრელიძე შენიშნავს სწორად, რომ საშუალო საუკუნეების მწერალ რუსთაველს არ უნდა მივაწეროთ ჩვენი დროის იდეები, როგორც ამას ზოგიერთი ჩადიო.

მეგრელიძე ეხება სხვა საკითხებსაც რუსთაველის შესახებ და მათ იხილავს ისევე ზომიერი კრიტიკის გონებით; იგი ვერ აიყოლია ხალხური ტრადიციის ფანტაზიის დინებას და ვერც ზოგიერთმა მეცნიერმა. მისი აზრით, რუსთაველი იყო წარმოშობით მესხი, სამხრეთ საქართველოდან, როგორც ამას ადასტურებს ხალხური ტრადიცია და რამდენადმე „ვეფხისტყაოსნის“ ენაც ამას გვიჩვენებს. რუსთაველი არ იყო არც მუსლიმანი და არც მანიქეველი, როგორც შარსა და ინგოროყვას ეგონათ, არამედ — ქართველი მართლმადიდებელი ქრისტიანი. ეს კარგადა ჩანს თვით „ვეფხისტყაოსნიდან“, თუმცა ის არ წარმოდგენს თეოლოგიურ ნაშრომს, მიუხედავად გარეგნული მუსლიმანობისა, რომელიც ნების მიერ მისცა მას ავტორმა. რუსთაველის ღმერთის კონცეფცია (ღმერ-

თი მსოფლიოს შემომქმედი, ღმობიერი, მაგრამ „აგნოსტოსი“, გამოუთქმელი და სხვა) სრულიადაც არ ეწინააღმდეგება პოეტის ქრისტიანულ რწმენას. აქ მინდა შევნიშნო. რომ „ვეფხისტყაოსანში“ მოხსენიებულია „სამეზაყ“, იქ ნათქვამია: „ო, მზეო, შენზე ანობენ სახეაო მისი, ვინც სამს (სახეს) აერაებს ერთ არსებათ, ერთსა“ და სხვა. (არა „მზიანი ღამე“, ხელნაწერები და დასტამბული გამოცემები: მზიანისა სამისა და არა მზიანისა ღამისა, ცუდადაა აღდგენილი).

ყველაფერი ეს შესაძლებელია ორთოდოქსალური ქრისტიანი მორწმუნის კონცეფციით. ბოლოს რუსთაველი თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში გზას გასდგომია ქართული მართლმადიდებლური ჯვარის მონასტრისაკენ იერუსალიმში, სადაც დაუსრულებია კიდევ თავისი სიცოცხლე. რუსთაველი არ იყო არც პლატონელი და არც ნეოპლატონელი და სხვა. იგი არ ეკუთვნოდა არც ერთ ფილოსოფიურ სკოლას. იგი არ იყო ფილოსოფოსი, არამედ გახლდათ მოაზროვნე პოეტი, თავისი საკუთარი სამყაროს კონცეფციით, თუმცაღა მას შეეძლო გაეზიარებინა ფილოსოფოსების ზოგიერთი აზრები.

მეგრელიძის წიგნი ერთობ დიდი ღირებულების ნაშრომია, შინაარსით მდიდარი, დიდი ერუდიციით დაწერილი, აზრებით სავსე, რომლის კითხვა ჩვენ გვაძლევს ფიქრსა და მოაზრებებს რუსთაველზე და მის უკვდავ ქმნილებაზე.

დასკვნაში მე სურვილი მქონდა მეგრელიძის ყურადღება მიმექცია ზოგიერთ საკითხზე, რომელიც შეიძლება დაისვას: რუსთაველი მართლა იყო დიდი მოხელე (ფინანსთა მინისტრი?) თამარ მეფისა, როგორც ეს ტრადიციას უნდა, თუ იყო დამოუკიდებელი სენიორი, რომელსაც შეეძლო ჰქონოდა თავისი შემოსავალი კარზე? რუსთაველი იყო თუ არა პანეგირიკოსი, როგორც ამას ზოგიერთი ამტკიცებს, თუ ნაღდი პოეტი იყო, ან იქნებ სწორედ ისტორიკოსი მწერალი იყო (რომელმაც დაწერა სულ ცოტა პირველი ნაწილი „ისტორია შარავანდედთანი“?). რუსთაველი მართლა იყო დევნილი თავისი აზრებისათვის და იძულებული გახადეს სამშობლო მიეტოვებინა, თუ მას ჰქონდა სურვილი სულის ხსნისა და სიმშვიდისათვის იერუსალიმის ქართველთა ჯვარის მონასტერში წასვლისა, იმ ეპოქაში ბევრი ქართველის მიზანძევით, და ეს მას შემდეგ, როდესაც მან თავისი შრომა უკვე დაასრულა? რუსთაველი მართლა იყო შეყვარებული თავის მბრძანებელზე, თუ რაც საყვარელის შესახებ თქვა თამარზე, არის ერთგვარი ხერხი, დამახასიათებელი საშუალო საუკუნეების რაინდი პოეტისათვის?

მეგრელიძის შრომის წაკითხვის შემდეგ დავრწმუნდი, რომ მას, შიუძლია უკეთ, ვიდრე სხვას, მონახოს დამაკმაყოფილებელი პასუხი ამ კითხვებზე.

ქართველოლოგიური ორგანო „Bedi Kartlisa Revue de kartvelologie“, პარიზი, 1960, ტ. VIII—IX, № 34—35, გვ. 60—63.

თარგმანი ბეჟან გიორგაძისა.

„ვეფხისტყაოსანი“

I

ერთხელ მე და განსვენებული ნიკო ხიზანიშვილი (ურბნელი) სტუმრად ვეწვიეთ ილია ჭავჭავაძეს. ზამთრის საღამო იყო და ილია, როცა მარტო დაგვხვდებოდა თავის კაბინეტში, ძალიან კარგ გუნებაზე შეიქმნებოდა და ქართულ ლიტერატურაზე ჩამოაგდებდა ლაპარაკს.

ქართული პოეზიის დაუშრეტელ, ჭაბუკურ სიცოცხლეს და მზიურობას სულ ერთიანად ჩაყლაპული ვყავარ. თუ დღევანდელი კულტურული ადამიანი ალტაცებაში მოჰყავს ჰომეროსს, სოფოკლეს, დანტე ალიგიერს, ფირდოუსს, შექსპირს, სტრანდესს, გოეთეს, რატომ არ უნდა განცვიფრდეს კაცი შოთა რუსთაველითა და მისი თანამედროვე მწერლობით, მე-18 საუკუნის ქართველი დიდი მწერლების მოღვაწეობით და აგრეთვე, ალექსანდრე ჭავჭავაძით, ნიკოლოზ ბარათაშვილით, გრიგოლ ორბელიანით და გიორგი ერისთავით? რატომ არის, რომ ჩვენი კრიტიკოსები მხოლოდ ახლანდელ მწერლებზე წერენ კრიტიკას და ისეთ გენიოს მგოსანს, როგორც შოთა რუსთაველია, ჯერ ქართველი კრიტიკოსი არ გამოჩენია! შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“ გაოცებაში მოყავს ინგლისელები, ფრანგები, უნგრელები, რუსები, იტალიელები, გერმანელები, პოლონელები და ჩვენ კი ჩვენ, ქართველნი!...

ნიკომ ორპროვად გადმოშხედა და თვით ილიას არაფერი უპასუხა. მე ვერ მოვიმშინე და ნოვახსენე პოეტს: დიდი თამარის ეპოქის ბრწყინვალე მწერლობა, არა მარტო თქვენისთანა მოღვაწეებს, რომელნიც ქართველ ხალხზე ფიქრს ჩაუყლაპავს და მოსვენებას არ აძლევს, არამედ ჩვენც, ახალგაზრდებსაც. ძალიან გვაფიქრებს, მაგრამ ყოველად უძღურნი ვართ. ვინ არ იცის ქართველი მწერლების სამინელი სიღარიბე და სისაწყლე. ისინი ლუკმა პურზე ფიქრსა და ზრუნვას უნდებთან და სად აქვთ იმდენი დრო და მოცლა, რომ ქართული კლასიკური ლიტერატურის ღრმა შესწავლას შეუდგნენ, გაიგონ მისი სული, ფი-

ლოსოფია და იგი კრიტიკულადაც შეაფასონ. ასეთი ლიტერატურული შრომა სპეციალისტი-პროფესორის შრომას მოითხოვს. ქართველებს კი არც უნივერსიტეტი გავაჩნია და არც ისეთი სპეციალისტი-პროფესორი გვყავს-მეთქი. ბევრი ვიბაასეთ იმ საღამოს ამ საგანზე.

ამ საგანზე გაცხოველებული სჯა-ბაასი, დიდი ლაპარაკი შეიქნა ნამეტურ გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან. იმ ხანებში, ძარღვიანად ამუშავდა ქართველი კაცის გრძნობა-გონება და საზოგადო მოძრაობამაც ფრთა გაშალა. შოთაზე ალაპარაკდა ყველა დიდ და მდიდარ ოჯახში, სწავლულების კაბინეტებსა და საზოგადოებაში, თეატრებსა და სასტუმროებში, სტუდენტობასა და ასაკში მოსულ ყმაწვილკაცობაშიაც, ქალი და კაცი...

რუსი პუბლიცისტები, მაშინდელ რუსულ გაზეთ „აკვავაში ვრცელ წერილებს წერდენ შოთასა და იმის „ვეფხისტყაოსანზე“. აკაკი თბილისსა და ქუთაისში თავისი მოძიებულელი ენითა და ხმით ლექციებს კითხულობდა „ვეფხისტყაოსნის“ გმირებზე და თეატრებში ამ ლექციების მოსასმენად ხალხის ტევა არ იყო. აკაკი ამტკიცებდა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ გმირი ტარიელი, მტკვრის ნაპირების, ქართლ-კახეთის შეილიაო, ავთანდილი — რიონის ნაპირების და ფრიდონი — პონტოს ნაპირებისო.

ილიამ გაზეთ „ივერიაში“ გააკრიტიკა აკაკის ლექცია. ფსიქოლოგიური კრიტიკა ყველაზე უპირველესად უნდა არკვევდეს და აჩვენებდეს ადაშიანის ხასიათის ძირითად საფუძვლების გამოხატვას, ე. ი. გამოხატოს ისეთი ხასიათი, რომელიც ყოველთვის არსებობს სხვადასხვა ჰავაში, სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ეპოქაში, სხვადასხვა მიწა-წყალზე. დიადი გენიოსური სალიტერატურო, მსოფლიო ნაწარმოებნი იმით არიან მუდამ ცოცხალი და უკვდავნი, რომ ისინი გამოხატავენ საერთო, საკაცობრიო ტიპებსო. და შოთაც ისე, როგორც ჰომეროსი, სოფოკლე, ფიროსუსი, შექსპირი და გოეთე თავიანთ ნაწარმოებში ხატავენ მხოლოდ და მარტო საკაცობრიო ტიპებს, რომელნიც საერთონი არიან ყველგან და ყოველთვისო...

ამაზე აკაკიმ ილიას ძალიან მახეილგონიერად უპასუხა: კი, მართალია, ეს გენიოსი მწერლები იძლევიან „გაკვეთილს, რომელიც გასაგებია ყველგან და ყველასთვის“, მაგრამ, ძირითადი ტიპების გარდა, თუ მწერალმა ინდივიდუალური ხასიათის გამოხატულება, ყველა თავისი წერილმანებით განსხვავებული ელემენტებითაც არ მოგვცა, მაშინ, ცოცხალი პიროვნების მაგივრად, ხელში შეგვრჩება უსულგულო ჩონჩხი, აბსტრაქტული ტიპიო.

და, აი, როცა ყოველთვიური ჟურნალიც გაჩნდა ჩვენში, „მოამბის“ ფურცლებზე (1895 წლიდან, № XI) დაიწყო კრიტიკა „ვეფხისტყაოსნისა“, რომელიც ეკუთვნოდა ალექსანდრე სარაჯიშვილის ნიჭიერ კალამს. ყველას სიხარულის ჟრუანტელმა დაუარა ტანში და გაფაციცებითაც კითხულობდნენ ამ კრიტიკას. ხუმრობა საქმე ხომ არ იყო. ამ დიად საქმეს ხელი მოჰკიდა უკვე დაბრძენ-

ბულმა. მსოფლიო ლიტერატურის მცოდნე, გემოვახსნილმა ქართველმა კაცმა, რომელსაც ნივთიერი გაქორევა და სისაწყულ არ უშლიდა ნაყოფიერი მუშაობისაღწევა.

კრიტიკოსი იგონებს 1893 წელს იონა მეუნარგიას თაოსნობით შექმნილ კომიდიას, რომელიც „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის აღსადგენად და შესასწორებლად იყო ნიშნული. საქართველოს თითქმის „ველა ცნობილმა მწერალმა და ქართული ენის ზედნიწევნით მცოდნემ მხურვალე მონაწილეობა მიიღო ამ კონკრეტულ წიგნში, რომელიც ღირსეულად დაგვირგვინდა ამ ნაწარმოების მდიდრული გამოცემით, გიორგი ქართველიშვილის საფართო. ამ კომიდიამ „ვეფხისტყაოსნის“ თვრამეტი ხანა გამოაცხადა ყალბად.

„ვეფხისტყაოსნის“ ქართველი კრიტიკოსი წერს: „პოეტის სახსოვრისათვის უარესი შეგონება — ისი სიტყვის შეცვლა და აზრის დამახინჯება. ამიტომ, ქართველი საზოგადოება თავისი უდიდესი პოეტის თაყვანისცემას უკეთ ვერ გამოაცხადებდა. ვინემ მისგან აგებული წმინდა ტაძრის გასუფთავება იყო“. და კრიტიკოსი შეუდგა „ვეფხისტყაოსნის“ ყალბი ადგილების გამორჩევას და დიადი ნაწარმოების „გასუფთავებას“, თავის ძალღონითა და შეძლებით, რადგან, ავტორის აზრით, ზოგიერთი ყალბი ადგილი „ვეფხისტყაოსნის“ მდიდარ ახალ გამოცემასაც შერჩა.

„ვეფხისტყაოსნის“ ყალბი ადგილების გამორჩევა შეუძლებელი არ არის. ამისთვის უნდა თვით პოემა გქონდეს შეთვისებული, მისი აზრი და არსება შეგნებული. მისი ენა და სტილი შესწავლილი“.

თავისი სტილით აპოკრიფი უფრო ადვილად გაიჩრევა რუსთაველის ნაწერისაგან. „რუსთაველის სტილი ბროლსავეთ მჭიდრო და ნათელია; მისი მოთხრობა ანკარა წყაროსავეთ მორბის, არსად არა დგება და არ გუბდება; მჭიდროება და სინათლე.“ — აი, რუსთაველის სტილის კანონი.

ღარწმუნებით ითქმის, რომ, სხვა განსხვავების გარდა, — თუ „ვეფხისტყაოსანში“ რომელიმე ხანა მეტად გაბტყელებული და გაზვიადებული, ძალდატანებული და ზერხიანი, დუნე და მკრთალი შეგხვდა, რუსთაველის კალამს არ ეკუთვნის თვით მაშინაც, როცა რომელიმე ხანა თავისი აზრითა და პოეტური ღირსებით მალა დგას, ხოლო სტილი ხსენებულ კანონს არ ეთანხმება; შეუძლებელია შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეგ ხანა აპოკრიფულია. ყალბისმჭმენელი მოღვაწე სტილის სიმარტივეს და ზომიერებას ერიდება იმიტომ, რომ ეგ სიტყვის სიღარიბე და პოეზიის სისუსტე ჰგონია“.

აი, ან ნეთოდითა და ღონისძიებით შეუდგა ალექსანდრე სარაჯიშვილი „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტიდან ზოგიერთი ჩამატებული ყალბი ადგილის გამორჩევას და მოგვცა მისი დაწვრილებითი განხილვა.

მოგახსენებთ, შოთა რუსთაველმა თავის უკვდავ პოემაში პოეტურად გამხატვა თავისი დიადი შემოქმედების სული. ამ სულით მგოსანმა ქართველობას

უანდერბა დრო-ყამისაგან წარუშლილი, უკვდავი განძი და იდეალი — მიჯნურობა, მეგობრობა — ძმადნაფიცობა და პოეზია. რა ტანჯვა და ჯოჯოხეთი უნდა ყოფილიყო ეს სააქაო ცხოვრება ქართველისათვის, რომელსაც თავზე გასაგლიჯად იმთავითვე ეხვია უთვალავი მტერი — აზიის მოხეტიალე, დამშეული, აყრილი ნადირი ხალხები, რომ ქართველის გამწარებულ სულს დამამშვიდებელ მალამოდ არ მოვლენოდა რუსთაველის იდეალი — მიჯნურობა, მეგობრობა — ძმადნაფიცობა და პოეზია. ეს ციური დიდი მნათობი — შოთა რუსთაველის „ხელისხელ საგოგნანებელი მარგალიტი“ — უქარვებდა ქართველს გულში დანთებულ ცეცხლს და იყო მისი მალხინებელი და ნუგეშისმცემელიც. ამიტომაც, საღამუროდ გაკრული ქართველობა, მუდამ „ვეფხისტყაოსნიდან“ გაზეპირებულ ლექსებს ზღეროდა და, განზორებული უსაყვარლესი დედ-მამისა და თავისი მარჯლის მიდარებისაგან მცირე აზიის, სპარსეთის, ინდოეთის, არაბეთის, პალესტინის უდაბურ ადგილებში ღვრიდა სისხლს.

პოეტი რომ წერს: „ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები“, — არ გაზართლდა არც ერთი ისტორიული ან ლიტერატურის მოწინააღმდეგე და ჯერ არსად უპოვიათ არც სპარსული დედანი „ვეფხისტყაოსნისა“, არც მისი ქართული თარგმანი პროზად, თუნცა მაგის მებნელი არ გვაკლდა.

2

ალექსანდრე სარაჯიშვილის ნაშრომში „ვეფხისტყაოსნის“ ყალბი ადგილები“, უურნალ „მოამბეში“ ისტამბებოდა რამდენიმე წლის განმავლობაში. ეს დიდი და ვრცელი ნაშრომი, ავტორს რომ არ გადაეჭარბებინა, მართლაც ჩინებული რაჟ იქნებოდა. განსვენებულ კრიტიკოსს ზომიერების მნიშვნელობა ბელოვნებასა და ლიტერატურაში ამკარად ესმოდა, მაგრამ საქმით მან ვერ დაიცვა ეს ზომიერება და გადაამლამა.

კრიტიკოსი ძალიან მკაცრი და პირდაპირ უღმობელია იქ, სადაც „ვეფხისტყაოსანი“ მის შემუშავებულ იდეალს — სტილზე ცოტათი მაინც დაშორდება და ფეხი აუსხლტება. სტილის მჭიდროება და სინათლე არ აჭკვს ხანას, ის ყალბიაო და ამ გზაზე დამდგარა მოხსნა, — თავი... გულდას...

კრიტიკოსმა მკაცრად დაგმო და ყალბად გამოაცხადა ბევრი საგანი, ბევრი ხანა, ისეთიც კი, რომელიც „თავისი აზრითა და პოეტური ღირსებით მალღადგას, თუმცა სტილი მჭიდროების და სინათლის კანონს (რუსთაველის სტილი) არ ეთანხმება“.

კრიტიკოსი საერთო უტყუარ კანონად აცხადებს იმ განსხვავებულ განკერძოებულ წესდებას და კოდექსს, რომელსაც მოსდევდა ზოგიერთი შემოქმედის-მხატვარი და ის როლი აგონდება, რომ გენიოსი თვით ქმნის ახალ-ახალ

სტილს, რომლისაგან გამოყავთ შემდეგ ახალი სალიტერატურო წესი და რიგი. აქ იწყება დოქტრინერობა და მხოლოდ და მარტო ცარიელი ფორმის თავყანისმცემელი გამოვლივართ და, ამიტომაც, ორთოდოქსალობის კაობში ვცვივით.

გარდა მავისა, შოთა რუსთაველი ხომ ორ დღეში ვერ დაწერდა ამოდენა პოეზიარომანს? უეჭველია, ნგოსანი ერთი და ორი ათეული და მეტი წლის განმავლობაშიაც კმნიდა და ამუშავებდა თავისი შემოქმედებითი ტალანტის ნამოქმედარს. აი, სწორედ ისე, როგორც გერმანული ლიტერატურის გოლიათი გოეთე. ოცი წლის განმავლობაში კმნიდა თავის შესანიშნავ ნაწარმოებს — „ფაუსტს“. მერე, რას ამბობენ ამის შესახებ ევროპის განთქმული კრიტიკოსები, რომელნიც მსოფლიო ლიტერატურაში ღრმად ჩახედულნი არიან. ისინი ერთხმად ამტკიცებენ დიდი გოეთეს — „ფაუსტის“ პირველი ნაწილის შეუჯარებლობას შემოქმედებითაც და სტილითაც და მეორე ნაწილის სისუსტეს. ეს გარეგნება წარმოდგა იმისაგან, რომ პირველი ნაწილი „ფაუსტის“ პირდაპირი შემოქმედებითი ნიჭით არის დამუშავებული და მეორე ნაწილი კი — ცნობიერებისა და კჳუის შემწეობით არის დაწერილი. ამიტომაც, პირველი ნაწილი ამ საუცხოო სალიტერატურო ნაწარმოებისა შეუდარებელი გამოვიდა, ხოლო მეორე ნაწილი კი — სუსტი. შემოქმედებითაც და სტილითაც პირველი ნაწილი მეორისაგან სხვაედება.

მაშასადამე. თვით ისეთ დიად მგოსნებზეც, როგორც გოეთე და შოთა რუსთაველია. გავლენა და ზემოქმედება მოუხდენია დროსა და ჟამს. სიკაბუკის ჟამს დაწერილი სულ სხვა შემოქმედებისა და სტილის გამოდის ნაწარმოები, უფრო დაბჭენების დროს დაწერილი სხვა და მოხუცებულობაშიაც შესულს სულ სხვა სტილის ნაწერი გამოუდის. ან ასე შორს წასვლაც რა საჭიროა. ნეგეიძლია მოვიტანოთ მაგალითები აქ მშობლიური ლიტერატურიდანაც.

ავილოთ ილია ჭავჭავაძე და აკაკი. განა ილიას პოემა — „კაკო ყაჩაღი“ და პოემა „განდეგილი“ ერთი და იმავე სტილითაა დაწერილი? ან აკაკის პირველი, კაბუკური ლექსები და ამავე მგოსნის პოემები — „თორნიკე ერისთავი“ ან „ნათელა“ ერთი და იმავე სტილითაა დაწერილი? ავილოთ ნიკო ნიკოლაძე და გიორგი წერეთელი. ამათი ნაწერი ჟურნ. „ციცკარში“ სულ სხვა სტილითაა დაწერილი, ვიდრე ის ნაწერები, როცა მათ ისინი 50 წლისანი წერდენ. მაშასადამე, დრო-ჟამის განმავლობაში ერთი და იმავე ავტორის შრომის პროცესში შემოქმედების ძალისა და სტილის შემჭიდროება და სინათლეც იცვლება...

ეს მე დაურღვეველ ჭეშმარიტებად მიმაჩნია და უნდა დამეთანხმოთ, რომ მარტო ასეთი კრიტიკით მიდგომაღც არა კმარა.

„ვეფხისტყაოსანი“ რომ გენიოსის ნაწარმოებია, ამაში ეჭვი არ შეაქვს არც ერთ სკეპტიკოსს, რომელიც კი გამოჩენია კრიტიკოსად ამ ნაწარმოებს ლიტერატურაში. მაგრამ განა ამით უნდა კმაყოფილდებოდეს სერიოზული სალიტერატურო ისტორიული კრიტიკა ჩვენ დროში? არა. ნამდვილი, ცოცხალი და ჭეშმარიტი ტალანტით დასაჩუქრებული მწერალი, — მხატვარი ღრმად უნდა იქნეს შესწავლილი, აწონ-დაწონილი და შეფასებული. ისტორიულმა კრიტიკამ თავისი თვალი ღრმად და დიდად უნდა გაახილოს და ახსნას შემოქმედების სრული ხასიათი და მიმართულება, რა დროს გაჩნდა, გაიფურჩქნა, აყვავდა და გაიშალა ამ დიადი ქართველი მწერლის შემოქმედება. საიდან წარმოიშვა ასეთი ხასიათის შემოქმედება და რა გავლენა მოახდინა მან ქართველობაზე, რომელი ჰაეისა და მიწა-წყლის, რა მემკვიდრეობისა და იდეების შვილია იგი და რა გრძნობებსა და შთაბეჭდილებას იწვევდა იგი თავის თანამედროვე და შემდეგ თაობათა შორის. უნდა გაირკვეს, მიუცილებლად, სიღრმე და ძლიერება ავტორის შემოქმედებისა, იდეალი მისი, და ბოლოს, როგორი დასკვნა, რა ჯამი უნდა გაუკეთოს შთამომავლობამ „სულმნათი“ შოთა რუსთაველის სალიტერატურო და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. ვიმეორებ, ეს არის ჩემი კრიტიკის უმთავრესი საფუძვლები...

და მეც ამ სიბერის ეპოსს, როცა ცალი ფეხი უკვე სამარეში მიდგას, სულითა და გულით მოწინებულნი ვარ გამოვთქვა, სტამბის საშუალებით, ჩემი საკუთარი აზრი, რომელიც დიდი ხანია ჩემს არსებაში ღრმად მიტარებია და რის გამოთქმასაც ვერა ვებდავდი, უფრო იმიტომ, რომ ვისმე უსუსურობასა და მეტიჩრობაში არ ჩამოერთმია.

მაგრამ, ვიდრე „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ ჩემი საკუთარი აზრების გამოთქმას შევუდგებოდე, მსურს მკითხველს წარუდგინო თავდაპირველად აზრი შოთა რუსთაველზე მსოფლიო და ქართული ლიტერატურის ისეთი ღრმა მკოდნისა, როგორც ბრძანდება საქართველოში დიდი მოღვაწე — გერმანელი ნიჭიერი არტურ ლაისტი.

„საქართველოში, კათოლიკე მისიონერების გარდა, მოქმედებდნენ სხვა ძალებიც ქვეყნის კულტურულად დაწინაურებისათვის. ეს ძალები თვითონ ქართველები იყვნენ, რომელნიც დამოუკიდებლად ცდილობდნენ სამშობლოს გაეეროპელებას. საქმე ისაა, რომ საქართველოს ტრადიციაც უწყობდა ხელს დამოუკიდებელი ლიტერატურული მუშაობა ეწარმოებინა. არ უნდა დაგვაიფიქედეს, რომ შოთა რუსთაველმა ისეთი დიდი შემოქმედებითი სული ჩაბერა საუკუნეთა მთელ წყებას, რომ ქართველი ერის მოწინავე ელემენტებს სამუდამოდ გზა გაუკაფა ახალი და ახალი ჰორიზონტებისაკენ. „ვეფხისტყაოსანი“ მორალური და სულიერი იდეალებით გაცილებით მაღლა დგას მისი დროის აღმოსავლეთის საუკეთესო პოეტურ ნაწარმოებებზე, მისი ღირსება მხოლოდ

ის კი არ არის, რომ ასახავს თანამედროვეობას მთელი სიღრმე-სიგანით, არამედ ისიც, რომ შეუწელებლად მოუწოდებს განსრულების მაღალი მიზნისკენ. — ამ მხრით, რუსთაველის უკვდავ პოემას ბევრი მსგავსება აქვს მისი თანამედროვე გერმანელი პოეტის ვოლფრამ ფონ ეშენბახის — „პარსიფალთან“. მხოლოდ აღსანიშნავია, რომ შოთა რუსთაველი შეუდარებლად უფრო თავისუფალ შემოქმედად გვევლინება, ვინემ ეშენბახი, რომელიც თავს ვერ აღწევს რელიგიურ დოგმატებსა და საკელესიო სწავლა-მოდერნებათა ხლართს.

ეპოს გარეშეა, რუსთაველი ღრმად რელიგიური იყო, მაგრამ იგი არასოდეს არ იმოსება რომელიმე სარწმუნოების ტანსაცემელში. ის ხშირად ახსენებს ღმერთს, მაგრამ არასოდეს განსაზღვრულ სარწმუნოებას. შოთა იყო დეისტი და ამით მან საუკუნეებს გაუსწრო...

შოთა რუსთაველის წინ ცხოვრობდა სპარსელი პოეტი ომარ ხაიამი, რომელმაც უარყო დოგმატიური სარწმუნოება. მაგრამ საეპეოა, რომ ამ პოეტის ნაწარმოებნი რუსთაველს სცოდნოდა, რადგანაც იმ დროს საქართველოსა და სპარსეთს შორის ძალიან იშვიათი იყო გონებრივი, იდეური ურთიერთობა.

შოთა რუსთაველის გავლენა საქართველოში არასოდეს არ შეწყვეტილა. თუ სამღვდლოებამ აკრძალა მისი პოემა და მავნედ აღიარა არა იმიტომ, რომ ის უზნეო ყოფილიყო, არამედ იმიტომ, რომ პოემის თავისუფალი აზრები შეუწყყნარებელი იყო ეკლესიისთვის.

უნდა ვითქვითო, რომ რუსთაველზე აღზრდილ ქართველობას არასოდეს არ დაავიწყდებოდა „ვეფხისტყაოსნის“ იდეალები და მონღოლთა ბატონობის განმავლობაში მაღალი კულტურისაკენ მისწრაფებას ვერ ჩაქლავდა მის გულში ეს უსაშინელესი დრო საქართველოს ისტორიისა. მართალია, განათლება საერთოდ დაეცა, მაგრამ პიროვნებანი მაინც ბრწყინავდნენ და იცავდნენ ერის ღირსებას“...

იმ დროს, როცა შოთა რუსთაველი ცხოვრობდა, ევროპის ხმელეთზე და საქართველოშიაც გამეფებული იყო ფეოდალიზმი და ქრისტიანობა, რომელიც ქადაგებდა ამ წუთისოფლიდან გაშორებას და სულის ცხოვნებას საიქიოში. იმ დროს ევროპა მართლაც წარმოადგენდა ნაკლებად დასახლებულს, ნაკლებად დამუშავებულს და ნაკლებად კულტუროსანი ხალხით მოფენილ ქვეყანას.

აზიის აღმოსავლეთი, შედარებით, ბევრად უფრო დაწინაურებული იყო. ქართული, სპარსული, არაბული, სირიული და ბიზანტიური კულტურა, გაცილებით უფრო ძლიერ ჰყვოდა და მდიდარიც იყო. საქართველოს დიდად დიდი გამანათლებელი და გამათბობელი კულტურული და ლიტერატურული ენერგია თვით უძველეს ქართლოსიანთა ერის კულტურის საშოლან წარმოიშვა, ეგრეთწოდებული აღორძინების, რენესანსის დროს. ეს იყო ნამეტურ დიადი თამარის დროს. ამიტომაც, ქართლოსიანთა ერის კულტურისა და ლიტერატურის კარების გაღება ერთ უდიადეს საკითხს წარმოადგენს ყოველი კრიტიკულად მოაზროვნე ადამიანისათვის.

მოგეხსენებათ, არაბების შემოსევამ საქართველოში მთელი რევოლუცია მოახდინა. საქართველოს ამ ხანებში, და უფრო ადრეც, ჰქონდა აბრეშუმის ვაჭრობა, ალემ-მიცემობა ბიზანტიასთან, ინდოეთთან და სხვ. აბრეშუმის ჰიის თესლი ინდოეთიდან შემოიტანა ჩვენი დედაქალაქის დამაარსებელმა მეფემ— ვახტანგ გორგასალმა, როცა ურიცხვი ჯარისკაცით გაილაშქრა ინდოეთისაკენ¹. ამ ხანებში აყვავდა საქართველოში სწავლა-განათლება. ქვეყანა მოიფინა დაბალი, საშუალო და მაღალი სასწავლებლებით. აქ ასწავლიდნენ: ღვთისმეტყველებას, ფილოსოფიას, მათემატიკას, ასტრონომიას, ენათმეცნიერებას. დიდი ისტორიკოსი შლოსერი „მსოფლიო ისტორიის“ მეხუთე ტომში წერს, რომ მთელ აღმოსავლეთის ქვეყნებში ყველაზე განთქმული ობსერვატორია თბილისში იყო.

იმ ხანებში, საქართველო ჰრიდა თავის სამეფოს ვერცხლის ფულს. 1840 წელს, პეტერბურგში, ამ საგანზე დასტანა რუსულად დიდი წიგნი განთქმულა ქართველმა ისტორიკოსმა — ბარათაშვილმა. 1870 წელს ეს წიგნი ფრანგულადაც დაისტამბა პარიზში. ფრანგმა მასწავლებელმა—ლანგლომ (იხ. „ქართული ფულების ნუმისტიკური ფაქტები“) დიდად შეაქო და განცვიფრებითაც მოიხსენია ქართველთა წარსული, როგორც დიადი და მდიდარი კულტურული ერისა, და მართლაც, ტყუილად ხომ არ უწოდებენ ბიზანტიის ისტორიკოსები და მწერლები საქართველოს მეფეს — ბაგრატ IV კეისართა-კეისარს, ე. ი. იმპერატორს, და ბაგრატ IV რომ დიდი ხელმწიფე არ ყოფილიყო, დიდი ბიზანტიის იმპერატორი რომანოზი (შვილი კონსტანტინე ბაგრიანოროდნისა) მას თავის ღვიძლ დას — ელენეს ცოლად არ მიათხოვებდა.

4

საიდან გაჩნდა და წარმოდგა „ვეფხისტყაოსანი“? ქართულ ლიტერატურაში ეს საკითხი მეტისმეტად გართულებულია. შოთა რუსთაველის სიტყვები:

„ესე ამბავი სპარსული, ქართულთ ნათარგმანები,
ვაპოვე და ლექსათ გადაეთქვი“ —

არ გამართლდა.

1889 წელს, გაზეთ „თეატრის“ ჩემი რედაქტორობის დროს, ნიკო მარმა პეტერბურგიდან გამომიგზავნა სტატია, რომელიც მე დავსტამბე ამ გაზეთში.

¹ პატიცემულ ზ. ჰიქინაძე (იხ. იმისი „ქართული დიპლომის ამბავი“) წერს, რომ ვახტანგ გორგასალმა ოთხი მილიონი ჯარისკაცით გაილაშქრა ინდოეთსკენ. საქართველოს მცხოვრებთა რიცხვი იყო 28 მილიონი. ეს ძალიან საეჭვო ციფრებია. და, სკიორა ვიციდეთ, საიდან ამოიღო ეს ცნობები ზაქარამ?

პროფესორი მარი იქ ამტკიცებდა, რომ დიდი ბრიტანეთის მუზეუმში ვნახე „ვეფხისტყაოსნის“ სპარსული ღედანო. ეს მისი სიტყვები არ გამართლდა. განსვენებული ივ. სპ. ჯაბადარი პეტერბურგის უფროს „სევერი ვესტნიკში“ სტამბავდა სტატიებს — „პისმა ო გრუზიი“, სადაც იგი ამტკიცებდა სპარსული დიდი მგოსნის, პოემა — „მეჯუნ და ლეილას“ ავტორის — ნოზამის ნათესაობას შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანთან“. მაგრამ ავტორი შოთა რუსთაველის ორიგინალობას არ უარყოფდა. იგი ამტკიცებდა მხოლოდ იმ აზრს, რომ ეს ორი დიადი მგოსანი ერთი დიდი სპარსული სალირიკო პოეზიის სკოლის შვილები არიან... სპარსეთის პოეზიის გავლენის შოთა რუსთაველზე ხსენებამ შეაშფოთა იმ დროის ქართული ლიტერატურის მესვეურნი და ატყდა დიდი პოლემიკა.

გაზ. „ივერიაში“ ამ პოლემიკას უძღვებოდა ილია ჭავჭავაძე, რომელიც უარყოფდა ივ. ჯაბადარის აზრს და ესარჩლებოდა ძველადვე ჩვენში დამკვიდრებულ აზრს, რომ რუსთაველი საბერძნეთის (ბიზანტიის) მართლმადიდებელი ქრისტიანობის შვილია...

გასული საუკუნის 80-იან წლებში, საქართველოში (ფშავში) აღმოჩენილი იქნა ხალხური თქმულება ტარიელზე და ნესტან დარეჯანზე. და ჩემში, პირადად, მას შემდეგ გამტკიცდა ის აზრი, რომ შოთა რუსთაველმა ისარგებლა ამ ხალხური თქმულებით, თავი მოუყარა და შეაგროვა ეს ხალხური თქმულება „ვეფხისტყაოსანზე“, რომელიც მან დიდი და მდიდარი მხატვრული სახეებითა და ფერადებით დაამუშავა, და ამნაირად, შ. რუსთაველმაც გაიარა სწორედ ის პროცესი, რა პროცესის გზითაც მიდიოდნენ მსოფლიო ლიტერატურის სხვა დიადი მგოსნებიც: ჰომეროსი, დანტე ალიგიერი, შექსპირი, გოეთე და სხვა.

ჰომეროსმა საბერძნეთში ილიადა და ოდისეიზე შეაგროვა ხალხური თქმულება და ისე შექმნა მან თავისი შესანიშნავი ნაწარმოები. იტალიის დიდი მოაზროვნე — მიქელ სევერილო თავის შესანიშნავ სტატიაში — „დანტე, როგორც სასახლის კაცი“ — ამტკიცებს, რომ დანტეს — „ღვთაებრივი კომედია“ დაფუძნებულია პირდაპირ ხალხურ თქმულებაზე. ავტორს ამ უკვდავი ნაწარმოებიდან ამოაქვს მრავალი ეპიზოდი, რომელნიც პირდაპირ დანტეს თანამედროვე ანეკდოტებზე არის დაფუძნებული. ეს ანეკდოტები, თურმე, დიდად გავრცელებული ყოფილა იმ საზოგადოებაში, სადაც ხშირად დადიოდა მგოსანი.

თვით გენიოსი შექსპირის განსაცვიფრებელი ნაწარმოები — „ჰამლეტი“ არ არის სრულიად ორიგინალური თხზულება. რადგან თვით ფაბულა, თავი და პირველი აზრი მისი იტალიელთა ერთი გადმოცემიდან აქვს აღებული ავტორს (იხ. ამ საგნის შესახებ ჩინებული სტატია გიორგი ბრანდესისა).

აგრეთვე, გოეთეს — „ფაუსტიც“. „ფაუსტის“ პირველი ნაწილი სტამბიდან გამოვიდა 1808 წელს, როცა ახალგაზრდა გოეთე იტალიიდან ახალი დაბ-

რუნებულ იყო. დედააზრი „ფაუსტისა“ ამ უმშვენიერესი ქვეყნის შვილების თქმულებიდან აქვს აღებული ავტორს.

რას ამტკიცებს ისტორიიდან ეს ცოცხლად ამოღებული ფაქტები? ამტკიცებს იმას, რომ ეს საყოველთაო მსოფლიო ლიტერატურის ევოლუციის კანონია. და ამ საოვადო ევოლუციის კანონმა დიდი თამარის დროს, რენესანსის ეპოქაში, უკეთესი წარმომადგენელი პოვა შოთა რუსთაველის შემოქმედებაში.

ილია ჭავჭავაძე ამ აზრის დიდი წინააღმდეგი იყო. განსვენებული მიმტკიცებდა. რომ შ. რუსთაველის ნაწარმოები იყო ისე საოცრად გავრცელებული ქართველ ხალხში, რომ ფშვეთში გაგონილი თქმულება ტარიელსა და ნესტან-დარეჯანზე აქედან წარმოდგაო და არა პირიქითო. ილიას აზრით, თუ ეს ამბავი ასე არ აიხსნა, შოთა რუსთაველის სილიადე და გენიოსობაც დაიჩრდილება...

მაგრამ ის პატარა განმარტება, რომელიც მე ამ წამს წარუდგინე მკითხველს მსოფლიო ლიტერატურის ისტორიიდან, არ ამცირებს არავის, არც ერთ დიად მგოსანს: არც პომეროსს, არც დანტე ალიგიერს, არც შექსპირს და არც გოეთეს. მაშასადამე, არც ქართველს — შოთა რუსთაველსაც.

ამ საგანზე ახლა აქ მეტ ლაპარაკს აღარ გავაგრძელებ, მგონია, მკითხველი, თუ დაჭერებული არ არის, ექვემდებარება მაინც არის პოეტის სიტყვებში — „ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები“ და, ჩემთან ერთად, იფიქრებს, რომ შოთა რუსთაველს თვით ქართველთა დიდსა და მდიდარ კულტურულ ცხოვრებაში ექნებოდა ცოცხალი მასალა თავისი უკვდავი „ვეფხისტყაოსნის“ შესაქმნელად.

ახლა მიუზღვრუნდეთ ჩვენ საგანს — „ვეფხისტყაოსნის“ მოკლედ დახასიათებას.

5

„ვეფხისტყაოსნის“ ავტორი ქართული კლასიკური ლიტერატურის ერთი უშესანიშნავესი ტალანტის პატრონი იყო. ამ ადამიანის გენიოსური კალმის ნაწარმოებს — „ვეფხისტყაოსანს“, რომელიც იმთავითვე დაუშრეტელი, ცოცხალი პოეზიის ცეცხლის, მუსიკის, სიბრძნის, სიხარულისა და სიყვარულის სამოთხის თაიგულად ითვლებოდა, ქართველებს გარდა, ჰყავდა და დღესაც ჰყავს მრავლის უმრავლესი, ურიცხვი მკითხველი და დამფასებელი სომეხთა, რუსთა, პოლონელთა, გერმანელთა, უნგრელთა, ბერძენთა, ფრანგთა და ინგლისელთა შორის, რომელნიც დიდი სიყვარულითა და აღტაცებით ახსენებენ ამ საოცარ ქართველ პოეტს...

ქართული კლასიკური ლიტერატურის დიდი მნათობის ლექსი გიგანტი კავკასიონის მთებიდან გადმოვარდნილი ჩანჩქერია, რომელიც ბუნების წიაღსა და სივრცეში მარგალიტებად ელვარებს, ეცემა ძირს, დედამიწაზე ქაფად

იშლება და მზის სხივებზე წინწყლებად ლაპლაპებს. შოთა რუსთაველის ქართული მხატვრული ენა ამაყი, ზვიადი, ძლიერი, თვალუწედნელი კავკასიონია. მისი თაქმასავით მოქნილი, დახვეწილი ლექსი მორაკრაკეა, ვით მთის მოჩუხუხე წყაროს წყალი. მგოსნის მდიდარი ლექსი მღელვარე „ფაფარ აყრილი“ ფაზისია; „ტკბილად მოდუღუნე მტკვარი“. შოთა რუსთაველის მომხიბვლელი, მდიდარი სტილის გამოხატულებაა: მკვეთრი, ფოლადივით ძლიერი, სხარტი, წერდელივით მარდი და ელვარე. მგოსნის მღელვარე აღმაფრენა და გაქანება, მისი საოცარი ტალანტის დაუშრეტელი შემოქმედება, სულიერი დიდობით გამსკვალული, ერთ დიად თაიგულად შეკრული, დიდსა და ფრიად სასიამოვნო შთაბეჭდილებას სტოვებს მკითხველის გულში და სამუდამოდაც იმორჩილებს მის არსებას და ატყვევებს...

აი, ასეთი სიტყვებით ხასიათდება შოთა რუსთაველის უკვდავი პოეზიის არტისტული, წმინდა მხატვრული მხარე. მგოსნის ლექსი ავტორის საკუთარი დიადი და მდიდარი, მშვენიერი სულის საუკუნოდ შენახვისა და ათას თაობათა გადაცემის ერთი გასაოცარი თილისმაა. სწორედ ამიტომაც, ავტორი პირუთვნელმა ისტორიულმა კრიტიკამ უნდა ჩათვალოს ერთ უღიადეს, უშესანიშნავეს მნათობად.

ამასთანავე, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ „ვეფხისტყაოსანი“ იძლევა ლიტერატურული ტიპების განხორციელების საუკეთესო ნიმუშებსაც. ეს ნაწარმოები ერთ დიად, მთლიანსა და მდიდარ ფსიქოლოგიას წარმოადგენს ქართულ კლასიკურ ლიტერატურაში, ვაყებისა და ქალების სულიერი არსების, ხასიათებისა და მოქმედების უფრო ღრმად და უკეთესად გასაგებად. ბუნების სიტურფისა და სხვადასხვა ქვეყნების მდიდარი აღწერილობანი, ნადირობა, ღრმა სიყვარულის სულიერი აღმოხატვა, გასაოცარი, მდიდარი მგზავრობანი ავთანდილისა და უღრმესად დატანჯული ტარიელის სულიერი კაემანი იშვიათი ლიტერატურული ხელოვნებით არის აღმოხატული და გამოთქმული, პოემარომანის დიდი იდეა, ლოგიკური სისწორითაა დამუშავებული. ნაირ-ნაირი, მდიდარი სანახაობით, სხვადასხვა კონტრასტებით და ათასი მხატვრული ფერადებით, დიდი პოეტური აღწერილობებით შ. რუსთაველი ადამიანს საშუალებას აძლევს სულიერად დატკბეს სრული ესთეტიკური სიამოვნებითა და ნეტარებით და სულით და გულით შეიყვაროს ის ვაყები და ქალები, რომელთაც აღწერს პოეტის კალამი....

იმ წყვილიდით მოცულ საშუალო საუკუნეებში, როცა საერო მწერლობაც კი ამ წუთისოფლიდან განდგომას, სრულ განდევნილობასა და განშორებას ქადაგებდა და ადამიანს საიქიოს სულის საუკუნოდ დამკვიდრებაზე უთითებდა, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ ნამდვილ ჰუმანიტ რევოლუციას წარმოადგენდა.

მგოსანმა მხატვრულად აღწერა სხვადასხვა ქვეყნის მდიდარი არემარენი, მდიდარი ბუნების ხელუხლებელი, ხალასი სიტურფე და მშვენიერება, ქალ-

წულოვან ასულთა — ნესტან-დარეჯანისა და თინათინის მომხიბვლელი სილამაზე. ნესტან-დარეჯანი ამქვეყნიურ ედემში მოვლინებული უღარესად დიადი, ღრმა და ძლიერი სიყვარულია, რომელსაც შეუძლია აამაღლოს, გაწმინდოს, გაასპეტაკოს და უკვდავყოს ადამიანი. სიყვარულის გარეშე ყოველივე ფუჭია და ამაო. ქართველმა მგოსანმა ესეც არ აკმარა განდევილობის მოტრფიალე ქრისტიანობას. შესანიშნავი კიდევ ის არის, რომ ეკლესიის უმაღლეს წარმომადგენლებს არსად პატივისცემით და მოწიწებით არ იხსენიებს. ის კი არა, მოციქულებს პირდაპირ მწარედაც დასცინის, როცა წერს:

„ეთ ვეანო, ისე ელერდნენო...“

6

შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“ მოთავსებულია საშუალო საუკუნეების ფილოსოფიისა და არაბული ასტრონომიის ცნობანი. იგი ამითაც ერთი საუკეთესო ნაწარმოებთაგანია და მისი საშუალებით შეგვიძლია სრულად გავეცნოთ საშუალო საუკუნეთა ეპოქას. ამ ნაწარმოებში, თამარ მეფის დროის აღორძინების, რენესანსის ახალი ხანა პირწმინდად იხატება. „ვეფხისტყაოსანში“. მგოსანს ღრმად და ძლიერადაც აქვს აწერილი მდიდარი ბუნების და ხილული ქვეყნის მშვენიერება და სიკეკლუტე. შოთა რუსთაველი ბუნების და ადამიანის, — ბუნების ამ ულამაზესი შვილის, — სიტუტფითა და სილამაზით, მისი სულის სინაზითა და სინარნარით არის მოხიბლული. იგი ღრმად გვიჩვენებს ნაწარმოების გმირთა არსებას, სულისკვეთებას.

პოემა-რომანის უმთავრესი გმირია ტარიელი. და ამ დიადი გმირის სულისკვეთება და საშინელი ტანჯვა, ისეთი ძლიერი და ღრმა კოლორიტით არის მხატვრულად აღწერილი, რომ მკითხველი ერთბაშად იხიბლება მისი ახალი, არაჩვეულებრივი ჰანგებითა და აღმადრენით...

მთელი თავისი სხივოსნობით, ტარიელი სამყაროსა და ხმელეთის მანათობელია. იგი ავთანდილისთვის დაბადებულია მზედ, მისი მოშორება და გაყრა — დღის დამლამებელია. ტარიელი ჩირაღდნად ანთებული ლამპარია, უმშვენიერესი სანახავი.

როგორც ჩონგურზე სიმის გამოცვლა იმწამსვე გამოიწვევს ჩონგურის ხმის გამოცვლასაც, სწორედ ამნაირადვე ნესტან-დარეჯანის გადაკარგვამ ტარიელის მთელი არსება ძირეულად შეცვალა და გადაასხვაფერა. იგი მთელი თავისი არსებით ძლიერად დაიტანჯა. მისი სათაყვანებელი სატრფო დაკარგულია, ამიერიდან იგი ველარ გაიგონებს ნესტან-დარეჯანის უმშვენიერეს, ცოცხალ ხმებს, იმის სულის თქმასა და ჩურჩულს, იმის მხიარულ პირმცინარე სახეს ველარ მოკრავს თვალს, ვერ შეეხება იმის სათუთ და მიმზიდველ არსებას.

ტარიელი, ამიერიდან, მონაწილეობას ვეღარ მიიღებს თავისი სატრფოს სი-
ცოცხლესა და არსებობაში...

აი, ამ დღიდან ტარიელმა სრულიად დაკარგა გულის მხიარულება და აღ-
ტაცება. მას სიცოცხლის უმთავრესი ძარღვი ჩაუწყდა და იმაზე აღარც მოქ-
მედებდა უცოდველი, წმინდა ჰაერის ქროლვა-თამაში, სინათლის, სიცოცხლის,
მრავალგვარი, მრავალფეროვანი და მდიდარი ცხოვრებისა და ბუნების პარმო-
ნია. ამ წუთისოფლის ბუნების ნაირ-ნაირი სანახაობა სრულიად უმნიშვნე-
ლოდ და უაზროდ იყო მის წინ გაშლილი.

ნუთუ დასაჭერებელია, რომ ტარიელი თავის სათაყვანებელ სატრფოს
ვეღარ იხილავს? ნუთუ უმდიდრესი სასახლის კარები ამიერიდან იმისათვის
აღარ გაიღება?

...ტარიელის მუდამ დღე-ღამე მომტირალი თვალების წინ გადაიშლებო-
და გაზაფხულით ამწვანებული ტყე და ველი, მთა და ბარი, კლდე და ღრენი,
მდინარენი და ზღვაც, საიდანაც აღარ ისმოდა მისი სმენისათვის სასიამოვნო
და მიმზიდველი, ტკბილგასაგონი ამბავი. ეს შვესავით უმშვენიერესი ჭაბუკი,
უცხო რამ თვალტანადობით ნახატი, შემკული მეფურის დიდებითა და ძლიე-
რებით, მთელი უმდიდრესი ინდოეთის მემკვიდრე, რომელსაც ცა და ქვეყანა
შეჰხარის, სულ ერთიანად გამოიცვალა და გაველურდა..

...ტარიელი წააწყდა და გაიცნო უგონიერესი, უნიჭიერესი, „მზის დასა-
გვანი“ ჭაბუკი ავთანდილი, რომელმაც მას გადაკარგული სატრფო მოუძებნა
და ტკბილი სიცოცხლეც მიანიჭა. უკვდავმა მეგობარმა — ავთანდილმა ტარი-
ელს თავზე დაადგა დიდების, ძლიერების და ჭეშმარიტი სიყვარულის ბრწყინ-
ვალე გვირგვინი და ცხოვრებას კვლავ შეარბია...

მამასადამე, სრული ბედნიერება და სასუფეველის დამკვიდრება საშუა-
ლო საუკუნეების მშრალ მოქირვებაში კი არ არსებობდა. არამედ სიყვარულ-
ში, რომლის დიადი ძალა სიცოცხლე და მადლი ადამიანს ამქვეყნად აცისკ-
როვნებს, ამხნევეს, ამალღებს, ამდიდრებს, ასპეტაკებს, ადიდებს და უკვდავ-
საც უოფს. ტარიელზე სწორედ ზედგამოქრით არის ნათქვამი მგოსნის ლექსი:

„ვალ, სოფელო, რამოჯან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გვირსა!
ყოველმც შენი მონღობილი, ნიადგმცა ჩემებრ სტირსა...
სადაურსა სად წაუჯან, სად აღუფხვირი საღით ძირსა,
მაგრამ ღმერთი არ გასწირავს, კაცსა შენგნით განაწირსა“.

[951]

რაც უნდა მწარედ და ძლიერადაც დაიტანჯოს და აწამოს სოფელმა მებ-
რძოლი ადამიანი, ღმერთი (ისტორია) მაინც „არ გასწირავს, მისგან განაწირს
კაცსო“, წერს ჩვენი მგოსანი. და ეს შესანიშნავი, დიადი ფილოსოფიის გამომ-
ხატველი ლექსი განზრახ შეთხზული, უბრალო ლექსი როდია, უგანაჩენოდ წა-
ქოსროლილი, არა. ეს არის დიდად დიდი, ღრმა, ძლიერი და დაუფარველი სი-

მართლის გამომხატველი ცოცხალი იდეა, რომელიც ქართველ ნიჭიერ ახალგაზრდასა და ყმაწვილში ზრდის და ასულიერებს გულდადებული, დისციპლინით სავსე შრომის გულითად სიყვარულს, თვალში ამოჩემებული მიზნისადმი დაუღალავ, გულგაუტეხელ სამსახურს; მოზარდი თაობის სულის და ხასიათის სიმტკიცეს აწრთობს. ამ პატიოსანი, დიადი იდეის თავდადებული სამსახური და სიყვარული, ბოლოს და ბოლოს, ახალგაზრდობას, მთელი ერის ახალ თაობას აჩვევს და აყვარებს პატიოსან, გმირულ საქციელსა და ყოფაქცევას...

ამიტომაც, ჩვენი ქვეყნის — საქართველოს კომუნისტური მთავრობა დიდსა და პირდაპირ დაუვიწყარ ღვაწლს დასდებდა ჩვენი ერის კულტურული განვითარების საქმეს, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტში დააარსებდეს ცალკე კათედრას „ვეფხისტყაოსანზე“ ლექციების საკითხავად და ამ დიდ საქმეს მიუჩენდეს, სპეციალურად, ერთ ნიჭიერსა და სწავლულ პროფესორს სწორედ ისე, როგორც ეს არის შემოღებული იტალიის უნივერსიტეტებში დანტე ალიგიერზე, გერმანეთში — გოეთესა და შილლერზე...

1925

„ჩვეული ნაწერები“, თბ., 1963, გვ. 117—131.

კომენტარები და შენიშვნები

წინამდებარე „რუსთველოლოგიურ ჩრეულ ნაშრომთა“ მესამე კრებულშიც შედგენილია იმავე პრინციპებით, როგორც I და II წიგნები (იხ. I წიგნის წინასიტყვაობა).

აქ წარმოდგენილია სხვადასხვა ავტორთა ნარკვევები და წერილები. რომლებიც 1909—1925 წლებში გამოქვეყნდა. ტექსტთა შემოკლებულ ადგილებზე, როგორც ამავე სერიის I და II წიგნებში, ისევე აქაც ვათავსებთ მ რ ა ე ა ლ წ ე რ ტ ი ლ ს (უფრო ზუსტად — ო თ ხ წ ე რ ტ ი ლ ს). ნაშრომებში მითითებულ „ვეფხისტყაოსნის“ დ. კარიკაშვილის 1903 წლის გამოცემის სტროფთა სათვალავ ციფრებთან, საქირო შემთხვევებში, აღვნიშნავთ უ დ რ ი ს (=) და ვუსადაგებთ ამავე პოემის 1957 წლის გამოცემის იმავე სტროფთა სათვალავ ციფრებს.

კომენტარებსა და შენიშვნებს კრებულის ს ა რ ჩ ე ე ის თანმიმდევრობით ვიძლევი.

1. მესამე კრებული იხსნება რუსთველოლოგ იუსტიტენ ირაკლის ძე აბულაძის (1874—1962) ნარკვევით, რომლის დაწერის თარიღი 1905 წლის დეკემბერია. ნაშრომი ავტორს 1907 წელს წაუკითხავს სამეცნიერო სხდომაზე ვიწრო წრეში, ხოლო შემდეგ იგი განუშვებია 1908 წ. საჯარო სხდომაზე სათაურით: „XII საუკუნის ქართული მწერლობის ხასიათი და რუსთაველის ვეფხისტყაოსანი, როგორც დროის მიმართულების უძლიერესი გამომხატველი“. (წაითხულია საზოგადო კრებაზე 1908 წლის 21 თებერვალს. იხ. კრებ. „ძველი საქართველო“, ტ. I, ექვ. თაყაიშვილის რედაქტორობით, თბ., 1909, განყ. VI, გვ. 17. დაბეჭდილია ზემოწარმოდგენილი სათაურით (იხ. იქვე, განყ. II, გვ. 69).

იუსტ. აბულაძის მაშინდელი კონცეფციები „ვეფხისტყაოსნის“ ამბის სადაურობისა და რუსთაველის სამეფო კარის მეხოტბეობის თაობაზე, რაღა თქმა უნდა, ამჟამად მიუღებელია, მაგრამ წარმოადგენს რუსთველოლოგიური აზრის განვითარების ისტორიას და არსებითად უცვლელად ვტოვებთ. ზოგ საკითხზე ავტორმა თვითონ შეიცვალა შეხედულება. ტექსტობრივი შეხვედრები „ვეფხისტყაოსანსა“ და „ვისრამიანს“ შორის კი ი. აბულაძეს შემდგომგაროინდელ ნაშრომებში უფრო ვრცლად აქვს განხილული და აქ ზოგიერთ მუგალითსა და მსჯელობას აღარ ვიმეორებთ (შდრ. ქვემოთ — 2).

საუურადღებოა, რომ ქართულ ხალხურ „ვეფხისტყაოსანს“, ალ. ხახანაშვილისგან განსხვავებით, ი. აბულაძე მოხსენებამი (1909 წ. 21 თებერვალს) უწოდებს „შოთას ნაწარმოების ნაყოფს“. აქ ჩვენ საქმე გვაქვსო, — განაგრძობს მომხსენებელი, — „ერთ-ერთ იმგვარ მოვლენასთან, როცა მწერლობითი ნაწარმოები ხალხში გადადის და რამდენადმე ხალხურდება“ (იქვე, 18).

ჩვენ აღრე გამოვაქვეყნეთ იუსტ. აბულაძის „რუსთველოლოგიური ნაშრომების“ კრებული (თბ., 1967). მასში შეტანილია ახლა აქ წარმოდგენილი ნაშრომის 1922 წლის რედაქცია. 1909 წელს გამოცემულ ტექსტს 1922 წლის გამოცემაში წინასიტყვაობა აქვს დამატებული (გვ. 93—96) და ახლავს დანართი ბიბლიოგრაფიული ცნობები (გვ. 126—129). სხვა მხრივ ტექსტი, თითქმის უცვლელია.

აქ კი ვაჭყენებთ 1909 წელს გამოქვეყნებულ ტექსტს, რადგან რუსთველოლოგიური აზრის განვითარების ისტორიისათვის, როგორც ითქვა, თარიღსაც აქვს მნიშვნელობა. ამასთანავე ავტორის ადრინდელი (1903—1908) რუსთველოლოგიური ნააზრებები 1909 წლის პუბლიკაციაში დაჭამებულია. ი. აბულაძის შემდეგადრინდელი მოსაზრებები სათანადო ნაშრომების გამოყენებისას იქნება განხილული.

ლიტერატურა: 1. „ვეფხისტყაოსანი“, ი. აბულაძის რედაქტორობით, თბ., 1914; 2. იუსტიციის აბულაძის რუსთველოლოგიური ნაშრომები, ი. მეგრელიძის რედაქციით, თბ., 1967; 3. ალ. ბარამიძის „შოთა რუსთაველი“, თბ., 1975 (იხ. გვერდები წიგნზე დართული საძიებლის მიხედვით); 4. ი. მეგრელიძის რუსთველოლოგები, თბ., 1970, გვ. 198—211; 5. სარგის ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, I, თბ., 1970, 91—98; 6. ს. ყუბანეიშვილი, ვეფხისტყაოსნის ბეჭდვის ისტორიიდან, II, თბ., 1973, გვ. 27—36.

შ. მ. ისტორიკოსი და რუსთველოლოგი სარგის ნესტორის ძე კაკაბაძე (1886—1977) „ვეფხისტყაოსნის“ 1913 წელს დაბეჭდილი (გამოვიდა 1914 წელს) შესავალ წერილში მრავალ საკითხს ეხება, მაგრამ აქ ძირითადად წარმოდგენილია ავტორის მხოლოდ ერთი მოსაზრება — რუსთაველის, თითქოს, არა თამარ მეფის დროს, არამედ XV ს. პირველ შესაბამეში მოღვაწეობის შესახებ. ეს მოსაზრება ს. კაკაბაძეს ქართული საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებაზე გამოუთქვამს 1911 წელს (იხ. „სახალხო გაზეთი“, 13 მაისი, №301, გვ. 3) და შემდეგ „ვეფხისტყაოსნის“ 1913 წლის გამოცემის შესავალ ნარკვევში გარუეთიარეობითა. წერილის აქვს დასკვნები. წინამდებარე კრებულში ვათავსებთ მხოლოდ ამ დასკვნებს.

ამავე ჰიპოთეზას იმეორებს ს. კაკაბაძე 1924 წელს დაბეჭდილ ერთ-ერთ ნაშრომშიც და მის სათანადო ნაწილსაც აქვე ვიმეორებთ (იხ. ზემოთ) ისევე, როგორც ადრე აკაკი წერეთლის 1881, 1887 და 1911, და ე. კარაშვილის 1909 და 1913 და ვუა-ფშაველას სხვადასხვა დროს დაბეჭდილი წერილები ერთად წარმოვადგინეთ (იხ. I და II კრებულები).

ს. კაკაბაძის ზემოხსენებულმა ათაოთეზამ გამოიწვია მწვავე კრიტიკა საზოგადოებრიობასა და პრესაში (იხ. გ. იმედაშვილი, რუსთველოლოგიური ლიტერატურა 1712—1956 წლები, თბ., 1957, გვ. 284 № 761; გვ. 285 № 764; გვ. 299 №803, 804, 806; გვ. 302 № 813, 814; გვ. 303, № 815; გვ. 306 № 820, 821; გვ. 307, № 827, 828 და სხვა).

ნ. შარის „წერილი ვეფხისტყაოსნის გამო“ „თეატრი“, 1890 № 12) შემდეგ ს. კაკაბაძის ხსენებულ მოხსენებამდე — 20-ზე მეტი წლის განმავლობაში ასეთი კრიტიკა არ გამოუწვევია არც ერთ მოსაზრებას. აღსანიშნავია, რომ ს. კაკაბაძის ამ ნაშრომს აკაკი წერეთელიც გამოეხმაურა. მან საკითხის დაყენებას დაუქირა მხარი და არა თვით ჰიპოთეზას, რაც ზემოხსენებულ გ. იმედაშვილის რუსთველოლოგიურ ბიბლიოგრაფიაში არა აღნიშნული და ამიტომ აქვე დავსახელებთ (ა. წერეთელი, ტ. 14, თბ., 1961, გვ. 539, 541; შდრ. ს. კაკაბაძის, რუსთაველი და მისი ვეფხისტყაოსანი, თბ., 1966, გვ. 31—32).

სარგის კაკაბაძის ნაშრომის მდარ დებულებას შეეხო არა ერთი რუსთველოლოგი, მათ შორის ერთი პირველთაგანი იყო ივანე ჭავჭავიძე, რომელმაც დაასბუთა, რომ სარგის კაკაბაძე ეყრდნობოდა ნატყუარ ისტორიულ წყაროებს და მათ საფუძველზე პოემის თარიღი და ავტორის ვინაობა არასწორად ჰქონდა წარმოდგენილი.

შემდეგში თვითონ ს. კაკაბაძემაც აიღო ხელი ხსენებული მდარე მოსაზრებებისაგან, — იგი „ვეფხისტყაოსნის“ 1927 წლის გამოცემის წინასიტყვაობასა და შემდეგ მონოგრაფიაში „რუსთაველი და მისი ვეფხისტყაოსანი“ (თბ., 1966) რუსთაველს თამარის ეპოქის პოეტად აცხადებს, რის შესახებაც სათანადო ნაკვეთში შევა ავტორის ნარკვევი და წარმოდგენილი იქნება შესაბამისი კრიტიკული წერილებიც.

ლიტერატურა: 1. „ვეფხისტყაოსანი“, სარგის კაკაბაძის რედაქტორობით, თბ., 1913, გვ. 3—68; 2. მისივე „ვეფხისტყაოსნის“ პრობლემის გარშემო“ (იხ. ზემოთ);

3. ივანე ჭავჭავაძის (იხ. ზემოთ); 4. ალ. ბარამიძე, შოთა რუსთაველი, თბ., 1975; სოლ. ყუბანეიშვილი, ვეფხისტყაოსნის ბეჭდვის ისტორიიდან, II, თბ., 1973, გვ. 21—27; 6. სარგის ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, I, თბ., 1970, გვ. 86—90; 7. ი. მეგრელიძე, პროფ. ს. ნ. კაკაბაძე — რუსთველოლოგი. — გორის პედ. ინსტ. XXIII სამეცნიერო სესიის თეზისები, 1966, გვ. 50—51.

4—5. გეორგიანი ისტორიკოსი ივანე ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძის (1876—1940) საფუძვლიანად ეხებოდა ქართული კლასიკური ლიტერატურისა და კერძოდ — რუსთველოლოგიის საკითხებს. ზოგიერთ საკითხზე ივ. ჭავჭავაძისა და შეეცვალა აზრი, მაგრამ შოთა რუსთაველი რომ თამარ მეფის დროის მოღვაწე იყო, ამაზე აზრი არ შესცვლია. ავტორი თავის ნაშრომებში ვრცლად ეხებოდა „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრულ სინამდვილეს და მის ჯემურს მე-12 საუკუნის საქართველოს ისტორიულ ცხოვრებასთან. მათ შორის ასეთებია ზემოწარმოდგენილი 2 ნაწყვეტი, ავტორისავე სტატია „ქართული ლიტერატურა“ გრანტის ენციკლოპედიის (1914) და სხვა. მაშინ ავტორი რუსთაველის პოემის სიუჟეტის შესახებ ნ. მარის მდარაზის იზიარებდა (ადრეც — 1904 წელი). შემდეგ კი ამ აზრს განუდგა.

ზემოწარმოდგენილი ორი ნაწყვეტი მით უფრო შემოგვაქვს წინამდებარე წიგნში, რადგან იგი შემდგენლებს არ შეუტანიათ ივ. ჭავჭავაძის საეცოლო კრებულში (იხ. ქვემოთ — 1).
ლიტერატურა: 1. ივ. ჭავჭავაძის, ქართული ენისა და მწერლობის საკითხები, ილ. აბულაძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით, თბ., 1956 2. ალ. ბარამიძე, შოთა რუსთაველი, თბ., 1975 (იხ. საძიებელი — გვ. 485); 3. კ. ქეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტორია, II, თბ., 1958; 4. ი. მეგრელიძე, რუსთველოლოგები, თბ., 1970, გვ. 212—224; 5. სარგის ცაიშვილი, ლიტერატ. წერილები, თბ., 1977, გვ. 216 და შემდეგი.

8. იხ. ზემოთ — 1.

7. პედაგოგი სილოვან თომას ძე ხუნდაძე (1860—1929) პეტერბურგის აღმოსავლურ განათაფრების კურსდამთავრებული, სახელმძღვანელოების შედგენის გარდა, წერდა ქართული მწერლების შემოქმედებასა და სხვა საკითხებზეც.

ზემოწარმოდგენილი ნარკვევი „შოთა რუსთაველი“ ამოღებულია გამოცემიდან: „ს. ხუნდაძე, ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოები“ (ქუთაისი, 1921 — XII; 200 გვ.). იგი აქ ძლიერ შემოკლებულია. მაგ., აქ აღარ მეორდება II თავი — „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერები, III — „სხვადასხვა მკვლევარის აზრი შოთა რუსთაველისა და მისი პოემის შესახებ“, ვრცელი ამონაწერები — „განსაკუთრებით საგულისხმო ადგილები „ვეფხისტყაოსნიდან“ (პოემის შინაარსი და ამონაწერები). აქ ვაქვეყნებთ აღნიშნული ნაშრომის მხოლოდ ზოგიერთ თავსა და დასკვნებს.

ლიტერატურა: 1. კრებული „სახალხო განათლების მოღვაწეები“, I, თბ., 1953, კ. ქაჩაიას წერილი — გვ. 251—252; 2. ი. მეგრელიძე, რუსთველოლოგები, თბ., 1970, გვ. 140—141.

8. ისტორიკოსი მოსე გიორგის ძე ჭანაშვილი (1855—1934) თითქმის მთელი ცხოვრების მანძილზე წერდა თამარ მეფისა და რუსთაველის ცხოვრებისა და შემოქმედების საკითხებზე. იგი ჭერ კიდეც 1895 წელს აღნიშნავს: „შოთა რუსთაველი „ცილამ მოწყვეტილი ცის ნატეხი“ [შეტვორი] არ არის, მისი შემოქმედება ქართული კულტურის პირშეშაო.“

მ. ჭანაშვილი თავის შეხედულებებს რუსთაველზე აყვამებს 1923 წელს გაზ. „ტრიბუნის“ ნომერებში გამოქვეყნებულ ნაშრომში „თამარ მეფის მემორიალი“ — „შეთეთი, ჩახარუხაძე, და სხვა (გაზ. „ტრიბუნა“. №№ 462, 463, 464, 466, გაზეთის ორ-ორი ქველთა; შდრ. ზემოთ); იქაც კი, სადაც ავტორი უშუალოდ რუსთაველზე ლაპარაკობს, არაიშვიათად იმეორებს მოძველებულ ან დაუსაბუთებელ ამბებს (მაგ., ხატაეთი და ხატაელნი, ქაჭეთი და ქაჭები, ინგილოური გლოსები და რეალები „ვეფხისტყაოსანში“ და სხვა). ნაშრომის ზოგ აქარად-მდარა ნაწილებს აქ აღარ ვებეჭადთ (იხ. იგივე გაზეთი, 1923 წ., №№ 490, 499, 506, 509).

ლიტერატურა: 1. მ. ჭანაშვილი, შოთა რუსთაველი (XII საუკუნე), თბ., 1896. (183 გვ.), 2. მისივე, Царница Тамара, მისივე, თამარ მეფე (გამოცემა თბილისის ქართველ ქალთა საზოგადოებისა), თბ., 1917 (124 გვ.); 4. მისივე, რუსთაველის გარშემო, თბ., 1970, გვ. 137—139; 6. კრებული „მოსე ჭანაშვილი“, ს. ელენტიის რედაქციით, თბ., 1956; 7. კ. იმედაშვილი, წერილი, კრებულში „ძველი ქართული მწერლობის საკითხები“, 1. თბ., 1962, გვ. 223—224;

8. გამოჩენილი ორიენტალისტი, ასიროლოგი მიხეილ (მიხაკო) გიორგის ძე წერეთელი (1878—1965) არის იმავე დროს ცნობილი რუსთაველოლოგი. მან დაამუშავა და გამოაქვეყნა, როგორც თვითონ უწოდებს, „ვეფხისტყაოსანი“, ნაწილი პირველი. ტექსტი აღდგენილი მიხეილ წერეთლის მიერ (პარიზი, 1963); მანვე იგი გამოცემამდე „სიტყვა-სიტყვით“ თარგმნა გერმანულ ენაზე, რომლის წინასიტყვაობა ქართულადაც არის ნათარგმნი და დაბეჭდილი. იქვე მის შესახებ ცნობებიც არის გამოქვეყნებული (ქვემოთ — 2. გვ. 446, შწმ. 261). ხსენებული სიტყვა-სიტყვითი თარგმანის ეგზეგეტიკური კ. და ნ. სალიგმა გამოგზავნეს პარიზიდან საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტში. იგი ჩვენ, ინსტიტუტის დირექციის ნებართვითა და ქართულ-უცხოურ ლიტერატურათა ურთიერთობის განყოფილების გამგის დ. ლაშქარაძის პირადი პასუხისმგებლობით, ვათხოვეთ გერმანულ პოეტს ჰერმან ბუდენზიგს, რომელმაც თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“ გერმანულად და, სხვა წყაროებთან ერთად, გამოიყენა მ. წერეთლის აღნიშნული თარგმანიც. გ. წერეთლის სიტყვა-სიტყვითი თარგმანი კი ისევ ხსენებულ ინსტიტუტში ინახება (იხ. 2. გვ. 445, შწმ. 260).

9. წერეთლის ორიენტალისტურ და ქართველოლოგიურ ნაშრომთაგან ერთ-ერთი საუკეთესოა დღემდე ნათარგმნი „გიორგამეშინი“, რომელიც მანვე კომენტარებითა და შენიშვნებით გამოაქვეყნა (1). აქედან არის კუბურებული ზემოწარმოდგენილი ნაწყვეტი „გიორგამეში“ და „ვეფხისტყაოსანი“ (იხ. 774).

ლიტერატურა იხ. 10—11-ის შემდეგ.

10. მ. წერეთლის „ვეფხისტყაოსნის ტექსტისათვის“ იხსენიება პოემის ზემოხსენებული ქართული გამოცემის (პარიზი, 1963) წინასიტყვაობაში. ავტორი წერს: „ერთი ნაწილი ვეფხისტყაოსნის ტექსტის კრიტიკის დაბეჭდილი იყო „ხელი ქართლისს“-ში №12, 13, 14, 15 და 16, და იგივე შრომა, ოღნაე გადაეთებული, და აგრეთვე მეორე ნაწილი — „ჩანართებისათვის“ — დაიბეჭდა, როდესაც ამის საშუალება მოკვეთებამ“ (გვ. III—IV).

გამოქვეყნებული ნაწილის შესახებ სიტყვა ეხება 50-იანი წლების ეურნალის დასახელებულ ნომრებს. მათ კ. სალია, ნეკროლოგში მ. წერეთელზე, უმატებს № 17-საც (იხ. ქვემოთ — 1). მათგან, რომელ ნომრებზეც კი ჩვენ ხელი მივაყწვდა, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის კრიტიკა მ. წერეთლისა ენახებ მხოლოდ № 12 (გვ. 20—29) და № 17-ში (გვ. 18—19).

ამავე დროს ამ „კრიტიკის“ ზოგადი მოსაზრება მოკლედ მეორედგება მიხ. წერეთლის მიერ გამოცემულ ზემოხსენებულ „ვეფხისტყაოსნის“ წინასიტყვაობაში, (გვ. III—V), რომელსაც აქვე ვაქვეყნებთ. ამიტომაც და უმათერსად იმ მეცნიერული მნიშვნელობის გამო, რომელიც პირველ ნაშრომს აქვს, მას აქვე ვიმოვრებთ. მით უფრო, რომ მასზე დაინტერესებულ მკითხველთაგან ხელი იშვიათად თუ ვისმე მიუწვდება.

პირველ პუბლიკაციას დასაწყისშივე ახლავს სქოლიო: „ამოღებულია დასაბეჭდად მომზადებული შრომიდან „ვეფხისტყაოსნის“ წიგნი პირველი, ტექსტი ჩანართი, აღდგენილი მიხეილ წერეთლის მიერ. მიუნხენი, 1950“.

პოემის აღდგენილი ტექსტი გამოიცა პარიზში 1963 წელს. მას მხოლოდ ზოგი შენიშვნა ახლავს და არა ჩვენთან ზემოწარმოდგენილი კრიტიკა. უდრ. ქვემოთ — შენიშვნები.

11. მ. წერეთლის ეს სტატია გამოქვეყნებულია რეცენზიის სახით წინამდებარე სტრიქონების ავტორის წიგნზე „რუსთაველი და ფოლკლორი“ (თბილისი, 1960). მასში მ. წერეთელი

ს ა კ უ თ ა რ ს ა ხ ე ლ თ ა ს ა ძ ი მ ბ ე ლ ი *

- აბულაძე იუსტ. 4, 5, 36, 49, 66, 96 133, 137—
 139, 142, 145, 147, 149. 153, 170—172
 აბუსაადი 106
 ავალიშვილი ზ. 133, 136
 ავალიშვილი ი. 37
 ავთანდილი 11, 13—16, 19, 21, 25—27, 40. 70,
 75—78, 86, 88, 90, 94, 99—101, 103—107,
 111, 112, 114, 116, 118—124, 126, 131, 135,
 141—145, 148, 153, 157, 166—168
 ათაბაგი ელდ. 105
 აღასირი იბნ 43
 აღუქსანდრე მაკედონელი 16
 ალიპ-არსლანი 109
 ამირ-მირანი 125, 126
 ამირხანი 104
 ამირან დარეჯანის ძე 45, 65
 ანა დედოფალი 149
 ანტონი I 93
 ანტონ კათალიკოსი 154
 არაგვისპირელი 65
 არსენ იყალთოელი 30
 არსენი კათალიკოსი 104
 არსლანი ილა 110
 არჩილი 46, 67
 ასმათი 74, 80—83, 89, 95, 100, 105, 118, 130,
 144
 ასპიროზ 131, 132
 აღმაშენებელი დავით 154
 აშოტ კურაპალატი 127
 ბაგრატიონი 127
 ბაგრატიონი დ. 103
 ბაგრატ IV 163
 Баграт царевич 10
 ბაგრიანოროღნი კ. 163
 ბალმონტი კ. 140
 ბაირონი 74
 ბარათაშვილი ნ. 88, 156
 ბარათაშვილი (ისტორიკოსი) 163
 ბარამი 20
 ბარამიძე ალ. 171, 172
 ბაპრამ გური 16
 ბებურიშვილი ა. 79
 ბოგოლიუბსკი გ. 70
 ბრანდესი გ. 164
 ბროსე მ. 94, 96, 117, 121, 122, 146
 ბუღენჯიგი 173
 გაბაშვილი ტ. 154
 გამეზარდაშვილი დ. 174
 განთელი 100
 გილგამეში 129—131
 გიორგი II 121
 გიორგი III 43, 55, 70, 102, 105, 110, 121
 გიორგი IV 53
 გიორგი VIII 33
 გიორგი რუსი 122
 გიორგი მთაწმინდელი 38, 43
 გიორგი ჭყონდიდელი 30
 გიორგი მეფე 37
 გოეთე 160, 164, 165, 169
 გორგასალი ვ. 64. 163
 გორგაძე ს. 36
 გურამიშვილი დ. 49, 99
 დადიანი ნ. 95
 დავარი 70, 114, 115
 დავითი 98, 102, 125
 დავით აღმაშენებელი 8, 30, 53, 57, 64, 110
 დავით ბატონიშვილი 39
 დავით მეფე 33

* შეადგინეს დარეჯან დანელიამ და მიახ ჭარხალაშვილმა.

- დანტე 129—131, 156, 164, 165, 169
 დარჩია ბ. 93
 დემნა 121
 დიმიტრი 110
 დიონისე არეოპაგელი 30, 70
 დონ-ჟუანი 74
 დულარდუბტი 114
- ელენე (ბიზანტიის იმპერატორის რომანოზის
 და) 163
 ენკიდუ 129—131
 ერისთავი გ. 156
 ერისთავი თ. 160
 ერისთავი რ. 78, 95
 ეფრემ მცირე 30, 79
 ეშენბახი ვ. 162
- ვახტანგ VI 5, 35, 68, 69, 93, 94, 96, 134, 135,
 137, 139—141, 143—145, 147, 153, 154
 ვახუშტი 122
 ვაჟა-ფშაველა 171
 ვისი 21, 23
- ზიჩი 95
 ზორასტრი 86
 ზოპაკი 111
- თამარ მეფე 5—8, 10, 12, 30, 31, 33, 36, 38,
 41, 45—48, 51, 54, 57, 59, 66—70, 72, 79,
 94, 96, 98—100, 102, 104, 105—109, 115,
 118, 121—123, 125, 126, 150, 151, 153—156,
 162, 165, 167, 171—173
 თაყაიშვილი ექვთ. 10, 19, 43, 51, 150, 170
 თედორე კათალიკოსი 55
 თეიმურაზ I 51, 52, 66, 67
 თეიმურაზ ბატონიშვილი 53. 55, 94
 თინათინი 16, 21, 25, 40, 70, 73, 80, 81, 94,
 99, 100, 101, 103, 118, 120, 121, 123, 135,
 141—145, 153, 167
 თმოგველი ს. 33, 38, 39, 53, 55, 65, 140
 თორღულ-ბეგი 109
- იმედაშვილი გ. 171, 173
 ინგოროყვა პ. 36, 133—137, 139, 140, 142, 145,
 146, 149, 153, 154
 იოანე 53
 იოსელიანი პლ. 93, 94, 96
- კაკაბაძე ს. 4, 33—35, 37, 38, 45—48, 53,
 54, 56, 66, 133—136, 139, 142—144, 147,
 171, 172
 კარიკაშვილი დ. 17, 35, 92, 96, 170, 171
 კეკელიძე კ. 43, 172
- ლაგორი რაჟი 109
 ლისტი ა. 161
 ლანგოლ კ. 163
 ლაშა 125
 ლაშქარაძე დ. 173
 ლიპარიტი 53
 ლოველა 74
- მალიქშა 106, 109, 110, 115
 მარიამ დედოფალი 47, 150
 მარი ნ. 6, 10, 35, 39, 42, 48, 51, 53, 55, 59;
 62, 68, 133—137, 149, 154, 163, 164, 171, 172
 მაკმული განის სულთანი 8, 9, 12, 15, 57.
 მეგრელიძე ი. 4, 63, 151, 152, 154—156, 171.
 172, 174
 მელიქ-სურხავი 114, 116, 117
 მეუნარგია ი. 95, 158
 მილტონი 86
 მირიანი 64
 მიქელ პატრიარქი 108
 მროველი ლეონტი 104
 მღვიმელი 65
 მხარგრძელი 33
 მხარგრძელი ზ. 53
- ნასირი აბ. 61
 ნიკოლოძე ნ. 156, 160
 ნინო 43, 64
 ნესტან-დარეჯანი 13, 15, 17, 20, 28, 39, 40—
 70, 75, 76, 78, 80—82, 85, 89, 90, 91, 94,
 99—105, 107, 113—116—118, 122—124, 130,
 141—145, 164, 165, 167
 ნიზამი 16, 164
- ორბელიანი გრ. 95, 156
 ორბელიანი ს. — ს. 112, 117, 126
 ორბელიანი პ. 104
- პანარეტი მიხ. 121
 პეტრე 76

პეტრიწი ი. 30, 79, 154
პლატონი 29, 79

ეროდანია 122
ეროდანია თ. 54
Жуковский В. 14
ელენტი ს. 173

რამაზ მეფე 19, 133
რამინი 11, 21, 23, 74
რიხარდსონი 74
რომანოზი 163
როსტევენი 11, 12, 14, 16, 19, 23, 29, 70, 79,
80, 82, 90, 99, 104, 112, 119, 120, 121,
141, 142, 144, 145, 148
როსტომი 9, 111, 112
რუსთაველი 5, 7, 12, 16, 20, 21, 24, 25, 28,
30, 33, 35, 36, 40, 41, 43, 45, 46, 50—52,
54, 55, 58, 60, 62, 64, 72, 77, 79, 130—138,
140—155, 158—167, 170—174
რუსტემი 111
რუსულანი 55, 61, 66, 70, 105, 106, 109, 121,
125, 126

საკასი 29
საკი ამონი 79
სალია კ. 173, 174
სალია ნ. 173
სანჯარი 60, 106, 110, 113
სარაჯიშვილი ა. 7, 96, 97, 133—135, 137, 138,
157—159
სარიდანი 123, 124
საჯაია ე. 172
სერვანტესი 156
სოკრატე 29
სოსლანი დ. 10, 51, 70, 99, 100, 102, 105—108,
121, 122, 126
სოფოკლე 157
სუმბატ დავითის ძე 127
სქერილო მ. 164

ტაკაში ალუღინ 110
ტარიელი 11, 13—16, 18—20, 25, 27, 40, 45,
55, 61, 70, 73, 75—79, 81—86, 89—91, 94,

95, 99—107, 111—118, 120, 122—126, 130,
131, 142—145, 148, 153, 157, 165—168
ტომოთე შიტროპოლიტი 93
ტორილი-სულთანი 23, 124—126

უნსული 9
ურბნელი 65
უსენი 17

ფანასკერტელი 53
ფარცხვაია რ. 4, 53, 65, 174
ფარნაოზი 64, 73
ფარსადანი 70, 81, 91, 102—106, 111, 113,
114, 125, 126, 148.
ფატმანი 15, 17, 21, 26, 27, 76, 82, 83, 84, 87,
100, 101, 114, 116, 120, 122, 123
ფაბრედინ გორჯანელი 15
ფაჰბავანი ილიგუისის ძე 125
ფირდოუსი 8, 9, 15, 18, 57, 156, 157
ფირდონი 15, 27, 85, 90, 101, 105, 111, 114,
116, 117, 118, 122—124, 141—145, 157

ქართველიშვილი გ. 95, 158
ქვარანი ს. 5, 6
ქრისტე 76, 77, 79, 80

ყიზ-არსლანი 115, 125
ყიფიანი დ. 5
ყორიუსი 121
ყუბანეიშვილი ს. 171, 172
ყაუხჩიშვილი ს. 149

შავთელი 34, 65, 102, 108, 115, 172
შანიძე ა. 93
შარვაშა 100
შერმადინი 78, 100
შექსპირი 65, 89, 156, 157, 164, 165
შილერი 169
შირინი 16
შლოსერი 110, 113, 163
შოთა ართავაჩოს ძე 55, 66
შოთა კუპრი 55, 127
შოთა გრიგოლის ძე 127
შოთა მექურპლეთუხუცესი 55

- ჩაჩნაგირი 17, 84
ჩახრუხაძე 45, 46, 94, 100, 107, 108, 118, 172
ჩინგიზ ხანი 110, 113
ჩუბინაშვილი დ. 5, 7, 18, 69, 94, 96, 127
- ციციშვილი ს. 4, 171, 172
ციციშვილი მანუჩარ 152
- წერეთელი ა. 5, 79, 84, 95, 96, 157, 160, 171
წერეთელი გ. 5, 160
წერეთელი მ. 173, 174
- ჭავჭავაძე ა. 156
ჭავჭავაძე ი. 95, 96, 156, 157, 160, 164, 165, 174
კიაბერი 54
კიკინაძე ზ. 10, 53, 163
კიკინაძე კ. 136, 138, 139—141, 143, 147
კუონდიდელი 53
- ხახანაშვილი ა. 18, 96, 170, 174
ხაიამი ომარ 162
ხვარაზმშა 15, 70, 104, 105, 107, 109, 110, 124
ხვარაზმშა თაქა 125
ხიზანიშვილი ნ. 156
ხონელი 53, 65
ხომლელი იხ. ფანცხავა რ.
ხონელი მ. 45, 104, 112, 126
ხუნდაძე ს. 4, 64, 65, 172
- ჭაბადარი ი. 164
ჯავახიშვილი ივ. 4, 36, 38, 41, 55, 97, 122, 171, 172
ჯავახიშვილი მ. 152
ჯანაშვილი მ. 4, 5, 95, 172, 173
ჯიმშერი 73
- ჰამლეტი 72
ჰეგელი 29
ჰომეროსი 8, 9, 129, 130, 157, 164, 165.

ს ა რ ჩ ი ვ ი

| | |
|--|-----|
| 1. იუსტიწე აბულაძე, XII საუკუნის ქართული მწერლობის ხასიათი და რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ | 5 |
| 2. სარგის კაკაბაძე, [„ვეფხისტყაოსნის“ 1913 წლის გამოცემის შესავალი წერილის] დასკვნები | 33 |
| 3. სარგის კაკაბაძე, „ვეფხისტყაოსნის“ პრობლემის გარეშემო | 34 |
| 4. ივანე ჭავჭავიძე, თამარის მეფობის პოეზიის მშენება „ვეფხისტყაოსანი“ | 41 |
| 5. ივანე ჭავჭავიძე, „ვეფხისტყაოსნისა“ და შოთა რუსთაველის დროის შესახებ ბ[ატონი] კაკაბაძის ერთი ნაშრომის გამო | 45 |
| 6. იუსტიწე აბულაძე, რუსთაველი და მისი „ვეფხისტყაოსანი“ | 49 |
| 7. სილოვან ხუნდაძე, შოთა რუსთაველი | 64 |
| 8. მოსე ჭანაშვილი, შოთა რუსთაველი | 92 |
| 9. მიხეილ წერეთელი, [„გილგამეში და „ვეფხისტყაოსანი“] | 129 |
| 10. მიხეილ წერეთელი, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტისათვის | 133 |
| 11. მიხეილ წერეთელი, „რუსთაველი და ფოლკლორი“ | 151 |
| 12. ხომლედი, „ვეფხისტყაოსანი“ | 156 |
| კომენტარები და შენიშვნები | 170 |
| სახელთა საძიებელი | 175 |

РУСТАВЕЛОЛОГИЧЕСКАЯ ИЗБРАННАЯ ЛИТЕРАТУРА

III

(на грузинском языке)

ТБИЛИСИ

1982

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

სბ 1813

*

რეცენზენტები: ფილოლოგ. მეცნ. კანდიდატები: შ. ო ნ ი ა ნ ი, ნ. ჯ ი შ კ ა რ ი ა ნ ი

გამომცემლობის რედაქტორი ელ. შ ა თ ი ა შ ვ ი ლ ი
ტექნორედაქტორი ნ. ო კ უ ჯ ა ვ ა
კორექტორი ნ. შ ე ნ გ ე ლ ი ა

გადაეცა წარმოებას 9.11.1981; ხელმოწერილია დასაბეჭდად 22.12.1982;
ქალაქის ზომა 70×90¹/₁₆; ქალაქი № 1; ნაბეჭდი თაბახი 11.3;
საარტიცხო-საგამომცემლო თაბახი 10.5;

უე 01026;

ტირაჟი 2000;

შეკვეთა № 688;

ფასი 1 მან. 50 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19